


კვირის პალიტრა



145(74) 8/XI.-14/XI.2001. ფასი 60 თ.

**შიდსი!**  
ინფიცირებული  
სოლ-ქმარი  
შვილებზედა  
დარდობს

1168  
2001




**მამა ზენონი:**  
ადამიანი ან ღმერთის  
ჭურჭელი ხდება,  
ან ეშმაკისა



**მონღოლ ტული იღვებო**

– «**რუსთავი-2**»-ში  
**ზარი თვით**  
**«პირველისგან» იყო...**



**„დაავიერბოვკა“ თუ არა  
შეპარდნაქემ სტუდენტები**

**თიკა ჯამბურია:**

**„მამის საკუთარი პრინციპები, ოღონდ არ ვარ  
ჯიუტი... ერთადერთხელ დამეუფლა უიუს  
პრინციპი დავითბარჯუნი გადაღებისას, როცა  
სიფრიფანა კაბაში გამოწყობილი, სისივეში  
სრულიად მარტო დამტოვან კლდის წვერზე...“**

**გვ.48**



**მინიატურები**

ახალგაზრდობა - იმედი ხვალის! 3

**მოქალაქე**

მამა გენონი:

„აღამიანი ან ღმერთის  
ჭურჭელი ხდება, ან ეშმაკისა...“ 4

**რა ხდება საქართველოში**

რატომ ჯანყდება ხალხი? 6

**კოლორიტი**

რატომ შეჩერდა „ღარღუბალა“  
და რა სახით მოგვევლინება  
მომავალ სერიებში  
„რკინის კანი“? 9

**აქცია**

„დაავებოვება“ თუ არა  
პრეზიდენტმა სტუდენტები 12

**პოლიტიკა**

პრეზიდენტის მემკვიდრე,  
პრემიერ-მინისტრი თუ  
მხოლოდ საგანგებო დესკანი? 14

**ავტობუსი**

მაია ბარათაშვილი  
„კარნები კოლს“ უმიხნებს 16

**კრიმინალი**

ეჭვიბიანილი ქვებით ჩაქოლეს  
და მანქანით გადაუარეს... 18

**ანტიფარსიანი**

ინფორმაციულ-შემეცნებითი  
კოლაჟი გოჩა დვალის  
უბის წიგნაკიდან 22

**პროგნოზები**

ცნობილი ვარსკვლავთმრიხველი  
წყნარ დეკემბერს გვირღვება 22

**გაფიქსირა**

„მე, ცოდვის შვილმა, ჩემნიღრებს  
გული უნდა ვატკინო...“ 25

**სასარგებლო აზრები**

ავტორიგმების ენციკლოპედია 27

**მეგობარი**

კატა - მეგობარი, მეკურნალი  
და მომგვამიანი ბიგნესის წყარო 28


**განსახილველი**

აივ-ინფორმირებული ცოლ-ქმარი  
შვილების მომავალს გეგმავს 30

**საყვარელი**

საუბრეზე ბანანი,  
სადილად ბანანი 32

„აღამიანი ან ღმერთის  
ჭურჭელი ხდება, ან ეშმაკისა...“




გალეირანის სიტყვებია: თანამდებობა ციცაბო კლდეს ჰგავს - ან არწივი უნდა იყო, რომ მასზე აფრინდეს, ან ქვემძრომი, რომ აცოცდეს. ჩვენ არ ვყოფთ აღამიანებს არწივებად და ქვემძრომებად. აღამიანში ორივე საწყისი არსებობს, მან უბრალოდ, არჩევანი უნდა გააკეთოს.

4

რატომ შეჩერდა „ღარღუბალა“ და რა სახით  
მოგვევლინება მომავალ სერიებში „რკინის კანი“?

როგორც სარწმუნო წყარო-სგან შევიტყვე, „რუსთავი 2“-ში იყო ბარი თვით „პირველისგან“, რომელმაც ითხოვა, რომ ამ ეტაპზე სერიული დროებით შეეჩერებინათ. საუბარი იყო კონკრეტულად იმ სერიებზე, რომელიც ეთერში გასასვლელად უკვე მზად იყო.



9

შესაძლოა, 23 წლის პაატა  
გელთუბილი ეგვლედი არც იყო...



ახალციხის რაიონის სოფელ ვარხანში შემზარავი ამბავი მოხდა: კელოშვილს განაჩენი მოსახლეობამ გამოუტანა და ახალგაზრდა კაცს სოფლის გზაზე, დღისით, მზისით, მუშგები ურგვა და ქვებით ჩაქოლა.

18

„დაავებოვება“ თუ არა  
პრეზიდენტმა სტუდენტები

რა ძალებზეა საუბარი? იყო თუ არა აქცია მართვადი? დაბოლოს - რამ გამოიწვია თავად სტუდენტებს შორის დაპირისპირება? ყველა ამ საკითხზე პასუხის მისაღებად, პირველი აქციის ორგანიზატორთა ჯგუფის წევრებს შევხვდით.



საქართველოს  
მერიტული  
ბიზნესთემა 12

<b>ტრადიციები</b>	
„სამაია“ მოსაგვლიანობის საკულტო ცეკვა ყოფილა...	34
<b>საბანუარი</b>	
ბანკის ღაბრუნების ამბავი...	35
<b>ფაქტობრივი</b>	
<b>FERRARI</b> – „ჯორჯის ნალბანდის სუპერმობილი“	36
<b>ტაროლოგია</b>	
აპოკალიფსის ოთხი თვითმფრინავი	46
<b>პარსკვლავი</b>	
სოფი მარსო: „არასოდეს არაფერს ვნანობ“	42
<b>რომანი</b>	
ნუგო ბაშელი. ტარაკანა (გაბრკელება)	44
<b>აქტუარი-იქითური</b>	48, 49
<b>ავტო</b>	50
<b>ჯანმრთელობა</b>	
• ლოცვა	52
• ჯანმრთელობის ფილოსოფია	52
• ტესტი – გაქვთ თუ არა ქრონიკული ჰიპოთაიდიური გასტრიტი?	52
• სამკურნალო მცენარეები	53
• ღიასახლისის კუთხე	54
• რჩევები ქალებს	55
<b>ადამიანი-ლეგენდა</b>	
ბენიალური, მემული და უბელური ჰოვარდ ჰიუზი	56
<b>ფსიქოლოგიური თაბავი</b>	
უბეჭილიათ თუ არა რისხვებთან მუშაობა?	60
<b>სანვორდი</b>	61
<b>ჰოროსკოპი</b>	
კვირის (12-18 ნომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი	62
<b>ტესტი</b>	
<b>მომავალა თუ განსჯა</b>	63
<b>კალენდოსკოპი</b>	
ჩრდ-ჩრდილი ამბავი	64

**გარეკანზე: გიორგი შრეშოლიანს კოლაჟი**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“  
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით  
გაზეთ „კვირის კალიტრის“ ღამათვა  
შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი  
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
შურნალი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორში“

# მანა გარათაშვილი „პარნები ჰოლს“ უმეზნებს



ნამდვილი მეგობარი მამაკაცი  
კი, მხოლოდ ერთი მყავს... ყველა  
ქალის ცხოვრებაში არის მამაკა-  
ცი, რომელსაც ქალი შეიყვარებს...  
მამაკაცს არ უნდა სჭირდებოდეს  
გამხნელება, ის არ უნდა უჩიოდეს  
ბედ-იღბალს...

16


# პატა – მემობარი, მკურნალი და მოგვებისანი ბიზნესის წყარო

საქართველოში დაუჯერებელი  
რამ მოხდა: ერთმა ჩვეულებრივ-  
მა, თავვიჭერია კატამ, რომელიც  
არც ცისფერი სისხლით გამოირ-  
ჩეოდა და არც რაიმე სხვა ნიშ-  
ნით, გალიდან დევილ და შემდეგ  
კახეთში დასახლებულ პატრონს  
მიაკითხა...



28

# ბენიალური, მემული და უბელური ჰოვარდ ჰიუზი




ჰოვარდ ჰიუზი აშშ-ის ყველაზე  
მდიდარ ადამიანად ითვლებოდა.  
მის ხელში მილიონები მილიარ-  
დებად იქცეოდა, მილიარდებს კი  
ყველა შეადამიანად მიიჩნევდა.  
შეადამიანი იმ საიღუმლოდ იქცა,  
რომლის ამოხსნასაც მთელი ამე-  
რიკა ცდილობდა.

56


# ცანოყვანა

უკნიდან ერთი ღამამანი მი-  
უახლოვდა, ხელკავი გამოსდო და  
გოგონებისკენ წაათრია.  
– გარაკან, შეყვარებული თუ  
გყავს?  
უხეიროდ დაიღრმავა, არ იცო-  
და, თვალები საით წავლდა.  
– ქალთან თუ წოლილხარ  
ოღესმე?



44

# ახალგაზრდობა – იმედი ხვალის!



ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინ, როდესაც „ცხოვრება საამური იყო“ და „განვითარებული სოციალიზმიდან“ კომუნიზმში შესასვლელად ემზადებოდა დედამიწის ერთ მეექვსეზე გადაჭიმული საბჭოეთი, საქართველოს ერთ-ერთი ზღვისპირა ქალაქის შესასვლელთან „ნამ დარავი ლეონიდ ილიჩის“ ვეპერთელა სურათი იყო „გამოტრანსპარანტებული“ ძალზე ორიგინალური წარწერით.

საერთოდ, ლოზუნგები, მოწოდებები და ციტატები ძალზე პოპულარული იყო საბჭოთა კავშირში, პოპულარული კი არა, აუცილებელიც – „ნიანგი“ და „ელლოც“ კი იმით იწყებოდა, რომ ყველა ქვეყნის პროლეტარები უნდა შეერთებულიყვნენ. ამიტომაც უწოდეს ჩვენს ყოფილ სამშობლოს, „ბოროტების იმპერიასთან“ და „რკინისფარდთან“ კულისებთან“ ერთად, „ლოზუნგების ქვეყანა“.

„პარტია ჩვენი ქვეყნის მესაჭეა!“ „დიდება სკკპ!“ „საბჭოთა კავშირი მშვიდობის ბურჯია!“ – ამ ზოგად „ჭეშმარიტებს“ ზოგან (ადგილის სპეციფიკისგან გამომდინარე), კონკრეტული ლოზუნგები უმშვენიერდნენ მხარს: რუსთავში – „უფრო გრძელი მილები პარტიას!“ ჭიათურაში – „მეტი შავი ქვა საბჭოეთს!“ თბილისში განლაგებული ერთ-ერთი საშხედრო ნაწილის შესასვლელში, მამაცი საბჭოთა ჯარისკაცების კიდევ უფრო გასამაძაცებლად ასეთი მოწოდებაც იყო გამოკრული: **Защищите Родину нашу - мать вашу!**



მაგრამ ჩვენ არაადამიანური ტემპების ეპოქაში ვცხოვრობთ და ლოზუნგებიც ოცდამეერთე საუკუნის შესაფერისი გახდა. დასაწყისში რომ ბრეჟნევის სურათი და წარწერა ვახსენებ, ისევ იმას დავგუბუნდები – გენერალური მდივნის პორტრეტის ფონად თხუთმეტივე საბჭოთა რესპუბლიკის ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგო-ბიჭები ილიმებოდნენ ბუდნიერი ღიმილით, ხოლო მთავარი „სიბრძნე“ დიდი ასოებით დაადავდა: „ბავშვები ჩვენი მომავალია!“ ეს არაფერი, უდავო ჭეშმარიტებაა და არც ერთ ეპოქაში ამაზე არავის უკამათია, მაგრამ ყველაზე კარგი ის იყო, რომ ბოლოში ამ „აფორიზმის“ „ავტორი“ იყო მითითებული: „ღ.ი. ბრეჟნევი“. ე.ი. ბრეჟნევიმდე არავის სცოდნია, რომ ჩვენი წარსული პაპა-ბებიებია და მომავალი კი – ბავშვები.

თბილისში ეს ნაკლებად იგრძნობა, საქართველოს ბევრ პროვინციაში კი, ზუსტად ანალოგიური პრინციპით გრძელდება აგიტაცია-პროპაგანდა: „კორუფციას – დაუნდობელი ბრძოლა!“ „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია!“ „დემოკრატია შეუქცევადი პროცესია!“... და რაც მთავარია, ყოველი მათგანის ავტორად საქართველოს პრეზიდენტი გამოცხადებული!

თბილისში ეს არ ხდება-მეთქი, ვთქვი – მართლაც, დედაქალაქში „ვინ ჭამს“ ამას?! მაგრამ რასაც „აჭმევენ“ თბილისელებს და, განსაკუთრებით – სტუდენტებს, არც ის ეგვირილებათ ამ ბოლო დროს და აკი მოუწყვეს კიდევ „ბასტი-ბუბუ“ ერთი ცნობილი მულტსერიალის მთავარ პერსონაჟს! უძველესი სიბრძნეა – მტერის მისივე იარაღით უფრო დაამარცხებო და საქართველოს მომავალმა, ჩვენმა საამაყო სტუდენტობამ, ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით შეუტია ტირანას: „შეწყვედეს ტერორი!“ და „არა – პოლიტიკურ სახელმწიფოს!“ შემდეგ: „შეგარდნაძე+თარგამაძე“ და ვიდაც „ნიჭიერი“ მხატვრის კარიკატურა – როგორ ხარშავს ეშმაკი კუპრის ქვაბში ჩვენს პრეზიდენტს, ის კი იძახის: „კახა, მიშველე, შე ბოზო!“ ორიოდე დღის შემდეგ ლოზუნგები უფრო „დახვეწილი“ და კონკრეტული გახდა: „ძირს ედიკა!“ „შენც წადი!“ „ძირს ედიკას სასტავი!“ „ვეყო მაფიოზობა – ბაბუ“ ყველაზე სასიამოვნო

ის არის, რომ ამ ლოზუნგ-ტრანსპარანტ-მოწოდების შექმნა-გავრცელებაში არა მარტო სტუდენტები, არამედ ათი-თორმეტი წლის წვინტლიანი ბავშვებიც მონაწილეობდნენ, რაშიც საქართველოს პოლიტიკოსთა ახალგაზრდული ნაკრების იმ „სასტავის“ უდიდესი დამსახურებაა, რომელიც უკვე ახლავე ფიქრობს ღირსეული მომავლის აღზრდაზე.

ჰო, ისევ ლოზუნგებს დავგუბუნდეთ – სტუდენტობა ყველა ქვეყანაში მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ნაწილის საუკეთესო წარმომადგენელია და ისიც ცნობილია, რომ ამ ასაკში ლექსების საწერად „ექავებათ ხელები“ ახალგაზრდებს. ცხადია, ეს „საყმაწვილო სენია“ და მღვდელთა ბევრი დიდი პოეტი სწორედ ამით იწყებდა. ამიტომ, ვფიქრობ, მთავრობის სახლის წინ ბევრი მომავალი გალაკტიონი და ტიციანი „ეკურკურებოდა“ მუხებს და ამის შედეგი იქვე კედლებზე აისახა: ისე კოხტად არის გართობული „მამული“ და „ნანული“, ან „ედიკ, ტაში, ტაში“ და მერე „...ტ...ში!“ და ასე შემდეგ, – რომ არ შეიძლება, სიამაყით არ აღივსო მის ავტორთა ნიჭიერების გამო. თეთრი ლექსის ოსტატებიც უხვად გვყოლია, პრიმიტივისტებიც, რომლებიც უბრალოდ და გენიალურად – ფრანსუა ვიიონის სტილში დედას ივინებთან მალაღმსახურულად...

მოკლედ, გასულ კვირაში მომხდარმა არეულობამ პოლიტიკური სარგებელი ხომ მოუტანა და მოუტანა საქართველოს და კიდევ ერთხელ ისიც გამოაჩინა, როგორი ნიჭიერი, კარგად აღზრდილი, პოლიტიკურად გათვითცნობიერებული, უსაზღვროდ განათლებული მომავალი თაობა გვყავს!

მაღლობა მათ პროფესორ-მასწავლებლებს და განსაკუთრებით იმ პოლიტიკოსებს, რომლებმაც მათ თავის გამოჩენის საშუალება მისცეს!

P.S. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო, ჩემი „პროვოკაციები“ არცთუ ისე საღალბო საკითხავი გახდა, მაგრამ თავის ქებად თუ არ ჩამომართმევთ, ხანდახან მაინც ვახერხებდი, მკითხველიც გამეღიმიებინა იმაზე, რაზეც მე მეცინებოდა...

დღეს კი, საღრგ-სასაცილო არაფერი გვჭირს – უბრალოდ მკითხველსა და ჩვენს ჟურნალს არ ვკადრებ იმ ფრაზების გამოქვეყნებას, რომელიც მთავრობის სახლის კედლებს „ამშვენებს“. რატომღაც, სერიოზულად ვეჭვობ, რომ ეს ჩვენი სტუდენტების იმ „პროგრესული ნაწილის“ ნახელავია, რომელიც რამდენიმე თვის წინ ჯერარსმენილ „დემოკრატას“ – გამოცდების გარეშე დიპლომების მიღებას ითხოვდა...

სამწუხაროდ, მათაც ბლომად აქვთ „ნაჭამი“, ვისაც ეს ევალება, თორემ საკვირველია, როგორ ითმენენ და „მამაპაპური“ მეთოდით როგორ არ ასწავლიან ჭკუას – მართლაც ამბობდა სულმნათი აკაკი: „მარტო აღზრდა რას უშველის, თუ ბუნებამ არ უშველია“, მაგრამ მანამდე დიდი დიდაქტიკოსი, დავით გურამიშვილი ბრძანებდა: „ცემა გამართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილი“ და „უწვრთნელი ძაღლის ყოლა სჯობს, უწვრთნელი შვილის ყოლა-საო...“

**პროვოკატორი**



# მამა ზენონი:

## აღაპიანი ან ღმერთის ჭურჭელი სდება, ან მუხაკისა

დღევანდელი ვითარება უკანასკნელი ათი წლის ცხოვრების საკმაოდ რეალური შედეგი გახლავთ. ამ ხნის განმავლობაში, სახელმწიფო პოლიტიკაზე არავის უფიქრია. ზრუნავდნენ მხოლოდ საკუთარი პოლიტიკის გატარებაზე, საკუთარ გავლენაზე და საკუთარ ქონებაზე. თუ უკანასკნელი პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას გადავხედავთ, „სახელმწიფოებრივი აზროვნების“ უმარტივეს ფორმულას მივიღებთ: ქართველი პოლიტიკოსები მოღვაწეობას პირად კეთილდღეობაზე ზრუნვით იწყებენ და ოჯახის კეთილდღეობაზე ფიქრით აგრძელებენ. თუ გამოლეული რესურსებიდან რაიმე დარჩება, ამ იერარქიაში მერეღა მოდის სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ზრუნვა. რაც შეეხება საარწმუნოებრივ კეთილდღეობას, — ის ბოლო ადგილზეა და საეჭვოა, მისთვის ვინმემ მოიცალოს. არადა, თუ საქართველოს ისტორიაში რაიმე ნათელი ნერტილი არსებობს, თითოეულში ეს იერარქია პირიქით იწყებოდა — ქვეყნის მესვეურნი პირადულსა და ოჯახურს ბოლო ადგილზე აყენებდნენ. ზრუნვას იწყებდნენ საარწმუნოებაზე და ქვეყნის შენებით აგრძელებდნენ (ამის დასტურად დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანისა“ კმარა).

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება გამოითქვა — მრავალი პოლიტიკური ძალის მიერ. საინტერესოა, რას ფიქრობს ეკლესია...

ვესუბრებით არქიმანდრიტ მამა ზენონს:

### ღაჩი ბრძელიშვილი

— ჩვენს ისტორიას შემოუნახავს რეალობა ხელისუფლებისთვის ბრძოლისა, რომელიც ძალიან ხშირად სისხლის ღვრით დამთავრებულია. ამის ერთ-ერთი დადასტურება, მე-15 საუკუნეში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენები გახლავთ, რომელსაც შედეგად ერთიანი საქართველოს დაშლა მოჰყვა. უნდა გვახ-

სოვდეს, რომ რაც არ უნდა დარწმუნებული იყოს ესა თუ ის ძალა თავის სიმართლეში, ასეთი ქმედება სახელმწიფოებრიობას მუდამ საშიშროების ქვეშ აყენებს.

— ანუ, იმის თქმა გსურთ, რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლაში გამარჯვებული არ არსებობს?

— რა თქმა უნდა. არსებობს მხო-

ლოდ დამარცხებული — ეს საქართველოს სახელმწიფოა. როდესაც ასეთი დაპირისპირება ჩნდება, ქვეყანა, ხალხი იყოფა იმდენ ნაწილად, რამდენი მხარეც მონაწილეობს მასში. ჩემ მიერ ნახსენებ მე-15 საუკუნეშიც ანალოგიური შედეგი მივიღეთ — საქართველო საათაბაგოებად და სამეფოებად დაიშალა. უფრო სწორად კი, პროვინციებად, და მივიღეთ ნაწილობრივ სომხურ, ნაწილობრივ კათოლიკურ და ნაწილობრივ მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადასული, დაქსაქსული და დაყოფილი ქართველი ხალხი, რის შედეგებსაც დღემდე ვიძიებთ. შესაძლოა, ეს ვინმესთვის ძალიან შორეული ეპოქა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ მას შემდეგ გონს ვერ მოვეგეთ. ვერ მივხვდით, რომ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ერთიანობა ბუნდოვანი და ზოგადი ცნება კი არა, ყოველდღიური საჭიროებაა. რომ ამის გაუაზრებლობა თვითმკვლელობის ტოლფასია. ამიტომაც, ქვეყნის ერთიანობის იდეა უცვლელ ლაიტმოტივად უნდა გასდევდეს საქართველოს საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედებას, ან თუნდაც ნებისმიერი ჩვენგანის თვითოეულ ნაბიჯს. სხვაგვარად, საქართველოს განაპირა მხარეები მეზობელი სახელმწიფოების რჯულსა და ჭკუაზე მოექცევიან, ქვეყნის შიგნით კი ქაოსი და გაჭირვება იმეფებს, — დამეთანხმებით, რომ ამის ნათელი მაგალითები საქართველოში უკვე სახეზეა.

### — მაგრამ მე-15 საუკუნის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა...

— თავის მოტყუება იქნება იმაზე ფიქრი, რომ დღევანდელ მსოფლიოს ქალაქებზე ჩამოწერილი რამდენიმე დებულება აწესრიგებს — ადამიანის უფლებათა დაცვას რომ უწოდებენ. ადამიანებიც და ქვეყნებიც ერთმანეთთან ურთიერთობენ იმ ღონეზე, როგორც მათ ერთმანეთი მოსწონთ. დროთა განმავლობაში მხოლოდ ტექნიკური პროგრესი და მოქმედების ფორმები ვითარდება, თორემ მისწრაფებები და გავლენის სფეროები-სათვის ბრძოლა აბსოლუტურად იგივე რჩება. ამიტომაც არ გვაქვს უფლება, ყურადღება მოვადუნოთ და მთელი ძალები ხელისუფლებისთვის ბრძოლისკენ მივმართოთ.

თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, ჩვენი ქვეყანა მხოლოდ იმ შემთხვევაში ცხოვრობდა კარგად, თუ ცდი-

ლობდა, თავის ამა თუ იმ მეზობელთან სიტუაცია არ გაემწევაგებინა. ამ შემთხვევაში კეთილგანწყობა უფრო მეტის გამკეთებელია, ვიდრე აგრესია.

— მაგრამ არსებობს სანი-ნაალმდეგო მოსაზრებაც — რომ საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი ან ერთი, ან მეორე მხრისკენ.

— ჩვენი ტრადიცია ამაში არ მდგომარეობს. ჩვენი ტრადიცია ის გახლავთ, რომ თუ ამ ხნის განმავლობაში ჩვენი პოლიტიკოსები ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილნი, ამას მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებდნენ, საქართველო კი ჭაობში ეფლობოდა. როდესაც მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობისას, პირად კეთილდღეობაზე ზრუნავ და არა სახელმწიფოზე, საკუთარ სამშობლოს საერთაშორისო დაპირისპირების პოლიგონად აქცევ.

აღამიანი ან ღმერთის ჭურჭელი ხდება, ან ეშმაკისა. პავლე მოციქული ამბობს, რომ სიბრძნე ორნაირია — ერთი ღვთიურია, რომლის გამოვლინებაა სიყვარული, სიხარული, თავმდალობა, მოთმინება, მიმტყვევლობა, საკუთარი თავის მსხვერპლად გადაება... ხოლო მეორე სიბრძნე, როგორც პავლე მოციქული ამბობს, მიწიერი, ეშმაკეული სიბრძნეა: ის ყოველთვის რაღაც ინტრიგასთან არის დაკავშირებული და კლანურ ხლართებსა თუ ლაბირინთებში გამობრძნედილი კაცის ქმედებაა. ეს დამანგრეველია. განსხვავებაც, ღვთიურსა და მიწიერს შორის ამაში მდგომარეობს — მიწიერი თავისთვის ზრუნავს, ზეციური კი — სხვისთვის, მოყვასისთვის. სწორედ აქედან ირკვევა, რომელი აღამიანი რა ჭურჭლად იქცა — ღვთისა თუ ღემონისა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, იმიტომ, რომ ზოგჯერ აღამიანები ვივიწყებთ და თვალს ვხუჭავთ, ვერდებით იმას, რომ გავაანალიზოთ ესა თუ ის მოვლენა — პირადული თუ საზოგადო. ობიექტურობას ვკარგავთ... ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთთან, მიკერძოება არ არსებობს ანუ, თუ აღამიანი ტენდენციურია, ის ღმერთთან არ არის.

— ძალიან ხშირად, კრიტიკული ვითარების დროს, ეკლესიას პოსტფაქტუმ სდებენ ხოლმე ბრალს უმოქმედობაში.

ალბათ, ავინყვებათ, რომ ერთი ნაბიჯი ეკლესიისკენ ჩვენც უნდა გადავდგათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ეკლესია ვე-

შეძრწუნდება თქვენი გული, რადგან მე ვძლიე წუთისოფელს.

— მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით რას იტყვი?

## გადაწყვეტი ვითარების დროს ხალხმა შემდეგი ღოზუნგი უნდა აიღოს — გემიჯნებით! ეს აუცილებლად მოიტანს შედეგს, იმას, რომ გზა გაეხსნას მათ, ვინც სახალხო ინტერესით იქნება მოსული.

რაფერს გადაწყვეტს.

— უფალი ამბობს: აჰა, მოვედი შენი გულის კართან და ვაკაკუნებ. თუ გაალებ ამ კარს, მაშინ მოვალ და შენთან ვივახშმებ და შენ — ჩემთან. ასე რომ, აღამიანს თავისუფალი ნება აქვს. თუ ის ღვთიური ნებითა და მაღლით იმოქმედებს, ყველაფერს გადაწყვეტს. აღამიანში ბოროტების არანაირი საწყისი არ არსებობს. ის მაშინ ახდენს ბოროტებას, როდესაც სიკეთეს არ სჩადის. არსი მხოლოდ კეთილს აქვს ანუ მხოლოდ კეთილი არსებობს. ამიტომაც ამბობს უფალი: ნუ

— ფრანგი დიპლომატის, ტალიერანის სიტყვებია: თანამდებობა ციცაბო კლდეს ჰგავს — ან არწივი უნდა იყო, რომ მასზე აფრინდეს, ან ქვემძრომი, რომ აცოცდეს. ჩვენ არ ვყოფთ აღამიანებს არწივებად და ქვემძრომებად. აღამიანში ორივე საწყისი არსებობს, მან უბრალოდ, არჩევანი უნდა გააკეთოს. ეს ნებისმიერს უნდა ახსოვდეს, ვისაც კი რაიმეს მიღწევა სურს — სახელმწიფო ან, გნებავთ, საეკლესიო კარიერაში. სიკეთის კეთება პირადი მოთხოვნა უნდა იყოს და არა რაიმე ზრახვის დაფარვა.

საქართველოში დღეს ძალიან მძიმე ვითარებაა. ეს ყველაფერი ამ წლებში შეიქმნა და პასუხისმგებელი ის უნდა იყოს, ვინც ამ ხნის განმავლობაში იყო ქვეყნის მესვეური — გნებავთ, მარჯვნიდან, გნებავთ — მარცხნიდან, არა აქვს მნიშვნელობა, ვინც არ უნდა იყოს. ნაკლოვანება უნდა დავინახოთ და ეს იქნება გამოსწორების საწინდარი. მთავარია, ხალხი ვისიმე იარაღი არ გახდეს. გადაწყვეტი ვითარების დროს ხალხმა შემდეგი ღოზუნგი უნდა აიღოს — გემიჯნებით!

ეს აუცილებლად მოიტანს შედეგს, იმას, რომ გზა გაეხსნას მათ, ვინც სახალხო ინტერესით იქნება მოსული. საჭიროა ნებისმიერი პოლიტიკოსისაგან გამიჯვნა და არა ღოზუნგები, რომ „მე პავლესი ვარ“ ან „მე ვარ ტიტესი“. არავისიც არ ვართ. ჩვენ ვართ იესო ქრისტესი! უფალი ამბობს — მე ვარ გზა, და თქვენ არ მომმართავთ. თუ არ იქნებით ბედნიერი, მე ნუ დამადანაშაულებთო. ამიტომაც აღვნიშნე წელან, რომ ღმერთთან მიკერძოება არ არსებობს.





კონფლიქტოლოგები — კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი, ბიორბი სუციშვილი და ამავე ცენტრის ჟურნალის — „დრო მშვიდობისა“ რედაქტორი, ირაპლი ძაბაძემ ჩვენთან საუბრისას დღევანდელი საქართველოსთვის მტკივნეულ იმ პრობლემებს შეხსენ, რომელზე მსჯელობის საფუძველს თბილისში გასულ კვირას მომხდარი მოვლენები გვაძლევს. ჩვენი რესპონდენტების აზრი განსაკუთრებით საინტერესო იმიტომაც გვეჩვენება რომ ისინი სრულიად მიუკერძოებელი არიან პოლიტიკური თვალსაზრისით.

# რატომ ჯანყდება ქაში?

## ანუ ვითომ ისევ „ბაბუ“ გადაგვარჩენს?!

### რუსულან ლებანიძე

#### გიორგი ხუციშვილი:

— ამ მოვლენების საბაბი ყველას მოეხსენება. მაგრამ დააკვირდით ერთ გარემოებასაც: მოსახლეობის მსგავსი გამოსვლები თითქმის ყოველ წელს ხდება, თანაც — ყოველთვის სხვადასხვა საბაბით, მიზეზი კი, ერთია: ხალხს აღარ შეუძლია იმ პირობებში და იმ წესებით ცხოვრება, რომელსაც მას ხელისუფლება ახვევს თავს.

#### ირაკლი კაკაბაძე:

— წელს ხალხი ქუჩაში დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მიმართ განზორციელებულმა აქციამ გამოიყვანა, შარშან — უშუქობამ, თუმცა შარშან ასეთი სოციალური აფეთქება მაინც არ მომხდარა. ალბათ, იმიტომ, მაშინ ხელისუფლების ხელთ ჯერ კიდევ იყო რაღაც რესურსები, პრეზიდენტს კი, ქვეყნისა და ხალხის სამართავი რაღაც ბერკეტები ჰქონდა...

— **მიგაჩნიათ, რომ ერთ წელიწადში ყველა რესურსი ამოიწურა და ყველა ბერკეტი მოიშალა, თუ ამ აფეთქებას ვიღაცამ ან რაღაცამ მისცა ბიძგი?**

#### გიორგი ხუციშვილი:

— ჩვენი ოფიციალური მიერ გაკეთებული განცხადებები — რომ ქუჩაში გამოვიდნენ ვიღაცის მიერ გაბრწყინებული ახალგაზრდები და მოტყუებული ბავშვები, რომლებმაც თავადაც არ იციან, რა უნდათ და მათი გამოსვლები ინსპირირებულია,

ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევის მსურველი რაღაც ძალების მიერ, — ამ მოვლენების ძალიან პრიმიტიული ახსნა და შეფასებაა: ჯერ ერთი — როდესაც პარლამენტის წინ დგას ხუთი ათასი ადამიანი და სინქრონულად ერთსა და იმავეს მოითხოვს, მის უკან ყოველთვის 10-ჯერ და, იქნებ, 100-ჯერ მეტი ადამიანი იგულისხმება. და მეორეც: ჩვენ გავარკვიეთ და ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ნამდვილად არ იყო ვიღაცის მიერ შეკრებილი და ორგანიზებული დემონსტრაცია ახალგაზრდობა.

#### ირაკლი კაკაბაძე:

— ისიც უნდა დავძინო, რომ ეს დასკვნა სერიოზულ სოციოლოგიურ გამოკვლევას ეყრდნობა. ჩვენი ინსტიტუტი ხომ უკვე რამდენიმე წელია კონფლიქტების საფუძველიან სოციოლოგიურ კვლევას ატარებს. სხვათა შორის, ცნობილ მკვლევარსა და სოციოლოგს თედ გორს აქვს წიგნი — „რატომ ჯანყდება ქაში?“ მასში ვკითხულობთ, რომ ადამიანი მაშინ ჯანყდება, როცა მისი მთავარი მოლოდინი, მთავარი სასიცოცხლო მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული. ამიტომაც, წარმატებას ის მთავრობა აღწევს, რომელიც ამ ჯანყს თავიდან იცილებს — ე.ი. რაც შეიძლება მეტი ადამიანის მოლოდინსა და მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

— **საქართველოში, ცხადია, ასე არ მოხდა...**

#### ირაკლი კაკაბაძე:

— სხვათა შორის, საქართველოში ამის

შესაძლებლობა ნამდვილად იყო: სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბოლო ექვსი წლის მანძილზე ჩვენთან დახმარების სახით საკმაოდ დიდი რესურსები შემოდიოდა, რომელიც შეიძლება, ბიზნესისა და ეკონომიკის, საკუთრების სხვადასხვა ფორმის განვითარებას მოხმარებოდა. სინამდვილეში კი, ქვეყანაში სულ სხვა პროცესები განვითარდა, რის გამოც მოსახლეობის 80-85% სიღატაკის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა. საშუალო შემოსავალი მოსახლეობის მხოლოდ 10-15%-ს თუ აქვს, მთელმა დოვლათმა და ქონებამ კი, იმ ერთი მუჭა ადამიანების ხელში მოიყარა თავი, ვინც იმდენად გამდიდრდა, რომ ერთ დამეში ათასობით დოლარის წაგებაც კი შეუძლია კაზინოში. ამ ყველაფერმა განაპირობა რეალური მოთხოვნაც: ან ხელისუფლებაში ძალიან მკვეთრი, რეალური ცვლილებები უნდა მოხდეს, ან ქვეყანაში დიდი უბედურება დატრიალდება. ამიტომ, ვფიქრობ, პრეზიდენტის ჭკუა, რომელიც ისედაც არასდროს აკლდა, ამჯერად მაინც არ მოხმარდება მხოლოდ მის ეგოისტურ მიზნებს და ის ნამდვილ რეფორმებს გაატარებს, რომელშიც, გამორიცხული არ არის, რომ მისი გადადგომა იგულისხმებოდეს...

— **თქვენი აზრით, რამდენად მისაღები ფორმებით წარიმართა საპროტესტო აქციები?**

#### გიორგი ხუციშვილი:

— საბუნებრივად, ყველაფერი საკმაოდ ცივილიზებულ ფორმებში და ნორმებში მიმდინარეობდა, ცხადია, ცალკეული



გამონათქვამებისა და ლოზუნგების გარდა...

— და კედლებზე გაკეთებული უნამური წარწერების გარდაც...

გიორგი ხუციშვილი:

— კი, ბატონო, ამაში ნამდვილად გეთანხმებით. მაგრამ მთლიანობაში, ეს მაინც მძაფრი პროტესტი იყო ხალხის მხრიდან, რომელიც ქუჩაში თავისი გაუსაძლისი ყოფის გამო გამოვიდა. და აქ მინდა, ერთგვარი დაუსწრებელი პოლიმიკაც გაუუმართო მათ, ვინც დღესაც აცხადებს — ხალხის ყოფა არც იმდენად გაუსაძლისია, როგორც ის გაჰყვირის, ბოლოს და ბოლოს, სხვა ქვეყნებში ბევრად უფრო მეტი უსახლკარო და მათხოვარია, ვიდრე ჩვენთანო... დიას, ეს მართლაც ასეა, მაგრამ ისმის კითხვა — ვის ან რის ხარჯზე ხდება ეს? რის და — ტოტალური კორუფციის ხარჯზე, რომელშიც შევარდნაძემ და მისმა მთავრობამ რიგითი ადამიანებიც ჩაითრია. ხელისუფლების მიერ წახალისებულმა ჩრდილოვანმა ეკონომიკამ მარტო ხუთსართულიანი ვილებისა და უძვირფასესი „მერსედესების“ პატრონებს კი არ შეუქმნა კიდევ უფრო მეტის მოპარვის ნიადაგი, არამედ 15 ლარიანი ხელფასის მქონე ადამიანებსაც მისცა პატარ-პატარა „ნიშები“: მართალია, ამ ხელფასით ოჯახს ვერ არჩენ, სამაგიეროდ, შეგიძლია ჩრდილოვან ეკონომიკაში შენც ჩაერთო და ცოტა შენც მოიპარო, — მე კი ამაზე მანამდე დავსუჭავ თვალს, სანამ ჩემს წინააღმდეგ არ გამოხვალო...

— ე.ი. მართალი ყოფილა ის, ვინც ამბობს: დღეს რომ ნამდვილი ბრძოლა გამოვუცხადოთ კორუფციას, ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყებაო?

გიორგი ხუციშვილი:

— მთლად ასე ვერ ვიტყვოდი, მაგრამ ამით მართლა ბევრი ადამიანი დაზარალდება. კიდევ ერთ პარადოქსზე მინდა შევჩერდე: ელუარდ შევარდნაძის სახით, ჩვენ გვევრო პრეზიდენტი, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტი აქვს მთელ მსოფლიოში და ამან საქართველოს განვითარებაზე გარკვეული

ტრიუკით იმოქმედა: შევარდნაძე ყოველთვის ღებულობდა კრედიტებს, ყოველთვის ახერხებდა ვალების გადახდასა თუ გადავადებას, აღწევდა რაღაც პრივილეგიებს, ჩვენნიარ მდგომარეობაში მყოფ იმ სახელმწიფოებთან შედარებით, რომლებსაც ასეთი მეთაური არ ჰყავდა. ამის შედეგად კი შევარდნაძის გარემოცვაში მყოფი ბევრი მოხელე მშვიდად იპარავდა, იმის შეგნებითა და ღრმა რწმენით, რომ „ბაბუ“ მაინც გადავარჩენს! წავა ამერიკაში და კლინტონის კიდევ აჩუქებს მილიონებს...“ აი, მენტალიტეტი, რომელიც ჩვენში ჩამოყალიბდა... ჩვენს ქვეყანას მარტო ჭკვიანი პრეზიდენტი რომ ჰყოლოდა და არა, ბოდიში ამ გამოთქმისთვის, „ბლათიანიც“, როგორც შევარდნაძეა, მაშინ სახელმწიფოს პოლიტიკაც უფრო გააზრებული, ფრთხილი და წინდახედული იქნებოდა...

— მაგრამ მანამდე ხომ „ნაკლებბლათიანი“ პრეზიდენტიც გყავდა...

ირაკლი კაკაბაძე:

— ის პრეზიდენტი მხოლოდ 8 თვე იყო, შევარდნაძე კი, ქვეყნის სათავეში უკვე 30 წელია, აქედან, როგორც პრეზიდენტი — ბოლო ათი წელი. ვფიქრობ, საკმაოდ დიდი განსხვავებაა...

გიორგი ხუციშვილი:


— მოდი, მხოლოდ ამ ორი ადამიანითაც ნუ შემოვიფარგლებით: განა ხუთმილიონიან ქვეყანაში შეუძლებელია ალტერნატივის მოძებნა? უბრალოდ, ვთქვათ, რომ ორივე ამ პოლიტიკოსმა საკუთარი კვალი დაამჩნია ქვეყანას, მაგრამ ახლა უკვე მოდის ახალი თაობა და, მოსწონს ეს მავანს თუ არა, ხვალ ის გახდება საქართველოს მმართველი. მოვლენ ახალგაზრდები, რომლებმაც დასავლეთში მიიღეს განათლება, თვალნათლივ დაინახეს მწყობრი სისტემის ყველა სიკეთე და საკუთარი კეთილდღეობის მისაღწევად არ ჩაეფლობიან კორუფციაში...

ირაკლი კაკაბაძე:

— დიას. ამერიკაში, მაგალითად, ნამდვილად ასეა: იქ ადამიანი საჯარო სამსახურში დიდხანს არ ჩერდება. ვთქვათ, 4 წელი იმუშავეს მინისტრად, შემდეგ გადადგება და მიდის რომელიმე კერძო ფირმაში, სადაც მინისტრის ხელფასზე ბევრად დიდი ხელფასი აქვს. სამაგიეროდ, სანამ საჯარო სამსახურშია, მხოლოდ ხელფასით კმაყოფილდება და ქრთამს არ იღებს.

— რატომ არ

ირაკლი კაკაბაძე



გიორგი ხუციშვილი

იღებს, ეშინია?

ირაკლი კაკაბაძე:

— ჯერ ერთი, მას ისეთი ხელფასი აქვს, რომელიც ნამდვილად ჰყოფნის და მერე: ეშინია კიდევ — რადგან სამართალდამცავებიც ნორმალურ ხელფასს იღებენ, ამიტომაც, თუ ვინმემ რაიმე დაარღვია ან დანაშაული ჩაიდინა, ნაპარავს კი არ ათმევენ და უშვებენ, არამედ ააშკარავენ და ასამართლებენ ხოლმე... დაბოლოს — ყველაზე მთავარი: იქ ადამიანებს სწამთ, რომ ნორმალურ ქვეყანას აშენებენ, ამიტომ ისიც შეგნებული აქვთ, რომ ასეთი ქვეყნის ასაშენებლად მინიმუმაც უნდა იკმარონ. ჩვენთან კი ამის მისაღწევად მთელი თაობის მენტალიტეტია შესაცვლელი.

— იქნებ, თაობებისაც: განა ჩვენს „ნორჩ“ მინისტრებს „ბუბრებზე“ ნაკლები მადა აქვთ?

გიორგი ხუციშვილი:

— დიას, ჩვენში ნამდვილად სისტემურ კორუფციასთან გვაქვს საქმე. ასე რომ, სანამ სისტემა არ შეიცვლება, მიდი და ცვალებ და ცვალებ მინისტრები — რა მოხდება ამით?... ამიტომაც, მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ დიდი არაფერი „გამობრწყინება“ არ მომხდარა იმით, რომ, ვთქვათ, კახა თარგამაძე ან ვია მეფარიშვილი მოხსნეს: მათი პირველი მოადგილეები ხომ მათგან არაფრით განსხვავდებიან...

— ისე კახა თარგამაძე არც ამდენად „ხელწამოსაკრავი“ ფიგურა უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, ზურაბ ფვანიამ მის მოსახსნელად პარლამენტის სპიკერობაც კი დათმო...

ირაკლი კაკაბაძე:

— ზურაბ ფვანიას აქამდე ბევრი შეცდომა ჰქონდა დაშვებული, მაგრამ ამ სიტუაციაში თანამდებობის დატოვებით, ძალიან ბრძნული ნაბიჯი გადადგა, რითაც კარგი



მაგალითი მისცა სხვებს და მათ შორის, პრეზიდენტსაც.

**გიორგი ხუციშვილი:**

— შეიძლება ითქვას, რომ მან ამ ნაბიჯით განმუხტა სიტუაცია პარლამენტშიც და მთლიანად ქვეყანაშიც.

— **მაგრამ იმასაც ამბობენ, ფანაზის თარგამაძის მოშორება ისეთ იდე ფიქსად იქცა, რომ ამის გამო ყველაფერზე წავიდოდნენ...**

**ირაკლი კაკაბაძე:**

— თქმით ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ფანაზი თქვა, გადადგებით და თავისი სიტყვა შეასრულა, რასაც ვერ ვიტყვით პრეზიდენტზე, რომელსაც თავიდან თარგამაძე იმდენად არ „ეთმობოდა“, რომ მასთან ერთად გადადგომასაც კი დაგვირდა, ბოლოს კი — ყველა მინისტრი გადააყენა და თავად ისევ პოსტზე რჩება.

**გიორგი ხუციშვილი:**

— ზოგჯერ მეჩვენება, რომ იქ, „ზემოთ“, მაღალ ემულონებში მყოფი ადამიანები დარწმუნებულნი არიან: მათთვის არც კანონი არსებობს და არც იმის საჭიროება, რომ ხალხთან რაიმე შეხება ჰქონდეთ, რადგან მეტისმეტად „დიდი“ საქმეებს აკეთებენ. მემინია, მათი ეს „დიდი“ საქმეები, ბოლოს და ბოლოს, ისეთმა სოციალურმა კატაკლოზიმებმა არ დაარღვიოს, რომ ყველაფერი ძალადობით დაინგრეს და ყველა გადაიყოლოს...

— **მაგრამ ძალადობასაც ხომ აქვს ალტერნატივა?**

**გიორგი ხუციშვილი:**

— აქვს. და ეს ალტერნატივა სამოქალაქო საზოგადოებაა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ქვეყანაში, ბოლოს და ბოლოს, მართლაც ჯანსაღი ბიზნესი განვითარდეს და გაჩნდნენ ისეთი ბიზნესმენები, რომლებიც ფულს სხვისი სისხლისა და ცრემლის ხარჯზე აღარ გააკეთებენ. უნდა შეიქმნას ისეთი სამოქალაქო ინსტიტუტები, რომლებიც მთავრობას ყველაფრისთვის, მხოლოდ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მოჰკითხავენ.

**ირაკლი კაკაბაძე:**

— ეს, ფაქტობრივად, ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპი უნდა გახდეს. სიძულვილის დოქტრინის ნაცვლად, სიყვარულის დოქტრინა უნდა ჩამოყალიბდეს, რომლის სახელმწიფოებრივი განსახიერებაც არის სწორედ ის, რაზეც ახლა გოგამ მოგახსენათ. მაგრამ შევარდნამეს სიყვარულის დოქტრინისთვის ნამდვილად არ სცალია — ყველაფერი, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, კორუფციიდან ყურადღების გადასატანად კეთდება.

— **სომ არ გინდათ თქვით, რომ „რუსთავი 2“-ში უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელთა შესვლაც ამ მიზანს ემსახურებოდა?**

**ირაკლი კაკაბაძე:**

— ბოლომდე ვერაც გაურკვეველია, თუ რა იყო ეს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს, სხვა ყველაფერთან ერთად, დაგვემილიც ძალიან ცუდად იყო და განხორციელებულიც — ამ გეგმის უშუალო შემსრულებელთა სრული კრედიტის გამო. თუმცა, საბოლოოდ, ეს ქვეყანას მხოლოდ სასიკეთოდ წაადგა: ჭეშმარიტად დემოკრატიული ახალგაზრდობის გამოღვივება გამოიწვია და მომავალში, ალბათ, კიდევ მეტი რეალური ნაბიჯითა და რეფორმით დაგვირგვინდება.

**გიორგი ხუციშვილი:**

— მინდა დავამატო, რომ ამ აქციის ორგანიზატორებმა უბრალოდ ვერ გაითვალისწინეს, რომ ამას „რუსთავი 2“-ის ასეთი რეაქცია, ასეთი წინააღმდეგობა მოჰყვებოდა...

— **მაგრამ ისიც ხომ ითქვა, რომ „რუსთავი 2“-ს ასეთი წინააღმდეგობის განწევს „ზურგიც“ ნამდვილად უკონდა — ფანაზია-სააკაშვილის სახით?..**

**გიორგი ხუციშვილი:**

— იცით, რა? თქმით, მართლაც ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ესეც ხომ არ ხსნის მთავარ კითხვას — რატომ შევიდა უშიშროება დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში? საერთოდ კი, ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში ნებისმიერი ტელეკომპანიისა თუ სხვა საინფორმაციო საშუალების უკან ვიღაც დგას, ვინც მას თავისი იდეებით, ვიდაცის საწინააღმდეგოდ ან სასარგებლოდ წარმართავს.

— **მაგრამ იქ ინფორმაციის ობიექტურობა მაინც მაქსიმალურად არის დაცული.**

**გიორგი ხუციშვილი:**

— იმიტომ, რომ არსებობს რეალური პლურალიზმი: სხვადასხვა საინფორმაციო საშუალება ერთი პატრონის ხელში არ არის მოქცეული, ამდენად, არც საზოგადოებრივი აზრის მონოპოლიზება შესაძლებელი. ჩვენთან კი, ნელ-ნელა ინფორმაციის მონოპოლიზება ხდება. ეს იგივეა საზოგადოებისთვის, რაც ადამიანისთვის სასუნთქი საშუალების გადაკეტვა. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ორგანიზაცია, რომელიც ადრე მხოლოდ სამეცნიერო მუშაობით, ტრენინგების ჩატარებითა და სახალხო დიპლომატიით იყო დაკავებული და პოლიტიკაში საერთოდ არ ერეოდა, ახლა სოციალური და საზოგადოებრივი თვალსაზრისითაც გააქტიურდა. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ დაიხურა

„რუსთავი 2“ — მაშინ აღმოჩნდებოდა ისეთ ვითარებაში, როცა, ვთქვით, „პირველი არხის“ მიერ გადაცემულ ინფორმაციას ველარსად გადაამოწმებ. მე არ ვამტკიცებ, რომ, ვთქვით, „პირველი არხისა“ და „რუსთავი 2“-ის ინფორმაციების კომბინაცია მომხდარის ამომწურავ და ობიექტურ სურათს გვაძლევს, მაგრამ ეს სურათი ბევრად უფრო გაბუნდოვნდება, მხოლოდ „პირველი არხი“ ან მხოლოდ „რუსთავი 2“ რომ დარჩეს. ამიტომ, აუცილებელია ისეთი საინფორმაციო საშუალებების სიმრავლე, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკას ატარებენ და თუნდაც სხვადასხვა პატრონს ეკუთვნიან, მათი მონოპოლიზაცია კი — დაუსვეებელი!

— **გეთანხმებით. მაგრამ ურნალისტებს, ალბათ, ესეც ძნელადღა გვიშველის, რადგან ხალხმა უკვე ლამის ყველას და ყველაფრის ნდობა დაკარგა...**

**ირაკლი კაკაბაძე:**

— ქართული პრესა და ტელევიზია ნელ-ნელა გამოდის იმ ტოტალური ტყუილის ეპოქიდან, რომელშიც მთელი სამოცდაათი წელი იმყოფებოდა და, ცხადია, ასე მალე ვერც გათავისუფლდებოდა: ჯერ ხომ სულ რაღაც 10 წელია, რაც ჩვენ ამ ეპოქას თავი დავადწიეთ. ახალფუნდამუს დამოუკიდებელ პრესასა და ტელევიზიას საზოგადოება აუცილებლად მხარში უნდა ამოუდგეს და დაუსრულებლად არ უნდა უკეიფოს — ამის და იმის დაქირავებული ხარო...

— **დაბოლოს: თქვენს შურნალში ამოვიკითხე — სიყვარულის დოქტრინა არის ის წიგნი, რომელშიც ყველა ადამიანს შეუძლია საკუთარი ახალი გვერდის ჩაწერა. პირადად თქვენ, მასში დღეს რამეს ჩაწერდით?**

**ირაკლი კაკაბაძე:**


— ძალიან მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში, ყოველგვარი ძალადობისა და სიძულვილის გარეშე მოხდეს ისეთი ცვლილებები, რომელიც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას თავს საქართველოს სრულყოფილ მოქალაქეებად აგრძნობინებს. მერწმუნეთ, ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი გვაკეთოთ იმისათვის, რომ მთავრობა გვემსახურებოდეს ჩვენ და არა პირიქით.

**გიორგი ხუციშვილი:**

— ყველანაირად უნდა შევეწყოთ ხელი ქვეყნის კონსტრუქციულ განვითარებას, მათ კი, ვის ხელშიც არის გადაწყვეტილებათა მიღების ბერკეტები, შევაგნებინოთ, რომ ხალხი ყველაფერს ხედავს, სადალ აფასებს და ხელისუფლებისგან კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდება...

როდესაც რადიო „რეზონანსში“ ზურა გაჩეჩილაძე ვიკითხე, ყველამ მხრები აიჩეჩა. მერე ერთმანეთს გადასძახეს — ჩვენთან ასეთი ვინმე თუ მუშაობს? როგორც იქნა, ერთმა გაიხსენა და შუბლზე ხელი შემოირტყა: ეს ხომ შონზოა! ისე მივეჩვიეთ ამ მეტსახელს, რომ მისი ნამდვილი გვარ-სახელი აღარც კი გვახსოვსო. შონზოც მალე მოვიდა. საუბარი იმით დავინწყეთ, თუ ვინ და რატომ დაარქვა შონზო.

# ნათა ზურაძე „ქანდაკე“ და ის სწორედ ამოხვედრის ამოხვედა სერიოზული „ჩინოსანი“?



## ნანა ქიბიძაური

— სტუდენტობისას მე და ერთი ჩემი მეგობარი ოქროყანაში აველით დასასვენებლად. იქ ბევრი ბავშვი — პატარა, ლამაზ-ლამაზი გოგონები იყვნენ. გათამაშება გადავწყვიტეთ და ასეთი იდეა მომივიდა თავში: ვითომ ამერიკელები ვიყავით, თანაც ძმები. არადა, ერთმანეთს საერთოდ არ ვგავდით. როდესაც გვარი გვეკითხეს, რაც პირველად მომადგა ენაზე, ის უთხარი — ძმები შონზები ვართ-მეთქი. მე მაიკლი ვიყავი, ჩემი მეგობარი კი — ჯონი. „გამარჯვებით, ჩვენ მოვიდა“, — აი, ასეთი დამტვრეული ქართულით და ინგლისური აქცენტით ვლაპარაკობდით. საუბრისას ხელებს ვიშველიებდით და როდესაც დიდი ჯახირის შემდეგ, წინადადება ქართულად სწორად „გამოგვივიდა“, გაბრწყინებული სახეებით შევხედავდით ხოლმე ერთმანეთს. ბავშვები ფაქიფუცობდნენ, ჩურჩულებდნენ, ერთ ამბავში იყვნენ და ჩვენც მეტი რა გვინდოდა?! კარგა ხანს ვიყავით ძმები შონზები, მერე კი, გამოცდებისთვის თბილისში მომიწია ჩამოსვლა. როდესაც უკან, ოქროყანაში დაბრუნდი, ჩემს მეგობარს უკვე ირაკლის ეძახდნენ, მე კი ძველი სახელით შემომეგებნენ: შონზი მოვიდაო. მერე რატომღაც შონზი აღარ მოეწონათ და წოდებით ბრუნვაში „ჩამაყენეს“, — აი, ასე გავხდი შონზო.



ჩეოდი, მაგრამ იყო სპორტის სახეობები, რომელზეც „ჭკუა მეკეტებოდა“ — მაგალითად, ფეხბურთი. კლიშეებს, ჩარჩოებს და ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს ვერც მაშინ ვგეუბოდი. ვიგონები ახალ თამაშებს, მქონდა ჩემი წესები. ვფიქრობ, არ შეცვლილვარ. ახლაც სიამოვნებით მოვიგონებდი ფულის ერთეულს, რომლითაც მხოლოდ მე და ის ადამიანები ვივაჭრებდით, ჩემ გარშემო რომ არიან.

### — რა დაამთავრეთ?

— ჯერ სკოლა. შემდეგ ჩავირიცხე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ, გადავედი უნივერსიტეტში საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე. ხან კურსზე დავრჩი, ხან გამრიცხეს, აღმაღინეს, ისევ გამრიცხეს, ისევ

აღმაღინეს... რვაწლიანი სწავლის შემდეგ, ძლივს დავამთავრე. მშენებლობისა და მართვის ეკონომისტის სპეციალობა მაქვს, მაგრამ ამ საქმეს არასოდეს დავუბრუნდები. სიმართლე გითხრათ, არც მისწავლია რაიმე და არც ვიცი. აგურის ზომაც კი არ ვიცი, წარმოდგენა არა მაქვს, ერთი სახლის აშენებას რამდენი ცემენტი და ფული სჭირდება. ყველაფერი მთლად ჩემი ბრალიც არ არის: ისეთ წლებს დაემთხვა ჩემი სტუდენტობა, როდესაც პრაქტიკულად, ჩამოვლილი იყო სწავლის პროცესი.

### — რადიოში როგორ მოხვდით?

— რადიომდე „იბერეზიაში“ ვმუშაობდი. ვაკეთებდი გადაცემას „პარანოია“. მისი დახურვის შემდეგ, მივიღე მიწვევა რადიოში და უარი არ მითქვამს, რადგან ვიცი, როგორ გუნდთან მომიწევდა მუშაობა. ამჟამად რადიო „რეზონანსის“ მსატყრეული ხელმძღვანელი ვარ. თუმცა, ჩვენთან თანამდებობრივი დაყოფა პირობითია. აქ, პირველ რიგში, მეგობრები და თანამოაზრეები ვართ.

### — როგორია მსატყრეული ხელმძღვანელის სამუშაო დღე?

— მივიღარ სამსახურში, ვაღებ კარს, ერთავ კომპიუტერს და ვიწყებ თამაშს. პარალელურად, ახალ იდეებზე ვფიქრობ, მაგალითად, იმაზე, რა შეცვლილი მსატყრეულად ან, როგორც შეეცვალაო. თუ იდეა არ მომივიდა, თამაშს განვაგრძობ, თუ მომივიდა — ვღებები, ერთავ ახალ თამაშს და ახლა უკვე იმ იდეის განხორციელებაზე ვიწყებ ფიქრს.

### — ზარმაცი ხართ?

— ვფიქრობ, ვარ. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ რაც მიყვარს, იმის კეთება არ მეზარება.

### — ამ ბოლო დროს ხშირად

— სტუდენტობამდეც არ მოგაკლდებოდათ ხალისიანი თავგადასავლენები.  
— კი, სამი სკოლა გამოვიცვალე.  
— ბავშვობაშიც ასეთივე ბუთხუზა იყავით?  
— ბუთხუზა, მაგრამ ძალიან მოძრავი. სპორტული აღნაგობით არც მაშინ გამოვირ-

გვდავთ სხვადასხვა სარეკლამო კლიპში. საინტერესოა, პროდუქტების რეკლამას რამდენი მწყერი შეწერა?

— ამ რეკლამისთვის სცენარი უკვე დაწერილი იყო, როდესაც დამიძახეს. სამზარეულოში რომ შევედი, თვალებს არ დაუფეკრე. ნამდვილი ხორცის ზეიმი იყო. დარწმუნებული ვარ, სარეკლამოდ მოტანილი პროდუქტი საუკეთესო და გემრიელი იქნებოდა, მაგრამ იმდენი ხორცის შემხდვარეს, არაფრის ჭამა არ შემიძლო და უცებ, ჩემი ყურადღება განცალკევებით დაღებულმა პატარა, პიკანტურმა მწყერმა მიიქცია, რომელიც მაგიდის კუთხეში „განაბულიყო“. ეს იყო ჩემთვის უგემრიელესი გამოსავალი. ისეთი გემრიელი, რომ რამდენიმე დღე მართლაც საგანგებოდ გავაფუჭე. გადაღების დროს ხან ერთ თვალს მოვხუჭავდი, ხან — მეორეს. ამ უწყინარი ხუმრობის წყალობით, რამდენიმე მწყერი შემომეჭამა. მერე ბიჭები მიმიხვდნენ და შემეხვეწნენ: კარგი, რა, ჩვენც ვინდა — ჯერ გადავიღოთ და მერე ვჭამოთ.

— გეტყობათ, რომ მადას არ უჩივით.

— ამას სხვებიც მატყობენ. მეც ვცდილობ და იმიჯს „ვიმკვრივებ“. მე მაქვს ჭამის ფილოსოფია, შიმშილს კი, რამდენიმე კატეგორიად ვყოფ, მაგრამ ყველა კატეგორიაში გათვალისწინებულია ჭამის კულტურა. არაფრით არ შემიძლია ქუჩაში ღვეზელი ან ხაჭაპური ვიყილო და ქუჩაშივე შევჭამო. თუმცა, სახლში ჭამაც არ მიყვარს, იმის მიუხედავად, რომ დედაც და მუდღეუც ბრწყინვალე კულინარები არიან და სახლში ყოველთვის გემრიელი სადილი მელის.

— თქვენი საყვარელი კერძი?

— არ ვიცი, კერძი არის თუ „ბლუდა“, მაგრამ ფაქტია: მიელ მსოფლიოში ყველაზე გემრიელი გამოგონებაა ხინკალი, ოღონდ — შებრაწული, მეორადი სახით.

— ამბობენ, არყის სარეკლამო კლიპის გადაღების დროს, კოლონალური თანხა შემოგთავაზეს, რათა შარვალი გაგეხადათ და ქუჩაში ბოთლით ხელში, ტრუსით გაგველოთ...

— რა თანხაც შემომთავაზეს, ამას არ გავამხელ და ჩემთვის დავიტოვებ. სიმართლე გითხრათ, ამ კლიპის გადაღება არ გამჭირვებია, რადგან სცენარი ჩემს ხასიათთან ახლოს იყო. „გონებამანვილმა“ და „საზრიანმა“ ბიჭებმა, ვისთან ერთადაც ხშირად მიწევდა გასტროლებზე სიარული, კარგად იციან, რომ ნომერში მიღლი დღის განმავლობაში ტრუსების ამარა დავდიოდი. ვესტიბიულშიც ჩავსულვარ ასე. კომპლექსი ნამდვილად არ მაქვს. ეგეთი ვარ და რა ვჭან.

— არაყთან როგორი დამოკიდებული გაქვით?

— საერთოდ, არაყთან მაინცდამაინც არ „ვმსაკაცობ“. სპირტიანი სასმელებიდან მხოლოდ ტეკილა მიყვარს. კოქტეილებს ვერ

ვიტან, კონიაკიც — ისე რა. იმ არაყზეც ვერაფერს ვეტყვით, — არ გამისინჯავს. ეს უბრალოდ, კარგად გაკეიბებული რეკლამა იყო.

— ერთხელ მაინც როგორ არ დაინტერესდით, რას უკეთებდით რეკლამას?

— საჭესთან ვიჯექი და როგორ დავლევდი?! მერეც არ მომეცა გასინჯვის საშუალება. რეკლამაში როგორ გუნებაზეც ვჩანვარ (ქვეყნა რომ ჩემი მგონია), ასეთი მხოლოდ მაშინ ვარ, როდესაც ღვინის დავლევ. საკმაოდ ბევრს ვსვამ და როგორც ამბობენ, ბევრსაც ვიტან.

— მახსენდება კიდევ ერთი სარეკლამო კლიპი, სადაც შონზო ბურთით იბერება და მიფრინავს. არადა, როგორც გავიგე, კლასტროფობია და აეროფობია ერთდროულად გჭირთ...

— სიმართლე გითხრათ, მე არ ვიციოდი თუ მჭირდა: ექმს არასოდეს გაუუსინჯივარ. ახლა გავიგე თქვენგან, რაც მჭირს. ისე, რაღაც ფობიით ნამდვილად ვიქნები შეპყრობილი — იმიტომ, რომ როდესაც მაღალი სართულიდან დაბლა ვინებები, დისკომფორტს ვგრძნობ, არც ფრენა მიყვარს მაინცდამაინც.

— აბა იმ კლიპის გადაღებაზე რატომ დათანხმდით?

— იმიტომ, რომ თავიდან სხვანაირი იდეა იყო: თევზი უნდა ვყოფილიყავი და უნდა გამეცურა, ბოლოს კი, გამოვიდა, რომ ბუშტი ვარ და მიფრინავ. დღემდე არ მჯერა, რომ ეს სცენა კასკადიორის გარეშე ვითამაშე. ჯერ ბუშტობაზე ძლივს დამთანხმეს, მერე კი, ჩამოვიდეს სტუდიის თავზე კაუჭი, გამოაბეს თოკი და ეს თოკი გამონასკვეს ჩემს თოკებზე, რომელიც ბალანსის დასაცავად, ისეთ ადგილას მქონდა ამოღებული, რომლის გაწირვაც ნამდვილად არ მინდოდა. როცა მივხვდი, რა საშიშროებაც მელიოდა, ამ იდეას სასტიკად შევეწინააღმდეგე: ჯერ ერთი, თოკი(!) — რა გარანტია მქონდა, რომ გამიძლებდა, და მეორეც — შთამომავლობა!.. მაგრამ ყველა მამშვიდებდა — არაფერც არ მოგივარა. მაინც ჩამაბეს თოკები. ვიდექი ასე, ფეხის ცერები-თლა ვეხებოდი იატაკს. დაიწყო გადაღება. მითხრეს — ახლა ოდნავ ასწიე ფეხებიო. ავწიე და, ავაცილე თუ არა იატაკს, ახლა თავით დავერჭე იქ, სადაც წელან ფეხები მქონდა. მაშინ კი მიხვდნენ, რომ სხვა სცენარის მოფიქრება სჯობდა.

— მხიარულთა და საზრიანთა კლუბში თქვენი გუნდის კულისებშიც ჩაგვახედეთ...

— როდესაც „მხიარულთა და საზრიანთა კლუბში“ ძველი და ახალი სტუდენტები გავერთიანდით, ჩვენ მაშინვე დავგარქვეს „მამები“. გასტროლების დროს, ბევრი კურიოზი გვემართებოდა, იმიტომ, რომ ძალიან გამოუცდლები და ხამები ვიყავით. მაგალითად, გამოვიპრანჭებოდით, შევიდოდით რომ-

ლიმე სერიოზულ რესტორანში და ერთ-ერთი ჩვენგანი ან საწებელს გადააქცევდა მაგიდაზე, ან „კოკა-კოლით“ გაწეწავდა ყველას და ა.შ. მაგრამ „კავეენშიკების“ ცხოვრებიდან ყველაზე საინტერესოა ის, თუ ვინ რა პოზაში იძინებს... მაგალითად, მიმა მშვილდაძე, ცხელ აბაზანაში წვება და იქ იძინებს, ხოლო ვია ჭანტურია ანთებულ სივარეტს იტოვებს პირში და ისე; მიელი დამის განმავლობაში არც ღრმად ამოისუნთქავს, არც გვერდს იცვლის, არც თავს ატრიალებს და დილით, როცა იღვიძებს, სივარეტის ზომის ფერფლი აქვს ტუჩებზე. ვიასთან დაკავშირებით, ერთ ეპიზოდს გავისსენებ. მიმდინარეობს ძალზე საპასუხისმგებლო გენერალური რეპეტიცია. ტექსტი ყველამ კარგად ვიცით, გადასარეგ გუნებაზე ვართ, ვდგავართ შირმის უკან და ვმამოუნობთ. სცენაზე კი, ჩვენი მეგობრები „მუშაობენ“. უცებ, სცენაზე პაუზა ჩამოვარდა. მე და ზვიო ერთმანეთს შევეყურეთ — რა ხდება?! რა და, ამ დროს უნდა იყოს ვია ჭანტურიას რეალიკა — სიმღერით „გლესავ და გლესავ ნამგალო“. სად არის ვია?! სად და ავერ, ჩვენ გვერდით ისეა ლაპარაკში და სიცილში გართული, რომ თავისი გამოსვლა აღარ ახსოვს. მე და ზვიო მივევარდით და ვანჯღრევთ: „ვია, ბიჭო, ვია — სიმღერა!“ ვია უცებ ვერ მოიღის აზრზე — რა სიმღერა? დაბნეული და სასოწარკვეთილი სახე აქვს, უცებ გონება უნათლება და ისეთი განწირული ხმით ღრიალებს — გლესავ და გლესავ ნამგალო, რომ მე და ზვიო თავს ვერ ვიკავებთ და შეგუბებული სიცილისგან სასწაულ ხმებს გამოვცემთ. სხვა გზა არ მქონდა. იქვე, კუთხეში ტანსაცმლის გროვა იყო. ზვიო ამ გროვაზე წავაქციე და ზემოდან დავაწეკი, რომ სიცილის ხმა გარეთ არ გასულიყო. ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ ზვიოს მდგომარეობა...

თურმალაში გასტროლების დროს საინტერესო იდეა მომივიდა თავში, რომელიც მაშინვე ზვიოს გაუზიარე: მოდი, მე და შენ სცენაზე გასვლის წინ და აქ შემოსვლის შემდეგ, ყველა გავწინხოლოთ-მეთქი. იმასაც ჭკუაში დაუჯდა. პირველი, ირაკლი საგინაძე შემოვიდა. ისეთი ბავაბუყი ავუყვინეთ, რომ შირმის უკან მღვარ რედაქტორებს ნამდვილი ჩხუბი ეგონათ და გასაშველებლად შემოცვივდნენ. მერე გოჩა გავწინხოლოთ, მერე ზვიო გავაცილე. ძალიან ვმხიარულობდი მანამდე, სანამ ჩემი გამოსვლის ჯერი არ დადგა. მე ლუი არმსტრონგი უნდა განმე-სახიერებინა და სცენაზეც თეატრალური „პასოლკით“ შევესულიყავი. გავდივარ სცენაზე და უცებ — ბას! — უჩინდნენ ერთი ლაზათიანი ჭიტლაყი მომხვდა. კიდევ გადავვდი ნაბიჯი, კიდევ — ბას! მე, რა თქმა უნდა, არაფერი შევიძინე და სიმღერა დავიწყე. როცა შევედი, კიდევ ავითვისე ჩემი წილი და მაშინ მივხვდი, თურმე ზოგჯერ რა ცუდი იდეები მომდის ხოლმე თავში.

— ნამდვილი ჩხუბი და მუშტო-

**კრავი არასოდეს გქონიათ?**

— ბავშვობაში. იმის შემდეგ კი, სულ მეგობრების წრეში ვარ. იქ რომელიმე ჩვენგანმა ძალიანაც რომ მოინდომოს ნამდვილი ჩხუბი, მინც არაფერი გამოუვა — დანარჩენები სიცილით დაიხიცებიან. თუ უცხო „სასტავში“ მოვხვდით, იქაც იმდენი მივიღვართ, რომ აშკარა კონფორტაციაზე არავინ მიდის. მოკლედ, შონხო მეგობრების გარეშე არსად არის. მეგობრებთან კი, ეს გამოირიცხება. მე მგონი, ერთმანეთთან უკვე ტელეპათიური კავშირი გვაქვს. მაგალითად, ნებისმიერ მათგანთან რომ მივიღო და ვკითხო — „ბელტი“ გაქვს? — ამოიღებს სიგარეტს და მოძუკნის. მეორესთან მივალ და ვეტყვი — „დეფენი“ მომეცი, ამოიღებს სანთებლას და მომიკიდებს. ახლა წარმოიდგინეთ ეს სიტუაცია უცხო გარემოში. ეს სხვისთვის იუმორიც კი არ არის. ისინი უბრალოდ, იფიქრებენ — ამ ბიჭებს გაუფრენიათო. ამ დროს, ეს ჩვენთვის ჩვეულებრივი ენაა.

**— ეი. თქვენ გაქვთ თქვენი ენა და არასოდეს არ ხართ მარტონი.**

— ასე გამოდის.

**— ვინ არის თქვენი მეუღლე ან როგორ დაოჯახდით?**

— ჩემი მეუღლე არის ნინო მამუკაშვილი. შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სასწავლო წლის 4/5 ბიოლოგიის ფაკულტეტზე მაქვს გატარებული. ჩვენს ფაკულტეტზე გოგონები თითქმის არ სწავლობდნენ. იქ კი გოგონების მეტი რა იყო? ჰოდა, იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. ოთხი წლის განმავლობაში ძალიან სპონტანური ურთიერთობა გვაქონდა. ერთმანეთს მეგობრებს ვვხვდით და გულითად საუბრებს ვმართავდით. მერე, როდესაც ნინო თავისი თავყანისმცემლების შესახებ მეტყვოდა რამეს, უკვე ჭკუასაც აღარ ვარიგებდი, ისე გადაჭრით ვუბნებოდი — „დაახვედნე, წავიდეს“. გავიდა დრო და ორივე მივხვდით, რომ ჩვენ ორს შორის, მესამე არ უნდა ჩამდგარიყო. როდესაც ნინოს სახლში მისულა და სიტუაციის „გადასწავლა“ გადავწყვიტე, ჩემი მეგობრებიც ამომიღნენ მხარში. ძალიან მინდოდა, ყველაფერი ქართულად და ტრადიციულად ყოფილიყო. თანაც, მინდოდა რომანტიკულად დამეფიქსირებინა, რო „ქალი ჩვენი“. წავიდით იპოდრომზე ცხენების წამოსაყვანად. მზად გვაქონდა ნაბღები და თასები, მობლინებული იყო მომღერალთა „სასტავიც“. აი, ასე უნდა შეგვეტყებინა ნინოს ეზოში და ფანჯრების წინ გვემდგრა. თუმცა, ისიც არ ვიცოდით, სადაც მივიღოდით, იქ შესაჭვრებელი ადგილი იყო თუ არა. მაგრამ სამწუხაროდ, ჩანაფიქრი არ გამოგვივიდა, ერთი უბრალო მიხეზის გამო: იპოდრომიდან ცხენები არ გამოვავატანეს. ცხენების გარეშე კი, ძალიან უხერხული სანახავეები ვიქნებოდით: წარმოიდგინეთ — ტაქსიდან რომ გადმოვიდოდით ნაბღებითა

და თასებით და სიმღერას შემოვძახებდით... ახლა ნორმალური ოჯახი გვაქვს. გვაყავს 5 წლის შვილი — გიორგი, რომელიც ძალიან მგავს მე და თავისი ასაკის ბავშვისთვის კარგი იუმორის გრძობა აქვს.

**— ნინო თქვენი პირველი სიყვარული იყო?**

— არა. პირველად თანაკლასელი გოგო შემიყვარდა. მის დაქვს გამოვუტყდი და ვთხოვე: შენ უთხარი, რომ მიყვარს-მეთქი. საკონტრალო წერა გვაქონდა, მაგრამ ვის სცხელოდა საკონტრალოსთვის?! დაქვლები ჩურჩულდნენ და ჩემკენ იხედებოდნენ. როგორც იქნა, დაირეკა ხარი. მე ყველაზე ბოლოს გამოვედი კლასიდან. მიუხედავად იმ გოგოს გაღიბებული. უცებ, გაისმა ლაწანის ხმა და მივხვდი, რომ ის სილა მე მომხვდა. მეორედ აღარ მიცდია ასეთ საქმეში შუამავლების ჩარევა...

**— როგორც ვიცო, სტუდია „ვაშას-თანაც“ თანამშრომლობთ.**

— კი, „დარდუბალას“ სერიალში ზაზას ვახმოვანებ.

**— რას იტყვი, როგორი ბიჭია ზაზაშა?**

— ძალიან ნიჭიერია. თანაც, მე მგავს. ალბათ, ასეთი ვიყავი მეც, სანამ ქუჩას ვაგერდებოდი. ზაზას კი, ჯერჯერობით, ეს ვერ მოუხერხებია. თუმცა, ცდილობს, რომ ქუჩიდან უფრო „კაი პონტი“ წავიდეს. ჭკვიანია, ბევრ სასარგებლო რჩევას იძლევა. პრინციპში, იქ ელიკა ძიასა და ლეოს გარდა, ყველა სასარგებლო რჩევებს იძლევა.

**— გასულ კვირას რატომ არ გავიდა „დარდუბალას“ მორიგი სერია?**

— როგორც სარწმუნო წყაროსგან შევიტყვე, „რუსთავი 2“-ში იყო ხარი თვით „პირველისგან“, რომელმაც ითხოვა, რომ ამ ეტაპზე სერიალი დროებით შეეჩერებინათ. საუბარი იყო კონკრეტულად იმ სერიაზე, რომელიც ეთერში გასასვლელად უკვე მზად იყო.

**— კონკრეტულად, მაინც რა ხდებოდა ამ სერიაში?**

— საგანგაშო არაფერი. მოვლენები „წითელქუდას“ სცენარის მიხედვით ვითარდებოდა. ამ სერიაში კახა თარგამაძე აცხადებდა: „წითელქუდაში“ მგლობა რაღაც აღარ გამომდის და „ბურატინოში“ არტემონად უნდა გადავიდეთ... იმ სერიაში კი, რომელიც ახლა კეთდება, „რკინის კაცი“ ტერმინატორად მოგვევლინება.

**— ბოლო დღეებში პოლიტიკაში მომხდარ მოვლენებს როგორ შეაფასებდით?**

— აქამდე ასე იყო: ჯერ მოხსნიდნენ ადამიანს და მერე მიდიოდა გარჩევები — რატომ მოხსნეს და რა ღამაგაო? ამ შემთხვევაში კი, ყველაფერი, როგორც ხელისუფლებზე, ისე ჩანდა. პრეზიდენტი დარწმუნებული რომ

ყოფილიყო თარგამაძის სიტყვებში — თითქოს მან „მოელი პირადი შემადგენლობა“ ძლივს დააკავა, — ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. ფაქტი ერთია: მართლაც ბეწვის ხიდზე გავიარეთ, საბედნიეროდ, ხიდი არ ჩაწყდა, მაგრამ არავინ დაიჯეროს, რომ გზა გამოჩნდა.

**— სტუდენტებთან პრეზიდენტის „დაბურული შეხვედრის“ შესახებ რაღას გვეტყვი?**

— ამ შეხვედრაზე დასწრების სურვილი ბევრს ჰქონდა, მაგრამ შესვლა მხოლოდ მათ შეეძლოთ, ვინც სააში იყო. აი, ამიტომ ისმოდა იქიდან ტაში...

**— ფულთან რა დამოკიდებულება გაქვთ და რადიოსა და რეკლამების გარდა, კიდევ საიდან გაქვთ შემოსავალი?**

— ფული ჩემთვის ნიშნავს იდეების განხორციელების ერთ-ერთ და არა ერთადერთ საშუალებას, მინდა ყოველდღე მქონდეს 1.000 ლოლარი და ჟალიჩობ იმისთვის, რომ იმდენი მქონდეს, რამდენიც მინდა. რადიოსა და რეკლამების გარდა, შემოსავალი მაქვს ჩემი პოეტური შემოქმედებიდან: სიმღერის ტექსტებს ვწერ. ერთი ტექსტი 50 ლოლარი ღირს. ჩემს ლექსზე შექმნილი სიმღერებიდან, ყველაზე პოპულარული ალბათ აჩიკო მეფარიძის „მიხარი“ და ლელა წურწუმის „სიზმარია“.

**— მომავალში რას აპირებთ?**

— ჩემს თავს მომავლის კონტექსტში ნამდვილად ვერ ვხედავ. გაუკვლავ გზას მივყვებით. ჩემმა თაობამ არ იცის, ამ გზაზე ტურა გამოხტება თუ ფოცხვერი. სამომავლოდ ვაფრთხილავ გზას და წარწერებს ვარჯობთ. „ფრთხილად, აქ ტურაა!“, „ფრთხილად, აქ შეიძლება ფოცხვერი შეგხვდეს!“ მე მგონია, რომ ჩემი შვილის მომავალს ვაკვლავ და პროგრესისკენ მივდივარ. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, მე გეზი სოფელ „დამალოსკენ“ არ მაქვს. მე სოფელ „კარგში“ მივდივარ.



ნათია თენიავილი

ეკა ფანჯიკიძე, თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

– „რუსთავი 2“-ში მომხდარი ფაქტი იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც ჩვენი მოთმინების ფიალა აავსო. უნივერსიტეტის სტუდენტებმა საპროტესტო აქციის მოწყობა გადაწყვიტეს. მეორე დღეს, 12 საათზე შევიკრიბეთ და კანცელარიის შენობისკენ წავედით, რადგანაც ვიცოდით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სწორედ იქ აპირებდნენ აქციის გამართვას. თუმცა უნდა ვთქვა, რომ ჯერ კიდევ უნივერსიტეტთან ვილაც-ვილაცები თავიანთ სასარგებლოდ ჩვენს გამოყენებას შეეცადნენ.

— კონკრეტულად, ვის გულისხმობ?

– სანამ კანცელარიისკენ წავიდოდით, შემოგვიერთდა მამაკაცების ჯგუფი, რომლებმაც სტუდენტებს მოუწოდეს, გზა გადაეკეტათ. მათ თავიდანვე სცადეს, სტუდენტობა თავიანთი მიზნებისთვის გამოეყენებინათ.

— კონკრეტულად, რა დაგჯუფების წარმომადგენლები იყვნენ?

– ერთადერთი, ვინც მე ამ ხალხს შორის ვიცანი, ზვიად ძიძიგური იყო. მასთან მცირე კამათიც გექონდა, შემდეგ კანცელარიისკენ დავიდართ, მაგრამ პარლამენტის შენობასთან უამრავი ხალხი იყო და იქ შეეჩერდით. ჩვენ არ მოვითხოვდით მხოლოდ სიტყვის თავისუფლებას, ჩვენი ლოზუნგი ასეთი იყო: „ჩვენ ვიცავთ საკუთარ თავს!“ ისმება კითხვა – ვისგან? საკუთარი მთავრობისგან. ჩვენი მიზანი იყო ძალადგინების არა მხოლოდ თანამდებობებიდან გათავისუფლება, არამედ მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. ჩვენი აზრით, ისინი აუცილებლად უნდა დასჯილიყვნენ ჩადენილი ქმედებისთვის (იგულისხმება ტელეკომპანიაში საგამომცემო ჯგუფის შეჭრა. – ავტ.)... მთავრობის სასახლესთანაც საკმაოდ იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც 10 წლის განმავლობაში არ გამოჩენილან და ხმა არ ამოუღიათ: ირაკლი წერეთელს მეგაფონი ვერ გავაგდებინეთ ხელიდან, ფაქტობრივად, სიტყვის თქმის საშუალება არ მოგვცა. ვიდრეც და უსმენდით... 1 ნოემბერს, როდესაც მთელი მთავრობის გადაყენება მოხდა, დავჩრთო სრულიად გაოგანებული. ეს იყო შოკი. ამას ნამდვილად არ მოველოდით. სწორედ იმ მომენტში აირია ყველაფერი. ეს ამდენი ხალხი ნამდვილ ბრბოდ გადაიქცა: ვედარც ჩვენ და ვედარც ის პოლიტიკოსები ვედარ ვაკონტროლებდით სიტუაციას. ვისაც არ უნდა დაეჭირა მეგაფონი და რაც არ უნდა ეთქვა, ყველაფერს ტამით ეგებებოდნენ. ვინმეს რომ ეთქვა – გადავუართო პარლამენტის შენობასო, აბსოლუტურად ყველა იყო ამის გამკეთებელი...



# „დაავირობოვკა“ თსუ არა პრეზიდენტმა სტუდენტები

ჯერ იყო და, სტუდენტობას ინდიფერენტობა და ინერტულობაში ადანაშაულებდნენ, მერე, როცა მისი ინიციატივით დაწყებულ აქციას მთავრობის გადადგომა მოჰყვა, — ჯერ ტაში დაუკრეს, შემდეგ კი, იმაზე ალაპარაკდნენ, რომ ახალგაზრდები გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა თავიანთ იარაღად გამოიყენეს... რა ძალებზეა საუბარი? იყო თუ არა აქცია მართვადი? ვინ ეხმარებოდა და ვინ უშლიდა ხელს სტუდენტებს? დაბოლოს — რამ გამოიწვია თავად სტუდენტებს შორის დაპირისპირება? ყველა ამ საკითხზე პასუხის მისაღებად, პირველი აქციის ორგანიზატორთა ჯგუფის წევრებს შევხვდით.

როცა სიტუაციამ კონტროლი დაკარგა, ვისხედით და ვფიქრობდით, როგორ დაგვეშალა ხალხი. მესამე დღისთვის მოვასწარმოეთ, რომ უნივერსიტეტის სტუდენტობა აღარ მისულიყო აქციაზე. თუმცა, მომდევნო დღეს, მიტინგზე ვილაცამ გამოაცხადა — პრეზიდენტი უნივერსიტეტის 15 კაციან ჯგუფს შეხვდა და სტუდენტებს აზრი შეაცვლივინა; ახლა ისინი ხალხს დაშლისკენ მოუწოდებენ და ამ მოწოდებას არ აწყვეთო... ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა უნივერსიტეტის მხრიდან. ამ ნაბიჯით იგი ფაქტობრივად ყველა დახარჩენ უძალეს სასწავლებელს დაუპირისპირდა.

— როგორც ვიცი, ბოლოს სტუდენტთა საინიციატივო საბჭო შეიქმნა.

– კი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, საბჭოში ის სტუდენტები მოხვდებიან, ვისაც სკამის „დათრევა“ და თბილი ადგილები აინტერესებს და არა ისინი, ვინც ცდილობს, მართლა რაღაც სასიკეთო გააკეთოს. არც ის არის გამორიცხული, რომ სტუდენტთა ეს ჯგუფი რომელიმე პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ მოექცეს. პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ისინი უკვე სხვანაირები გახდნენ.

— თქვენ მიხეილ სააკაშვილს სთხოვთ, პარლამენტისთვის გაეცნოთ თქვენი მოთხოვნები. რატომ მაინცდ-

ამინც მას?

– ჩვენ ვთვლით, რომ უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და კონსტიტუციაში შევიდეს ცვლილებები. პარლამენტი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. მართალია, დიდი ეროვნული ინტერესებით „გაჟღენთილ“ პიროვნებებს ვერ ვხედავთ, მაგრამ უარესსა და ცუდს შორის უმჯობესია, ცუდი ავირჩიოთ. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მან თავად გამოთქვა ჩვენთან შეხვედრის სურვილი. ჩვენც დავთანხმდით, იმიტომ, რომ მიტინგზე შეკრებილი ხალხი ყველაზე კარგად სწორედ მას შეხვდა.

— ბევრი ფიქრობს, რომ ამ აქციას ვილაც მართავდა...

– არავინ არ თქვას! არც სააკაშვილი და არც ვინმე სხვა არ მართავს ამ ხალხს. არის მხოლოდ სტუდენტთა ცალკეული ჯგუფები, რომლებსაც გარკვეული ძალები მართავენ და სწორედ ეს გვლუპავს ახლა ჩვენ — სტუდენტებს. სწორედ ამ ძალების ბრალია, რომ სტუდენტობა ასეთ გაურკვევლობაშია და ერთიანი აღარ არის. როდესაც სტუდენტთა ნაწილი კანცელარიაში შევიდა და ჩვენ ეს ტელეგადაცემიდან შევიტყვეთ, შემრცხვა, რომ სტუდენტი ვიყავი. ახლა იმაზე მიდის ბრძოლა, თუ ვინ დაიწყო აქცია, როგორ დაიწყო... რა მნიშვნელობა აქვს ამას? მთავარია, ეს ყველაფერი დაი-

წყო და წყალში ნუ ჩაყვრით, ნუ გადავა-  
ქცევთ მარაზმად ამ ყველაფერს...

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგის-  
ტრანტი **ნათია ლეშაკაშელი** ერთ-ერთი  
იმ სტუდენტთაგანია, რომლებიც საქართვე-  
ლოს პრეზიდენტს შეხვდნენ.

**— რა იყო პრეზიდენტთან თქვე-  
ნი პირველი შეხვედრის მიზანი?**

— სანამ მთელი მთავრობა გადადგებოდა,  
თავად პრეზიდენტისგან წამოვიდა სტუდენ-  
ტებთან შეხვედრის ინიციატივა. ჩვენი მი-  
ზანი იყო, გავვეცნო მისთვის რეალური სიტუ-  
აცია და პრეზიდენტის პოზიციაში  
გავრკვეულიყავით. შეხვედრაზე თსუ-ის 12  
სტუდენტი ვიყავით. ჩვენ ვუთხარით, რომ  
აქციის მონაწილეები მის გადადგომას მოითხო-  
ვდნენ, ისიც ვუთხარით, რომ ამის საფუძ-  
ველი შეიქმნა მას შემდეგ, რაც გარკვეულმა  
პოლიტიკურმა ძალებმა აქციის სადავეები  
ჩაიგდეს ხელთ.

**— კონკრეტულად, რომელ პოლი-  
ტიკურ ძალაზეა საუბარი?**

— ჟვანია-საკაშვილის გუნდის წარმო-  
მადგენელი დეპუტატი, კობა დავითაშვილი  
გამოვიდა და პირდაპირ მოუწოდა ხალხს,  
არ დაშლილიყვნენ, სანამ პრეზიდენტი არ  
გადადგებოდა. აქციის დასაწყისში ეს მოთხო-  
ვნა საერთოდ არ არსებობდა. იქ მრავლად  
იყვნენ პოლიტიკურად უმოქმედო, ასე ვთქ-  
ვათ, „მკვლარი“ პარტიების წარმომადგენ-  
ლებიც, რომლებიც ასევე არ მოსცილებიან  
მეგაფონს და პრეზიდენტის გადადგომას  
მოითხოვდნენ. ხალხმა ზოგი მათგანი მი-  
იღო, ზოგი — საერთოდ გააძევა აქციიდან.  
რაც შეეხება ჟვანია-საკაშვილის გუნდს,  
მგონი, ყველასთვის ნათელია, რომ ეს აქცია  
მათ გამოიყენეს თავიანთი პოლიტიკური  
მიზნებისთვის.

**— ეი. მათ შეძლეს სტუდენტების  
მართვა?**

— ეს არ იყო პირდაპირი მართვა —  
უბრალოდ, სიტუაცია სათავისოდ გამოიყენეს.  
სხვადასხვა პოლიტიკოსი, ტელევიზიით გა-  
მოსვლისას სტუდენტებს დაშლისკენ მოუ-

წოდებდა, ამ დროს კი, ამ  
ჯგუფის წარმომადგენლები  
ხალხში 10-10 ლარს არიგებდ-  
ნენ — არ დაიშალოთო. სააკაშვი-  
ლმაც მოუწოდა სტუდენტებს  
დაშლისკენ, მაგრამ ზვიად ძიძგე-  
ურმა, რომელიც ჩვენთან შე-  
ხვედრისას სააკაშვილს გვერდს  
უშმევინებდა, გვითხრა: თუ გინ-  
დათ, სამშაბათმდე (6 ნოემ-  
ბრამდე) დაიშალეთ, მაგრამ  
სამშაბათს პარლამენტი სა-  
კონსტიტუციო ცვლი-  
ლებებთან დაკავშირე-  
ბულ საკითხებს განიხი-  
ლავენ და თქვენი ზე-  
წოლა აუცილებელია... სა-  
კონსტიტუციო ცვლილე-  
ბების მიღების აუცილე-  
ბლობას თითქმის ყველა  
პოლიტიკური ძალა ეთ-



**ნათია ლეშაკაშელი**

ანხმება და რა საჭიროა ჩვენი ყვირილი?!

ეს ღია კარის მტვრევას დაემსგავსება. მაინც  
მიიღებენ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რად-  
განაც პარლამენტარებს ეს თავად სურთ.  
აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი — ვიღაცას  
სტუდენტობა იმისთვის სჭირდება, რომ აყვი-  
როს — „ძირს შევარდნაძე!“... ჩვენ მივიღეთ  
იმზე მუტი, ვიდრე მოვითხოვდით, მაღა ჭა-  
მაში მოდიო — ამ პრინციპით ხომ არ  
უნდა ვიმოქმედოთ! მე არ ვამბობ, რომ შე-  
ვარდნაძე არაფერ შუაშია. ძალიან ბევრ  
რამეში, რაც საქართველოში ხდება, სწორედ  
ის არის დამნაშავე, მაგრამ ამ ეტაპზე, როდე-  
საც არ გვყავს მთავრობა და პარლამენტის  
თავმჯდომარე, პრეზიდენტის გადადგომა არ  
შეიძლება.

**— რატომ მოხდა ისე, რომ  
სტუდენტთა დიდმა ნაწილმა პრეზი-  
დენტთან თქვენი შეხვედრის შესახებ  
საინფორმაციო საშუალებებიდან შე-  
იტყო?**

— ჩვენ ვერ მოვახერხეთ სტუდენტები-  
სთვის გვეცნობინა ამის შესახებ — არავინ  
მიგვიშვა მეგაფონთან, რომელიც პოლიტი-  
კოსების ხელში იყო.

**— სტუდენტთა ნაწილს მიაჩნია,  
რომ შევარდნაძის გადგენის ქვეშ  
მოექცეოთ, შეხვედრიდან გამოსულე-  
ბს აზრი შეცვლილი გქონდათ და, ამი-  
ტომ, აღარ მოითხოვდით მის გადა-  
დგომას...**

— ამის შესახებ მეც მსმენია. ბევრმა  
ისიც თქვა — ეს სტუდენტები შევარდნაძემ  
„დააბოლოა“... ჩვენ ამ შეხვედრამდეც არ  
წამოგვიყენებია პრეზიდენტის გადადგომის  
მოთხოვნა. ასეთი ბრალდებები იმიტომ წამ-  
ოვიდა, რომ ჩვენ მიგვაჩნდა და ახლაც მიგ-  
ვაჩნია: ჩვენი მოთხოვნები დაკმაყოფილებუ-  
ლია — და ამიტომაც მოუწოდებდით სტუ-  
დენტებს დაშლისკენ. სხვათა შორის, ჩვენი

მოთხოვნები საკმაოდ პრინციპი-  
ულად წაუყენეთ პრეზიდენტს.  
სწორედ იმ შეხვედრაზე გადა-  
წყდა სტუდენტური საბჭოს შე-  
ქმნა, რომელიც მუდმივმოქმედი  
იქნება. ამ შეხვედრაზე გადაწყ-  
და პრეზიდენტის შეხვედრა  
სტუდენტების ფართო აუდი-  
ტორიასთან, პოლიტიკური  
ძალების გარეშე.

**— ბევრს მიაჩნია, რომ  
ამ საბჭოს საშუალებით,  
პრეზიდენტს სტუდენტთა  
პირდაპირი მართვის სა-  
შუალება მიეცემა.**

— ეს ორგანო პირდაპირ  
დააკავშირებს სტუდენტებს  
პრეზიდენტთან, რომელსაც გა-  
ცანობთ ჩვენს პრობლემებს და  
შეძლებისდაგვარად, გადავაჭრე-  
ვინებთ კიდევ. არავის გავლუ-  
ნის ქვეშ არ მოვექცევით.

**— ვინ აიძრევს საბჭოს წევრებს?**

— საბჭო სტუდენტური კავშირების, ახ-  
ალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალ-  
გაზრდული პოლიტიკური ორგანიზაციე-  
ბის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტლე-  
ბა. ვერ ვიტყვი, საბოლოო ჯამში რა სახეს  
მიიღებს, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, რომ  
საბჭოში ის პიროვნებები მოხვდნენ, რომ-  
ლებიც იმოქმედებენ არა პირადად ინტერესე-  
ბის დასაკმაყოფილებლად, არამედ საქართვე-  
ლოს ინტერესებთან გამომდინარე.

**— რა შედეგი გამოიღო პრეზი-  
დენტთან უნივერსიტეტის სააქტო  
დარბაზში 5 ნოემბერს გამართულმა  
შეხვედრამ?**

— დაისვა ბევრი მწვავე პრობლემა, მა-  
გრამ სტუდენტები ერთიანები არიან იმ  
საკითხში, რომ ამ ეტაპზე პრეზიდენტის  
გადადგომა არ შეიძლება, — თუნდაც იმიტ-  
ომ, რომ სახელმწიფო უმთავრობოდ არის  
დარჩენილი. დღეს სტუდენტების მოთხოვნაა  
— ვადაძეული საპარლამენტო და საპრეზი-  
დენტო არჩევნები. ამაზე კონკრეტული პა-  
სუხი პრეზიდენტს არ გაუცია...

*მთავრობის სასახლის წინ მომიტინგე  
სტუდენტებს იმ უხამსი წარწერების შესახებ  
ვესაუბრეთ, რომელიც აქციის მეორე დღი-  
დან გაჩნდა კედლებზე.*

„ეს სულელი ადამიანის გაკეთებულაა  
— იმისი, ვისაც „კომბლექ“ კი არ აქვს  
წაკითხული. სამწუხაროდ, ასეთი ადამი-  
ანებიც ტრიალებდნენ იქ. ბევრი სკოლის  
მოსწავლევც იყო, რომელმაც ასე გამოხატა  
თავისი აგრესია პრეზიდენტის მიმართ. ეს  
რა თქმა უნდა, დაუშვებელია. ჩვენ ახლა  
დავდივართ და შეძლებისდაგვარად, ვშლით  
ამ წარწერებს“ — გვითხრა ერთ-ერთმა სტუ-  
დენტმა. ■



# კრიზისდინამიკის მიმკვიდრე, კრიზისი-მინისტრი თუ მხელმწიფ საბანგოზო დისკანნი?

## გურამ მკვიდრიძე

დიდი ხანია საქართველოში მომხდარ ამ თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენას არ მიუქცევია მსოფლიო მასშტაბისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ისეთი დიდი ყურადღება, როგორც ბოლო ერთი კვირის მანძილზე მომხდარმა ამბებმა გამოიწვია. დასავლელი ექსპერტები და პოლიტოლოგები დღემდე საკმაოდ ოპტიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ და აცხადებენ, რომ კორუპციული მთავრობის გადაყენებით, შევარდნაძეს მიეცა უნიკალური შანსი, პატიოსანი პროფესიონალებით დააკომპლექტოს ახალი მთავრობა და განახორციელოს სისტემური რეფორმები სახელისუფლებო კრიზისის აღმოსაფხვრელად, შესაბამისად, შექმნას მყარი პირობები ხელისუფლების მშვიდობიანი და კონსტიტუციური გზით შეცვლისთვის.

ამ მოვლენების ფონზე ერთგვარ სენსაციადაც იქცა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის პირად წარმომადგენლად ასლან აბაშიძის დანიშვნა და საერთოდ, აჭარის ლიდერსა და „აღორძინებაზე“ შევარდნაძის ორიენტაცია. ბუნებრივია, დაისვა ლოგიკური კითხვა: ნიშნავს თუ არა შევარდნაძე-აბაშიძის ალიანსის ამ სახით გაფორმება იმას, რომ მოსალოდნელი საკონსტიტუციო ცვლილებებისა და მინისტრთა კაბინეტის შექმნის შემოღებისთანავე, პრეზიდენტის პოსტზე ასლან აბაშიძის კანდიდატურა დასახელდება? შესაბამისად – სწორედ აჭარის ლიდერი ხომ არ განდება პრეზიდენტ შევარდნაძის ე.წ. მემკვიდრე – მით უმეტეს, თუ ასლან აბაშიძე პრაქტიკულად შეუძლებელს შეძლებს და წარმატებას მიაღწევს მოლაპარაკებებში მოსკოვთან და სოხუმიდან და დაიყოლიებს მათ კომპრომისზე, რისი საბოლოო შედეგიც, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნება იქნება! დემოკრატია და, თუ ეს მართლაც მოხდა, აჭარის ლიდერი არათუ შარავანდედით შეიმოსება საქართველოს უახლეს ისტორიაში, არამედ უაღებურნატივით პოლიტიკური ლიდერი გახდება პოსტ-შევარდნაძისეულ ეპოქაშიც და თვით შევარდნაძის პრეზი-



დენტობის დარჩენილ პერიოდშიც, ყბაღაბული ე.წ. მემკვიდრის შესახებ გაუთავებელ ლაპარაკსაც წერტილი დაესდება... მაშ, რამდენად შესაძლებელია მოვლენათა ამგვარი განვითარება? ვესაუბრები თბილისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, პარლამენტარ **ჰამლეტ ჭიპაშვილს** და პოლიტოლოგ **რამაზ კლიშიაშვილს**.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი:**  
– ძალით, მოვლენებს წინ წუ გაუფრთხილებ: ნათქვამია – წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. დღეს ჩვენი ანუ „აღორძინებისა“ და ბატონ ასლან აბაშიძის უპირველესი მიზანი ის არის, რომ განხორციელდეს ქვეყნის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებები და შემოვიღოთ მინისტრთა კაბინეტი. სამწუხაროდ, ამის ნაცვლად პარლამენტში დაიწყო დისკუსია იმაზე, თუ ვინ უნდა იყოს პარლამენტის თავმჯდომარე, რაც, ჩემი აზრით, თავისუფლად შეიძლება გადაწყდეს უახლოეს

### ჰამლეტ ჭიპაშვილი



მომავალში და ნამდვილად არ არის საჩქარო, რადგან ბატონი ვიგი წერეთელი შესანიშნავად უძღვება პარლამენტის სხდომებს. ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ სკამებს გადავაციოთ სახელმწიფო... დიახ, ბატონი ასლანი და „აღორძინება“ მართლაც გახდნენ პრეზიდენტის დასაყრდენი და არა – ხაზს ვუსვამ – შევარდნაძის დასაყრდენი პოლიტიკური ძალა. ასლან აბაშიძის დანიშვნა პრეზიდენტის პირად წარმომადგენლად კონფლიქტების მოგვარების შესახებ მოლაპარაკებებზე ნამდვილად არ არის შემთხვევითი მოვლენა. ჩვენ გამოვდივართ იმ პოზიციით, რომ ქვეყანას სჭირდება კარდინალური ნაბიჯების გადადგმა უწინარესად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. თუ ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგა, კიდევ ბევრჯერ შეიცვლება მთავრობა, კიდევ ბევრჯერ განხორციელდება სეკესტრი და ქვეყანაც ქრონიკულად გაუგებარ ვითარებაში დარჩება. მოსკოვში ბატონ ასლანს კონსულტაციები ექნება რუსეთის სათათბიროს წევრებთან და რუსეთის ხელისუფლების იმ მაღალი თანამდებობის პირებთან, რომლებსაც ხელთ აქვთ რეალური ბერკეტები და ჩართულნი არიან აფხაზეთის პრობლემატიკაში. დარწმუნებული ვართ, რომ რაღაც კონკრეტული, თუნდაც მცირე შედეგი ექნება ბატონი ასლანის ვიზიტს მოსკოვში და მის ძალისხმევას. პირდაპირ გეტყვით, ჩვენ რომ გარკვეული წარმატების იმედი არ გვქონოდა, ამ ნაბიჯზე არ წავიდოდით.



— შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, პრემიერ-მინისტრის პოსტზე გეყოლებათ თქვენი კანდიდატი და, რა თქმა უნდა, ეს კანდიდატი, წესით, ასლან აბაშიძე უნდა იყოს და, შესაბამისად, პრეზიდენტის ე.წ. მემკვიდრეც...

— რა თქმა უნდა, პოლიტიკური ამბიციები გვაქვს და გვექნება, მაგრამ ამ ამბიციებს კონკრეტული საქმეების გაკეთების შემდეგ გამოვამუშავებთ. იგივე პრემიერ-მინისტრის პოსტზე გვეყავს სერიოზული კანდიდატურა, მაგრამ არ დავასახელებ მის ვინაობას, რადგან არ არის აუცილებელი, ამთავითვე დაიწყოს ვნებათაღელვა... წინ საკმარისი დროა, ერთ კვირაზე ცოტა ხნის შემდეგ პრეზიდენტი წარმოადგენს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას და დაასახელებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო თუ ასლან აბაშიძის ძალისხმევით გადაიჭრება აფხაზეთის კონფლიქტი, მაშინ მთელმა ერმა და ბერმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ შეიძლება იყოს პრეზიდენტის მემკვიდრე... და კიდევ: ყველა აცხადებს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გასაღები დევს კრემლში, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა იმ ფაქტმა, რომ წლების მანძილზე საქართველოს მეგობარი ქვეყნების მუშაობა და ძალისხმევა გაიყინა, როგორც კი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრაზე მიდგა საქმე. მათ ვერც იმას მიაღწიეს, რომ მოლაპარაკებების მაგიდასთან მხოლოდ ქართველები და აფხაზები დაესვათ. აფხაზებზე, დიდი ზეგავლენა კი, მხოლოდ მოსკოვს აქვს და სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. ამიტომ, ლაპარაკი იმაზე, თითქოს ეს გამოიწვევს საკითხის რუსიფიკაციას და პრორუსულ ორიენტაციასზე საქართველოს გადასვლას, აბსურდი და ყოვლად დაუშვებელია... ნამდვილად არ მაინტერესებს, აფხაზეთის საკითხი კრემლში გადაწყდება, ჟენევაში თუ ვაშინგტონში — მე მაინტერესებს, რომ აფხაზეთი დაუბრუნდეს საქართველოს! ეს მანია არის, ეს მანია აქვს ასლან აბაშიძეს და დანაშაულია ისეთი ლაპარაკი და ქმედება, რომელმაც შეიძლება, ხელი შეუშალოს ამ მანისის გამოყენებას — არადა, ამას ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი უკვე სჩადის...

როგორც ვხედავთ, თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი და ფრაქცია „აღორძინების“ წევრი, ჯერჯერობით, არ ხსნის ბოლომდე „კარტს“, თუქცა მრავლისმთქმელ მინიშნებებს აკეთებს ასლან აბაშიძის მომავალი პოლიტიკური კარი-

ერის შესახებ. რას ფიქრობს შექმნილ სიტუაციაზე პოლიტოლოგი რამამ კლიმიაშვილი?

— დავიწყეთ იმით, რომ თუ პრეზიდენტი შევარდნაძე ოფიციალურად ან, გნებავთ, არაოფიციალურად, გამოაცხადებს თავის მემკვიდრეს, ამ მემკვიდრის პოლიტიკური შანსები დაეცემა, ვინც არ უნდა იყოს ის, რადგან პრეზიდენტის მიერ დანიშნულ მემკვიდრეს არაფერი მიიღებს არც ასლა და არც მომავალში. სხვა საქმეა ის, რომ თუ ასლან აბაშიძემ შეძლო და აფხაზეთი დაუბრუნა საქართველოს, იმის რეალური შანსი მიეცემა, რომ გახდეს პრეზიდენტი. საერთოდ კი, მოუღებლად მიმაჩნია საუბარი ამ ე.წ. მემკვიდრის გამოცხადებაზე, რადგან მემკვიდრეს მონარქულ სახელმწიფოში აცხადებენ, შევარდნაძე კი, საბუნებრიოდ, ბაგრატიონი არ არის და არც საქართველოშია მონარქია. რაც შეეხება მოულოდნელ დაახლოებას — ამ ეტაპზე, შევარდნაძეს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ აღიანისი შეეკრა ასლან აბაშიძესა და „აღორძინებასთან“. ფაქტობრივად, რეალურად იდგა შევარდნაძის გადადგომის საკითხი და იმიტომაც გაიქცა ბათუმში... დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტმა შეინარჩუნა პოსტი არსებულ სისტემაში და შეიძლება, უპრობლემოდ დარჩეს თანამდებობაზე ვადის ამოწურვამდე, მაგრამ რეალურია მოვლენათა განვითარების მეორე ვარიანტიც: საკონსტიტუციო ცვლილებების შემთხვევაში, თუ პრეზიდენტს დარჩება მხოლოდ და მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციები, ვადაძლევი არჩევნების ჩატარების შემდეგ, პრემიერ-მინისტრის პოსტზე შეიძლება ვიხილოთ ასლან აბაშიძე.

— მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებების გატანა, როგორც ჩანს, ძალიან გაჭირდება პარლამენტში, თანაც დათანხმდება კი პრეზიდენტი საკუთარი უფლებამოსილების შეზღუდვას?

— დიახ, საკონსტიტუციო ცვლილებები დიდ პრობლემად შეიძლება იქცეს. ნორმალური საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში მოხდება ის, რაც ყველას უნდა, — ძალაუფლების საგერდოვანი გადაცემა მოხდება პრემიერ-მინისტრზე და შევარდნაძეს ჩამოერთმევა აღმასრულებელი ხელისუფლება. ამაზე დიდი ღისკუსია იქნება პარლამენტში.

— აქ, საქართველოში ასლან აბაშიძის ოპონენტები, რუსეთში კი, შევარდნაძის დაუძინებელი მტრები



რამამ კლიმიაშვილი

ლიად აცხადებენ, რომ აჭარის ლიდერის გამოჩენა და გააქტიურება დიდი პოლიტიკის ასპარეზზე აშკარად გამოიწვევს საქართველოს ორიენტაციის შეცვლას და ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსის ვიქტორი მკვეთრად გადაისრება რუსეთისკენ... თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს?

— ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვაცხადებდი, რომ ეს გარდაუვალი იქნებოდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტმა აქტიურად დაიწყო ევროსტრუქტურებში რუსეთის ინტეგრირების პროცესი. ასეთ პირობებში — ე.ი. ევროპაზე ორიენტირებული რუსეთისკენ საქართველოს გადახრა არავითარ სერიოზულ პროტესტს აღარ გამოიწვევს საქართველოში. თუ რუსეთი ოფიციალურად აცხადებს, რომ სურს ნატოსა და ევროკავშირში შესვლა, ამას მხოლოდ უნდა მივესალმოთ. რაც შეეხება რუსეთის გავლენას საქართველოზე, ის ამას დღესაც ახორციელებს აფხაზეთისა და ენერგობერკეტების საშუალებით. ასლან აბაშიძის წინ წამოწევა კი, ჩემი აზრით, ადრეც უნდა მომხდარიყო: ერთადერთი პოლიტიკოსი, ვისაც შეიძლება დაევალოს ურთიერთობების ნორმალიზება რუსეთთან და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაზე მოლაპარაკებების წარმართვა, ასლან აბაშიძეა. თუ რუსეთი ბოლომდე ენდო ასლან აბაშიძეს, მოსკოვი აუცილებლად დაეხმარება აფხაზეთთან მოლაპარაკებების პროცესში და ვფიქრობ, ამ ფონზე, თვითონ აბაშიძეც გაართმევს თავს აფხაზეთთან მშვიდ, კონსტრუქციულ ვითარებაში შეთანხმებას. დიახ, თუ რუსეთმა ეს გადაწყვიტა, — აფხაზეთს დაგვიბრუნებენ და ამით ბატონ ასლანს შეუქმნან მძლავრ საფუძვლს საიმისოდ, რომ გახდეს საქართველოს ან პრემიერ-მინისტრი, ან პრეზიდენტი! მე პირადად ასლან აბაშიძეს პრემიერ-მინისტრის რანგში უფრო ვხედავ, ვიდრე პრეზიდენტისა, — მით უმეტეს, თუ განხორციელდება საკონსტიტუციო ცვლილებები და გაიმართება ვადაძლევი საპარლამენტო არჩევნები.

მასთან ერთად დუეტში ნამღერი სიმღერების უმეტესობას, ქართულ ჰიტ-ალბუმებში პირველი ადგილი აქვს გარანტირებული. ძირითადად, სადა, საქმიანი ქალის კოსტიუმში გამოწყობილი მაია ბარათაშვილი მტკიცე ნაბიჯებით მიიწევს წინ და მოკლე ხანში საკმაო პოპულარობაც მოიპოვა განსხვავებული გემოვნების მქონე მსმენელში. წარმატების მთავარი მიზეზი ალბათ მისი რბილი ვოკალი და განსხვავებული მუსიკალური უარების ორგანული შერწყმაა.



# მაია ბარათაშვილი

## „კანონში ვარს“ უმღერავს

### რეშო კაბანიშვილი

— მაია ტრადიციული შეკითხვით დაგინწყებ: როგორი იყო თქვენთვის წელიწადი, რომელიც დასასრულს უახლოვდება?

— ძირითადად, ძალიან დატვირთული. დასასვენებლად არსად წავესულვარ — მთელი ზაფხული თბილისში გავატარე. განათლებით არქიტექტორი გახლავართ, ვმუშაობ ამერიკულ სავაჭრო პალატაში და ძირითადად სამსახურში ვიყავი. ერთადერთი, რის უფლებასაც თავს ვაძლევდი, ცურვა იყო: თავისუფალ დროს ხშირად დავდიოდი აუზზე.

— ოჯახის წევრებთან ერთად თუ მარტო?

— სამწუხაროდ, მშობლები აღარ მყავს. მაგრამ მყავს უამრავი ნათესავი და მეგობარი, რომლებიც სიცარიელეს მივსებენ. საკუთარი ოჯახი კი ჯერ არ მაქვს.

— ე.ი. განმარტოებით ცხოვრობთ...

— დამოუკიდებელ ცხოვრებას ადრეული ასაკიდან მამამ შემაჩვია. ის პროფესიით იურისტი გახლდათ და საკმაოდ ცნო-

ბილიც. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ლაღი ბავშვობა მქონდა და განებივრებულიც ვიყავი, მაინც მკაცრი ზნობრივი ნორმებით ვიზრდებოდი. არსებობდა ზღვარი, რომლის იქითაც არასოდეს გადამიბიჯებია...

— რაკი ბევრი მეგობარი გყავთ, მეგობრობის საკუთარი კრიტერიუმებიც გქონებათ. გყავთ თუ არა ნამდვილი მეგობარი მამაკაცი?

— საერთოდ, აღამიანი მეგობარს საკუთარი მენტალიტეტიდან გამომდინარე ირჩევს — როგორც შენ ხარ, ისეთია შენი მეგობარიც. ძალიან ვამაყობ ჩემი მეგობრებით. მათგან დალატი არ მასწოვს. ნამდვილ მეგობრებს შემიძლია, ყოველთვის თამამად ვენდო. დროის უმეტეს ნაწილსაც მეგობრების გარემოცვაში ვატარებ. ნამდვილი მეგობარი მამაკაცი კი, მხოლოდ ერთი მყავს: ჩვენი ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, დაბადებიდან დაიწყო, ოჯახებითაც ახლო ურთიერთობა გვაკავშირებდა. დღემდე ისევ ვმეგობრობთ, უბრალოდ, დრო და მანძილი გვაცილებს ერთმანეთს. ზოგადად კი, რაც შეეხება ამხანაგ მამაკაცებს — არ მყავს და მგონია, რომ ეს ნორმალურიც არის, რადგან,

ჩემი აზრით, აღამიანებს შორის სქესის შეგრძნება არ უნდა წაიშალოს.

— მელანქოლიური ხომ არ ბრძანდებით?

— ნამდვილად არა. პირიქით — ენერგიული და ხალისიანი ვარ. მოწყენილს ხშირად ვერ მნახავთ, თუმცა ზედმეტი ფამილარობა არ მიყვარს. ჩემთვის უარყოფითი განწყობის შესაცვლელად მცირედიც კი კმარა.

— დიდ ესტრადაზე თქვენმა გამოჩენამ თავიდანვე წარმატება მოგიტანათ. როგორ მიგიღოთ შოუბიზნესის წარმომადგენელთა ძირითადმა ნაწილმა?

— ძალიან კარგად. ხელოვანმა აღამიანებმა იციან, რა არის კოლეგიალობა. ჩემი აზრით, პრობლემები კონფლიქტურ აღამიანებს აქვთ ჭარბად. ვერ ვიტან მტრულ დამოკიდებულებას. ეს იგივეა, კლასში ვინმე არ მოგწონდეს და ამის გამო, მთელი კლასი მიატოვო და სხვაგან გადახვიდე. მოძღვრალი ყოველთვის მსმენელისთვის მღერის. ჩემი აზრით, მთავარიც სწორედ მსმენელებთან ურთიერთობაა. უნდა გიყვარდეს და უყვარდე შენ მსმენელს.

— თქვენს რეპერტუარში დიდი ადგილი უკავია დუეტებს ცნობილ მომღერლებთან. საინტერესოა, რომელმა მოგიტანათ პირველი წარმატება?

— პირველად დუეტში მერაბ სეფაშვილთან ერთად ვიმღერე. ძალიან მალე ეს სიმღერა ჰიტად იქცა და მუსიკალურ ფესტივალზე სპეციალური პრიზითაც დაჯილდოვდა. ერთ-ერთი ბოლო დუეტი კი კვაკვლიაშვილთან ერთად ჩავეწერე და ძალიან მომწონს. ეს ინგლისურენოვანი სიმღერაა. ჩემი აზრით, ინგლისური სიმღერა მხოლოდ ინგლისურად უნდა შესრულო — უფრო ორგანული და თავისუფალი გამოდის.



კოლეგასთან — დინა ვირსალაძესთან ერთად

— როგორ ირჩევთ სამოსს და საინტერესოა, ვინმე თუ გეხმარებათ სტილის შერჩევაში?

— არავინ. ყველაფერს მე თვითონ ვირჩევ. მიზიდავს კლასიკური ტანსაცმელი. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მომწონს საქმიანი კოსტუმებიც. ტანსაცმელს ძირითადად, განწყობის მიხედვით ვირჩევ.

— შეგიძლიათ, უწოდოთ საკუთარ თავს ვარსკვლავი და როგორ შეაფასებდით ქართულ თანამედროვე ესტრადას?

— საკუთარ თავს მომღერალს ვუწოდებ. რაც შეეხება ესტრადას, ვთვლი, რომ გვყავს ძალიან ბევრი ნიჭიერი შემსრულებელი. მაგრამ მგონია, რომ აუცილებელია ცოცხალი შესრულება.

— რა გაღიზიანებთ ადამიანებთან ურთიერთობაში და საინტერესოა, თუ გყავთ იდეალი?

— ამბიციურობა, თავხედობა და უზრდელობა მაღიზიანებს. რაც შეეხება იდეალს — ძნელია, მომღერლებიდან ვინმე გამოარჩიო. იდეალთან ყველაზე ახლოს ჩემთვის მაინც ბარბრა სტრეიჯიანი დვას. ეს არის ქალი, რომელიც „მედვა“ ყველა თვალსაზრისით.

— რას გვეტყვითთ სიყვარულზე, როგორი უნდა იყოს მამაკაცი, რომელიც მათა ბარათაშვილის გულს დაიპყრობს?

— ეს ცოტა დელიკატური თემაა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველა ქალის ცხოვრებაში არის მამაკაცი, რომელსაც ქალი შეიყვარებს — ბოლოს და ბოლოს, ეს არის ქალის ფუნქცია. მამაკაცში კი, ჩემთვის გარეგნობა იმდენად არის მთავარი, რამდენადაც მე უნდა მომეწონოს. მთავარია, რომ აუცილებლად უნდა იყოს ძლიერი და საკუთარ ძალებში დარწმუნებული. მამაკაცს არ უნდა სჭირდებოდეს გამხნეება, ის არ უნდა უჩიოდეს ბედ-იღბალს... ჩემ გვერდით წარმოიდგენია მხოლოდ ცხოვრების ალღოს მქონე მამაკაცი, რომელიც ყველაანარი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნას შეძლებს. უნდა იცოდეს, ქალს როგორ მოექცეს და ფსიქოსესუალურად ჩამოყალიბებული ადამიანი უნდა იყოს. მამაკაცისაგან ვერ ავიტან ტყუილს და ორპირობას — ის ბოლომდე გახსნილი უნდა იყოს ჩემთან.

— თქვენი სუსტი მხარე და მანერა ჩვევები?

— ალკოჰოლს არ ვსვამ და არც თამბაქოს.



მეგობრებთან, მათა გელაშვილთან და გია გოგოლაშვილთან ერთად

ბაქოს ვეწევი. რაც შეეხება სისუსტეებს — ვეიღები ძაღლებზე, განსაკუთრებით — კავკასიური ნაგაზის ლეკვებზე. მიყვარს მოგზაურობა და კლასიკური სტილის ავტომანქანები. საკუთარი ჯერ არ მყავს, მაგრამ რომც მყავდეს, მართვის სურვილი არ მექნება — აუცილებლად მძღოლს დავიჭირებ.

— საინტერესოა, რამდენად გაქვთ განვითარებული იუმორის გრძნობა და რამდენად ხშირად ხვდებით კურორულ სიტუაციებში.

— უზროდ მიყვარს, ვეიღები კარგ იუმორზე. იუმორის გრძნობის არმქონე ადამიანი ვერ იქნება ინტელექტუალური... რაც შეეხება კურიოზულ შემთხვევებს, მგონია, რომ ვინც ხშირად ჰყვება კურიოზებს, ალბათ თვითონ უფრო იგდებს თავს მსგავს სიტუაციებში. ყველაფერს ნიჭი სჭირდება...

— რამდენად რისკიანი ხართ და რა არის თქვენი ცხოვრების ძირითადი პრინციპი?

— რისკიანი ნამდვილად არ ვარ — შშიმარა ვარ. წინააღმდეგობას რომ შეგხვდები, გადახტობს, ყოველთვის შემოვლას ვამჯობინებ. ცხოვრების ძირითადი პრინციპი ასე შემოიძლია გამოვსაზღო: რაც ხდება, ყველაფერი უკეთესობისკენაა...

— სასწაულების თუ გვერათ?

— მწამს ღმერთის, აქედან გამომდინარე — სასწაულებისაც. ერთ-ერთი სასწაულის მომსწრე კი მამჩემის ავადმყოფობის დროს გაეხდი. პერიტონიტი დაემართა და გადარჩენის იმედი თითქმის აღარ გვქონდა. მაშინ ვილოცე და ღმერთმა მისმინა — მამა გამოჯანმრთელდა. მას შემდეგ მჯერა, რომ ღმერთის წყალობით, ყველა პრობლემა მოგვარდება.

— მასმედიასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— მასმედია ყველა მომღერლისთვის წარმატების აუცილებელი პირობაა: თაყვანისმცემლებთან გაახლოებს, შენს სათქმელს აგებინებს ხალხს და პოპულარობაც უმეტესად, მის სწორ მუშაობაზე არის დამოკიდებული.

— ვის ან რას ეძღვნება თქვენი სიმღერები სიყვარულზე? ვინ არის თქვენი შთაგონების წყარო?

— ჩემი სიმღერები არა აბსტრაქტულს — მხოლოდ ნაზახსა და გაგონილს ეძღვნება. შთაგონების წყარო კი, მეტის გაკეთების სურვილია. სურვილი, მივაწოდო მსმენელს კეთილსინდისიერი, ხარისხიანი „პროდუქტი“ — ყოველგვარი მიფუნქციების გარეშე.

— მეტსახელი ხომ არ გაქვთ?

— შეიძლება გაგვიკვირდეთ, მაგრამ ჩემმა მეგობარმა — გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილმა ნათიამ, „მეუღლი“ შემარქვა და დღემდე ასე მომმართავს.

— დაბოლოს, მოგიყვებით თქვენი პროექტის შესახებ, რომელსაც, როგორც ვიცით, მალე დაასრულებთ.

— ვწერ ასლა ქართულენოვან სიმღერას, დაგეგმილი მაქვს კლიპის გადაღებაც და საქართველოს სახელმწიფო ორკესტრისა და მისი ხელმძღვანელის, ბატონი ვახტანგ მაჭავარიანის დახმარებით, რუსთაველის აკადემიურ თეატრში, ცოცხალი შესრულებით, ცოცხალი მუსიკის თანხლებით 18 ნოემბერს კონცერტის ჩატარებას ვაპირებ. თავს უსაზღვროდ ბედნიერად ვთვლი, ბატონი ვახტანგი რომ დამთანხმდა... საერთოდ კი, არ მიყვარს გვერებზე საუბარი, მაგრამ გაგანლობთ, რომ მინდა მქონდეს საკუთარი ხმის ჩამწერი სტუდია თბილისში, მივაღწიო კარიერაში მაქსიმალურ სიმაღლეს და მოვაწყო კონცერტები „კარნევი პოლში“; რასაც ალბათ სპონსორების დახმარებით, ძალიან მალე განვახორციელებ...

# ეჭვიანი ქვეით ჩაქოლეს და განჯანით გაღაპრეს...

## შესაძლოა, 23 წლის პაატა კელოშვილი მკვლელი არც იყოს

### მეზი სანაპა

1995 წლის 2 ნოემბერს ახალციხის რაიონის სოფელ ვარხანში შემზარავი ამბავი მოხდა: მეზობელი სოფლიდან 23 წლის პაატა კელოშვილი გაიტაცეს და ჩაქოლეს. პაატას თავისი მეზობლის – 43 წლის ელდარ კბილაშვილის მკვლელობა ედებოდა ბრალად. სამართალდამცავების თქმით, კელოშვილს განაჩენი სოფელმა – ვარხანის მოსახლეობამ გამოუტანა და ახალგაზრდა კაცს სოფლის გზაზე, დღისით, მზისით, მუშტები ურტყა და ქვეით ჩაქოლა, რის შედეგადაც ცოტა ხანში, საავადმყოფოში გარდაიცვალა. თავად პაატას მამა – ტარიელ კელოშვილი აცხადებს, რომ მისი შვილი სოფლებშია კი არა, ელდარ კბილაშვილის ნათესავებმა მოკლეს ცემით და ყოველივე ამას ხალხი, ისევე, როგორც შეთხვევის ადგილას მისული სამართალდამცავები, შორიდან უყურებდნენ... „ყველაზე დიდი სმინელება კი ის არის, რომ ელდარ კბილაშვილის მკვლელობაში ჩემი შვილი დამნაშავე არ იყო, იგი სულ სხვამ მოკლა. ის – ნამდვილი მკვლელი დღეს ცოცხალია, რუსეთში დასაბრუნებს და მას არავინ ერჩის...“ – გვითხრა **ტარიელ კელოშვილმა**.

ექვსი წლის წინ დატრიალებულ ამ ტრაგედიას საოლქო სასამართლო რატიონდაც ახლა – 2001 წლის მიწურულს განიხილავს. „ჯერ პროკურატურიდან არ ეღირსა ამ საქმეს გამოხვლა, მერე სასამართლოში იღო თვეების მანძილზე. არ ვიცი, აძენ ხანს რას ელოდებოდნენ, მიზეზად მოუცვლელობასა და სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეების განხილვის აუცილებლობას ასახელებდნენ“ – ამბობენ ტარიელ კელოშვილი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი – **ალექსანდრე ქოჩიაშვილი**.

დაწყებული პროცესიც შესაძლოა, დიდხანს გაგრძელდეს, რადგან დასაკითხად დაბარებული მოწმეები სასამართლოში არ ცხადდებიან. ადამიანის გატაცებისა და მისი ჩაქოლების, განზრახ მკვლელობის ბრალდებით კოლეგიის წინაშე სოფელ ქიქინეთის მკვიდრი – გურგენ (გულო) ფარულავა და სოფელ ვარხანის მკვიდრი



**გურგენ ფარულავამ ჩვენთან საუბარსაც აარიდა თავი და ფოტოკამერასაც**

– გივი კბილაშვილი არიან წარდგენილი. პროკურატურა პაატა კელოშვილის ჩაქოლების ინიციატორებად სწორედ მათ აცხადებს. იგივე დანაშაულში სდებდნენ ბრალს სამართალდამცავები სოფელ ქიქინეთში მცხოვრებ ომარ ენდელაძეს, რომელიც რამდენიმე ხნის წინ გარდაიცვალა.

განსასჯელები ბრალს კატეგორიულად უარყოფენ, თუმცა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან საუბრისგან ფარულავა და, როგორც შევითხვეთ, კბილაშვილიც ჯერჯერობით – სასამართლოს გადაწყვეტილებამდე თავს იკავებენ. გივი კბილაშვილი არც სასამართლო სხდომებს ესწრება: როგორც ამბობენ, ის ამჟამად ძალიან ავადა.

პაატა კელოშვილს უმაღლესი სასწავლებლის მექანიზაციის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. მალე იგი ავტომანქანის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით დააკავეს და გაასამართლეს.

### **ტარიელ კელოშვილი:**

„... ციხიდან ახალი გამოსული იყო, სახლში მყავდა. ვცდილობდი, ჩემ გვერდით მყოფი იყო და მისთვის მაქსიმალური ყურადღება მიმიქცია, რადგან ჯერ კიდევ ბავშვი გახლდათ. რაღაც პერიოდში გზას ასცდა, ციხეში მოხვდა და არ მინდოდა, მსვავსი რამ განმეორებულყო. ამიტომაც დაეპასუქე, ჩემთან ვამუშავებდი.“

მე ხეტყის დამზადებით გახლდით დაკავებული. სწორედ იმ ხანებში სოფელ ვარხანის გამგებლის – მურმან მინაძის შეკვეთა მივიღე. საკრებულოსთვის 150 კუბური მეტრი ხეტყის მასალა უნდა დამეზადებინა. ის ადგილი, სადაც ხე უნდა

მომეჭრა, თურმე მისსავე ნათესავს – ელდარ კბილაშვილს, კურორტ აბასთუმნის მომმარაგებელს უნდოდა. არ ვიცი, რა მიზნით, მაგრამ, როგორც ჩანს, აბასთუმნის მახლობლად იმ ტერიტორიაზე მდებარე ტყით ნამდვილად იყო დაინტერესებული. ერთხელ სპეციალურად შემხვდა და მითხრა, რომ ამ ტყეში ხის მოჭრისა და მისი გატანის უფლება არ მქონდა. არადა, მე ყველა საბუთი კანონიერად, ფაქტურის დაცვით მოვაშადა და ამას ვერავინ ამიკრძალავდა. ვუთხარი კიდევ ელდარს – ტყე უკვე დანომრული მაქვს და შენ ვერაფერს დამიშლი-მეთქი. მაინც თავისას გაიძახოდა – წადით და სხვა ტყე დანომრეთ, აქ მე უნდა ვიმუშავო. ამოდ ვუხსნიდი, რომ ეს საკითხი სატყეო მეურნეობის დირექტორმა უკვე გადაწყვიტა და იქიდან მასალის გატანის უფლება მე მომანიჭა.

პირადად მეც დაინტერესებული ვიყავი იმით, რომ ეს საბუთო ხელიდან არ გამოძვლოდა: შვილი ციხიდან ახალი გამოსული მყავდა, არ მინდოდა დღე და ღამე უსაქმოდ ბირჟაზე მდგარიყო და „აცვინილ“ ბიჭებს ისევ აჰყოლოდა. გადაწყვეტილი მქონდა, ტყის ამ მასალაზე საბუთოდ ის გამეშვა. ამიტომაც შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი, მით უმეტეს, როცა კანონით მართალი ვიყავი.

მივეცი კიდევ პაატას საბუთო იარაღები, ტრაქტორი და სხვა მუშებთან ერთად ტყეში გავუშვი. შვილი ნაცემი დამიბრუნდა სახლში. არაფერი მითხრა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ არ მომეწონა – სხეულზე ჩაღურჯებები შევამჩნიე. რამდენჯერმე მოვიდა შინ ასეთ მდგომარეობაში. ხეტყით დატვირთულ მანქანას ჭიშკართან მოაყენებდა, თავად კი, თავგატეხილი, მიხეულ-მოხეული ტანსაცმლით შემოდიოდა სახლში. ხან, დავეცი – მეუბნებოდა, ხან – ვიღაცას წავეკინე კლავო. რაღაცას ვეჭვობდი, მაგრამ საკუთარ თავს ცუდ აზრებს თავადვე ვუფანტავდი. შვილის გამო შინაგანად სულ დაძაბული ვიყავი და არ მინდოდა, პატარა ეჭვი დიდი სკანდალისა და აყაღმყაღის საბაბად მიქცია, სიტუაციის გამწვავებას ვერიდებოდი. ასე დიდხანს არ ვაგრძელებდი... ერთხელაც, პაატა შინ დაბრუნდა და შემეკითხა: მამა, ერთი



გარიელ კელოშვილი

მითხარი, ვის ანტერესებს იმ ტყვიან ჩვენი გამოსვლა? – რად მეკითხები-მეთქი? – რა და, შენ აქამდე არ გეუბნებო-დი, თორემ რამდენჯერმე ტყის შესასვ-ლელთან ავტომატებიანი ხალხი დამხვდა, მითხრეს – აქ მეორედ არ მოხვიდო; როცა პასუხი მოვთხოვე და წინააღმდე-გობა გავუწიე, პირდაპირ ცემა დამიწყე-სო...

რა თქმა უნდა, ვაგებრაზდი. რომელი მამა შეიკავებდა თავს? მეც, ცხელ გულზე, შვილს ყველაფერი სიტყვასიტყვით მო-ვუყვები, რაც ელდარ კბილაშვილმა და მე ერთმანეთს ვუთხარი.

ელდარ კბილაშვილს მეტსახელად „ხალინდრაგას“ ეძახდნენ. თურმე სამეგრე-ლოში ყოფილა ვიღაც ქურდი – ხალინ-დრაგა, რომელიც იმ რაიონში „შეფობდა“. ვითომ ის კბილაშვილიც მაგარი იყო და იმ ხალინდრაგას კვალს ვაჰყვია, აბასთუ-მანსა და მთელ იმ რაიონში მის უკითხ-ავად კაცს არ უნდა გაეჭაჭანებინა... შვილთან ასეთი საუბრის შემდეგ, კბი-ლაშვილის ნათესავთან, ამასთანავე, ჩემს კლიენტთან – მურმან მინაძესთან მივედი: მურმან, ერთი მითხარი, რას ვაფუჭებთ მე და შენ? ბავშვი დავსაქმე, ჩემი მანქანითა და ჩემი „სალიარკით“, საკუთარი ხარჯე-ბით ვუშვებ და ვაძუშავებ, ციხიდან გამო-სულ ბავშვს ორი მანეთიც რომ დარჩეს აქედან, განა ამით რამე შავდება-მეთქი? შენ ნუ ნერვიულობ, ამ საქმეს მე მოვავ-ვარებო – მითხრა მურმანმა.

ამის შემდეგ ელდარ კბილაშვილი პირადად მე შემხვდა: თქვენ გამოდინართ იმ ტყვიან თუ არაო? შენ რომ კაი კაცი იყო, აქეთ დამეხმარებოდი-მეთქი – ვუთხ-არი. თავისას არ იმლიდა.

მეც უხეიროდ მომივიდა, შეცდომა დავუშვი, რომ შვილი გავრიე ამ საქმეში და ყველაფერი ვუთხარი, მაგრამ რა ვქნა – ძალიან ვიყავი ნერვებმოშლილი და ვერ მოვზომე. ამას კი, აი, რა მოჰყვა...

ერთ დღეს სოფლის ბირჟაზე პაატას ელდარი შეხვედრია. ჩემს შვილს უთქ-ვამს – ელდარ, რაშია საქმე, ადენ ხალხს რატომ მახვედრებ, თუ რამე გაქვს სათქმე-ლი, მე ვერ მეტყვიო? – შე მამაძაღლო, მამაშენს ცხრაჯერ ვუთხარი, იმ ტყვიან გამოდი-მეთქი და არ გაივინა; ტყეს თავი დაანებეთ, თორემ შუბლს გავიხვრეტო! ვინ ხარ შენ, ადენს რომ იჭიბები? მე მამაშენ-თან მაქვს საქმეო – უყვირია ელდარს და თან, ჩემი შვილისთვის სახალხოდ ცხვირ-წინ პისტოლეტი დაუტრიალებია. მაშინ პაატას უთქვამს – დედის გინებას არ შეგარჩენ, რახან პისტოლეტით გაქვს დიდი გული, წავალ და მეც ვიშოვი იარაღსო.

ჩემი შვილი თავმოყვარე, ვაჟკაცი ბიჭი იყო. ხალხის წინაშე ადენ დამცირებას არავის შეარჩენდა. ამიტომაც, მე არაფერი მითხრა, წასულა და იმავე დღეს, საღაღაც იარაღი მართლაც უშოვია. ელდართან მისი ჩხუბის შესახებ მე მეზობლებისგან შევი-ტყვე. ასომიანი კაცი ვარ, იმ პერიოდში ცუდად ვიყავი და ლოვინში ვიწეკი, შეი-

დათოს კბილაშვილების სახლის ღობესთან ძირს დაცემული ელდარი დაუნახავს. ახლოს მისულა, ელდარი დაჭრილი ყოფი-ლა. სწორედ ამ დროს ტყვიები დათოსაც და ღვიტიბესაც მოხვედრიათ. როგორც ჩანს, მსუბუქად დაიჭრნენ, მაგრამ თავს სძლიეს თურმე და როგორღაც კბილაშ-ვილისთვის მოუკიდათ ხელი. იქვე ელ-დარის ცოლიც ყოფილა. ერთად შეუყვა-ნიათ დაჭრილი სახლში. კბილაშვილს გონება დაკარგული ჰქონდა. ანჯღრის თურმე, რას არ ეცადნენ, მაგრამ ვერაფრით მოუსულიერებიათ. მეზობლებიც შეკრები-ლან, ექიმს გამოუძახებოთ – უთქვამთ. იმ აურზაურში ღვიტიბე და ჩემი შვილი პაატას ეძებდნენ, თან ექიმის დასაძინე-ბლად გამოსულან. სწორედ მაშინ დაუნახ-ავს დათოს თავისი ძმა, წაქცეული, ღობის იქით, ხრამში რომ ეგდო. როცა კბილაშ-ვილების ეზოში შედიოდა, სიბნელეში პა-ატა ვერ შეუძნევიდა, პირველად ელდარი დაუნახავს. ნახეს, რომ ჩემი შვილი წელს

## სროლები სხვადასხვა მხრიდან გაის- მოდა თურმე. როგორც ჩანს, ერთმანეთს მხოლოდ ელდარი და პაატა არ ესროდ- ნენ. ამ დროს ერთ-ერთი ტყვია ელდარ კბილაშვილს მოხვდა თავში.

ძლებს, ბავშვი ამიტომაც მოშერიდა.

იმ დღეს ჩემთან მეზობლის კაცი მოე-იდა და მითხრა: „ხალინდრაგამ“ შენს პაატას პისტოლეტი დააღო შუბლზე, ჩხ-უბი მოუვიდათ; ბიჭი გაბრაზებული გაიქ-ცა საღაღაც, ყვიროდა – იარაღი უნდა ვიშოვიო. მიხედე, შენი ჭირიბე, რამე მარცხი არ მოუვიდესო.

მაშინვე წამოვდექი ლოვინიდან, ჩემს უძვროს ვაჟს – დათოს ვთხოვე: შვილო, ტყეში შენს ძმასთან ერთად, ერთ-ერთს – ღვიტიბეს ვაძუშავებდი; სახლში წვეს, სძინავს, წადი მასთან და უთხარი, პაატა როგორმე მომიძებნოს და სახლამდე მო-მიყვანოს, ჩემი სახელით სთხოვე – მე ფეხზე ვერ ვდგები, ძალიან ცუდად ვარ, წასვლას ვერ შევძლებ-მეთქი. დათო, ღვიტიბესთან გავარდა, წავიდნენ ჩემი ბი-ჭის საძებნელად. სახლიდან რამდენიმე წუთის გამოსულები ყოფილან, როცა კბი-ლაშვილის ეზოდან ავტომატის ხმა გაუგო-ნიათ. მაშინვე იქითკენ გაქცეულან. უკვე ბნელოდა. ამ სიბნელეში ჩემს ბიჭს –

ქვევით სულ გასისხლიანებული იყო, შვი-ლი ჭრილობა ჰქონდა. ელდარი საავადმე-ოფოში წაუყვანიათ. პაატას კი, გონს რომ მოსულა, უთხოვია – სადმე ნათესავებთან შემფარებინეთ თავიო.

როგორც მოგვიანებით ხალხის მონათხრობით შევიტყვე (ეს საქმის მასალებიდანაც კარგად ჩანს), პაატა იმავე საღამოს, როცა ელდართან ბირჟაზე ჩხუბი მოუვიდა, მასთან სახლში მივიდა (ჩხუბი-სას ელდარს უთქვამს მისთვის, საღამოს ჩემთან მოდი სახლში, იქ გავარჩიოთ საქმეო...), ეზოში ელდარის ცოლი გამო-სულა, ქმრისთვის დაუძახია – ელდარ, კელოშვილი პაატა გეძახისო. ელდარის გამოსვლა გარეთ და პაატას პისტოლეტით ჩაცხრილვა, როგორც ჩანს, ერთი იყო. ჩემს შვილს თან ავტომატი ჰქონია, წაქცეულს გაუსვრია, სწორედ ის ტყვიები მოხვედრა დათოსა და ღვიტიბეს. სროლები სხვა-დასხვა მხრიდან გაისმოდა თურმე. როგორც ჩანს, ერთმანეთს მხოლოდ ელდარი და პაატა არ ესროდნენ. ამ დროს ერთ-ერთი

ტყვია ელდარ კბილაშვილს მოხვდა თავში. ეს ტყვია ჩემი შვილის ავტომატს არ ეკუთვნოდა...

ელდარ კბილაშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა. მომხდართან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დანაშაულის გასასხნელად ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას ელდარ კბილაშვილის, პაატა კელოშვილის, ღვიტიძისა და დათო კელოშვილის ჭრილობებზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისა და მათი სხეულებიდან ამოღებული ტყვიების ექსპერტიზის დასკვნები იძლევა.

აღნიშნული დასკვნების მიხედვით, პაატა კელოშვილის სხეულიდან ელდარ კბილაშვილის პისტოლექტიდან ნასროლი ექვსი და ერთი – „აკაესის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის ტყვია ამოიღეს. დათო კელოშვილი თავისივე ძმის – პაატას ავტომატის ტყვიით აღმოჩნდა დაჭრილი. იმავე ავტომატის ტყვია ამოიღეს ღვიტიძის სხეულიდანაც. ელდარ კბილაშვილს კი სასიკვდილო ჭრილობა, როგორც დადგინდა, „აკაესის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილმა ტყვიამ მიიყენა. ჩატარებული გამოძიებით გაირკვა, რომ აღნიშნული ავტომატი ადიგენის რაიონული პოლიციის თანამშრომელს – ელგუჯა მისურაძეს ეკუთვნოდა. საქმის მასალებში დაფიქსირებულია, რომ სამართალდამცავებმა ეს იარაღი ამოიღეს და იგი დღესაც ახალციხის რეგიონულ პროკურატურაში დევს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, როგორც შეგიტყვეთ, სწორედ ამ პროკურატურაში იძიებდნენ. ამჟამად ძიება შეჩერებულია. ეჭვმიტანილი – ელგუჯა მისურაძე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ოფიციალურად ძებნაშია. როგორც ამბობენ, იგი რუსეთშია გაქცეული. ის საკითხი, რომ ელდარ კბილაშვილი „აკაესის“ ტყვიით დაიჭრა და ამ ჭრილობითვე გარდაიცვალა, პაატა კელოშვილის ავტომატიდან გასროლილი ტყვია კი მას საერთოდ არ მოხვედრია, – დღემდე ღიად რჩება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტარიელ კელოშვილის მიერ ჩვენთვის მონათხრობი ამბები საქმის მასალებში დაფიქსირებულ მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება.

**გარიელ კელოშვილი:**

„პაატა შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და თავი ნათესავებს შეაფარა. ეს მოხდა 1995 წლის 1 ნოემბერს. მეორე დღეს – 2 ნოემბერს კბილაშვილებმა დალუპუ-

ლი ელდარის მამის – გივი კბილაშვილის თაოსნობით მოხვიეს ხელი ყველა ჩემს ახლობელს – ნათესავ მამაკაცებს, ვინც კი სოფელ ქიქინეთში ცხოვრობდა, ჩასხეს ისინი თავიანთ ავტომატსაში და გარდაცვლილის ნეშტთან მიიყვანეს. მერე ჩაკეტეს და ემუქრებოდნენ – თუ პაატა კელოშვილს არ გვაპოვებინებთ და არ იტყვიო, სად არის, ყველას სათითაოდ მოგკლავთო...“

ამ ფაქტის შესახებ მაშინ ადგილობრივმა პოლიციამაც შეიტყო.

**ვასილ მანაგაძე,** ახალციხის პოლიციის სამმართველოს უფროსი:

„მივიღეთ ინფორმაცია, რომ კბილაშვილების მხრიდან შეკრებილი იყო რამდენიმე კაცი, რომელთაც პაატა კელოშვილის ნათესავები სოფელ ქიქინეთიდან წაიყვანეს. იყო ვაფრთხილება – თუ მათ დროზე არ დააკავეთ, ჩათვალთ, რომ ყოველ ოთხ საათში კელოშვილების თითო გვამს გამოიტანთო. მე ოპერატიულ ჯგუფთან ერთად, მაშინვე ქიქინეთისკენ გავემუშურე“.

**გარიელ კელოშვილი:**

**გარეთ გამოათრიეს, სცემეს, თავში ქვები, ავტომატები, მუშტები ურტყეს... ყველა ერთად დაესია ძირს დაგდებულს. მერე მანქანაში – „ვილისში“ ჩასვეს. თავახდილ „ვილისში“ კარგად სწვდებოდნენ, იქაც განაგრძეს მისი ცემა.**

„კბილაშვილები პაატას ნათესავის ოჯახს პოლიციასთან ერთად მიადგნენ. დაჭრილი ბავშვი გარეთ გამოათრიეს, სცემეს, თავში ქვები, ავტომატები, მუშტები ურტყეს... ყველა ერთად დაესია ძირს დაგდებულს. მერე მანქანაში – „ვილისში“ ჩასვეს. თავახდილ „ვილისში“ კარგად სწვდებოდნენ, იქაც განაგრძეს მისი ცემა. ამის შემდეგ სოფელ ვარხანში წაიყვანეს – საბოლოო მიზნის აღსასრულებლად... ვარხანში იმ დღეს ერთ-ერთი გარდაცვლილი მოსახლის ქელები იყო. სპეციალურად იქ წაიყვანენ, რათა მერე ეთქვათ – ქელებიდან მთვრალი ხალხი გამოვიდა და გაბრაზებულმა ბრბომ ელდარ კბილაშვილის მკვლელები – პაატა კელოშვილი რომ დაინახა, ეცა და ჩაქოლა, ხალხის შეჩერება ვერ შეეძლებოდა... სინამდვილეში მოსახლეობას ამ საღიზმში მონაწილეობა არ მიუღია, თავად კბილაშვილებმა იმოქმედეს

ბოლომდე, პოლიცია კი ამ საშინელებას შორიდან უყურებდა, თითქოს სასერიოდ ყოფილიყვნენ სამართალდამცავები გამოსულები.

ნაცემი, ნაგვემი, დასისხლიანებული ბავშვი კვლავ მანქანიდან გადმოუთრევიათ, ხელში რაც კი მოხვედრიათ, თავში, მუცელში ურტყიათ, მერე კი მანქანით ზედ გადაუვლიათ... ბოლოს, ჩემი ცოცხალ-მკვდარი შვილისთვის პოლიციელებს მოუკიდათ ხელი და საავადმყოფოში მიუყვანიათ. იქ გარდაიცვალა...“

**გარიელ კელოშვილის** თქმით, ამ დროს იგი მეზობელ სოფელში ნათესავებთან იმალებოდა. „როცა მითხრეს, კბილაშვილები შენი და პაატას საძებნელად მოდიანო, მე სხვაგან გადამხადეს, პაატა – სხვაგან აფარებდა თავს. მაშინ, რა ხდებოდა ჩემს თავს, არ ვიცოდი, მერე ხალხისგან შევიტყვე დაწვრილებით ყველაფერი“.

პაატა კელოშვილის გატაცებისა და ჩაქოლების ფაქტთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეები – სოფლის მცხოვრებლე-

ბი, გულო ფარულავასა და გარდაცვლილ ომარ ენდელაძეს ადებენ ხელს. „გივი კბილაშვილს პაატასთვის არ დაურტყამს, ფარულავასა და ენდელაძეს ეუბნებოდა – თავი დაანებეთ, მე ჩემს შვილს დავპირდი, მკვლელს გულზე დაგაკლავ-მეთქი და ასეც უნდა მოვიქცე. ჯერ ეგ ცოცხალი მჭირდებაო“, – ამბობენ მოწმეები. ამასთანავე, ისინი იმ დროს იქ მყოფ პოლიციელთა უმოქმედობაზე მიუთითებენ. თავად სამართალდამცავები ამას უარყოფენ და აცხადებენ, რომ პაატა კელოშვილი სოფლის მცხოვრებლებმა ჩაქოლეს და მათ ბრბოს შეჩერება ვერ შეძლეს.

**ვასილ მანაგაძე:**

„... ხალხი ეჭვმიტანილისკენ ერთბაშად წამოვიდა. მე მათი შეჩერება უკვე ვერ შევძელი. ჰერში გავისროლე, მაგრამ ბრბო წინ მიიწვდა. უმოწყალოდ ურტყამდნენ ბიჭს. მე განსაკუთრებით იმ ფაქტმა

შემზარა, რომ იქ არც ერთი დედა, არც ერთი ქალი არ აღმოჩნდა, რომელიც იმ გამხეცებულ ადამიანებს ეტყოდა – ხალხო, გაჩერდი, რას აკეთებთო!”

**მარიამ კელოშვილი,** პაატა კელოშვილის ნათესავი, ვისთანაც ეს უკანასკნელი თავის შეფარებას აპირებდა:

„ლაშე იყო. ოჯახში ყველას გვეძინა. უცებ მანქანის სიგნალის ხმამ გამოვვალვიძა. ვაკვივონე, რომ მანქანა ჭიშკარს მოაღდა და გაჩერდა. წამოვდევით მე და ჩემი ქმარი. საათს რომ დავხედე, ღამის 2 საათი იყო. სახლში ჩვენმა მეზობელმა – ავთო ენდელაძემ პაატა შემოიყვანა. მივხვდი, რომ ბავშვი დაჭრილი იყო. სულ მთლად დასისხლიანებული, მოძრაობა არ შეეძლო, ამიტომაც ენდელაძეს იგი ხელით მოჰყავდა. მხოლოდ ორნი იყვნენ. ავთო, როგორც ჩანს, საჭესთან იჯდა.

მე მაშინვე „ფრის“ დანთება დავიწყე. თან შემფოთებული, პაატას ვუყურებდი. სულ მთლად გაფითრებული იყო და საშინლად კანკალებდა. შევეკითხე – პაატა, რა დღეში ხარ? რა მოხდა? მითხარი-მეთქი. შენი საქმე არ არისო – მოკლედ და უხეშად მიპასუხა. ამის შემდეგ მისთვის არაფერი მიკითხავს. ჯერ კიდევ „ფრის“ ვანთებდი, როცა პაატა და ჩემი ძეგლები საუბრობდნენ. პაატა ფრიდონს (მარიამ კელოშვილის ქმარი. – ავტ.) დაჭრისა და დამალვის მიზეზს არ ეუბნებოდა. მაშინ ჩემმა ქმარმა უთხრა – რა ვქნა, სახლში ვერ ვაგაჩერებო. პაატას გული მოუვიდა და გაბრაზებულმა უთხრა: კარგი, მეორე ბიძაც მყავს და იმასთან წავალ. ომარი და პაატა წავიდნენ. წასვლისას პაატამ გამაფრთხილა – არსად თქვათ, აქ რომ ვიყავიო...

დილით, როცა სამსახურში მივდიოდი, ქუჩაში რაღაც აურზაური და ჩოჩქოლი შევნიშნე. ვიკითხე: რა ხდება, რა ამბავა-მეთქი? მითხრეს – ღამით მკვლელობა მომხდარა, გამჟღავნებულაო... შუადღისას შინ ვიყავი, როცა სახლში უცნობი მამაკაცი შემოვიდა, მას ფარულაგაც ახლდა. უცნობს ხელში ავტომატის ეჭირა. მეზობელი სოფლიდან იყო და ამიტომაც არ ვიცნობდი მას. ჩემი ქმარი იკითხა, მერე ჩემს შვილებს მოჰკიდა ხელი. მე ისე დავიბენი, რომ ვეღარაფერს ვხვდებოდი. ბავშვებთან რა ვინდაო? – ვილაყამ დაუძახა. მე ვიკითხე: ვინ არის ეს კაცი-მეთქი? – ამის შვილი მოკვდაო, – მითხრეს. ამის გაგონებაზე შიშით გული გამისკდა, ცუდად გავხდი, გონება არ დამიკარგავს, მაგრამ იქვე ჩავიკეცე და ფეხზე დადგო-

მისა და ნაბიჯის გადადგმის ძალა აღარ მქონდა. ჩემი შვილებიც – მე-3 და მე-2 კლასელი ბავშვები – ისე დამინდნენ, რომ კარგა ხანს მარტოები სახლიდან გასვლას ვერ ბედავდნენ...

დაახლოებით დღის 4 საათისთვის სოფელში დიდი მანქანები შემოვკრივდით. იმ დროს ვარეთ, სახლის ღობესთან ვიჯექი და მეზობელს ველაპარაკებოდი. ხალხი გვერდით სახლში შევიდა. მალე იქიდან პაატა გამოიყვანეს, თან მიათრევდნენ, თან ურტყამდნენ. ეს ყველაფერი ჩემი სახლის კართან ხდებოდა. იმ სახლში გივი კბილაშვილი, გული ფარულაგა და ომარი ენდელაძეც იყვნენ. განსაკუთრებით ფარულაგა და ენდელაძე აქტიურობდნენ. ომარმა დიდი ქვა (სამკილოანი მინც იქნებოდა) აიღო და პაატას (როცა ეს უკანასკნელი უკვე „ვილისში“ იჯდა, ხელე-ბზე ბორკილებდადებული), უკნიდან თავში, კეფაში ჩაარტყა. მერე მუშტებით განაგრძო მისი ცემა. ცოტა ხანში, იმავე ქვას ფარულაგა სწვდა და ახლა მან მოუქნია პაატას. ქვა ბიჭს ამჯერადაც უკან – კეფასა და ბუჭებზე, ხერხემლის ზედა ნაწილში მოხვდა. პაატას პირიდან სისხლი წასკდა, თავი ჩაქინდრა, მაგრამ გონება არ დაუკარგავს, რადგან, მისუსტებული ხმით გაიძახოდა: რატომ მკლავით? წამიყვანეთ და გავარკვიოთ, მკვლელები ვარ თუ არაო... მაშინ ფარულაგამ თქვა: მამაჩემიც მოკლეს გორში, მკვლელები ციხიდან 5 წელიწადში გამოვიდა, მამაჩემი კი ამით არ გაცოცხლებულა, ჰოდა, ეს უნდა მოკვდესო... ამას ამბობდა და თან ურტყამდა პაატას. გივი კბილაშვილი აჩერებდა მათ: გაჩერდი, ნუ ურტყამთ, ნუ კლავთ. მე ჩემს შვილს პირობა მივეცი, რომ მკვლელს გულზე დავაკლავ და ასეც უნდა გავაკეთოო...

კბილაშვილებთან და მათ ნათესავებთან ერთად, შემთხვევის ადგილას პოლიციის თანამშრომლებიც იყვნენ. უმოქმედოდ იდგნენ, ამას ყველაფერს შორიდან უყურებდნენ და ხელსაც არ ანძრევდნენ. ჩვენ, სოფლის მოსახლეები, დაახლოებით 40-ნი ვიყავით. სულ ქალები და ბავშვები დავრჩით, რადგან მამაკაცები, ზოგი წაყვანილი ჰყავდათ კბილაშვილებს, ზოგიც – იმალებოდა. ქალები და ბავშვები რას ვუშველიდით პაატას?! გამხეცებულ კაცებს ჩვენ რას ვაგაჩერებდით?! მათთან ახლოსაც კი ვერ მივდიოდით, იმუქრებოდნენ – არ მოგვეკაროთ, თორემ ყველას დავხოცავთო.

ერთ-ერთმა პოლიციელმა, თუ არ ვცდე-

ბი – მანგაძემ, კბილაშვილებს უთხრა – შეჩერდი, კანონს ნუ მირღვევთო! ამაზე გივი კბილაშვილმა, გაბრაზებულმა დაიყვირა – თქვენი კანონის დედაც... ეს კაცი თქვენ არ დაგიჭურიათ, მე დაგაჭურინეთ და ახლა დამაცადეთო. მერე ყველანი მანქანაში ჩასხდნენ და ქიქინითიდან წავიდნენ. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, იქიდან ვარხანში ჩასულან. პაატა იქაც უცემიათ, რის შედეგადაც მოკვდარა...”

მოწმე ჩაჩანიძის მტკიცებით, გული ფარულაგამ პაატა კელოშვილს, ქვის გარდა, თავში ავტომატის კონდახიც ჩაარტყა. ამას, ისევე, როგორც ქვის ჩარტყმის ფაქტს, განსასჯელი კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ დაინტერესებული მოწმეები მის წინააღმდეგ ყველაფერს იგონებენ. იმავეს იმეორებს გივი კბილაშვილიც, თუმცა მომხდარის შესახებ დაწვრილებითი საუბრისგან ამ ეტაპზე თავს იკავებენ.


დაზარალებულის – ტარიელ კელოშვილის თქმით, განსასჯელები ყველა მიზანს პირადი კონტაქტებისა და სახსრების წყალობით აღწევენ:

„სწორედ ამიტომ არ ვახლავთ დღემდე დაპატიმრებული არც ერთი მათგანი. ორივეს გაუსვლელლობის ხელწერილით შეუცვალეს აღმკვეთი ღონისძიება – პატიმრობა. ერთი – კბილაშვილი სასამართლოში გამოცხადებას საერთოდ არ აპირებს, რადგან შეითთხნილი, ყალბი ცნობების მიხედვით, იგი საშინლად ძვირად იყავდა ფარულაგაც აცხადებს – ავად ვარო და ცნობები ყოველ 6 თვეში მასაც მოაქვს. ვითომ ამ მიზეზით არ აპატიმრებენ. არადა, ერთიც მშვენივრად დადის სოფელსა და სამსახურში (რისი ვიდეომასალაც მაქვს) და მეორეც მშვენივრად გამოიყურება სასამართლო სხდომებზე...”

**საყოფასწოვკაგომ-საოჯახო მომსახურების ფირმა „ღიასანლისი ბაია“**

**დაახლოებით ბინებისა და ოფისების დალაგებაში. ვალაგებთ სწრაფად და იაფად.**

**☎ 899 17 33 42; 71 77 19**



ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეორა დვალის უბის წიგნაკრძან:

1. თავი – სამეფო გვირგვინია, თავა – ჯავახური პური.
2. მთვარის ირგვლივ მკრთალი შუქის რკალს ბაკში ეწოდება.
3. საქმის ნაჩქარევად და უყვართოდ მკეთებელს საქართველოში ძველად ბალანსტარას ეძახდნენ.
4. ბაშუსტა თურქული წარმოშობის სიტყვაა და „ღიას ბატონოს“, „ბატონი ბრძანდებითს“ ნიშნავს.
5. ირიბად ნაქოვს ან ნაგებს საქართველოში თევზიფხურს ეძახდნენ.
6. „ჩვენი ცხოვრება კბილის უმტკივნეულოდ ამოდებას ჰგავს: სანამ ამოვიღებენ, შიშით ელოდები, ამოვიღებენ და ვერც ხვდები, როგორ მოხდა ეს“, – ამბობდა ოტო ბისმარკი.



7. ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებზე ორმოცდაათი სიმღერა არის შექმნილი. P.S. „დღევანდელი სიმღერების ტექსტებს რომ ვისმენ, მათი უმრავლესობა ასათიანის ქუჩა № 10-ში (ფსიქიატრიულში) დაწერილი

- მგონია.“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა ჯანსუღმა.
8. რანმანინოვის ოპერას, რომელსაც საფუძვლად ალექსანდრ პუშკინის პოემა „ბოშები“ დაედო, „ალეკო“ ეწოდება.
  9. საავიაციო კომპანია „აეროფლოტში“ 500.000 თანამშრომელი ირიცხებოდა.
  10. ფოტოგრაფის ეპიზოდურ როლს მხატვრულ ფილმში – „თოჯინები იცინიან“, ქართლოს კასრაძე თამაშობს.
  11. 1987 წელს რონალდ რეიგანის ვაჟი მოსკოვში ჟურნალ „ფლეების“ ჟურნალისტის ხარისხში იმყოფებოდა.
  12. თომას მანის რომანის, „ბუდენბროკების“, მოქმედება ქალაქ ლიუბეკში მიმდინარეობს. P.S. ამ ნაწარმოებისათვის მწერალმა 1929 წელს „ნობელის“ პრემია მიიღო.
  13. გრაფი დე ლა ფერი, ბარონი დიუ ვალონ დე ბრასიე დე პიერფონი და აბატი დ'ერბლე – ასე იწოდებოდნენ ოცი წლის შემდეგ ათოსი, პორთოსი და არამისი.
  14. 1616 წლის 25 აპრილს მსოფლიო ლიტერატურამ არნახული დანაკარგი განიცადა. ამ დღეს თითქმის ერთსა და იმავე დროს გარდაიცვალნენ მიველ სერვანტეს დე სავედრა და უილიამ შექსპირი.

ცნობილ ასტროლოგთან — მინაილ ცაბარაელთან არა მარტო ეწ. პირად პოროსკოპზე სასაუბროდ, ჯერ კიდევ მთავრობის გადადგომამდე დაგაპირეთ შესწავლრა: გვაინტერესებდა, რამდენად მართლდება ასტროლოგიისა და ბატონი მიშას პროგნოზები საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების წინასწარმეტყველებისას. მანაც საკმაოდ კონკრეტული, თუმცა მოკლე პასუხი გაგვცა, მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით. მანამდე კი, — რამ მიიყვანა მიშა ცაგარელი ასტროლოგიასთან.



# სწოხილ პასუხდაპთაი სწაღი სწნაღ დაღაღან გვაიღაღ

## ხათუნა ჯავახიშვილი

– ეს იყო მრავალი წლის წინ. სულ პატარა ვიყავი. ვუყურებდი ცას და ვფიქრობდი: რა არის ეს, რომ ანათებს? ვარსკვლავი რომ ვარდება, სად მიდის? რატომ არის მთვარე ხან დიდი, ხან პატარა? იფუშება თუ რა მოსდის? პასუხი არ იყო, რადგან რეალურად, არავინ იყო, რომ აეხსნა. როცა საშუალება მომეცა, გავცანი გარკვეულ ლიტერატურას, საინტერესო ინფორმაცია მივიღე კოსმოსური სამყაროს შესახებ, რამაც ბევრ ცხოვრებისეულ საკითხზე ამიხილა თვალი. შევიტყვე, რომ არსებობს ფარული, ასე ვთქვათ, ეზოთერული მეცნიერება, რომელსაც ასტროლოგია ეწოდება; ის ოდითგანვე ასტრონომიასთან ერთად, ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, მაგრამ შუა საუკუნეებიდან ორ ნაწილად გაიყო. ამ ინფორმაციის მიღებამ გამიხსნა სამყაროს მნიშვნელოვანი და ძალიან საინტერესო ხედვა, გამომიძეშავა განსხვავებული დამოკიდებულება ადამიანებისადმი. ახლა ყველას ვესაუბრები, როგორც კოსმობიოფსიქოლოგი ანუ – ასტროლოგი.

### – აბსოლუტურად ყველას? მეგობრებსაც?

– რასაკვირველია.  
– ასეთი ურთიერთობა ბუნებრიობას სომ არ არის მოკ-

### ლებული?

– შეიძლება, მაგრამ რეალურად, ჩვენი ცხოვრება არის ფსიქოლოგია: ადამიანი ყოველთვის ისე იქცევა და იმას ლაპარაკობს, რაც თვითონ უნდა და მხოლოდ საკუთარი პოზიცია ჰგონია სწორი. ცხოვრების მანძილზე იგი აუცილებლად შეეჯახება განსხვავებულ ფსიქოტიპს, რომელსაც არ მოსწონს მისი არც ქცევები, არც მანერები, არც სიტყვები და არც გარეგნობა და ამას მოჰყვება სერიოზული პრობლემები. როცა წინასწარ იცი, დაახლოებით რა ტიპაჟი დგას შენ წინ, ხვდები, როგორ სჯობს მასთან ურთიერთობა, რა თემაზე სჯობს საუბარი, რომ უხერხულ სიტუაციაში არ ჩავარდე.

### – ე.ი. თქვენ არასოდეს გარდებით უხერხულ სიტუაციაში?

– წინათ მქონია ასეთი შემთხვევა, ბოლო წლებში – არა, რადგან ყველას, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, ზოდატოს ნიშანს ვეკითხები და უკვე დაახლოებით ვიცი, რა ტიპის ადამიანია. ასტროლოგიის ცოდნა მიაღვილებს ადამიანებთან ურთიერთობას. რადგან ის ცხოვრების მიმართულების მაჩვენებელია. ადამიანი ან იღებს ამას, ან – არა, ეს მისი საქმეა, მაგრამ ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია. ხშირად მეუბნებიან – ნუ გვაშინებთო. არ



გაშინებთ. მე ჯერ კიდევ მაისში ვთქვი, რომ საქართველოს ელის ძალიან „ცხელი“ ოქტომბერ-ნოემბერი: იქნება მკვლევარები, საპარლამენტო არეულობები, დაიძაბება სიტუაცია... მე კი არავის ვაშინებ – ვაფრთხილებ, რომ მოსალოდნელია ასეთი ტენდენცია. საჭიროა, გამოვავლინოთ მეტი სიფრთხილე, წინდახედულობა, მოთმინება, რომ არ შევკავდეთ ერთმანეთს და თავი გავართავოთ ცხოვრებისეულ გამოცდას.

**— ე.ი. თქვენ ყოველთვის „შეიარაღებული“ ხართ?**

— ზოგადად. მაგალითად, ვიცი, რომ ახლა აღმავლობის პერიოდი მაქვს: უნდა მოვუმატო ტემპს, შეხვედრებს, მოლაპარაკებებს. იბღლიანობა თანდათან მატულობს, რომელიც 20 ნოემბრის შემდეგ შესუსტდება. აქტიურობა ცოტა უნდა შევამცირო, მეტი ყურადღება გადავიტანო ჯანმრთელობაზე. ვიცი, რომ კოსმობიოლოგიურად, აგვისტოში მაქვს ძალიან მძიმე პერიოდი, ამიტომ ყველას ვეუბნები – აგვისტოში არ ვარსებობ, ჩათვალეთ, რომ ერთი თვით უცხოპლანეტელებმა წამიყვანეს-მეთქი. აგვისტოში აუცილებლად უნდა დავისვენო.

**— სად და ვისთან ერთად ისვენებთ ხოლმე?**

— ოჯახთან ერთად, ზღვაზე ვისვენებ – ოთხ სტიქიას ვეფიცხები: მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, წმენდს ჩვენს აურას, ბიოველს. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ადამიანს წელიწადში ორჯერ – ზამთარსა და ზაფხულში დასვენების საშუალებას აძლევენ. ჩვენში კი, ბევრისგან გამიგია – 14 წელია არ დამისვენიაო – და თავი მაგარი

ბიჭი ჰკონია... ეს ნიშნავს, რომ მისი ნერვული სისტემა, აურა საშინელ მდგომარეობაშია და ამ დროს იზრდება კონფლიქტებისა და ბევრი შეცდომის დაშვების ალბათობა.

**— ბატონო მიშა, თქვენეული გათვლით, რა გველის ახლო მომავალში?**

— ნოემბერი ბოლომდე ძალიან „ცხელი“ იქნება. მე ადრევე აღვნიშნე, რომ შესაძლოა, ხალხმა ვეღარ აიტანოს არსებული მდგომარეობა და ქუჩაშიც გამოვიდეს... დეკემბერში დავწყნარდებით, მეტ-ნაკლებად ნორმალურად შევხვდებით ახალ წელს – პომპეზურად, „ქართულად“.

**— როგორ ფიქრობთ, ედუარდ შევარდნაძე დარჩება თუ არა თავის პოსტზე საპრეზიდენტო ვადის ამონურვამდე?**

— რადგან ცვლილებები შეიქმნა ქვეყნის ხელმძღვანელობაში, შეიძლება დარჩეს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ უახლოეს ნახევარ წელიწადში შეწყვიტოს მოღვაწეობა, როგორც პრეზიდენტმა. მას დიდი ალლო და ძლიერი ინტუიცია აქვს და ხშირად გრძობს, რისი გაკეთებაა საჭირო, რომ ხალხის ყურადღება ერთი ობიექტიდან მეორეზე გადაიტანოს. სანამ შეძლებს, „გაქაჩავს“, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ეს „კოჭი“ ვეღარ „გაგორდება“...

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ გაქვთ ოფისი, სადაც რიგებიც დგას ხოლმე. საინტერესოა, რა ჯდება პირადი პოროსკოპის შედგენა?**

— საზღვარგარეთ ეს დაახლოებით 20.000 დოლარი ღირს, სილვესტერ სტალონეს დედა კი, რომელიც მსოფლიოში ცნობილი ასტროლოგია, პირადი პოროსკოპის შედგენაში 40.000 დოლარს იღებს. ჩემს ოფისში პირადი პოროსკოპის შედგენა 50 ლარი ღირს, თუმცა უფასოდაც ხშირად მიწევს ამაზე მუშაობა.

**— მარტო მუშაობთ?**

— არა, ჩემ გარდა, კიდევ სამი კაცია, რომელიც მეხმარება კო-

**ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი**

**ეორა დვალის უბის წიგნაკოდან:**

15. ერკიულ პუარო, მის მარპლი, ტიმი და ტაპენსი, პარკერ ჰაინი – სწორედ ეს დეტექტივები არიან ავატა კრისტის რომანთა მთავარი გმირები.

16. დასავლეთი ქორ-შე-ვარდნის პირველად დაჭერილ ფრინველს ბავლი ჰქვია.

17. ბუნებაში სულ 30.000 ორანგუტანია დარჩენილი.

18. ივანე შიშკინის ტილოზე – „დილა ფიჭვის ტყეში“ (სწორედ ეს ნახატი ამშვენებს სახელგანთქმულ კანფეტს „და-თუნია“), დათვები კონსტანტინ სავიციკის დახატულია.

19. ახალულები – ასე უწოდებენ ახალგაზრდებს ხევსურეთში.

20. როდესაც შაჰ-აბასის შვილმა, სეფი-მირზამ, ყიზილბაშ დიდებულთა წერილი მიიღო, მამაშენი ტახტიდან უნდა გადაეკიდო და შენ უნდა გაგამეფოთო, არც კი დაფიქრებულა, მამამისს ეახლა და წერილი აჩვენა. აღტაცებული შაჰი შვილს გადაეხვია, მაგრამ ბოროტი ეჭვის ჭია მაინც შეუჩნდა გულში – „ერთიც ვნახოთ და მართლა მოუნდესო ჩემს შვილს ჩემი მოკვლა და ტახტის წართმევა!“ – ეჭვით გაგიყვებულმა შაჰმა ბებუთ-ხანი იხმო და უფლისწულის მოკვლა დაავალა. ბებუთ-ხანმა ულაპარაკოდ შეასრულა შაჰის ბრძანება და სეფი-მირზას მოკვეთილი თავი რისხვით გონებადაბინდულ მამას მიართვა...

ათი დღე-ღამე ბნელში ჩაიკეტა მგლოვიარე მამა. ათი დღე-ღამე ტიროდა და გოდებდა ცრემლმუშრობლად. ათი დღე არ ჭამდა, არ სავამდა და არავის იკარებდა.

მეთერთმეტე დღეს გარეთ გამოვიდა. გაისუნა ყველა, ვინც სეფი-მირზას მოკვლაზე კვერი დაუკრა და ყველას თავები დააყრევინა.

ბოლოს ბებუთ-ხანი გამოიძახა და უბრძანა: ჩემი შვილის თავი რომ ასე უცბად მომირბენინე, ახლა წადი და შენი შვილის თავიც მომიტანეო.

ბებუთ-ხანმა „პირნათლად“ შეასრულა მეფის ბრძანება: მოკლა შვილი, მოკვეთა თავი და მიართვა შაჰს. – „ამიერიდან გეცოდინება, რა განიცადა ჩემმა გულმა, როცა შენ მომიკალ შვილი. შეგძლია თავი ინუემო: ახლა მე და შენ ერთ ბედქვემა ვართ!“ – უთხრა შაჰმა ბებუთ-ხანს. ■



როსკოპის შედგენაში, მაგრამ პირადი კონტაქტი ადამიანებთან მხოლოდ მე მაქვს.

— **ბატონო მიშა, იმ მოსაზრების გასაფანტად, რომ მხოლოდ ვარსკვლავებთან გაქვთ ურთიერთობა, რამდენიმე სიტყვით, თქვენი ოჯახი გაგვაცანიო.**

— მეუღლე — ნანა ვაშაკიძე, ინგლისური ენის სპეციალისტია, უფროსი შვილი — ლევანი სტუდენტია, უმცროსი — სალომე 3,5 წლის არის. ასტროლოგია ოჯახშიც მესმარება: წინასწარ ვიცი, რა რეაქცია ექნებათ ბავშვებს ამა თუ იმ მოვლენაზე და ვახერხებ იმას, რომ სწორი მიმართულება მივცე და სწორი გზით წარვმართო.

— **ბიჯებზე?**

— პრინციპში, კი. ჯერჯერობით არ ვუჩივი, თანაც ბევრი ჩემი ნათქვამი მათ წინ დახვდათ.

— **მკაცრი მამა ხართ?**

— არა. ცხადია, გარკვეული მოთხოვნები მაქვს, მაგრამ თავისუფალ არჩევანს აუცილებლად ვუტოვებ. მე რეკომენდაციას ვაძლევ. მაგალითად, ბიჭი გავაფრთხილე — არასწორი გზით ივლი, ვთქვათ, მოხვდები ციხეში — შენი პრობლემაა, მე ვალდებულებას შევასრულებ — „პერედანებს“ მოგიტან, მაგრამ პრობლემა შენი გადასაწყვეტი იქნება-მეთქი.

— **მეუღლე როგორ გაიცანით?**

— ბიოქიმიის ინსტიტუტში ერთად ვმუშაობდით. მთავარი სიყვარული იყო, მაგრამ როცა გავიგე, რომ ქალწულის

ნიშნით არის დაბადებული, ამან დასაახლოებლად დამატებითი სტიმული მომცა, რადგან ქალწულსა და კუროს, როგორც არ უნდა გაურთულდეთ ურთიერთობა, იმდენად მსგავსი ნიშნები არიან, რომ ნებისმიერ სიძნელეს გაართმევენ თავს. მართლაც, რეალურად, როგორც ყველას, ჩვენც გვქონდა რთული მომენტები ცხოვრებაში, მაგრამ შინაგანი ერთიანობა და გარკვეული ცხოვრებისეული პრინციპებისადმი მსგავსი მიდგომა, ძალიან დაგვეხმარა ყველა ცხოვრებისეულ სიტუაციაში.

— **გრძნობის მიუხედავად, თქვენი რჩეული ქალწულის ნიშნის ქვეშ რომ არ ყოფილიყო დაბადებული, შექმნიდით თუ არა მასთან ოჯახს?**

— ახალგაზრდობაში ალბათ ამას არ მივაქცევდი ყურადღებას და მერე თავბელსაც დავიწყებდი... ალბათ მანაც „დაიჭირა“ ეს ერთიანობა, რაც ჩვენ გვაქვს. ყველაფერს აქვს მნიშვნელობა — ვთქვათ, ბიორიტმს: დავეშვათ, მამაკაცი „ტოროლა“ და 11 საათზე იძინებს, ქალი კი — „ბუ“ და იმავე დროს იღვიძებს. ნახეთ, რა დისკომფორტი იქმნება ოჯახში! კაციც იტანჯება და ქალიც უხერხულად გრძნობს თავს.

— **თქვენ „ტოროლები“ ხართ თუ „ბუები“?**

— ორივე „ტოროლა“ ვართ. გადასარევად გვეძინება და დილითაც მშვენივრად ვიღვიძებთ, რაც ძალიან მიმსუბუქებს ურთიერთობას. ჩემი მეუღლე „ბუ“ რომ იყოს და დამის ოთხ საათზე წვებოდეს, დილით ხომ ვერ გავაღვიძებ-

დი და ხომ ამეშლებოდა ნერვები...

— **ყველაზე სწორად რაზე კამათობთ სოლმე მეუღლესთან?**

— ძალიან იშვიათად ვკამათობთ. არც კი მასსოვს, უკანასკნელად როდის გვქონდა უთანხმოება.

— **ბატონო მიშა, რამდენადაც გიცი, თქვენი კარიერა „მეორე არხზე“ დაიწყო. დღეს ტელეკომპანია „ევერიკაზე“ მუშაობთ. როგორ მოხვედით საერთოდ ტელევიზიაში?**

— შემთხვევით. როცა საერთოდ არ ველოდი, ჩემმა კოლეგამ — ქეთი ვაწაძემ, რომელიც დაინტერესებული იყო ასტროლოგიით, ტელეგადაცემის მომზადების იდეა გამიზიარა და მასში მონაწილეობა შემომთავაზა. თავდაპირველად თავს ვიკავებდი, მაგრამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ საინტერესო იქნებოდა. პირველი გადაცემები მე და ქეთის მიგვყავდა, მერე ქეთი ჩამოშორდა ეკრანს, მე — შევრჩი. დღესდღეობით, გარდა „მეორე არხისა“, ვმუშაობ „ევერიკაზე“. „ევერიკამ“ ერთსაათიანი ეთერი და სრული თავისუფლება მომცა.

— **ძალიან მშვიდი პიროვნება ჩანხართ. რაიმეს თუ გამოჰყავხართ სოლმე წონასწორობიდან?**

— ახალგაზრდობაში ძალიან ფიცხი ვიყავი, ახლა — არა. ყველაფერს ისე ვუდგები, როგორც კოსმოსურ კანონზომიერებას: რაც მოსახდენია, ის მაინც მოხდება — გინდ გადადექი ჭკუიდან, გინდ — არა.


— **მაგრამ ნერვების დამორჩილება ადვილი არ არის...**

— რასაკვირველია, მაგრამ ადამიანი ხომ ამით განსხვავდება ცხოველისაგან! მას მიეცა ცნობიერება, რათა თვითკონტროლის უნარი ჰქონდეს. ვთქვათ, ახლობელი ადამიანი დამელუპა, მას მაქვს ჩემი სიყვარულის, ჩემი ცხოვრების ნაწილი, მაგრამ თუ გლოვა ზომიერების ფარგლებს გასცდა, თუ ამას გადაყვევი — ამით ღავანგრევე ჩემს ოჯახს, ჩემს ნერვულ სისტემას, დავაზარალებ ერსაც — რადგან კოსმოსში გაშვებული ნერვის ენერგია უკან გვიბრუნდება. სასიკეთო მოხდება ამით რამე? არა. შეიძლება შეიცვალოს — ის, რომ მალე მეც უკან მივყვე. ამიტომ, ადამიანი უნდა იყოს მდგრადი და ძლიერი, პირადად მე, ყველაფრისთვის მზად ვარ... ■



მეუღლესთან ერთად

ელგუჯა ბრიგალაშვილს უმეტესობა იცნობს, როგორც კარგ ჟურნალისტს, მოაზროვნე და ნიჭიერ ადამიანს. ბევრს მისი ლექსები ნაუკითხავს და დღემდე ვერ ივინწყებს ზოგიერთ მათგანს. სევდიანი და ტკივილით სავსე მისი სტრიქონები მხოლოდ პოეტური მელანქოლია როდია — სამწუხაროდ, ამ კაცის ცხოვრება ტკივილად იქცა. როგორც თავად ამბობს, მას უბრალოდ არ გაუმართლა. არადა, შეეძლო, ყველაფერი მშვენივრად შექონდა, ცხოვრებისთვის ფენი აეწყო და არ წაეფორხილა...



*„მე, ქოჯაჯის შვილი, ჩემიონიებს ვაყენებ ახლა ვაჭკობო...“*

**ლელა ჭანკობაძე**

თბილისში დაიბადა და გაიზარდა. მასაც, სხვა ბავშვებზე, სიბო და სიყვარული არ აკლდა. დედის მოალერსე თვალები ეგებებოდა გადვიძებისთანავე, ჩაძინებულს კი სიზმრშიც მასზე მზრუნველი დედა ეზმობოდა. ქალბატონი დუნეშა ქართველმწიფილი საუკეთესო თვისებების მქონე ქალი იყო და, ცხადია, შვილებსაც არ აკლებდა მზრუნველობას. იმედი შექმნა — ბიჭები დაიზრდებიან და სიბერეს ზღაპრად მიქცევენო. მაგრამ ელგუჯა მის დაკრძალვაზეც კი ვერ მივიდა: დედის ჩასასვენებლის მხარით ზიდვა ვერ გაბედა... ჰპირდებოდა კი — რომ მოკვდები, თეთრი ფაეტონით უნდა გაგასვენო, როგორც დედოფალი, სამოთხეში ღირსეულად მიმავალი... ყველაზე მეტად, სწორედ იმაზე წუხს, დედის ხსოვნის წინაშე რომ არ არის პირნათელი. თუმცა, სჯობს, თხრობა იქიდან დავიწყოთ, როცა მათ ოჯახში ბედნიერება სუფევდა და ყველანი ერთმანეთით ხარობდნენ.

1983 წელს ელგუჯა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. წარმატებით დაამთავრა კიდევ 1988 წელს. სტუდენტობა მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი პერიოდი აღმოჩნდა. როგორც სანიმუშო კურს-

დამთავრებული, რუსთაველი გაანაწილეს, შემდეგ კი, გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გადაიყვანეს ჟურნალისტად. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის განსხვავებული პოზიცია ჰქონდა, განსხვავებულად აზროვნებდა, იცამდა, ცხოვრობდა, — ამ გაზეთში მაინც შეძლო თავისი ადგილის პოვნა. მის ნაწერებს ცენზურა გვერდს უვლიდა, მაგრამ „სოფლის ცხოვრება“ დაიხურა და ელგუჯა იძულებული გახდა, სხვა თანამშრომლებთან ერთად, სამხედრო გაზეთში ემუშავა, საიდანაც თავისი ნებით წამოვიდა, რადგან საკუთარი აზროვნება ჩარჩოებში ვერ მოაქცია. და დაიწყო კიდევ მის ცხოვრებაში უიმედობითა და გაურკვევლობით აღსავსე ხანა. ამ პერიოდს იგი ასე აღწერს:

**ბევრჯერ დავლინე აზრის გალია, მივსდევ ცხოვრებას დაჟმინებლად, სულაც არ მიყვარს ასე ძალიან ჩემი ოქვენდამი გაუცხოება...**

უშუშევრობამ, ცხადია, მოვალეები მოუპრავლა, ცხოვრებისეულმა მყარმა პოზიციამ და პრინციპებმა კომპრომისზე წასვლის უფლება არ მისცა. თავისუფლებამ, რომელიც ასე ძლიერ ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი, სახელმწიფო სტრუქტურაში ვერ გაა-

ძლებინა. ვალების გამო ბინა გაყიდა, სხვა ბინა იყიდა, მერე ისიც გაყიდა და... ახლა ღამეს ქუჩაში ათევს.

**ბევრჯერ ცხოვრებამ თავად ამრია და მიმაწოვა ქაოსის უარის, სულაც არ მიყვარს ასე ძალიან გაუცხოება საყუთარ თავთან...**

მე და ელგუჯა შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. ის მთვრალი იყო და ტიროდა. ყველაფერს მოვიყვები, თუმცა, არ ვიცი, რომ გამოვფხიზლდები, ჩემი მონათხრობი მომეწონება თუ არაო, — მითხრა, თან დაამატა: არც ის ვიცი, როდის გამოვფხიზლდებიო...

— უმუშევარი რომ დავრჩი, უბინოლად რომ დავრჩი, ლოთობა დავიწყე. სასტუმრო „კოლხეთის“ წინ სასმელს ყიდიან ჭიქებით. ფულს როგორც კი ვიშოვიდი, მივიღოდი და ვსვამდი. ახლაც ასე ვიქცევი. ოღონდ, ახლა ვმუშაობ კიდევ: დეზერტირების ბაზარში ურიკას დავატარებ — საწყობიდან პროდუქტები გამომაქვს და ვაჭრებთან მიმაქვს. ზოგჯერ ვინმე დაიჭირავებს ჩემს „რკინის ურემს“ და კარგადაც მიხდის. ორი თუ სამი წელია, რაც „ტაჩკაზე“ ვმუშაობ. რა თქმა უნდა, შემეძლო, ჩემი სპეციალობით კარგი სამსახური მენახა, მაგრამ ხელი ჩავიქნე, ავირიე. ცუდად აეწყო ჩემი ცხოვრება.

**— პირველად რატომ მიხვედი ბაზარში? რამ მიგიყვანა ისეთ ადგილას, რომელზეც პოეტი არასოდეს ოცნებობს?**

— ფულის გასაკეთებლად მივედი. მიჭირდა, ძალიან მიჭირდა. აბა, რა მექნა, მათხოვრობა დამეწყო?

**— არ გაგიძნელდა პოეტს „ნაგავში ქეჩქა“?**

— თვალები დავსუჭე და მათხოვრობა კი არ დავიწყე — გავისარჯე. შრომა არასოდეს არის სათაკილო. ურიკა რომ არ ვარიხინო, არც ჩემი ლექსები დაიწერება. შიმშილით მოკვდები და იმიტომ. თანაც ცხოვრებისგან უკვე აღარაფერს მოვითხოვ. მთავარია, იმდენი ვიშოვო, რომ არაფი ვიყიდო და ჯიბეში საწერი ქაღალდი არ გამომეღიოს... დავლივარ და ვიმეორებ:

გრიგალივიო მეც ძლიერი დამცხა,  
უნდა წავიდე,  
გრიგალივიო მეც ბევრი  
მლანძღავს  
ან თავს მარიდებს...  
მჩიება ერთგული, მხოლოდ  
სული, ჩემი ძმაცუცია,  
ისიც წავა და დიდ სიციხეს  
ატარ დამაცდის...

— მე მინახავს შენი ლექსები პრესაში...

— ხან ჩემს ძმას ვაგზავნი გამოცემლობაში და ვატან ლექსებს, ხანაც რომელიმე ნაცნობს ან ძველ მეგობარს. უამრავი ლექსი მაქვს... ლექსს მხოლოდ მაშინ ვწერ, როცა მიჭირს. ხვდებით ალბათ, რამდენჯერ გამიჭირდა უკვე? მე კი ჯერ ორმოცამდე ბევრი მიკლია, ჯერ სრულიად ახალგაზრდა ვარ...

— სად არიან შენი მეგობრები?

— ზოგი გერმანიაშია, ზოგი — საფრანგეთში, ზოგიც... ჩემთან არ არის.

— ვის უკითხავ შენს ლექსებს? ახალ ლექსს პირველად ვის აცნობ? ვინ არის შენი პოეზიის შემფასებელი?

— „კოლხეთის“ წინ ნოდარია ერთი, ვაჭრობს. იმას ვაკითხებ ხოლმე ყველაფერს, რასაც კი დაწერ. მასაც უხარია და მეც, რომ ვიღაც მისმენს.

— ლექსებს სად ინახავ?

— როცა გავბრაზდები, ვწვავ...  
— ვიცი, რომ შენს ცხოვრებაში იყო ვიღაც, ვისზეც წერ: „ძნელი ყოფილა შენთან

შერჩევა... შენც დეზდემონას ბედი გენწევა...“

— სიყვარული, გვიან გავიგე რაც ყოფილა... სულ პატარა ბიჭს რომ შემყვარებოდა, უიმედოდ, სიყვარულის სიმწარე და სიტკბო ერთიანად რომ განმეცადა, მაშინ სხვის სიყვარულსაც დაგაფასებდი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა... წლების წინ ირინა სიღამონიძე შემყვარდა. ძალიან მიყვარდა. იმ პერიოდის ჩემი ყველა ლექსი მას ეძღვნება. ის ყოველთვის ჩემი მუზა იქნება, მაგრამ მან, ცხადია, ვერც შემინიშნა. რომ გამიცნო, უკვე ლოთი ვიყავი. იცით, როგორ ვცხოვრობ? როგორც ჩემს ერთ-ერთ ლექსშია ნათქვამი:

ივსება ყანნი ყავისფერი ტვირით,  
ჩაყ იყო, იყო, ამასაც დავლევ,  
ისე ვარ, როგორც ბოთლაში ჯინი,  
ნეწავ სვავლე თუ გავახელ  
ოვავლებს...

— იმ გოგონას რა ბედი ეწია, შენ რომ შეუყვარდი?

— ის განუმეორებელი არსება რონა ბუბუტიეშვილია. მისგან ქალიშვილი მყავს, 16 წლის ნათია გრიგალაშვილი. ისინი ფოთში ცხოვრობენ. რონა პოეტია. მან მომიძღვნა „დარდიანი ფოთოლცვენა“. ეს წიგნი ჩემი ხელით მივიტანე საჯარო ბიბლიოთეკაში. თუ დაინტერესდებით, შეგიძლიათ მიხვიდეთ, ნახოთ და გაიგოთ, როგორ მივატოვე ის, ვისაც ვუყვარდი, ვინც ჩემში მთელ სამყაროს ხედავდა, ვინც დაჩოქილი მემუდარებოდა, ხელი არ მეკრა, არ გამეწირა. მაშინ ის თექვსმეტი

წლის იყო. გულწრფელად ეწადა ჩემთან ერთად ხელჩაკიდებულს სიარული. მის გარდა, არც არავის ვყვარებოდი... ამის გაცნობიერებისას განა აუცილებელი არაა, დათვრე?!  
— მხოლოდ ეს ერთი შვილი გყავს?

— არა, მე ორი ვაჟკაცის მამაც ვარ. ისინი, დედასთან ერთად, საბერძნეთში ცხოვრობენ. ვინ იცის, რამდენი ხანია არ მინახავს. უკვე სიზმარშიც ვეღარ ვნახულობ. შეიძლება, ვნახულობ კიდევ, მაგრამ ვერ ვცნობ. მათი სუნიც კი აღარ მახსოვს. მათი დედა თამარ პაპიაშვილი გახლავთ. ბედის ირონიაა, არა?! — რონა მე თვითონ მივატოვე, მე კი, თამარმა მიმატოვა. ერთი მე გავწირე, სამაგიეროდ, მეორემ მე გამწირა. აი, ასეთია ცხოვრება. ხომ უნდა გაიღეუო ასეთი ცხოვრების გამოც... ბავშვებს, რა თქმა უნდა, ვერ ვნახულობ. ვერც საბერძნეთში მივლივარ და ვერც ფოთში.

— ღამეს სად ათევ? სად ცხოვრობ?

— სახლი არ მაქვს, ორივე სახლი გავყიდე. ამ დღეებში ფიფიას ძეგლთან მეძინა...

— ბაზარში არ მოინახა შენთვის ღამის გასათევი ადგილი?

— ბაზარში მგლური კანონია. გახსოვთ, კოლაუ ნადირაძეს რომ უწერია:

ბანალონიდან, რომიდან, სულაც  
არ ვამბობ წყურღს  
და უღვევ უფრო შორიდან  
მგლური ხანონი ყმის...

აი, ასეა ბაზარშიც.

— არ გიჭირს გაძლება?

— როცა ფხიზელი ვარ, მრცხვე-  
ნია.

— არ გიცდია ბაზრიდან გაქცევა და ყველაფრის თავიდან დანყება?

— მონასტერში გავიქეცი ერთხელ, მაგრამ იმ სიწმინდეს ჩემი სიბინძურით ვერ შევეფარე, ვერ ვიკადრე. ჩემი მოძღვარი მამა ამბროსია, თელეთის მონასტრის წინამძღვარი. მეუბნება: მოდი, აქ იცხოვრე, მაგრამ მე იქ ვერ გავძლებ. ამხელა რწმენა არა მაქვს... თელეთის მონასტერს ლექსიც დავუ-



წერე. ცნობილი ლექსია, ხშირად იბე-  
ჭდება ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთში:

**გაიარა ბევრმა რწმენის  
ცრამატენი,  
გოლგოთის გზა როდი არის იოლი,  
ცრემლენია ზეციური ამატლენის  
წმინდა ხაფენს როცა მოხდით  
მარონი...  
შეავედრე საუხუროდ ყველა  
წმინდანს  
ტვიხმშობელთ, მონასტერი  
ოელეთის...**

ზოგჯერ ვფიქრობ, ბედნიერია ის  
ხალხი, ეკლესიაში რომ დგას და სუ-  
ლის განწმენდაზე ზრუნავს. მე ისეთ  
დიდ ცოდვებს ჩავდივარ, რა უფლება  
მაქვს, ღმერთთან მისასვლელი გზა ვე-  
ძებო?! ჩემი ცხოვრება იქნებ სასჯე-  
ლია, იქნებ გაქცევაცაა საკუთარი  
თავისგან, იმისგან, რაც ღმერთმა მიბო-  
ძა, მე კი ვერ შევინახე, ვერ მოვერიე,  
ვერ გავუმკლავდი. ბედნიერიც ვიყავი  
და უბედურიც ვარ... დახმარებას მაინც  
არავის ვთხოვ. მე ასეთად გამაჩინა  
განგება, ჩემი ცხოვრება ტვირთივით  
უნდა ავიკიდო და ვატარო მანამ, სან-  
ამ არ მივაგნებ ჩემს სოფელს, ჩემს  
გოლგოთას.

— როცა საკუთარ თავთან  
პირისპირ რჩები, რაზე ფიქრობ?  
— ვფიქრობ იმაზე, ვინც მიყვარდა.

ან გონებაში ჩემს ლექსებს ვამბობ. ხანაც  
ვინსენებ ვარაზის ხევს, უნივერსიტე-  
ტის მღუმარე შენობას, თეთრ მარმარი-  
ლოს, მშვენიერ რონას, სიყვარულს —  
და აქედან ფოთში ვესაუბრები...

მისი ურიკა ჭრიალით დადის ბა-  
ზრის ტალახსა და სიბინძურეში, სხ-  
ეული გასვრილია, გული — დატან-  
ჯული, „სულს წმინდა ლოცვა რაღას  
უშველის, ან აღსარება და დიდი მარხ-  
ვა...“ სიმთვრალისგან გამუდმებით თავი  
სტკივთა. ყველაზე მეტად კი, სასმლის  
სუნი ეზიზღება:

— ნარკომანი წამალს გაიკეთებს,  
გაყვრება ამ სამყაროს და თავის სტი-  
ქიაში ისე მბრძანებლობს, არავის თვალ-  
ში არ ხდება საზიზღარი. მე კი მივდი-  
ვარ და კილომეტრზე ვტოვებ სასმ-  
ლის სუნს. მინდა, რომ მოვკვდე... თავს  
ვერ მოვიკლავ... ამაზე არც მიფიქრია...

— რაზე ოცნებობ?  
— ოცნება არ მაქვს. უბრალოდ,  
სურვილი გამიჩნდა, ჩემი ლექსები მოვა-  
გროვო, სახელად „ცოდვიანი წუთი-  
სოფელი“ დავარქვა და მე, ცოდვის  
შვილმა, ჩემნაირებს ან ჩემზე უარე-  
სებს, ჩემივე სევდით გული ვატკინო.  
— ნინ რა გელოდება?  
— არაფი. მეზიზღება და მაინც ვს-  
ვამ. მრცხვენია და თავი მაინც არ  
მოვიკალი...

რეპორაჟი



იოლია, ბედნიერმა ანუგემოს უბედური.  
ჰერაკლიტი ეფესოელი

სამარცხენოა დანაშაული, არა სასჯე-  
ლი.  
იოჰან გოტფრიდ ფონ ჰერდერი

ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს,  
ორგულიმცა შენი კვლების!  
შოთა რუსთაველი

ვისაც არა აქვს უნარი ბედით სარგე-  
ბლობისა, როცა ის მოდის, ნურც მაშინ  
ჩივის, როცა ის მიდის.  
მიგელ დე სერვანტეს საავედრა

როცა აწმყოში სატრაბახო არაფერი  
აქვთ, წარსული საქმეებით ტრაბახობენ.  
მარკუს ტულიუს ციცერონი

თუ შეგიძლიათ, ნურავის ემტერებით.  
არტურ შოპენჰაუერი

შეიყვარე თუნდაც ყველა, მაგრამ ყვე-  
ლას ნუ ენლობი.  
კახისა

სისულელე მე არ ვიცი მეტი,  
რომ სულელმა გააფრთხილოს ბრძენი,  
დღეზემზე არ გამოდგეს ყბელი  
და ღირსება არ შელახოს ჩვენი.  
იოჰან ვოლფგანგ გოეთე

თუმცა გვართ და წოდებით ბევრს  
სიმაღლე არ აკლია,  
რას არგია, როცა სულით მდაბალი  
და ლატაკია!  
ივან კრილოვი

## „შრომანის“ თმის მოვლის ინსტიტუტი თმის გვენის შეჩერება და გახშირება

10 ლდიანი ბამაჩანსალაზელი მასაჟის კურსი, თაჟის კანის მკვებაჟი  
კრემები, ლოსიონი და მენარაჟული შამპუნი; ჩანსალაზელა თმის ძირმ-  
ბი; იკურნება კანის ქაჟილი, ღაჟიჟულობა, ქერტლი.

- აბრეთჟე ზთაჟაგობთ:
1. გამწმენდ რძეს და კრემს სახისა და სხეულისათვის: აქრობს ჩირქოჟან და ალერგიულ გამონაჟარს, ასწორებს და იცავს კანს დანაოჭებისაგან და გათმიანებისაგან, აუფერულებს ჭორფლს და ლაქებს.
  2. ჭარბთმიანობის მკურნალობას მრავალკომპონენტიანი მცენარეული ექს-ტრაქტის თმის ბუდეებში შეგვლვის ორიგინალური საფირმო მეთოდით.
  3. გახლომას და ორგანიზმის გაწმენდას წიდეებისგან, უდიეგოდ, მხოლოდ მცენარეული ნაკრების საშუალებით.
  4. ხველების დამამშვიდებელ მცენარეულ წვეთებს (აჯანსალებს ფილგვებს, ასუფთაჟებს ბრონქებს, აძლიერებს ორგანიზმის იმუნიტეტს გრიჟისა და გაცივებისადმი).
  5. ღრძილების სამკურნალო მცენარეულ საჟებს (ანთება, დაწევა, მტკივანი და სისხლმდენი ღრძილები).
  6. გილისა და წილის მოსაცილებელ მცენარეულ ლოსიონს.

გეშაობთ ყოველდღე, 10-18 სთ-მდე, კვირის გარდა  
მის: ჭავჭავაძის 5, ვაკის ლეჩოჟბინატი, „მშვენიერების ცენტრი“ —  
„შრომანის“ კაბინეტი. ☎ 25 00 74



ამ ცოტა ხნის წინ თბილისში კატების მეორე საერთაშორისო გამოფენა მოეწყო. გრან-პრის მფლობელი გახდა შეუდარებელი ცეზარი — ამერიკული პეკინესის მსგავსი სპარსული კატა, თეთრი ღუნღულა ბენვითა და შესაშური კუდით (თურმე კატების ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას მათი ყურებისა და კუდის სილამაზეს აქცევენ). გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ დები — თამარ მღებრიშვილი და ვერა სოკოლოვა. ქალბატონი თამარი კატების მოყვარულთა თბილისის კლუბის პრეზიდენტია, მისი და, ვერა სოკოლოვა კი, ამ გამოფენის მოსაწყობად, საგანგებოდ ჩამოვიდა დნეპროპეტროვსკიდან და 10 ცისფერისხლიანი კატაც ჩამოიყვანა. გამარჯვებული — ცეზარიც, თბილისში თავის დროზე სწორედ ქალბატონ ვერას ჩამოყვანია. მაშინ ახლანდელი გრან-პრის მფლობელი სულ პანია კნუტი ყოფილა, ახლა კი, ის უკვე ოთხი შვილის მამაა. მისი ერთი შვილი გამოფენაზევე 100 დოლარად გაიყიდა. ძალღებისგან განსხვავებით, საქართველოში კატის კულტი არასოდეს ყოფილა. დღეს კი, სიტუაცია იცვლება. ვერა სოკოლოვას განცხადებით, კატამ „ეკოლოგის კალთაში“ მოიკალათა და ამ თბილი ადგილის დატოვებას არც აპირებს.

## ყატა — მეგობარი, მეურნალი და

# მომგებელი ბიზნესის წყარო

### ნანა ქიბიშაური

— ქალბატონო ვერა, საინტერესოა, რატომ დაინტერესდით კატების ბიზნესით?

— ცისფერისხლიანი კატა მართლაც არის მისი პატრონისთვის შემოსავლის წყარო. პირველად ძალიან გაოცდი, როდესაც ასეთ ფაქტს შევესწარი: ქალმა, ავტომობილს რომ ეყოფოდა, იმხელა თანხით კატა იყიდა! იმდენად გამიკვირდა, რომ დავიწყე ინფორმაციის შეგროვება და აღმოჩნდა: კატა სამხაგად დაუბრუნებს თავის პატრონს მასში გადახდილ ფულს — ეს მომგებიანი ბიზნესია. პირველი კნუტი ძალიან ძვირად — 800 დოლარად ვიყიდე. ამ ფულის შეგროვებაში მეზობლებიც ჩაერთვნენ, სანაცვლოდ, შემდეგ მათთვის კნუტები უნდა მიმეცა. კატამ მართლაც, 2 წლის შემდეგ სამხაგად დაიბრუნა დახარჯული თანხა. მათი მოვლა და შენახვა ძნელი არ არის: არაფერს აშავებენ, მთელი დღე წვანან დივანზე და სძინავენ. ძალიან ალერსიანი ცხოველები არიან. მაგრამ, რაც მთავარია, ექიმებმა დაადგინეს, რომ კატებს ძალიან ბევრი დაავადების განკურნება შეუძლიათ. მაგალითად, წნევის, ნაღვლის, ლვიძლის დაავადებების... ამას წინათ, ჩვენთან მოვიდა ქალი, რომელმაც გვითხრა, რომ კატამ ჩიყვი მოურჩინა, თანაც, ისეთი შხამიანი, რომ ექიმები უარს ამბობდნენ მისთვის ოპერაციის გაკეთებაზე... შინ რომ დაბრუნდები, კატა უძალ გრძნობს, როგორ გუნებაზე ხარ. მას ნებისმიერ წამალზე უკეთ შეუძლია სტრესის მოხსნა, ტკივილ-



თამარ მღებრიშვილი (მარჯვნივ) და ვერა სოკოლოვა

ისა და სხვა შინაგანი დაავადებების დროს კი, იმ ადგილზე წვება, სადაც დაავადების კერაა. ავადმყოფობა მასში გადაინაცვლებს, ადამიანი კი, თავისუფლდება. ამ თვისებით, განსაკუთრებით, უბეწვო, შიშველი კატები გამოირჩევიან. ხშირად მათ ხავერდოვან კატებსაც უწოდებენ, ჯიშს კი — დონის სფინქსი ჰქვია. ნახსენებ შემთხვევაშიც, ჩიყვისაგან ქალი სწორედ ამ ჯიშის კატამ განკურნა: ის ყოველთვის დაავადების ადგილზე ესუტებოდა და უარყოფითმა ენერგიამ მასში გადაინაცვლა. აღსანიშნავია ისიც, რომ კატები ხშირად ავადდებიან პატრონის სენით და რიგ შემთხვევაში,

კვლებიან კიდეც მათ სანაცვლოდ. ზოგჯერ კატები ძალიან სართულიდან მაშინ ხტებიან, როდესაც მათი პატრონი ისეთი ძლიერი სტრესის ქვეშ არის მოქცეული, რომ შესაძლოა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულოს...

— გამოდის, რომ ის ძალზე არანაკლებ ერთგული და თავგანწირულიც კი ყოფილა პატრონისთვის.

— დიახ, ასეა. მაგრამ მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ძალიან ყოფილ პატრონთან დაცვილების შემდეგ ვარდება ლებრესიაში, კატა კი, თვით სახლზე დარღობს უფრო მეტად, ვიდრე პატრონზე, ის უფრო ძნელად ეგუება სახლის აურის შეცვლას. ამას წინათ ვუყურებდი ტელეგადაცემას *Моя семья*, რომელშიც მიწვეული ჰყავდათ ერთ-ერთი ეკლესიის წინამძღვარი. მან თქვა, რომ ჩვენი რელიგიის მიხედვით, ყოველ ჭეშმარიტ მორწმუნეს სახლში უნდა ჰყავდეს კატა, ეზოში კი — ძალი: ისტორიულად, კატები თურმე ეკლესიებშიც ცხოვრობდნენ და მათ იქიდან არავინ ავადებდა. ძალღის სახლში ყოლა და კატის გარეთ გაგდება რელიგიურად გაუმართლებელი ყოფილა.

— აბა, რით აიხსნება ის, რომ შავ კატასთან მაგია და ჯადოქრობა ასოცირდება? ჩვენში კი, თუ კატა წინ გადაუბრუნო, ქვას ისვრიან, რომ არ დაითარსონ.

— ეს ყველაფერი ცრურწმენაა და სათავეს ინკვიზიციის პერიოდის იღებს.

დღეს ნებისმიერი ექსპერტი დაგიდასტურებთ იმას, რომ შავ კატას ოჯახში მხოლოდ ბედნიერება მოაქვს. იქ, სადაც შავი კატაა, „ავი თვალი“ არ ჭრის და არც ცუდი ენერგეტიკული ველი ვრცელდება. ვინც არ უნდა შემოვიდეს თქვენს ოჯახში და შურით ან სხვა არაჯანსაღი აზრით დაიმუხტოს, მისგან მომდინარე აურა თქვენზე არ გავრცელდება – მას შავი კატა შთანთქავს და უვნებელყოფს. ასე რომ, ის თქვენს სახლს ასუფთავებს, თვითონ კი, სხვა კატებთან შედარებით, მალე კვდება.

**— საერთოდ, რამდენ ხანს ცოცხლობს კატა?**

– მაქსიმუმ 20-25 წელი.

**— გამიგონა, რომ კატებს ფეხშიმე ქალებს არიან...**

– მეც მსმენია ამის შესახებ. ექიმები ამბობენ, რომ ისინი პლაცენტაზე ზემოქმედებენ. ეს გამორიცხული არ არის, რადგან, როგორც აღვნიშნე, მათ ძალიან ძლიერი აურა აქვთ (განსაკუთრებით, ღონის სფინქსებს) და მათი გავლენა შინაგან ორგანოებზეც ვრცელდება. მერწმუნეთ, 10 წელზე მეტია, მხოლოდ კატების ბიოლოგიით ვარ დაინტერესებული, მაგრამ მაინც მგონია: სახლში, სადაც ნორმალური ტემპერამენტის კატაა, ყველაფერი რიგზეა.

**— რომელია ყველაზე პოპულარული და გავრცელებული ჯიში, უფრო სწორად — გაყიდვის დროს რომელ ჯიშზეა უფრო დიდი მოთხოვნილება?**

– ორი-სამი წლის წინ ყველაზე დიდი მოთხოვნილებით სპარსული ჯიში სარგებლობდა: მათი კნუტები 100-დან 1.500 დოლარამდე ღირდა – ცხადია, იმის მიხედვით, რამდენად ტიტულოვანი მშობლების



შვილი იყო. აი, ამიტომ არის, რომ კატების პატრონები, ამ პირობებშიც კი, არ ერიდებიან ათასობით კილომეტრის გაფლას, რათა თავიანთ ცხოველს კიდევ ერთი ტიტული და გამარჯვება მოუპოვონ. დღეს მდგომარეობა იცვლება: ყოველ გამოფენა-დათვალიერებაზე ცხადი ხდება, რომ მყურუბლის სიმპათიები თანდათან ევოლუციური ჯიშისა და ბრიტანული კატებისკენ ინაცვლებს.

**— საქართველოში დაუჯერებელი რამ მოხდა: ერთმა ჩვეულებრივმა, თავისიჭერა კატამ, რომელიც არც ცისფერი სისხლით გამოირჩეოდა და არც რაიმე სხვა ნიშნით, გალიდან დევნილ და შემდეგ კახეთში დასახლებულ პატრონს მიაკითხა.**

– მე უამრავი ასეთი შემთხვევის შესახებ მსმენია. ეს ფენომენი ბიოლოგებმაც კი ვერ ამოხსნეს ბოლომდე და იმით შემოიფარგლნენ, რომ ნათელმხილველობას მიაწერეს. ვერავინ იტყვის, როგორ გრძნობს კატა, სად არის მისი პატრონი და როგორ იგნებს ასობით კილომეტრზე გაჭიმულ გზას მისი ადგილსამყოფლისკენ.

**— ალბათ, არც ის არის ცნობილი, რატომ ცდილობს კატა მიცვალებული პატრონის თვალები შეჭმას?**

– შარშან მითხრეს, რომ ასეთი შემთხვევის შესახებ, რომელიდაც გაზეთში დაიბეჭდა წერილი და ძალიან გამიკვირდა: ეს სისულელეა – თუნდაც იმიტომ, რომ მიცვალებულის ოთახში, მანამდე, სანამ მას დაკრძალავენ, კატას და ძაღლს არაფერი ესაქმება. თუ ვიღაცის ცოფიანმა კატამ ასეთი რამ ჩაიდინა, ეს მთელ ჯიშზე არ უნდა გავრცელდეს.

**— თქვენ ამბობთ, რომ დაავადება ადამიანიდან კატაზე გადადის. ალბათ, პირიქითაც ხდება?**

– კი, ხდება. აუცრელი კატა ბევრი დაავადების მატარებელი შეიძლება იყოს და ამდენად, საშიშიც არის ადამიანისთვის. ხშირ შემთხვევაში, უპატრონო კატები ცოფით ავადდებიან ხოლმე. ეს დაავადება ადამიანზეც გადადის. აუცილებელია, ყველა ნორმალურ სახელმწიფოში მო-



გრან-პრის მფლობელი ცეზარი

ქმედებდეს უპატრონო ცხოველების კასტრაციის მექანიზმი. მაშინ ისინი არ გამრავლდებიან და საზოგადოებისთვის საშიში არ გახდებიან. კიდევ ერთი რამ არის მეცნიერებისთვის აუხსნელი: ჩვეულებრივ, სიკვდილის წინ კატა იმალება: ის წინასწარმეტყველია და როცა ჟამი მოატანს, ის გრძნობს, იმალება და მართლობაში კვდება...

**— თქვენ თუ დაგლუპვითა კატა?**

– კი, სამი კატა დავკარგე იმის გამო, რომ ვეტერინარმა წამლის არასწორი დოზა მომცა. ისე ვტიროდი და ვნერვიულობდი, რომ ასე შეილებს ავადმყოფობაც არ განმიცდია. მერე ღაფვუქი და დეტალურად შევისწავლე მათი ორგანიზმი. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ბევრ ვეტერინარზე მეტი ვიცი – პირველადი დახმარებიდან დაწყებული, ფსიქოლოგიით დამთავრებული. ერთადერთი, რასაც ვერ გავაკეთებ, ეს ოპერაციაა და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გასაჭრელად, თუნდაც მათი გადარჩენის მიზნით, ხელი არ მემორჩილება...

**— დაბოლოს, რა შეგიძლიათ გვითხრათ გამარჯვებულის შესახებ?**

– ცეზარი მართლაც შეუდარებელია. მე ის იალტაში ვიყიდე, როგორც საუკეთესო, ჩემს სამშობლოში ჩამოვიყვანე და დას, თამარ მღებრიშვილს ვაჩუქე. სანაცვლოდ კი, ვთხოვე, აქაც ჩამოეყალიბებინა კატების მოყვარულთა კლუბი. დღეს ამ კლუბში ძალიან ბევრი კატის მოყვარულია გაწევრებული. ამ გამოფენაზე კი, 60-მდე კატა იყო წარმოდგენილი. იმდენი ხალხი მოვიდა, რომ თამამად შემიძლია ვთქვა – საქართველოში კატები უყვართ!



ეს ორი ადამიანი გარეგნულად არაფრით განსხვავდება სხვებისაგან: ჩვეულებრივი საოჯახო წყვილია, შრომობენ, ორ შვილს ზრდიან, მიჰყვებიან ცხოვრების დინებას. მაგრამ მათი ყოფა საიდუმლო განსაცდელით არის განმსჭვალული: მეუღლეები მე-20 საუკუნის ჭირად ნოდებული სენის — შიდსის (შემენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ: ისინი აივინფიცირებულები (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი) არიან. მათ იმ დროს დაუფკავშირდი, როცა შვილების — 15 წლის ერეკლესა და 13 წლის დოდოს ანალოზის პასუხებს ელოდნენ მოსკოვიდან. მალე ნანატრი პასუხიც მოვიდა — ორივე უარყოფითი. ოჯახმა შევებით ამოისუნთქა და ინტერვიუზეც სულგრძელად დამთანხმდა. ძნელი იყო საუბრის დაწყება, მაგრამ თვითონვე გამამხნევეს და, როგორც იქნა, თავი მოვთოკე.

# აივ-ინფიცირებული სოლ-ქმარი შვილების მომავალს გეგმავს

## მარი ჯაშარიძე

— თქვენთან ურთიერთობისას არ იგრძნობა, რომ ასეთ მძიმე ჯვარს ატარებთ.  
მანანა:

— ჩვენ უკვე შევეჩვიეთ. პირველად მართლაც ძნელი იყო, მაგრამ ახლა, შეიძლება 2-3 დღეც ისე გავიდეს, რომ არ გამახსენდეს ჩემი ავადმყოფობა.

— როდის და როგორ გაიგეთ პირველად, რომ აივ-ით ხართ დაავადებული?  
ლევანი:

— სამი წლის წინ გავიგეთ, სრულიად შემთხვევით: მანანა ავად გახდა. ონკოლოგიურ კლინიკაში უნდა დაგვეწვინა საოპერაციოდ, მაგრამ არა სიმსივნის დიაგნოზით. ოპერაციის შემდეგ საჭირო იყო სისხლის გადასხმა. დონორობა ვიკისრე და სისხლის ჩასაბარებლად გადასხმის ცენტრს მივაშურე. აღმოჩნდა, რომ აივ-დადებითი ვიყავი.  
მანანა:

— მე ცოტა მოგვიანებით შევიტყვე ამის შესახებ — ოპერაციის შემდეგ რომ გავეწერე და მოვლონიერდი.

— თქვენი პირველი რეაქცია როგორი იყო?  
ლევანი:

— შოკირებული დავრჩი. მაშინვე გამიელვა თავში, რომ მანანაც დაავადებული იქნებოდა და შესაძლოა, ჩვენი შვილებიც. ძლივს მივაღწიე საავადმყოფომდე. ბევრი ყოყმანის შემდეგ, ექიმს გავენდე. მაშინვე გაკეთდა მანანას სისხლის ანალიზი და აღმოჩნდა, რომ ისიც ინფიცირებული იყო. ძალიან დიდი სტრესი გადავიტანე. უბედურებას უბედურება

ემატებოდა და ვგრძნობდი, რომ სრულიად უმწეო ვიყავი.  
მანანა:

— მე ლევანისგან შევიტყვე, რომ ორივე დაავადებული ვიყავით. ერთ საღამოს, როცა ბავშვებმა დაიძინეს, საშარეულოში შემოვიდა და მითხრა — სერიოზული სასუბრო მაქვსო. მის წინ ჩამოვჯექი და მოსასმენად მოვემზადე. თვალს ვერ მისწორებდა. შიდსი მაქვსო — ამოღერდა ბოლოს. მეგონა, მეზუმრებოდა, მაგრამ წამი დამჭირდა იმის გასაცნობიერებლად, რომ სიმართლეს ამბობდა. შენც — დაამატა ბოლოს. ბავშვებს? — უხმოდ, თვალებით კეითხე, ხმამაღლა შეკითხვის შემეშინდა, უფრო სწორად — შესაძლო პასუხის გაგონების შემთხვევაში. არ ვიცო — მიპასუხა და თვალი ამარიდა. ძარღვებში სისხლი გამეყინა. ყველაზე მეტად, ბავშვები მაღარდებდა.

— მიუხედავად ამისა, მაინც სამი წლის შემდეგ გადაწყვეტიტო, გამოკვლევა ჩატარებინათ ბავშვებისთვის?  
მანანა:

— ღმერთმა ნუ წარმოვადგენინოთ, რამდენად ძნელია, მიიღო გადაწყვეტილება ამის შესახებ: როცა დანამდვილებით არ იცი დიაგნოზი, იმედი გაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, დადებითი პასუხის შემთხვევაში კი, იცი — ყველაფერი დამთავრდა: განწირული შვილების დედა ხარ და მორჩა!  
ლევანი:

— ეს ჩემთვის გაცილებით რთული იყო, ვინაიდან დადებითი პასუხის შემთხვევაში, საკუთარი შვილების მკვლელობის ტვირთი უნდა მეზიდა. ისიც მეყოფა, მანანა რომ დავლუპე.

— ეი. თვლით, რომ დამნაშავე თქვენ ხართ?  
ლევანი:

— კი. სამწუხაროდ, სიმართლეს ვერსად გავექცევით: დანაშაულის მთელი სიმძიმე მე მაწევს. ნარკოტიკებს არასოდეს გავკარებებარ. ერთადერთი მიზეზი ამ დაავადებისა, ჩემი შემთხვევითი სექსუალური კავშირია. მამაკაცები ამ მხრივ ხშირად ვცოდავთ ხოლმე. გამონაკლისი არც მე ვარ. დაავადების აღმოჩენამდე ორი წლით ადრე, მეგობარი ქალიც მყავდა. სასწრაფოდ დაუფკავშირდი, ჩემი მდგომარეობა ავუსხენი და ვთხოვე, გამოკვლევა ჩატარებინა.

— ფიქრობდით, რომ თქვენს დაავადებაში ბრალი მას მიუძღოდა?  
ლევანი:

— გამორიცხული არაფერი იყო, მაგრამ იქნებ მას მე გადავდე და დავლუპეთანაც, მასაც ქმარ-შვილი ჰყავს. საბედნიეროდ, ის ჯანმრთელი აღმოჩნდა.

— მანანა, გულახდილად მითხარით, ლევანს ხშირად საყვედურობთ ხოლმე, ამის გამო?  
მანანა:

— არა, დავიფიცებ, რომ ოჯახში არასოდეს გექონია საუბარი იმაზე, ვინ არის დამნაშავე. ფაქტია, რომ მოსახლენი, უკვე მოხდა. რაღას მომცემს ურთიერთობის გამწვავება?! ეს ორივე ჩვენგანის გასაჭირია. ალბათ ღმერთის ნება იყო ასეთი. ოჯახი საკმაოდ მცირეწლოვანებმა შექქმენით: მე 15 წლის ვიყავი, ლევანი — 16-ის. შეყვარებულები რომ ვიყავით, ლევანს ხშირად უთქვამს — ჩვენ უერთმანეთოდ ვერ ვივარგებთ, ამიტომ ერთად უნდა მოვკვდეთო. ჰოდა, ღმერთმაც ისმინა...

— უთანხმოება არ გქონდათ ხოლმე იმის გამო, რომ ლევანი



**ოჯახურ სინდრომს არ ინახავდა?**

— არა. მე და ლევანს ერთმანეთი გვიყვარდა. ვიცოდი, ოჯახს არასოდეს მიატოვებდა. ვგრძობდი, რომ მის ცხოვრებაში დროგამოშვებით სხვა ქალებიც არსებობდნენ. რომ გითხრათ, გულგრილი ვიყავი-მეთქი, მოგატყუებთ, — განვიცდიდი, მაგრამ ეს არასოდეს გამხდარა უკმაყოფილების მიზეზი, რადგან მიმაჩნდა, რომ რაც უფრო შევზღუდავდი, გააკონტროლებდი და ჩავებიდოდი, უფრო მეტ ზიანს მივაყენებდი ჩვენს ურთიერთობას.

**— მას შემდეგ, რაც შეიტყვეთ, რომ დაავადებული ხართ, დასახმარებლად თუ მიმართეთ ვინმეს? ლევანი:**

— პირველ რიგში — უფალს: მუდმივად დავდივართ ეკლესიაში, მოძღვარიც გვყავს, რომელმაც იცის ჩვენი უბედურების შესახებ.

**მანანა:**

— მკურნალობა საკმაოდ ძვირი ჯდება. ამაზე არც ვოცნებობთ. შევიძინეთ ლიტერატურა, რომელიც ცხოვრების სწორად წარმართვაში გვეხმარება.

**— ხომ შეიძლება, ქრურგიული ჩარევა დაგჭირდეთ, ან თუნდაც, სტომატოლოგის დახმარება. როგორ იქცევით მაშინ?**

**მანანა:**

— იყო შემთხვევა, როდესაც ლევანს კბილის ამოღება დასჭირდა. მივაკითხეთ ექიმს, ავუსენით სიტუაცია და დახმარება ვთხოვეთ. მოგვცა საჭირო სამედიცინო იარაღების ჩამონათვალი. შევიძინეთ, კბილი ამოუღო და ჩვენი ნაყიდი იარაღები უკან გამოგვატანა — იქნებ, კიდევ დაგჭირდეთო.

**— რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე?**

**ლევანი:**

— თითქმის არაფერი. ეგ არის, რომ მე თვითონ შევიცვალე: უფრო მიმტევებელი გავხდი ადამიანების მიმართ, ცხოვრებას თითქოს სხვა თვალთ ვუყურებ...

**მანანა:**

— ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი დრო გავატარო ბავშვების გვერდით. შვილებს გვერდიდან არ ვიცილებ. ცხოვრებას ვასწავლი, უფრო სწორად — უჩვენოდ ცხოვრებას... მიხდა, დამოუკიდებლობას მიეჩვიონ და ერთმანეთის გატანა იცოდნენ. ეს მათ აუცილებლად დასჭირდებათ. მაქსიმალურად ვცდილობ, დედამილს არაფერი წამოსტკივდეს: ჩემი შვილების ერთადერთ პატრონად ის მესახება. ყოველთვის იციან, სად დევს ფული, ან სად მაქვს ესა თუ ის ნივთი შენახული. თუმცა შინაგანად, ალ-

ბათ მაინც ვფიქრობ მომავალზე...

**— მაინც, როგორ გეახებათ მომავალი?**

**ლევანი:**

— არასოდეს მჩვეოდა გვემების „დაწყობა“ ძალიან დიდი ხნით ადრე, არც ახლა. ვცხოვრობ დღევანდელი დღით. გვემებს მხოლოდ ერთი კვირის განრიგით ვაღვებ. ამას ჩემი სამსახური მოითხოვს. დანარჩენს ცხოვრება გვიჩვენებს.

**მანანა:**

— ჩემს თავზე აღარ ვფიქრობ. თუ რამეს ვაკეთებ, მხოლოდ იმ საზომით ვსაზღვრავ, გამოადგებათ ჩემს შვილებს თუ არა. ფაქტობრივად, მხოლოდ მათ მომავალს ვქმნი. იმ გვემების განსახორციელებლად, რაც შვილებთან დაკავშირებით მაქვს, 20 წელი მაინც მჭირდება. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს მოვასწრებ. კიდევ — მომავალი უსასრულო სამყაროდ მესახება, სადაც სხეულისგან გათავისუფლებული სული უფრო მსუბუქად იფრენს...

**— თქვენს ახლობლებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

**მანანა:**

— ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი ოჯახის საიდუმლოა. მხოლოდ ლევანის დედამ იცის ამის შესახებ. თავიდან ძალიან განიცდიდა, სულ ტირიდა, ცოცხლად გამოგვივლოვა. შემდეგ ნელ-ნელა ისიც შეგეუა. ხედავდა, რომ ფარ-ხმალს არ ვყრიდით, ჩვეულებრივად ვაგრძელებდით ცხოვრებას და თვითონაც მხარში ამოგვიდგა.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენმა თანამშრომლებმა ან სხვა ნათესავებმა რომ შეიტყონ ყოველივე, მათთან ურთიერთობაში პრობლემები შეგექმნებათ?**

**მანანა:**

— ლევანი საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს. დარწმუნებული ვარ, სამსახურს იმ წუთიდან დაკარგავს, როგორც კი მისი აივ-პოზიტიურობა გამოვლენდება. იგივე მომელის მეც. ბავშვებზეც ალბათ თანატოლებისგან გაირიყებიან... ერეკლე უკვე 15 წლისაა, გოგონებს „ებრანჭება“ და არც ერთი გოგონა ახლოსაც არ გაიკარებს, რომ გაიგოს — მისი მშობლები აივ-ინფიცირებულიები არიან.

**— ბავშვებს რატომ არ უმზადებთ?**

**ლევანი:**


— ისინი ჯერ პატარები არიან. თუ მათ გაზრდას მოვესწარით, შემდეგ მოეუყვებით, თუ არა და, ვრცელი წერილი მაქვს დაწერილი მათთვის. თითქმის ყოველდღე ვამატებ ფურცლებს. წაიკითხავენ და ყველაფერს თავად განსჯიან...

**— ლევან, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს სასჯელი ღმერთმა მოგიფლინათ იმ სიყვარულის ღალატისთვის, რომელიც თქვენსა და მანანას შორის არსებობს?**

— ეს სასჯელი კი არა, ღვთის რისხვაა... ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ვცდილობდი, რაიმე საშინელი ცოდვა არ ჩამეძინა, თუმცა ხანდახან პატარა პატარა შეცდომებს შეგნებულადაც ვუშვებდი, მაგრამ ამხელა სასჯელი მცირე შეცდომებისთვის, მაინც ნამეტანია. არა, კი არ ვუწუწუებ — თუმცა, ასეც რომ იყოს, რა გასაკვირია?!

P.S. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში შიდსის 262 შემთხვევა დაფიქსირებული. ინფიცირებულთა შორის 230 მამაკაცია, 30 — ქალი და 2 — ბავშვი. ვარდაცვლილია 36 ადამიანი. საერთაშორისო ექსპერტთა აზრით, საქართველოში აივ-ინფიცირებულთა რიცხვი უკვე 2500-ს აღწევს. აღნიშნული შემთხვევებიდან 107 თბილისზე მოდის, 46 — აჭარაზე, 44 — სამეგრელოს რეგიონზე. დაავადებულთაგან 69% ინტრავენური ნარკომანია, 22,5% — პეტ-ეროსექსუალური გზით დაავადებული, 4% — ჰომოსექსუალია. დაავადებულთა საშუალო ასაკი 21-35 წელია. საქართველოში 1999 წელს აივ-ინფექციის 34 შემთხვევა დაფიქსირებული, 2000 წელს — 79, ხოლო 2001 წლის 8 თვეში — 67.

ეს მონაცემები იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ სასწრაფოდ არის მისაღები ქმედითი ზომები საუკუნის ჭირის შესაჩერებლად.



გიბონებისა და ორანგუტანების შემდეგ, პირველად ბანანს გემო ძველმა ევკიპტელებმა გაუსინჯეს. მათ ამ ნაყოფის 40-მდე ჯიში გამოჰყავდათ. შთამომავლობის დასამოძღვრად ეი, ქალაქ ფივის ედლები ბანანის მოყვანის ინსტრუქცია-სურათებით მოხატეს. მიუხედავად ამ ნაყოფის ფართოდ გავრცელებისა, ზოგი მიაჩნია ევროპელი დღემდე თვლის, რომ ბანანი ხეზე იზრდება!


ბანანი, იგივე პიზანგი სინამდვილეში ბალახია, რომელიც პალმის სახით იზრდება. ბანანის ბალახი სოლიდური, მრავალწლიანი და ზოგჯერ საოცარი სიდიდის მცენარეა. მისი ღერო სიმაღლით ათ მეტრსაც აღწევს ხოლმე, დამეტრი კი - 30-40 სანტიმეტრს.

ბანანებს შორის ისეთი სახეობაც გვხვდება, რომელსაც დასამწიფებლად თითქმის ერთი წელიწადი ესაჭიროება, მაგრამ საშუალოდ, ბანანი 75-იდან 150 დღემდე პერიოდში მწიფდება. დამწიფებისთანავე ბანანი უნდა დაიკრიფოს, მისი ღერო კი გადაიჭრას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაჭკნება. ბანანს ძირითადად დაუმწიფებლად კრეფენ, რადგან ნაყოფი კარგ გემოს და საკვებ თვისებებს მხოლოდ ხელოვნური მომწიფების პირობებში იძენს.

აღექსანდრე მაკედონელმა ბანანი პირველად ჩვენს ერამდე 326 წელს, ინდოეთში ლაშქრობისას იხილა, შხამიან მცენარედ მიიჩნია და თავის მეომრებს მისი ჭამა აუკრძალა. რა იცოდა, რომ ბანანი, მათ ფიზიკურ ძალასა და ნერვული სისტემის სიმტკიცეს შემატებდა?!

გამოჩენილმა კარლ ლინეიმ ბანანს „მუზა პარადიზიანა“ და „სამოთხის ხე“ უწოდა. მართლაც, სამოთხის ვარდა, სად შეიძლება იხილოთ ასეთი სურათი: პირდაპირ ხეზე ჰკიდია მზამზარეული დელიკა-

# საუზმეა სადილად



ტესი - სიმპათიური, გლუვი და ტკბილი, რომელიც, ამასთანავე, არც ნიჟარაშია დამალული და არც ეკლებითაა გარემოცული. ტროპიკული რეგიონების ღარიბ მცხოვრებლებს ეს პროდუქტი პურის დეფიციტსაც არ აგრძნობინებს.

ამჟამად ბანანს საკმაოდ ფართოდ იყენებენ მთელ მსოფლიოში. ბევრ ქვეყანაში მას გარნირის სახით მიირთმევენ. ასე რომ, თუ შინ კარტოფილის მარაგი გამოგელიათ, შეგიძლიათ მის ნაცვლად ბანანი გამოიყენოთ. კუბაში, ხორცთან ერთად, ბანან-ფრის მოგართმევენ, ვენესუელაში კი, ბრინჯიანი ბანანით შეგიძლიათ პირის ჩატკბარუნება: ბანანის ნაჭრებს ცხიმში წვავენ და შემდეგ მოხარშულ ბრინჯს ურევენ, შავი წიწაკითა და დაჭრილი ოხრახუშით კაზმავენ. ავსტრალიაში დიდი წარმატებით სარგებლობს ბანანის გარნირის ბიფშტექსი: ბანანს ორად ჭრიან სიგანეზე, ფქვილში

ამოავლებენ, მარილს და წიწაკას მოაყრიან, კვერცხში ამოავლებენ, ორცხობილის საფანელს მოაფრქვევენ და ალულებულ ცხიმში შებრაწავენ.

აფრიკელები ბანანს ყველა საკვებში უმატებენ - ღორისხორციან ომლეტში, ტომატის წვნიანში, ფაფაში. უგანდასა და ბურუნდში მოწეული ბანანის მოსავლის დიდ ნაწილს (იქ ორმოცდაათამდე ჯიში ხარობს) ლუდის მოსახარმად იყენებენ. სახელგანთქმული ბავარიული ლუდიც კი, ამ ხილის ლუდს ვერ შეედრება: ბანანის ლუდი 28% ალკოჰოლს შეიცავს, მათ კი, ვინც განსაკუთრებულ ყურადღებას პროდუქტის კალორიულობას აქცევს, უნდა დაიხსომონ: ერთი ბანანი ასობით კალორიას შეიცავს, - უფრო მეტს, ვიდრე საშუალო ზომის ნესვის ნახევარი.


როცა გადასაღებ მოედანზე დები მური მუშაობს, მას კუდში დაჰყვებიან

რომანოვების პრინციესა	ოჯახის მცირე წარსი	რომელი ქალაქიდან იყო არქიმედე	მეთოვანი სითხე საღებავების დასამზადებლად	საათების იაპონური ფირმა	ა. ლი
ქნ	ა	ს	გ	ა	ს
ერთ-ერთი უაქოელი კომისარი ... მიქოიანი	ადგილი თებერში	ტკეიერ- დალის გემი	პურში ... კეცი	ენც	ბოსტნეული
					კერი- ... მოსი
					როშის პაპის გვირგვინი

# ნანა

ენდი მაკლაუელი კი, თურმე ხშირად ნებივრობს ბანანის აბაზანაში: ზეთუნის ზეთთან ერთად გახეხილ ერთ კილოგრამ რბილობს, ოცდაათ ლიტრ მინერალურ წყალში ურევს. ასეთი აბაზანის შემდეგ სუპერმოდელის კანი ბავშვის კანივით ხავერდოვანი და ელასტიკური ხდება.

ტიკური ხდება. ჰიუ გრანტს ძალიან უყვარს ბანანის წენიანი, რომელსაც თავად ამზადებს. ამის გაკეთებას არც ერთ მზარეულს არ ანდობს. ის ჯერ მიქსერით თქვეფს და ერთგვაროვან მასად აქცევს ბანანის რბილობს, შემდეგ უმატებს ცხიმთან რძეს, შაქარს, მარილს, ფორთოხლის დაქუცმაცებულ კანს და ყველაფერს ერთმანეთში ურევს, მიღებულ მასას ადუღებს, შემდეგ აცივებს – და წენიანიც მზად არის.



ბანანი განსაკუთრებით რგებს მათ, ვინც გულ-სისხლძარღვთა უკმარისობას უჩივის, დაავადებული აქვს თირკმლები, აწუხებს ჰიპერტონია ან ღვიძლი. ბანანი შეუცვლელია შაქრის დიაბეტის დროს – ის ხსნის დაძაბულობას, აუმჯობესებს ძილს. ძვირფასო ქალებო, სულიერი და ფიზიკური ძალებისგან დაცლილობის დროს და კრიტიკული დღეების წინ აუცილებლად მიირთვიეთ ერთი-ორი ცალი ბანანი, ერთი ნაჭერი კი, სახეზე წასასმელად გაიმეტეთ: ბანანის ნიღაბი მცირე ხნით აქრობს ჭორფლს და ლაქებს, ამიტომ ის მნიშვნელოვანი ვიზიტის წინ, ექსტრემალური თერაპიის სახით შეგძლიათ გამოიყენოთ.

ბანანით დატვირთული ასისტენტები: სტრესის მოსახსნელად მსახიობი სწორედ ამ ხილს მიირთმევს. ყველაზე მეტად ბანანს მაინც რეკორდსმენისპორტსმენები ეტანებიან. ეს ხილი ძალიან უყვარს ცნობილ ჩოგბურთელს ბორის ბეკერს, რომელიც აღნიშნავს, რომ ზანგრძლივი და მომჭანცველი ვარჯიშის შემდეგ ბანანი სწრაფად აღუდგენს ენერჯიას, თუმცა მას ფიზიკური დატვირთვის მიღებამდე უხვად მიირთმევენ ხოლმე.



ტოპ-მოდელი ჯოდი კიდი ბანანისგან მკვებავ ნიღაბს იმზადებს: რბილობს კვერცხის ათქვეფილ ცილაში ურევს, ერთი ლიმონის წვეს რამდენიმე წვეთ ნიგვზის ზეთს უმატებს და მიღებულ მასას სახეზე ისვამს. ეს ნიღაბი მომენტალურად უხსნის ყოველგვარ დაღლილობას, კანს კი ჯანსაღ და ცოცხალ ელფერს სძენს.

ერთ-ერთი კვერცხი	ნაგერის თვლი, რომლითაც „თამამობს“ გველი	ცხენის მოხდენილად სიარული	ლიბიის დედაქალაქი	სლურგლო სწორიკუთხა სახაზავი	სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში			
ბ ა ს ი ხ ვ ე ი ო თ ო ს უ ხ ი ჯ ე მ ხ ი ვ ო ნ ი გ ო ნ ი ო მ ხ ო ს ი ვ ი ს	ინგ მიმართ. გაუთხ. ქალისაღმი	წყლის შინაური ფრინველი	ნელი. ჩვილი	შინაური პირუტყვი	ბოსტნეული	ახალი წრანის გამოსაცდელი ალგელი	უღედმაშო ბაგევი	ანხამბლი „...75“

სალომე მომიტაშვილი

# «სამაია» მოსავლიანობის საკულტო ცეკვა ყოფილა...

საქართველოს ბარში და მთაში დღემდეც კი შემონახულა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, რომელიც ისევ და ისევ მიწათმოქმედებას უკავშირდება. კარგი მოსავალი კარგ ამინდთან ასოცირდებოდა და ამიტომ, ბუნებრივია, ყოველ კუთხეს საკუთარი „სალოცავი“ ჰქონდა, გვალვაში რომ წვიმის მოყვანა „ევალებოდა“, ხოლო ხშირი წვიმების დროს – გამოდარება.

ჩვენი ნაცნობი ქალკეები სხვადასხვა კუთხეში ფიქსირდება, სახელიც სხვადასხვა ჰქვიათ და მათი ამბავიც განსხვავებულია ურთიერთისგან.

**ამბავი პირველი:**

კახეთში ენისელის ქალქვა სამი თეთრი ქვისგან არის შედგენილი. ქალქვის „წინაპარი“ საბუელი გოგილაშვილის ქალი ყოფილა, იგი აკვნიანი ბავშვით მოდიოდა თურმე მინდვრიდან. ქალს ჩასაფრებული ლეკები გადასდგომიან და მოძალადეებს რომ ხელთ არ ჩავარდნოდა, ღმერთისთვის გაქვავება უთხოვია. ღმერთსაც შეუსმენია მისი ვედრება...

... მერე, გვალვის დროს ამ ქვებს – დედას, შვილს და აკვანს – ქალები წყალში აგებდნენ. თუ წვიმები იყო, მშრალზე ამოჰქონდათ. მაგრამ ეს რიტუალი არაფრით არ აღესრულებოდა, თუ მასში გოგილაშვილის გვარის ქალი არ მონაწილეობდა. სხვა სოფლებიც რომ მისულიყვნენ, მათაც გოგილაშვილის ქალი უნდა წაეყვანათ თან.

**ამბავი მეორე:**

ფერისცვალების დღეს ქრისტე-ღმერთის „ბრძანებით“ კალო არავის არ უნდა გაეღეწა. ერთ გურჯაანელ მღვდელს დაურღვევია ეს წესი, ღმერთს მღვდლისთვის სასტიკი განაჩენი გამოუტანია, ოჯახით მიწაში ჩაუფლავს. მღვდლის ქალიშვილსა და შვილიშვილს ეს სურათი რომ უხილავთ, შიშით გაქვავებულან.

ამ ქალქვას კი შემდგომ ქიზიყელები შესთხოვდნენ უხვ მოსავალს.

ასეთი ამბები მრავლად არის ქართულ ეთნოგრაფიაში. ცნობილი ეთნოლოგი, პროფესორი გიორგი ჯალაბაძე წვიმის გამოწვევის ორიგინალურ ჭობარულ (მესხეთი) წესსაც მიმოიხილავს, რომელიც სამი მოხუცი ქალის ვედრებაში



გამოიხატება. მისივე დასკვნით, ლაზარეს წვიმის გამოწვევის ძველი რიტუალი ცეკვის ელემენტებსაც შეიცავდა. ლაზარობის ჭობარულ წესში ცეკვა „სამაიას“ ილეთები იყო წარმოდგენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ „სამაია“ მოსავლიანობის საკულტო ცეკვა უნდა ყოფილიყო.

მესხეთ-ჯავახეთში გამორჩეულია ტაროსის ღვთაებისადმი დამოკიდებულებაც, რომელსაც შორეული ფესვებისკენ მივყავართ:

გვალვიანობის დროს „დიდებაზე შემოვლა“ იწყებოდა. მოხუცი ქალები გოგონებს შეკრებდნენ და კარდაკარ დაივლიდნენ. თან „გვალვის პატარძალი“ მიჰყავდათ, თავზე ჩისტას დაადგამდნენ სპილენძის ჯამით, სახეზე ლეჩაქს ჩამოაფარებდნენ და ხელჩაკიდებულს და-

ტარებდნენ. თავიანთ მისვლას მეკომურებს (ოჯახებს) ლაზარეს სადილებელი სიმღერით ამცნობდნენ:

**„ლაზარ მოდგა ყანსაო, ანჩიატენს თვალსაო, ალარ გვინდა გორახიო, ტმერთო მოგვე წალახიო. ცხრილი აგორებულაო, წვიმა გაჩქარებულაო“.**

დაასრულებდნენ სიმღერას და ოჯახიდან გამოუტანდნენ ხონით სანთელს, ყველს, ფქვილს, კვერცხს... ასევე წყალს, რომელსაც „გვალვის პატარძლის“ თავზე დადგმულ ჯამში ასხამდნენ. ჩამოვივლიდნენ ასე, კაიძალი სანოვავე უგროვდებოდათ და ეკლესიის კარზე ან მინდვრად, ყანაში პურობას მართავდნენ. მოგვიანებით ეკლესიაც ერეოდა ამ რიტუალში. მღვდელი პარაკლისს იხდიდა და ხატს ყანაში გამოაბრძანებდა.

საინტერესო წარმოდგენა ჰქონიათ წვიმის ღვთაების ელიას შესახებ. ელია ბრმა არის, მარცხენა თვალით ვერ ხედავს, ამიტომ სეტყვას ვერ იჭერსო და სეტყვა თუ დაუშენდა, ელიას შესთხოვდნენ: წმინდა ელია, მთა-მთა იარეო, პირველ შვილს ზურგში სეტყვის მარცვალსაც ჩაუვლებდნენ, გადაიღებო, ზარსაც ჩამოჰკრავდნენ.

მესხეთში ასეც იცოდნენ: გვალვისას ორ ბავშვს პირისპირ შესვამდნენ ვირზე, საერთო საფენს გადააფარებდნენ და კარდაკარ ლაზარეს სიმღერით დაივლიდნენ. შემდეგ ისე იყო, როგორც „გვალვის პატარძლის“ ჩამოტარებისას. ამ წესს მაჰმადიანი

ქართველებიც ასრულებდნენ.

აფხაზები წვიმის გამოსაწვევად სახე-დარზე თეთრ ნაჭერს გადაფენდნენ, ზედაც გოგონას შემოასკუპებდნენ, ისიც კარდაკარ დაჰყავდათ და წყლით წუწავდნენ.

კათოლიკე ქართველებს გვალვისას ეკლესიიდან ხატი გამოჰქონდათ, წინ მღვდელი მიუძღოდათ და მინდვრად გადაივლიდნენ. ამასვე აკეთებდნენ მესხეთ-ჯავახეთში მოსახლე სომხები, რომლებიც სიმღერით მიდიოდნენ ეკლესიაში, ხატი სასაფლაოზე გაჰქონდათ. ქალები და ბავშვები კარდაკარ ბარბალიკს უმღერდნენ.

ბარბოლიკა-ბარბალიკა კი იგივე ბარბალეა, რომელსაც ქართველებიც, სომხებიც და სირიელებიც მოსავლის მფარველობას შესთხოვდნენ...

### ელენე სალარიძე

„1921 წელს ზოგიერთი ნივთი ტფილისის მუზეუმებისა და აგრეთვე ის ნივთები გელათის, მარტვილის და ხობის მონასტრებისა, რომელნიც ინახებოდნენ ქუთაისის ხაზინაში, წამოღებულ იქნა მთავრობის მიერ საფრანგეთში დასაცავად და მე დანიშნულ ვიყავ მეთვალყურედ დამფუძნებელი კრების, სამღვდელთა და თვით მუზეუმის მიერ“.

მკითხველმა, ბუნებრივია, შეიცნო საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვები, რომელიც ჯერ კიდევ 1935 წელს დაიწერა და მეცნიერს იმედი ჰქონდა, რაც შეიძლება მალე დაბრუნდებოდა სამშობლოში საგანძურთან ერთად.

მაგრამ ამის შემდეგ კიდევ 9 გრძელი წელი გაასრულა მსცოვანმა მეცნიერმა საფრანგეთში, ვიდრე ჩვენი სიმდიდრე ჩვენსავე მიწას იხილავდა.....

რა არ გადახდათ თავს ექვთიმესა და მის ერთგულ მეუღლეს ნინა პოლტორაკაიას, არცთუ ისე იშვიათად მწირი საუზმითა და ცარიელი პურით გაუტანიათ თავი, მიბარებული ნივთების გაყიდვა კი არა, გამოფენისთვისაც არ მიუციათ თანხმობა.

ვესაუბრებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წამყვან სპეციალისტს, ეთნოლოგ **ბურამ ბასიტაშვილს**:

— **ბატონო გურამ, რით შეიძლება და აქსნა ექვთიმე თაყაიშვილს ის ფაქტი, რომ მან უარი განაცხადა გამოფენათ ქართული განძი თვით ლუვრში?**

— ერისკაცმა გამოფენაზე უარი იმით ახსნა, რომ ყუთები, სადაც განძი ინახებოდა, თბილისში იყო დაბეჭდილი ქართული მუზეუმების ბეჭდით და მათი გახსნა შეუძლებლად მიაჩნდა. „ჩვენ მოვალე ვართ, ესე გაუხსნელად პატრონთ ჩავაბაროთ“ — უთქვამს. უფრო მეტსაც გეტყვით, ცნობილ ფრანგ მკვლევარს გ. მილეს გამოფენის მოწყობის სანაცვლოდ ექვთიმესთვის ალავერდისა და გელათის ოთხთავების მინიატურებისა და ქართული ხელნაწერების გამოქვეყნება შეუთავაზებია, მაგრამ ვერ „უცდუნებია“.

— **როგორ, პარიზში არავის გაუხსნია ქართული საგანძურით ავსებული უჩვეულო „ზანდუკები“?**

— გარკვეულ პერიოდამდე არავის. თუმცა მოდით, დავაზუსტოთ, რომელ „ზანდუკებზე“ ლაპარაკი: თბილისის მუზეუმებიდან 13 ყუთი წაუღიათ. ექვთიმეს მათთვის ხელი არ უხლია, ხოლო დანარჩენი ნივთები თავადვე გადაურჩე-



# განძის დაბრუნება სამშობლოში...

1945 წლის 12 აპრილს 82 წლის ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს საგანძური პარიზიდან ორი თვითმფრინავით ჩამოიტანა

ვია (გელათის, მარტვილის, ხობის, ზუგდიდის სასახლის ნივთები, მთავრობის ხაზინაში რომ ყოფილა დაცული) და მთავრობის ბეჭდით დაულუქავს — სულ, იმ ცამეტისანად, ოცდაცხრამეტი ყუთი მოგროვებულა.

— **ზუგდიდის სასახლის ნივთების ხელში ჩაგდებაც ხომ უნდოდათ?**



— დიას, რამდენჯერმე გაიმართა სასამართლო. თავად მინერელსკის ასულმა სალომემ, ობოლენსკის ქვრივმა, საჩივარი შეიტანა, რომ ზუგდიდის ნივთები მას ეკუთვნოდა. არაფერი გამოუვიდა ქონებისმაძიებელ გაფრანგებულ მინერელსკის ასულს. ექვთიმე თაყაიშვილი ასე იოლად არავის დაუთმობდა ერის საკუთრებას. საკუთარ თავსაც არ აძლევდა უფლებას, რომელიმე ნივთი ან ხელნაწერი აეღო და „შესწავლის ობიექტად გაეხადა“, ვაითუ, დამეკარგოსო, შიშობდა.

— **ამასობაში კი, გავიდა მთელი 23 წელიწადი... რამდენადაც ვიცი, ერთხელ უმიზნოდაც გახსნეს მარსელში დალუქული განძი...**

— ეს 1935 წელს მოხდა, როცა მარსელის ბანკიდან პარიზის ბანკში გადაიტანეს საგანძური.

ფრაგმენტი ექვთიმე თაყაიშვილის წერილიდან აკადემიკოს უკუოლ ბერიძისადმი: „მოვხუცდი, ფეხიც დამიშავდა, ძლივს დავდივარ. დღეს ვარ, ზვალ აღარ ვიქნები და ჩემთვის მეორე სიკვდილი იქნება, თუ ეს ნივთები ან მისი ნაწილი დაგვეკარგა; თქვენ უწყით, თუ რა წილი მიდევს მე მათ შეკრებაში და მათი დღევანდელი მღვთმარობა მტანჯავს. ვერ დავმშვიდდები, სანამ ეს ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდება და მუზეუმს არ ჩაბარდება“.

— **როდის აღასრულა ეს, იმ პერიოდისთვის მართლაც განუხორციელებელი ოცნება?**

— როცა სამამულო ომი ისევ მძვინვარებდა, 1944-ის ბოლოს, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა კიდევ ერთხელ „შეახსენა“ იოსებ სტალინს საფრანგეთში გატანილი საქართველოს განძის შესახებ. იმ პერიოდში, სტალინისა და გენერალ დე გოლის, შეხვედრისას, როგორც გაირკვა, მათ მარტოოდენ ომის დამთავრების ერთობლივ გზებზე არ უსაუბრიათ...

ერთი სიტყვით, 1945-ის 12 აპრილს, როცა ომის ქვეშევრდები ისევ გრუხუნებდა, თბილისის აეროდრომზე ორი საბჭოთა თვითმფრინავი დაეშვა, რომლითაც საქართველოს სიმდიდრე ჩამოიტანა ქვეყნის მეჭურჭლეთუხუცესმა — 82 წლის ექვთიმე თაყაიშვილმა...

ჩვენი მომღეწო საუბრები სწორედ ამ საგანძურს დაეთმობა (თუმცა, ზოგიერთი ნივთის შესახებ წინა წერილებში მოუუთხრობდით მკითხველს).

**სურათზე: ალავერდის ოთხთავის (1054 წ.) მინიატურა, მხაგვარი იოანე დვალი. (ვერც ამ ოთხთავის გამოქვეყნების დაპირებამაც აცლუნა ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს კუთვნილი განძის გამოფენის უფლება არ მისცა ფრანგებს).**



„ფორმულა 1“-ის ავტორბოლებს მსოფლიოს მილიონობით ადამიანი ადევნებს თავს. სხვადასხვა გუნდის ღირსების დამცველი ავტოპილოტებიც თავს არ ზოგავენ, რათა გულშემატკივრებს იმედი არ გაუცრონ, საკუთარი პროფესიონალიზმში მაქსიმალურად გამოავლინონ და მორიგი გამარჯვება იხეიმიონ. ერთი შეხედვით ყველაფერი გასაგებია: ვინც ყველაზე უფრო ფილიგრანულად მართავს ავტომობილს, ფინიშთანაც პირველი ის მიდის და გამარჯვების აღსანიშნავად შამპანურსაც ის მიირთმევს. „ფორმულა-1“-ის თანამედროვე როლმა მართლაც ერთი დიდი შოუა, მაგრამ ამ თავლისმომჭრელი სანახაობის მიღმა, შეუმჩნეველი რჩება მრავალი ადამიანის ფიზიკური თუ ინტელექტუალური შრომა, საავტომობილო წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ავტორბოლებში მონაწილე თითოეული გუნდის ხანგრძლივი, საინტერესო ტრადიცია. სწორედ ასეთი გუნდების რიცხვს მიეკუთვნება ლეგენდარული FERRARI, რომელიც ბოლო წლებში „ფორმულა-1“-ის უცვლელ ლიდერად რჩება.

# FERRARI

## «ფორმულის ნაღბანდის სუპერმობილი»



ენცო ფერარი

### გზა უორების ნაღბანდობიდან ავტოკორპორაციის შეფობამდე

„ფორმულა-1“-ის როლებში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, მისაელ შუმასერის წითელ FERRARI-ს კარგად ნაცნობი ემბლემა – ყვითელ ფონზე გამოსახული, ყალფზე შემდგარი შავი ცხენი – ამშვენებს. დღეს ალბათ ბევრმა არ იცის, რომ FERRARI-ს ინდუსტრიის წარმატებაც და თვით მისი საყოველთაოდ პოპულარული ემბლემის აღმოცენებაც, ერთი უცნაური და ამავე დროს მიზანსწრაფული იტალიელის სახელთანაა დაკავშირებული, რომლის ხასიათშიც ერთნაირად იყო შერწყმული ცინიზმი და სენტიმენტალობა, სიამაყე და ცბიერება.

იტალიაში ფერარის გვარის მრავალი წარმომადგენელი ცხოვრობს, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთმა – ენცო ფერარამ – შეძლო თავისი გვარის უკვდავყოფა, როდესაც მან იგი საკუთარი ფირმის მიერ შექმნილ ავტომობილს უწოდა. გავიდა წლები და FERRARI-ს სახელით ცნობილი სპორტული მანქანის განუმეორებლობასა და მშვენიერებაზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა.

გრაფი ენცო ანსელმო ფერარი ქვეყანას 1898 წლის 18 თებერვალს მოველინა მოდენის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე დიდ სახლში, რომლის ახლოსაც მამამისის, ალფრედო ფერარის კაგების

სახელოსნო მდებარეობდა. იმ პერიოდში ბოლონია და მისი მომიჯნავე მიწები იტალიური მსუბუქი მრეწველობის ცენტრს წარმოადგენდა და ყველა ადგილობრივ მცხოვრებს მასთან შეხება ჰქონდა. ენცო ისეთი ტექნიკოსებისა და კონსტრუქტორების გარემოში იზრდებოდა, როგორებიც იყვნენ: მედარლო ფანტუცი, სერჯიო სკალეტი, ძმები მაზერატები და ედუარდო ვებერი. შემდგომში მათ მიერ შექმნილმა კარბურატორებმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

ალფრედო ფერარის საქმეები საკმაოდ ნორმალურად მიდიოდა და მისი ოჯახიც ხელგაშლილად ცხოვრობდა. მოდენაში ერთ-ერთი პირველი საკუთარი ავტომობილი სწორედ ფერარების ოჯახმა შეიძინა. 1916 წელს, პნევმონით დაავადებული ალფრედოს გარდაცვალების შემდეგ სახელოსნო დაიწვა, ხოლო ახალგაზრდა ენცომ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ჯარში წავიდა. იტალია-ავსტრიის ფრონტზე ენცო ფერარი არტილერიაში გაამწესეს, სადაც მას საკმაოდ მოკრძალებული ფუნქცია დააკისრეს – ჯორების ნაღბანდობა, რომელთა საშუალებითაც მთის უღელტეხილებზე ტვირთის გადატანას აწარმოებდნენ. ომის შემდეგ ენცო ტურინში გადაბარგდა, სადაც უიმედოდ ცდილობდა „ფიატის“ კომპანიის ქარხანაში სამსახურის დაწყებას. ასეთივე უშედეგო აღმოჩნდა მისი მცდელობები, როდესაც ჯერ ოპერის მომღერლობა,



შემდეგ კი, ჟურნალისტიკა მონდომა.

1918 წელს ფერარი მილანში, კერძო ფირმა CMN (COSTRUZIONI MECCANICHE NAZIONALI)-ში მრბოლელად და ტესტ-პილოტად მიიღეს. 1919 წელს კი ენცომ სიცილიაზე, თავის პირველ ავტორბოლაში „ტარგა ფლორიო“ მიიღო მონაწილეობა. ავტობილოტის რანგში ფერარის განსაკუთრებული დიდებისთვის არ მიუღწევია, თუმცა მას რამდენიმე მსხვილ საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობის მიღების საშუალება მიეცა. 1931 წელს ენცო სპორტს ჩამოშორდა. იმ დროისთვის უკვე ათი წელი იყო გასული, რაც იგი „ალფა-რომეოსთან“ თანამშრომლობდა. ამ კომპანიაში ენცო ფერარი მუშაობდა ტესტ-პილოტად, მრბოლელად, გასაღების ასისტენტად. ბოლოს კი, „ალფა რომეოს“ სარბოლო განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა დაიკავა, რომელზეც 1939 წლამდე იმყოფებოდა.

„ალფა რომეოში“ მოღვაწეობის პარალელურად, ენცო ფერარი არც საკუთარ მისწრაფებებს ივიწყებდა და 1929 წელს მან მოდენაში კომპანია SCUDERIA FERRARI დააარსა, რომლის მთავარი მიზანიც რბოლებში მონაწილეობა იყო, რამაც შემდგომში ავტომრბოლელთა ახალი, ოფიციალური გუნდის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. დაგეგმილი იყო, რომ „ფერარი“ დაიქირავებდა პროფესიონალ მრბოლელებს და ამასთან ერთად, მანქანებს მდიდარი ავტომოყვარულებისათვისაც დაამზადებდა. „ფერარის“ პირველი კლიენტი ენცოს გულითადი მეგობარი, საოპერო მომღერალი ჯუზეპე კამპარი გახლდათ.

1940 წელს SCUDERIA FERRARI „ალფა რომეოს“ შემადგენლობიდან გამოვიდა და დამოუკიდებელ კომპანიად ჩამოყალიბდა სახელწოდებით AUTO AVIO COSTRUZIONI FERRARI. ახალმა კომპანიამ რომში ეროვნული საავიაციო კომპანიისთვის დაიწყო მუშაობა, თუმცა ამ ყველაფერს წინ უსწრებდა ენცო ფერარის „სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა“ „ალფა რომეოსთან“.

1943 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს FERRARI-ს სახელოსნო მოდენიდან მარანელოში გადაიტანეს, მაგრამ ერთ წელიწადში ის განადგურდა. ხელმეორედ FERRARI-ს სახელოსნო 1946 წელს ააშენეს.

**ჭირვეული ხელმძღვანელი**

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ენცო ფერარის, ელემენტარული წვლილიც კი არ შეუტანია იმ საოცარი მექანიზმის შექმნის პროცესში, რომელმაც მას მთელ

მსოფლიოში აღიარება მოუტანა. სინიორ ენცოს გენია სულ სხვა, ავტომშენებლობისაგან შორს მყოფ სფეროებში გამოვლინდა. მას შეეძლო მართვა, ადამიანებით მანიპულირება, სხვების შრომის ორგანიზება და ამ ყველაფრის საკუთარი ინტერესებისთვის დაქვემდებარება. შემდგომში ფერარის საქმიანობის შესახებ გავრცელებული ათასგვარი ინფორმაცია ისე აირია ერთმანეთში, რომ უკვე ძნელი იყო მითების სინამდვილისგან გარჩევა. აღსანიშნავია, რომ ამ ლეგენდების მთავარი გამავრცელებელი თავად ენცო ფერარი იყო. საკმარისია გავიხსენოთ, თუნდაც ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ მოსვლია თავში 12 ცილინდრიანი ძრავის დაყენების იდეა სპორტულ მანქანაზე ენცოს, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს. ახალგაზრდა ფერარი სიკვდილამდე მიუყვანია თავისი შტაბის „პაკარდის“ დეპუტის. მეოთხედი საუკუნის შემდეგ კი, იგი თავის კონსტრუქტორს, ჯოაკინო კოლომბოს ჰკარნახობდა, თუ როგორ უნდა დაეპროექტებინა ამ უკანასკნელს გენიალური ძრავა B12.

საერთოდ, ენცო ფერარი ერთი უცნაური, ახირებული კაცი ყოფილა. ის ინტრიგებს ეთაყვანებოდა და ხშირად საკუთარი ინტერესების საზიანოდ მასში მთელი არსებით ჩაეფლობოდა ხოლმე. ამას კი, მხოლოდ იმ „სასიამოვნო პროცესის“ გამო აკეთებდა, რომელსაც თავისივე მოგონილი ათასგვარი ხრიკის წყალობით აღწევდა. 1953 წელს ალბერტო ასკარიმ მეორედ მოაპოვებინა FERRARI-ს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, თუმცა მალევე დატოვა გუნდი, რადგან ჭირვეულ ენცოსთან შემდგომი სეზონისთვის კონტრაქტის გაგრძელების პირობების თაობაზე შეთანხმება ვეღარ შეძლო. ასკარის სხვებიც მიჰყვნენ.

ხუან მანუელ ფანხიო, ჯონ სარტისი, ფილ პილი, ნიკი ლაუდა... ისინი საუკეთესონი იყვნენ და გუნდისთვის გამარჯვებები მოჰქონდათ, შემდეგ კი, მიდიოდნენ, რადგან მოხუ-

ცი ფერარის გულის მოგებას მაინც ვერ ახერხებდნენ. ენცოს ღრმად სჯეროდა იმისი, რომ ყველა რბოლას მისი საოცარი მანქანები იგებდნენ, ხოლო პილოტებს, რომლებიც მათ მართავდნენ, არავითარი წვლილი არ მიუძღოდათ FERRARI-ს დიდ გამარჯვებებში და ისინი გუნდს ეტმასნებოდნენ. ამიტომ ენცო ფერარი ყოველი მომდევნო მრბოლელის სხვა გუნდში გადასვლას აღიქვამდა, როგორც მის მიმართ გამოჩენილ უმადურობასა და უსაფუძვლო თვითდაჯერებულობას. FERRARI-ს დატოვება სკანდალის გარეშე, ფულისა და სახელის დაუკარგავად, ნებადართული მხოლოდ მათთვის იყო, ვისაც სპორტიდან საერთოდ წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. თავის დროზე FERRARI-ს რიგები სწორედ ასე დატოვეს მაიკ ჰოტორნმა და ჯოდი შეხტერმა.

**ლეგენდარული მოდელი**

1947 წელს ენცო ფერარის კომპანიამ შეიმუშავა სპორტული ავტომობილის ძრავის ახალი მოდელი, რომელმაც ნამდვილი ფურორი მოასდინა ავტომოყვარულთა წრეებში. FERRARI-ს მიერ გამოშვებული ახალი სპორტული ავტომობილი, რომელსაც 125-ე მოდელი უწოდეს, საკმაოდ უშნო მანქანა იყო. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს ენცოს ცნობილ გამოთქმას: „მე, უზრალოდ, ძრავებს ვამზადებ, შემდეგ კი, მათ ბორბლებს მივახრახნი ხოლმე“, – ამბობდა FERRARI-ს თავკაცი. 125-ე მოდელის ხელით დამზადებული, ორადგილიანი, ალუმინის კორპუსის ქვეშ, პატარა, უნიკალური ძრავა B-12 იმალებოდა. ძრავა მხოლოდ ლიტრნახევრიანი მოცულობისა იყო, ხოლო მასში ნეკა თითის სისქის დეჟში მოძრაობდა. FERRARI-ს საფირმო ემბლემით დამშვენებული B-12 შესანიშნავი კონსტრუქტორების, ჯოაკინო კოლომბოსა და ლუიჯი ბაცის პირშმოს წარმოადგენდა. თავად ენცო ფერარი კი, არასოდეს მალავდა იმას, რომ კომპანიის მიერ პირველი სპორ-



ტული ავტომობილის შექმნაში მონაწილეობა არ მიუღია. „მე არასოდეს მივიჩნევდი თავს კონსტრუქტორად ან გამოგონებლად, – ამბობდა იგი, – ჩემი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ ყველაფერს ემუშავა და მოგება მოეტანა“. გენიალური ავტომექანიკოსი ლუიჯი ბაცი ენცო ფერარის ძველი ნაცნობი იყო. სხვათა შორის, ბაცი გახლდათ FERRARI-ს თანამშრომელთა შორის ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა, თუ რა ხდებოდა ბოსის კაბინეტში შუადღის პაპანაქება სიცხის დროს ან რით იქცეოდა იგი თავს საღამოს, სამსახურიდან წასვლის შემდეგ. როდესაც FERRARI-ს ოფისს ტოვებდა, ენცო ან საყვარელთან მიდიოდა, ან კიდევ უახლოეს სასტუმროში შეივლიდა ხოლმე, რათა რომელიმე ახალგაგნობილ გოგონასთან სიყვარულს მისცემოდა.

პირველი ადამიანი, რომელიც 125-ე მოდელით მარანელოს ქარხნის კარიდან გამოვიდა, რა თქმა უნდა, თავად ენცო ფერარი იყო. მან გაიარა ბეტონის გზატკეცილი (რომლითაც დღესაც მორიგ რბოლაში მონაწილეობის წინ უზარმაზარი წითელი სატვირთო მანქანით შუმასერის FERRARI გადააქვთ ხოლმე), მაგრამ მალე უკანვე მიბრუნდა. როგორც გაირკვა, ძრავა ჟონავდა და ავტომობილის შეუღებავი კაპოტი ზეთით იყო დასვრილი. მაშინ ენცო ფერარი 49 წლის იყო და აღარც ავტორბოლებში მონაწილეობდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ 1947 წლის იმ სუსხიან დღეს მან FERRARI-ს ტრადიციას დაუღო სათავე. დღესაც ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, კომპანია უცვლელად იცავს რიტუალს: ყოველი ახალი მოდელის ავტომობილი ისევე გამო-

ჰყავთ გამოსაცდელ გარბენზე ქარხნის კარიდან, როგორც ეს პირველად, 125-ე მოდელით, FERRARI-ს ბოსმა შესრულა.

1960 წელს FERRARI სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა. 1969 წლიდან კომპანია FIAT-ი მისი აქციების 50%-ს ფლობდა, 1988 წელს კი საერთოდ, მის მთავარ აქციონერად იქცა. 1963 წელს ენცო ფერარიმ მარანელოში ავტომობილელთა საკარჯიშო სკოლა ააშენა. FERRARI-ს კომპანია წლების განმავლობაში ისევე იცვლიდა სახეს, როგორც იცვლებოდა მის მიერ გამოშვებული სპორტული ავტომობილების იერი და ტექნიკური თვისებები. ამ ხნის მანძილზე FERRARI-მ და მისმა თავაკაცმა არაერთ დიდ წარმატებას მიაღწიეს. ენცო ფერარის ხელმძღვანელობით კომპანიამ მიუღო მსოფლიოში 5000-ზე მეტი რბოლა და 25 მსოფლიო დონის ტიტული მოიგო. ლეგენდარული ავტომობილის შემქმნელი, რომელსაც ვაჟიშვილის სიკვდილის შემდეგ მუქი სათვალე აღარ მოუხსნია, 1988 წლის 14 აგვისტოს გარდაიცვალა. ენცო მშობლიურ მოდენაში, სანტ-კატალდოს სასაფლაოს მიწას მიაბარეს.



**სარემონტო სადგომებზე**

გამარჯვებები „ფორმულა-1“-ის შეჯიბრებებში, არა მარტო მათი გარჯით მიიღწევა, ვინც ყველაზე სწრაფად მიაქროლებს სპორტულ ავტომობილს, არამედ მათი პროფესიონალიზმითაც, ვინც რბოლების დროს მშვიდად დგას შუალედურ სარემონტო სადგომებზე. ავტომექანიკოსები სწრაფი, უზუსტესი მოძრაობებით წამის მეათედ დროს ზოგავენ.

სარემონტო ზონაში შესვლა ურთულესი ამოცანაა, რომლის შესრულება მხოლოდ უდიდეს პროფესიონალებს ძალუძთ.

სადგომთან მიახლოებისას ხომ ავტომობილის სიჩქარე 120 კმ/სთ-ია, მაგრამ შუმასერისთვის ეს, რა თქმა უნდა, პრობლემას არ წარმოადგენს. იგი თავისი წითელი „ფერარით“ „მიფრინავს“ და ზუსტად მექანიკოსების გვერდით ამუხრუჭებს ხოლმე. ის რაც შემდგომში ხდება, რეპეტიციებზე კარგად დამუშავებულ ქორეოგრაფიულ ნომერს მოგვაგონებს (ოღონდ „ცეკვის“ შემსრულებლებს უცნაური კოსტიუმები აცვიათ: თავზე მუზარადები, ყრუდ შეკრული ცეცხლგამძლე კომბინეზონები). გათვლილი და გათვალისწინებულია ხელისა თუ ფეხის ყოველი მოძრაობა. თითოეულ ბორბალს სამსამი ადამიანი ცვლის. ერთი ქანჩსალებით უშვებს, მეორე საბურავს ხსნის, მესამე ასალს უყენებს, შემდეგ ისევ – ქანჩსალები, მაგრდება უსაფრთხოების შტოკიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ 250 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს მანქანის ბორბლები სხვადასხვა მხარეს გაფრინდება. მზად არის! – აძლევენ ნიშანს ხელით... გასაკვირია, არა?.. ამ ყველაფერზე სულ 4,1 წამი დაიხარჯა.

„ფერარის“ ტექქერსონალი 21 კაცი საგან შედგება. 12 მათგანი ბორბლის გამოცვლით არის დაკავებული, ერთი მინას წმენდს, ორი მანქანას ქვემოდან ათვალთვრებს, სამი საწვავს ასხამს. ორი კაცი ცეცხლჩამქრობით შეიარაღებული დგას. ერთი, სპეციალურად მომზადებული კი, მანქანის წინ ტაბლოთი ხელში დგას, რომლის ცალ მხარეს STOP და მეორეს კი – GO აწერია. თუმცა, ამ სამუშაოში ბევრი რამ პილოტზეც არის დამოკიდებული, რომელიც ვალდებულია, ზუსტად თეთრ ნიშნულზე გაჩერდეს. დასაშვებია მხოლოდ 10-15 სმ-იანი გადა-





# მძიმე ცდაუმის შერეგად თბანგი მთხსილამუძრუ გაცბდაიცვალა

ხრა (თუ მანქანა არასწორად გაჩერდება, მაშინ ბაკის სარქველი დახურული რჩება და საწვავის ჩასხმა შეუძლებელია). ეს ნიუანსი განსაკუთრებით საწვავის შლანგით შეიარაღებული მომსახურებისთვის არის მნიშვნელოვანი. ბაკში წამში 12 ლიტრი საწვავი ჩადის, ხოლო მთელი ოპერაციისთვის 7,5 წამია საჭირო.

... და აი, ტაბლოიანი მომსახურე ნიშანს აძლევს და „ახალსუნთქვაგახსნილი“ წითელი „ფერარიც“ თვალის დახამხამებაში ტრასაზე გაფრინდება. თუმცა ეს უკვე არც ისე საინტერესოა: მოწყვეტით მისი გარაჟიდან „გაქანება“ ხომ მოყვარულსაც შეუძლია...

## სიმბოლიკა

„ფერარის“ საფირმო ნიშანი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ემბლემაა. იტალიელები მას CAVALLINO RAMPANTE-ს უწოდებენ. CAVALLINO ცხენს ნიშნავს, ხოლო სიტყვით – RAMPANTE – კი, ჰერალდიკაში წინა ფეხებაწეული ცხოველი აღინიშნება. პირველად ემბლემა FERRARI-ს კომპანიის ყველა პუბლიკაციასა და ოფიციალურ დოკუმენტში 1929 წელს გამოჩნდა. 1932 წლის 9 და 10 ივლისს კი, მან ტარუვისა და დ'იპოლიტოს სპორტული ავტომობილების კაპოტიც დაამშენა. ისინი მაშინ 24 საათიანი დაძაბული რბოლის გამარჯვებულები გახდნენ. თავად ენცო ფერარის, ემბლემის შექმნის შესახებ საკუთარი ვერსია ჰქონდა: „ყალფზე შემდგარი ცხენის ისტორია უბრალო და თავშესაქცევია, – ამბობდა ხოლმე FERRARI-ს თავკაცი, – ის საბრძოლო თვითმფრინავის ფუხელაჟზე იყო გამოსახული, რომლითაც მონტელოს მთაზე დაღუპული, პირველი მსოფლიო ომის გმირი იტალიელი პილოტი, ფრანჩესკო ბარაკა დაფრინავდა. 1923 წელს, როდესაც მე როვენაში მიმდინარე სავიოს რბოლა პირველად მოვიგე, პილოტის მამას, ენრიკო ბარაკას შევხვდი, შემდეგ კი დედამისი, გრაფინია პაულინაც გავიცანი. ერთხელ მან მითხრა: „ფერარი, ჩემი შვილის ყალფზე შემდგარ ცხენს რატომ შენს მანქანაზე არ გამოსახავ, ეს ხომ შენ წარმატებას მოგიტანს?!“. მე მას შემდეგ ვინახავ ბარაკას ფოტოს, მისი მშობლების ხელმოწერით, სადაც ისინი მწერენ, რომ ამ ემბლემას მე მჩუქნიან. ცხენი შავი იყო და მე ის ხელუხლებლად დავტოვე, მხოლოდ ყვითელი ფონი მივუმატე – მოდენის ფერი“.

ქალთა გიგანტურ სლალომში მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი, ფრანგი რეჟინ კავანიუ სათხილამურო ტრასაზე გერმანელ მწვრთნელთან შეტაკების შემდეგ უკიდურესად კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 31 წლის მოთხილამურე შეჯახების შედეგად, თავისა და შინაგანი ორგანოების ძალიან მძიმე ტრავმები მიიღო. მას თავის, მკერდისა და ღვიძლის ოპერაცია გაუკეთეს, რომელიც ოთხი საათი მიმდინარეობდა. ოპერაციის შემდეგ საფრანგეთის მოთხილამურეთა ნაკრების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეჯახების შედეგად კავანიუს ძვლები დაემტვრა, რისგანაც ღვიძლი და ფილტვებიც დაუზიანდა.

რეჟინ კავანიუ სათხილამურო ნასტომს ასრულებდა და მაშინ შეეჯახა გერმანული გუნდის მწვრთნელს, მარკუს ანჯდერს, როდესაც ეს უკანასკნელი ტრასაზე გადადიოდა. შეჯახების შედეგად მძიმედ დაზავდა თავად გერმანელთა მწვრთნელიც. „გერმანელ მწვრთნელს უნდა მიეღო რადიოსიგნალი, რომ ტრასაზე ფრანგი მოთხილამურე იმყოფებოდა. რაღაც მიზეზების გამო, მას სიგნალი არ მიუღია. ჩვენ ვცდილობდით ხელის ქნევით გვენიშებინა მისთვის, რომ მოთხილამურე უკვე უახლოვდებოდა. კავანიუ ტრასაზე მიდიოდა და შეეჯახებისას გერმანელ მწვრთნელს ვერ ხედავდა“, – განაცხადა საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა, ჟან ფილიპ ვიუემი. სამწუხაროდ, როგორც

ცოლთა ხნის წინ გახდა ცნობილი, ექიმთა ძალისხმევა რეჟინ კავანიუს გადასარჩენად უშედეგო აღმოჩნდა და ფრანგი მოთხილამურე გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ სამთო-სათხილამურო სპორტში ეს პირველი უბედური შემთხვევა არ ყოფილა. 1991 წელს ავსტრიელი მოთხილამურე გერნოტ რაინშტადლერი მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც ვენგენაში, ტრასაზე დაცვიმსას მენჯი გადაიმტვრია



და შინაგანი ორგანოების დაზიანებები მიიღო. 1994 წელს გერმანიაში, გარამიშპარტენკირჰენის ტრასაზე ასევე ავსტრიელმა მოთხილამურე ქალმა, ულრიკ მაიერმა კისერი მოიტეხა, ხოლო 1996 წელს სერანგედაში რუსმა ტატიანა ლეგედევა ისევე დაასრულა სიცოცხლე, როგორც კავანიუმ. იგი ტრასაზე სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის ერთ-ერთ წარმომადგენელს შეეჯახა.

## „რეალს“ ობნან კრესპოს შებენა სურს



გავრცელდა ხმები, რომ ესპანური „სამეფო კლუბი“ თავდასხმის ხაზის გაძლიერებას აპირებს, თუმცა ფეხბურთის არაერთი სპეციალისტი და გულშემატკივარი მიიჩნევენ, რომ „რეალს“ ამ ეტაპზე დაცვის გაძლიერება უფრო ესაჭიროება, რადგან იერო და კამპო არცთუ ისე წარმატებით ართმევენ თავს საკუთარ მოვალეობას. ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მადრიდულ კლუბს ერნან კრესპოს შებენა სურს და „ლაციოს“ წარმომადგენლებთან ამის თაობაზე მომავალში მოლაპარაკების გამართვასაც აპირებს.

„რეალის“ მწვრთნელმა, ვინსენტე დელ ბოსკემ ახალგაზრდა პავონს ცენტრალური მცველის ადგილი მიუჩინა და ამით ცდილობს, დაარწმუნოს კლუბის ხელმძღვანელობა იმაში, რომ გუნდს დაცვაში არავითარი პრობლემა არ აქვს. მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებას „რეალის“ სპორტული დირექტორი, ხორხე ვალდანოც ეთანხმება და მიიჩნევს, რომ „ლაციოს“ არგენტინელი ლეგიონერი რაულთან ერთად იდეალურ ტანდემს შეადგენს თავდასხმაში, რაც გუნდის ძლევა-მოსილებას კიდევ უფრო გაზრდის.

# apokalipsis

## oTxi

### TviTmfrinavi

#### დანაშაულის ქრონიკა



მუქარით სავსე ხმაურიან დიალოგში, რომელიც არაბული წარმოშობის 3 კლიენტის სუფრიდან მოისმოდა. ანტიამერიკული განცხადებებით გაღიზიანებულმა მეპატრონემ შვებით ამოისუნთქა, როცა სტუმრებმა ღამის ორ საათზე დატოვეს იქაურობა.

ოთხი საათის შემდეგ – 2001 წლის 11 სექტემბრის დღის 5 სთ-სა და 53 წთ-ზე, დაიტონ-ბიჩიდან 200 კმ-ის მოშორებით, ქალაქ პორტლენდის აეროპორტის უსაფრთხოების კონტროლის ვიდეოკამერამ, სხვებთან ერთად, დააფიქსირა ორი მგზავრი, რომლებიც ბოსტონში მიმავალ რეისზე ჩასასხდომად ემზადებოდნენ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, უცნობები იმ ხუთკაციანი ჯგუფის წევრები იყვნენ, რომელიც ამერიკაში კანადიდან შემოვიდა. მათ საზღვრის ის მონაკვეთი გადალახეს, რომელსაც მხოლოდ ერთი მებაჟე აკონტროლებდა. ჯგუფი პატარა თვითმფრინავით აპირებდა ბოსტონში მოხვედრას, მაგრამ იძულებული გახდა, ორად გაყოფილიყო, რადგან თვითმფრინავში მხოლოდ სამი თავისუფალი ადგილი აღმოჩნდა. მისი ორი წევრი, დაქირავებული „ნისანის“ ტიპის ავტომობილით, ჯერ პორტლენდში ჩავიდა, შემდეგ კი ბოსტონში გადაფრინდა. მოგვიანებით ავტომობილი პორტლენდის აეროპორტში იპოვეს.

ბოსტონში ჩასული სამეული, რომელშიც მარვან ალ-შეჰი იყო, ქალაქის გარეუბანში მდებარე სასტუმროში დაბინავდა, ბოსტონის აეროპორტამდე კი თეთრი „მიცუბიშით“ მივიდა. ეს ავტომობილიც მოგვიანებით აღმოაჩინეს აეროპორტის ავტოსადგომზე.

ამგვარად, 11 სექტემბრის დღით, კანადიდან და ფლორიდიდან, ბოსტონში ათამდე ტერორისტმა მოიყარა თავი. ნიუ-იორკის მიმართულებით ბილეთები მათთვის ჯერ კიდევ 28 აგვისტოს იყო დაჯავშნული.

რატომ აირჩიეს ტერორისტებმა მაინცდამაინც ბოსტონის აეროპორტი? ალბათ იმიტომ, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით, მას არცთუ ისე სახარბიელო


რეპუტაცია აქვს: შესუსტებული კონტროლის გამო, იქ არაერთგზის დაფიქსირებულა მოუწესრიგებელი საბუთების მქონე მგზავრისა თუ აკრძალული საგნების თვითმფრინავში შეტანის ფაქტები. ამ მიზეზით ბოსტონში ყოველთვის მგზავრთა დიდი რაოდენობა იყრის თავს: წელიწადში 10 მილიონი მგზავრის მომსახურებაზე გათვლილი აეროპორტი შარშან 27 მლნ ადამიანს – ე.ი. დღეში 80000 მგზავრს(!) მოემსახურა.

ტერორისტების მიერ ამ აეროპორტით დაინტერესება სხვა მიზეზითაც იყო განპირობებული: სწორედ ბოსტონიდან სრულდება გრძელი რეისები ლოს-ანჯელესის მიმართულებით, რისთვისაც თვითმფრინავს საშუალოდ, 70 ტონა საწვავი სჭირდება, ეს კი ლაინერს, ტერორისტების ხელში მოხვედრისას, მფრინავ ბომბად აქცევს. 4 გატაცებული თვითმფრინავიდან 3 ლოს-ანჯელესის რეისს ასრულებდა.

ამგვარად, დაგეგმილი ოპერაციის შემსრულებლები ორ ჯგუფად გაიყვნენ და მშვიდად დაიკავეს ადგილები AMERICAN AIRLINES-ის „ბოინგ 767“-სა და „ბოინგ 757“ ტიპის თვითმფრინავებში, რომლებიც ერთი წუთის ინტერვალით – 7 სთ-სა 58 წთ-ზე და 7 სთ-სა და 59 წთ-ზე აფრინდნენ ბოსტონის აეროპორტიდან. დღის ბოლოსთვის ისინი ლოს-ანჯელესში უნდა დაშვებულიყვნენ, მაგრამ ჰაერში 1 სთ-იც არ გაუტარებიათ.

„ბოინგ 757“-ის ბორტზე მყოფ ტერორისტთაგან მხოლოდ 34 წლის მოჰამედ ალა ფლობდა მფრინავის პროფესიას. იგი პილოტების კაბინასთან ძალზე ახლოს – მე-8 სავარძელში იჯდა. როგორც შემდგომში გაირკვა, მოჰამედ ალას 2000 წლის ივლისში ფლორიდაში, ჯერ ავიაციის საერთაშორისო ფრენის სკოლაში გაუვლია პილოტის კურსები, რაც 10.000 დოლარი დასჯდომია, შემდეგ კი „ბოინგ 727“-ის პილოტაჟის ვირტუალური სიმულატორის კურსებზეც უსწავლია და, ალ-შეჰისთან ერთად, სამი დღით უქირავებია თვითმფრინავი. ისინი თითო საათში 88 დოლარს იხდიდნენ.

ატას ნათესავი, საუდელი არაბი მარვან ალ-შეჰი „ბოინგ 767“-ის ბორტზე, მოჰამედ ალას მსგავსად, პილოტების კაბინასთან ახლოს – მე-6 სავარძელში იკავებს ადგილს. აფრინიდან დაახლოებით 30 წთ-ში, საჰაერო სამეთვალყურეო ცენტრის ოპერატორმა, რომელიც ორივე თვითმფრინავის ფრენას აკონტროლებდა, „ბოინგ 757“-ის ფრენის კურსის მკვეთრი შეცვლა დააფიქსირა. მიუხედავად ყველა მცდელობისა, ეკიპაჟთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. მოულოდნელად, რაციიდან არაბული აქცენტის მქონე კაცის საუბარი გაისმა. ოპერატორი მიხვდა, რომ ეკიპა-



წამის წინ ასისტენტმა ბუშს აცნობა, რომ მსოფლიო სავაჭრო ცენტრს მეორე თვითმფრინავი დაეჯახა და საქმე უბედურ შემთხვევასთან კი არა, – კარგად მომზადებულ ტერაქტთან აქვთ

ტერორიზმსა და მასთან დაკავშირებულ საშინელებებზე უამრავი რამ დაინერა — განსაკუთრებით, 11 სექტემბრის შემდეგ, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბევრ ადამიანს აპოკალიფსის დასაწყისიც კი ეგონა. არის კიდევ ამ მოვლენაში აპოკალიფსის ნიშნები, მაგრამ ამჯერად ყურადღება ამ ოპერაციის შემსრულებელ კამიკაძეებზე გვინდა შევაჩეროთ: წინამდებარე წერილი ნიუ-იორკზე თავდასხმის მზადებას ასახავს და ნათლად გვიჩვენებს ტერორიზმის ყველაზე შემზარავ სახეობას, რომელიც ბრმა ფანტიზმს ეფუძნება და სწორედ ამით არის ყველაზე საგულისხმო.

„მოიცადეთ სვალამდე – მთელი ამერიკა სისხლში იბანავეს!“ – ასეთი ფრაზა ყველაზე მეტად დაამასოვრდა ფლორიდის შტატის ქალაქ დაიტონ-ბიჩის ერთ-ერთი კაფეს მეპატრონეს, ჯონ კაფს, იმ

ვის გამოცდილმა მეთაურმა ჯონ ოგონოვსკიმ მოახერხა, ფარულად ჩაერთო კავშირის საშუალება და ამგვარად ეცნობებინა სამეთვალყურეო ცენტრისთვის ლაინერის გატაცების შესახებ. ცოტა ხანში ყველაფერი საბოლოოდ გაირკვა: „სისულელის ჩადენას ნუ შეეცდებით, თქვენ საფრთხე არ გემუქრებათ!“ ამას მოჰყვა მეორე ფრაზაც: „ჩვენ სხვა თვითმფრინავებიც გვყავს!“ ამ ინფორმაციით გაოგნებულმა ოპერატორმა პირველ რიგში, ჰაერში თვითმფრინავების შეჯახების საწინააღმდეგო ზომები მიიღო. ის დაუკავშირდა იმავე მარშრუტით მოძრავ სხვა თვითმფრინავებს, მათ შორის „ბონგ 767“-საც, სადაც ჯერ კიდევ სიმშვიდე სუფევდა. ამასობაში „ბონგ 757“ ნიუ-იორკს მიუახლოვდა. მასში 92 ადამიანი იმყოფებოდა. რამდენიმე წუთში – 8 სთ-სა და 45 წთ-ზე თვითმფრინავი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის 420 მეტრი სიმაღლის 110 სართულიან შენობას შეასკდა.

ამის პარალელურად, თავიანთი ამოცანის შესრულება „ბონგ 767“-ის ბორტზე მყოფმა ტერორისტებმა დაიწყეს, მაგრამ მათ პილოტების კაბინა დაკეტილი დახვდათ. ტერორისტებმა ბორტამცილებელთა ხოცვა დაიწყეს და ამგვარად აიძულეს პილოტები, კარი გაეღოთ. ეს ამბავი თავიანთ ახლობლებს მობილური ტელეფონების საშუალებით აცნობეს მგზავრებმა. პირველი კატასტროფიდან 18 წთ-ში – 9 სთ-სა და 03 წთ-ზე „ბონგ 767“, რომლის ბორტზე 62 ადამიანი იმყოფებოდა, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის სამხრეთ კოშკს შეასკდა. რამდენიმე წუთში ჰაერში „F-15“-ის ტიპის საბრძოლო თვითმფრინავი ავიდა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო.

სწორედ ამ დროს ქვეყნის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, სამხრეთ ფლორიდაში, დაწყებითი სკოლის მოსწავლეებთან სტუმრობდა. ოთახში მოულოდნელად თეთრი სახლის აპარატის ხელმძღვანელი ენდრიუ ქარდი შევიდა და ყურში უჩურჩულა: „ეს-ეს არის, მეორე თვითმფრინავი დაეჯახა მეორე კოშკს. ამერიკას თავს დაესხნენ!“ პრეზიდენტი კიდევ 6 წუთი დარჩა ბავშვებთან...

თეთრ სახლში კი ამ დროს ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი თვალყურს ადევნებდა დატრიალებულ უბედურებას. დაცვის თანამშრომლებმა მას შენობის სასწრაფოდ დატოვება მოსთხოვეს და თეთრი სახლის ბუნკერში ჩაიფხანეს. უკვე იქ შეიტყვეს პრეზიდენტის აპარატის თანამშრომლებმა მესამე თვითმფრინავის – იმ „ბონგ 757“-ის გატაცების ამბავი, რომლის ბორტზეც 64 ადამიანი იმყოფებოდა. თვითმფრინავი ვაშინგტონიდან ლოს-ანჯელესში მიფრინავდა. 8 სთ-სა და 10 წთ-ზე აფრენილმა

ლაინერმა დაახლოებით 50 წუთიანი ფრენის შემდეგ 180 გრადუსით იცვალა კურსი. ტერორისტების შეჩერება ვერც ამჯერად მოხერხდა: ვირჯინიაში მდებარე ლენგლის სამხედრო ბაზიდან აფრენილმა თვითმფრინავებმაც დაგვიანებით მიაღწიეს დანიშნულების ადგილს. მესამე გატაცებულ თვითმფრინავში ჯორჯ ბუშის ადოკატის – თეოდორ ოლსონის მეუღლე, ჟურნალისტი ბარბარა ოლსონი იმყოფებოდა, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მეუღლეს უთხრა: „ჩვენ თვითმფრინავი გატაცებულია, ყველა მგზავრი ლაინერის კუდში შევჯგუფდით, რა შეიძლება ვიღონოთ?!“ – ამ სიტყვებზე კავშირი გაწყდა.

ალსანიშნავია, რომ იმ მომენტში ამერიკის თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი კონგრესმენტა დელეგაციას უნდა შეხვედროდა, რათა მილიარდობით დოლარად ღირებული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის პროექტი განეხილათ და მაშინ, როცა ისინი შესაძლოა ომის დროს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან ნასროლი რაკეტების შეჩერებაზე მსჯელობდნენ, ამერიკის სამგზავრო ლაინერებში შედგენილმა ტერორისტებმა საშინელი დარტყმები მიაყენეს ამერიკის გულს. პირველი ორი აფეთქების შემდეგ დონალდ რამსფელდმა აფეთქებათა სერიის გაგრძელება იწინასწარმეტყველა და მართლაც – მესამე თვითმფრინავი ვაშინგტონში, ჰენტაგონის შენობას შეასკდა.

მესამე აფეთქების შემდეგ თეთრი სახლის ბუნკერიდან დიკ ჩეინი პრეზიდენტ ბუშს დაუკავშირდა, რომელიც უკვე ვაშინგტონში მიფრინავდა. ჩეინიმ პრეზიდენტს სთხოვა, არ დაბრუნებულიყო დედაქალაქში, ვინაიდან პრეზიდენტზე თავდასხმის საფრთხე რეალურად მიაჩნდა. მთელი გზა პრეზიდენტი განუწყვეტლივ გასცემდა განკარგულებებს.

თავის მხრივ, ჩეინიმ ოთხჯერ გამართა სატელეფონო კონსულტაციები ფედერალური ანტიკრიზისული სამსახურის თანამშრომლებთან და სამხედრო ექსპერტებთან. ამის შემდეგ მან ურჩია ბუშს, გაეცა ბრძანება ყველა საეჭვო თვითმფრინავის განადგურების შესახებ. თუმცა, მეოთხე და უკანასკნელი გატაცებული ლაინერი იმ დროისთვის უკვე ჩამოვლებული იყო. ეს იყო „ბონგ-757“, რომელიც ნიუ-იორკიდან 8 სთ-სა და 01 წთ-ზე აფრინდა. იგი სან-ფრანცისკოსკენ მიფრინავდა. ქალაქ კლივლენდამდე ყველაფერი რიგზე იყო, შემდეგ თვითმფრინავმა მკვეთრად შეიცვალა კურსი. სავარაუდოდ, იგი კემპ-დევიდის (სადაც აშშ-ის საზაფხულო რეზიდენცია მდებარეობს), ვაშინგტონისა თუ ნიუ-იორკისკენ მიემართებოდა. მგზავრებმა უკვე იცოდნენ ნიუ-იორკში მომხდარი აფეთქებების შესახებ. ერთ-ერთმა მათგანმა – ნიუ-იორკელმა ჯერემი გლიკმა მეუღლეს დაურეკა და უთხრა: „ბორტზე სამი კაცია, ისინი დანებდებიან არიან შეიარაღებულნი და რაღაც წითელი ყუთი აქვთ, ამბობენ, რომ ბომბია“. მეორე მგზავრმა – თომას ბურნეტმა თავის მეუღლეს აცნობა, რომ მგზავრებმა გადაწყვიტეს, თვითონ ეღონათ რაიმე. ისინი აპირებდნენ, კენჭისყრით მიეღოთ გადაწყვეტილება ლაინერის მიწაზე დანარცხების შესახებ. მისი ბოლო სიტყვები კი, ასეთი იყო: „ვიცი, რომ ყველანი დავიხოცებით; ჩვენ, სამნი, ვეცდებით, რაიმე ვიღონოთ“. თვითმფრინავი პიტსბურგს უახლოვდებოდა. უცბად ის მიწისკენ წამოვიდა და ქალაქის მახლობლად მდებარე ტყის ტერიტორიაზე დაენარცხა. ლაინერის ბორტზე 45 ადამიანი იმყოფებოდა.


*შხსოპრი პრესის მიხედვით მონამბლა ანდრო ასლანიშვილი*

**მხოლოდ ეს დარჩა ნიუ-იორკის სიმბოლოსგან**





სოფი მარსო:



# არასოდეს არაფერს ვნანობ

მსოფლიოში რამდენიმეწლიანი მოგზაურობის შემდეგ – ვარშავა, ლოს-ანჯელესი, ჰონკონგი – სოფი მარსო, როგორც იქნა, პარიზში დამკვიდრდა. უფრო სწორად, საფრანგეთის დედაქალაქის ფეშენებელურ, პრესტიჟულ გარეუბან ნეიში, სადაც მისი მეზობლები ფრანგული ესტრადის ექსპანსიულაჟი მიჩვეული მატეი და რუსი ოლიგარქი მიხაილ ფრიდმანი არიან. მან ისეთი გულმოდგინებით დაიწყო ოჯახური ბუდის მოწყობა, რომ ქმრის –

პოლონელი რეჟისორის ანჟეი ჟულავსკის ავადმყოფური რეაქცია კი გამოიწვია: „შემინებულმა“ ხელოვანმა – პოლონელი შლიახტების ამაყმა შთამომავალმა შეუღლამითვე ჩაყარა თავისი ნივთები ჩემოდანში და ბერბიჭული ცხოვრების გასასხენებლად, მდინარე ვისლას სანაპიროებს მიაშურა. სოფი მარსოს, რომელიც საკმაოდ რთული და დამოუკიდებელი ხასიათით არის ცნობილი, ახალი ეტაპი დაუდგა, მაგრამ მსახიობს ეს არ ამინებს.

„არასოდეს არაფერს ვნანობ: უმიზეზოდ არაფერი ხდება, – ამბობს სოფი მარსო, – ყოველ დღეს ისე ვიწყებ, თითქოს მიწის ქვეშ ჩავდივარ და არ ვიცი, ვიპოვი თუ არა იქ ოქროს. მაშინაც კი, როცა გადაღებები არ მაქვს, ბევრს ვშეშაობ: ვკითხულობ წიგნებს და სცენარებს, თავადაც ვწერ („მატყუარა“ – ასე ეწოდება სოფი მარსოს მიერ დაწერილ პირველ რომანს, რომელიც პარიზელმა კრიტიკოსებმა საკმაოდ თბილად მიიღეს), ვუყურებ ახალ ფილმებს. ათასწლეულის მიჯნაზე, ჩვენს ცხოვრებაში გაურკვევლობაა: ერთ, თითქოს უმნიშვნელო დეტალსაც კი ადამიანის ბედის სამუდამოდ შეცვლა შეუძლია. სწორედ ამიტომ, თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, რომ მშობლიური კერა, მყუდრო სავანე, ყოველდღიურობის ორომტრიალში აუცილებელი საიმედო დასაყრდენი ჰქონდეს. ამ სახლს ჩემთვის და ჩემი ექვსი წლის ვაჟისთვის – ვენსანისთვის ვაწყობდი.“

როგორც ცნობილია, შემთხვევით არაფერი ხდება. ნეიში დასახლების შემდეგ სოფიმ გარკვეულწილად, თითქოს



წრე შემოხაზა: ოცი წლის წინ სწორედ იქ შედგა სოფის პირველი კასტინგი (კინოროლზე დამტკიცება): რეჟისორმა კლოდ პინოტომ, ასობით პრეტენდენტთან, ფილმ „ბუმის“ მთავარი როლის შემსრულებლად მსხვილტუიანი, მწვანეთვალა გოგონა შეარჩია, რომელსაც ნაკლებად ჟღერადი გვარი – მოპიუ ჰქონდა. ფილმის ტრიუმფის შემდეგ, რომელიც ფრანგების ახალგაზრდა თაობისთვის თავისებურ ნიშანსვეტად იქცა, მძლლისა და ლუდის ბარის ოფიციალტის ცამეტი წლის გოგონა – სოფი მოპიუ კინოვარსკვლავ სოფი მარსოდ იქცა.

„დღეაჩემს დღემდე არ სჯერა, რომ მსახიობი გავხდი. ის ძველებურად ოცნებობს, რომ ტელევიზიით ამინდი ვაცხადო: მისი წარმოდგენით, ამ შემთხვევაში, დილიდანვე შევძლებდი სამუშაოზე წასვლას და ყოველი თვის ბოლოს, ხელფასს მივიღებდი. თუმცა, ზოგჯერ მეც მეჩვენება, რომ ყველაფერი, რაც ცხოვრებაში მქონდა, მე არ გადამხდენია თავს... ჩემთვის ყველა ნივთი ძვირფასია, რაც კი ჩემს სახლში დევს, ალბათ იმიტომ, რომ მათში ისტორიაა თავმოყრილი –

ჩემ მიერ შეთხზული ჩემი ცხოვრების ისტორია...“ – სოფი ოჯახური ფოტოებით მორთულ კედლებს, წიგნის თაროებსა და სუვენირებს გასცქერის.

„ჩემმა ბავშვობამ პარიზის მუშათა გარეუბან ჟანტოში ჩაიარა, სადაც ყველა მხოლოდ კომუნისტთა გაზეთს – „იუმანიტეს“ კითხულობდა და ხმასაც ამ პარტიას აძლევდა, – იხსენებს სოფი. – ჩემი ფანჯრების წინ დაუსრულებლად დაქროდნენ, ავტომობილები და საბარგო მანქანები. ალბათ ამიტომ ვუფრთხილდები ჩემს ახლანდელ ცხოვრებასა და მის თანმხლებ ყველა სასიამოვნო ატრიბუტს: ჩემთვის ძვირფასია ეგზოტიკურ ადგილებში ჩატარებულ გადაღებებთან დაკავშირებული მოგონებები. მაგალითად, აფრიკული ქანდაკება ფილმ „ფორტ საგანის“ გადაღებებს მახსენებს, რომელიც აფრიკის უდაბნოში მიმდინარეობდა, ორქიდეები და ფაიფურის ქანდაკებები – იაპონიას, სადაც მე ღვთაებად მთვლიდნენ, ბუდის ქანდაკება კი, საერთოდ, სრულიად გამორჩეული რამ არის ჩემთვის! როცა პატარა ვიყავი, მსურდა ვიეტნამელს გავყოლოდი ცოლად: ძალიან მომწონდა ყველაფერი აზიური, შემდეგ ბუდას თავგადასავალს გავეცანი და მისმა ფილოსოფიამ დამაინტერესა. არ იფიქროთ, რომ რიჩარდ გირის ან სტივენ სიგალის მსგავსად, ჭეშმარიტი ბუდისტი გავეხდი, არა! უბრალოდ, ჩემს სულს სიამოვნებს ბუდასგან მომდინარე სიმშვიდისა და მშვიდობის შეგრძნება. ნამდვილად მინდა მჯეროდეს, რომ ცხოვრებაში მთავარი – აწმყოა, რომელსაც უნდა გაუფრთხილდე... რეინკარნაცია? სიმართლე გითხრათ, ჯერ შორს ვარ იმისგან, რომ სულების გადასახლებას ჩავწვდე, მაგრამ ზოგჯერ მეჩვენება, რომ ვარსებობ ყველგან და, იმავდროულად – არსად...“

ჯერჯერობით კი, ბულონის ტყის მახლობლად სოფის ცხოვრება ვენსანსა და ახალ საცხოვრებელთან ადაპტაციას ეთმობა. ნეიში ვენსანი პირველად შევიდა საბავშვო ბაღში, რომელსაც მრავალმნიშვნელოვნად, „სკოლას“ ეძახის, იქვე სოფი თავისი ახალი სარეჟისორო პროექტისთვის (სურათის სახელწოდებაა „მესაუბრეთ სიყვარულზე“) და, იმავდროულად, ფრანგული კინოს დიდოსტატის – ჟან-პოლ რაპნოს ფილმში – „კეთილი გზა“ მთავარი როლის შესასრულებლად ემზადება. ფილმის გადაღებები მომავალი წლის მაისში უნდა



დაიწვოს.

„ძალიან მიყვარს ცხოველები. ადრე ბირმული ჯიშის კატა მყავდა, ახლა კი ძალიან მყავს, რომელსაც ლიტერატურული სახელი – ლოლიტა დავარქვი, – ამბობს სოფი. – მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი, იქ თაროებზე ბევრი სანელებელი, ხმელი ხილით სავსე ყუთები მაქვს, კაუჭებზე კი, ჩემი საყვარელი ფინჯნები კიდია. დიეტას და გასტრონომიულ რეჟიმს არ ვცნობ, თუმცა დღეში მხოლოდ ორჯერ მივირთმევ, ამასთან დილით – საკმაოდ საფუძვლიანად. ხორცს თითქმის არ ვეკარები, სამაგიეროდ, მიყვარს თევზი, ხილი და, განსაკუთრებით – შოკოლადი. ის ჩემთვის მთავარი ვიტამინია. მომწონს, რომ „გერლენის“ პარფიუმერიული კომპანიის სახე ვარ, მაღალი მოდისა და პრეტ-პორტეს ჩვენებებზე გამოჩენაც მსიამოვნებს. ამასთან, არასოდეს მიცდია მოდელის აღნაგობის შენარჩუნება – ჩემი საფირმო სტილი, მსუბუქი ხაზები და მომრგვალებული სილუეტია. როცა მეკითხებიან – რაში მდგომარეობს ჩემი ახალგაზრდული იერის საიდუმლო, ყოველთვის ვპასუხობ: ბევრი მძი-

ნავს და არასოდეს ვეფიცები მზეს, არ ვირუჯები“.

სოფის სტუმართმოყვარე, მყუდრო სახლში უმაჰაკაცობა არ იგრძნობა – მსახიობის გვერდით მისი ვაჟი ვენსანია: ბიჭუნა ამაყობს, რომ ასეთი ლამაზი და სახელგანთქმული დედა ჰყავს. გარდა ამისა, სოფი მარსოსა და ანჯეი ჟულაგის რომანს აგერ უკვე თითქმის 20 წლის „სტაჟი“ აქვს და ამ ურთიერთობაში წერტილის დასმას მხოლოდ ეს ორი ადამიანი თუ შეძლებს... ■



ანჯეი ჟულაგისთან ერთად

დასაწყისი იხ. გზა № 44

თანაკურსელი გოგონები უმოწყალოდ ექცეოდნენ. ერთხელ, აუდიტორიაში შევიდა, ოთახში მხოლოდ გოგონები ისხდნენ, ფეხი ფეხზე ჰქონდათ გადადებული, ნახევრად წამოწოლილები იყვნენ, თითებს შორის გრძელ-გრძელი სიგარეტები გაერჭოთ და გემრიელად აბოლებდნენ. მათი ჩამოთლილი ფეხების სითეთრემ თვალი მოსჭრა, თავი დახარა და უკან გამობრუნება დააპირა.

— ტარაკან, მოდი ჩვენთან, რატომ გაგვირბიხარ?

ხელ-ფეხი გაეყინა, თითქოს გული გაუჩერდა.

უკნიდან ერთი ლამაზმანი მიუახლოვდა, ხელკავი გამოსდო და გოგონებისკენ წაათრია.

— ტარაკან, შეყვარებული თუ გყავს?

უხეიროდ დაიღრმავა, არ იცოდა, თვალები საით წაეღო.

— ქალთან თუ წოლილხარ ოდესმე?

— ჩვენი ტარაკანა წმინდანია, ქალებს გაურბის!

— კარგი რა, მაგას ვინ მისცემს!

— ჩვენი ნატურშიცები.

ირგვლივ ხარხარი ატყდა.

— ტარაკან, მოგწონს ჩემი ფეხები? — გოგონამ სკამზე ფეხი შედგა და კაბის ნელ-ნელა ზევით აწევა დაიწყო, თან გემრიელი ნაფაზი დაარტყა და სახეში შეაბოლა.

შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

— სიგარეტს რატომ არ ეწევი?

— უნდა, რომ დიდხანს იცოცხლოს.

უკნიდან ვიღაც წამოეპარა და თავზე დააფერფლა. მას არაფერი უგრძნია.

— გოგოებო, პირმოტეხილ ღამის ქოთანს არ ჰგავს?

— არა, ჭუჭყიან უნიტაზს.

— ოყნას უფრო ჰგავს.


ისევ ხარხარი...

აცახცახდა. უკვე სიბრაზესაც აღარ გრძნობდა. გრძნობდა მხოლოდ საკუთარ უმწიობას. საშინელ უმწიობას...

გარეთ გამოლასლასდა.

თანაკურსელი ბიჭები შეხვდნენ.

— ტარაკან, თავზე ჩიტმა დაგასკინტლა?



ნუშო ბაშელი

# სვრფყვნა

— ჩიტმა კი არა, ბეჰემოთმა.

აქაც ხარხარი...

თავზე ხელი მოისვა. ხელი ფერფლისფრად შეეღება.

ეს უკვე მეტისმეტი იყო... თავქუდმოგლეჯილი დაეშვა კიბეზე. ქუჩაში ფეთიანივით გავარდა.

აკადემიას რომ გასცილდა, ნაბიჯს უკლო.

ირგვლივ ყველაფერს ფერფლისფერი ეღო... სახლებიც ფერფლისფერი იყო, ხეებიც, მზეც ფერფლისფრად ანათებდა, ქუჩაშიც ფერფლისფერი ხალხი დადიოდა და ასე ეჩვენებოდა, თითქოს ყველა მას მისჩერებოდა ფერფლისფერი თვალებით... ცივი თვალებით...

ცრემლები ყელში აწვევებოდა, ერთი ტირილი ყველაფერს ერჩია, მაგრამ არ იტირა... შერცხვა.

გაჩერებასთან უცნობები დახვდნენ.

— ფული არა გაქვს?

ჯიბეში უაზროდ ჩაიყო ხელი და რაც მოხვდა, გაუწოდა.

— ე, ხელზე ეს რა გიკეთია, საათია? — გაიკვირვა ერთმა, თითქოს საათი ხელზე კი არა, ფეხზე უნდა ჰკეთებოდა. დედის ნაჩუქარი საათი იყო, დაბადების დღეზე აჩუქა...

— მაჩვენე, აბა, — თავხედურად

დაუწყო შეხსნა.

არც კი შეწინააღმდეგებია.

— რა ლამაზია! მათხოვე და ხვალ მოვიტან, აქ, ამ დროს. ეს რა კარგი „კურტკა“ გაცვია! მანახვე, აბა! — ქურთუკის გახდა დაუწყო. ბელზე, ავტობუსი გამოჩნდა.

— არა, მეჩქარება, გამიშვი, — რაღაც უაზროდ ჩაიბუტბუტა და ავტობუსს შეახტა.

მთვრალივით იყო, საფეთქლები ეწვოდა.

დედამ მალე შეამჩნია, რომ საათი აღარ ეკეთა ხელზე.

— მეტროში დამჩნა, ალბათ... ხელიდან ჩამომძვრა... ვერ ვიგრძენი, — დაბნეულად ჩაილაპარაკა.

— როგორ, ხელიდან ჩამოგძვრა და ვერ იგრძენი?!

— ჰო, ვერ ვიგრძენი, ვერა! — მთელი ხმით იყვირა.

თავის სიცოცხლეში პირველად უყვირა დედას...

ჭამას თავი გაანება, ადგა, თავის ოთახში შევიდა და კარი შიგნიდან ჩაკეტა.

დედა გაოგნებული დარჩა სუფრასთან, თვალები დანამვოდა და ხელი პირზე აეფარებინა.

საწოლზე გაიშოტა. მერე რატომღაც წამოდგა და ხატვა

დაიწყო. პორტრეტს ხატავდა. პორტრეტი, თავისდა უნებურად, მის თანაკურსელს დაემსგავსა — სწორედ მას, ვინც პირველმა დაუძახა „ტარაკანა“.

ტანში დაჰბურძღვლა. რომელი საღებავიც მოხვდა ხელში, ის აიღო და სურათს შეასხა. საღებავი წითელი აღმოჩნდა, პორტრეტს შუბლზე შეესხა და ნელ-ნელა ჯერ ლოყაზე, ხოლო შემდეგ ნიკაპზე ჩამოედვენთა.

რალაც ველური სიამოვნება იგრძნო ჯგუფელის სისხლიანი სახის დანახვისას. დანა აიღო და მთელი ძალით დაჰკრა ნახატს. დანა ტარამდე ჩაერჭო დაფაში. ამოიღო და ისევ დაჰკრა... ისევ... ისევ...

კარზე დედამ დააკაკუნა.

— არაფერია, — უკმეხად უპასუხა დედას შეკითხვაზე.

გვერდით, კედელთან დიდი სარკე იდგა. მიუახლოვდა. ჩაიხედა.

— არარაობავ! — კბილებში გამოსცრა და სარკეს შეაფურთხა.

კვლავ საწოლზე გაიშოტა. დანა ისევ ხელში ეჭირა. რალაც ძალას მატებდა და სიამეს ჰგვრიდა ლითონის ეს პატარა ნაჭერი...

აკადემიის ეზოში თანაკურსელები შეხვდნენ.

— ოხ, ჩვენი ტარაკანაც მოვიდა! — იმ ბიჭის ხმა იყო, გუშინ ვისი პორტრეტიც დახატა.

გულმა რეჩხი უყო. მიუახლოვდა.

— მე ტარაკანა არა ვარ! — როგორც იქნა, გაბედა.

— აბა, რა ხარ? — გაიკვირვა მან.

— აღარ დამიძახო ტარაკანა!

— ოჰო, რას მელაპარაკები?! რომ დაგიძახო, რას მიზამ, მცემ?

— გცემ! — თვითონაც გაუკვირდა, როგორ მოახერხა ამის თქმა.

თანამოსაუბრეს სახე შეეცვალა, თვალები ბოროტად აუელვარდა.

— შე ვირიშვილო, წესიერად ილაპარაკე! — უთხრა და ხელი ჰკრა.

დანარჩენი თავისდა უნებურად მოხდა: მარჯვენა მომუჭა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მოიქნია, ერთი რამ აღარდებდა — არ აეცდინა.

არც აუცდენია... დარტყმა, შეიძლება, იმდენად ძლიერი არ იყო,

რამდენადაც მოულოდნელი. ასეა თუ ისე, მოწინააღმდეგე მყისვე ჩაიკეცა.

შემდეგ კი ბევრი არაფერი ახსოვს...

როცა გრძნობაზე მოვიდა, პირში სისხლის გემო იგრძნო, თვალი სტკიოდა, იდაყვი გადასტყავებოდა და გვერდები ეწვოდა.

წამოდგა, ვიღაც დაეხმარა კიდევ, ტანსაცმელი ჩამოიფერთხა. პერანგი სულ შემოხეოდა. იქვე დაგდებული ქურთუკი აიღო, გაფერთხა და ჩაიკცა.

— არა გრცხვენიათ, სამნი ერთზე! — მოესმა ვიღაც მოხუცის ხმა.

ირგვლივ სეირის მოყვარულნი ბლომად შეკრებილიყვნენ. ზოგი თანაგრძნობით უყურებდა, ზოგი სიბრაღულით, ზოგი კი ზიზღნარევი ღიმილით.

პირველად იჩნუბა თავის სიცოცხლეში. არა, ცემით, ადრეც უცემიათ (მართალია, ასე ძლიერ არა), მაგრამ იმ დღეს პირველად მოიქნია ხელი და დასცა კიდევ მეტოქე... კი! აშკარად ახსოვს, როგორ გაიშოტა მასზე მთელი თავით მალაღი თანაკურსელი.

გამკვლელ-გამომკვლელი ყველა მას უყურებდა. შერცხვა. მიწა გასკდომოდა და თან ჩაეტანა, ის ერჩია. თანდათან სიბრაზე ემატებოდა.

„მოკვლავ!“ — გაუელვა თავში და დანა გაასხენდა. ამ აზრმა მთელი არსებით შეიპყრო და ყველაფერი გადაავიწყვა, თვალები აუელვარდა, ტკივილსაც ვეღარ გრძნობდა. ნაბიჯს აურქარა.

მის დანახვაზე დედას ელდა ეცა, მას კი ყურადღებაც არ მიუქცევია მშობლისთვის, თავის ოთახში შევიდა და ჩაიკეტა.

მთელი ღამე ძილ-ღვიძილში გაატარა. ოფლში ცურავდა და საწოლში ბორგავდა. ჩასთვლემდა თუ არა, მაშინვე რატომღაც გველი ესიზმრებოდა: სისხლისფერთვალემა გველი, კისერზე ეხვეოდა და დახრჩობას უპირებდა.

როგორც იქნა, გათენდა. ადგა. თავი სტკიოდა და თვალი ეწვოდა. სარკეში ჩაიხედა, თვალი ჩალურჯებოდა და ცხვირის ნესტოებზე სისხლი შეხმობოდა. სახე დას-

ვრილი ჰქონდა. ახლალა მოაგონდა, რომ ჩხუბის შემდეგ, პირი არც კი დაებანა. მთელი ღამის ნატანჯი, თავს მოთენთილად გრძნობდა.

სააბაზანოში შევიდა. თავი წყლის ჭავლს შეუშვირა. ესიამოვნა თბილი წყალი. თავის ტკივილმა თითქოს გაუარა, აღარც თვალი ეწვოდა ისე. მოთენთილობაც მოეხსნა. შიშხილი იგრძნო, წინა დღის შემდეგ არაფერი ეჭამა.

სამზარეულოსკენ გასწია. მაგიდასთან დედას ჩასთვლემოდა. გული დაეწვა მისი დანახვისას, — „მთელი ღამე აქ მჯდარა!“ — მაგიდაზე მისი საყვარელი ნამცხვარი იღო, ღამით გამოეცხო ალბათ. მოზრდილ ნაჭერს დასწვდა, მაღიანად ჩაკბინა, კარადიდან პურის საჭრელი დანა გამოიღო და ფეხაკრეფით გაიპარა.

აკადემიისკენ გასწია. ფეხით მიდიოდა. დიდხანს იარა. როგორც იქნა, მიღწია და შესასვლელის წინ, სკვერში ჩამოჯდა. შესცივდა, თუმცა თბილი დილა იდგა. ხელები მუხლებს შორის მოიქცია, მაინც არ გაუთბა ნოტიო ხელისგულები.

კარგა ხანს იცადა. ბოლოს, ისინიც გამოჩნდნენ. სამივენი ერთად მოდიოდნენ... ამაყად, კმაყოფილი სახეებით.

წამოდგა. მათკენ გასწია. მუხლები უკანკალებდა.

— სალაპარაკო მაქვს თქვენთან!

— კიდევ ცემა მოგინდა?!

— სადმე შევიდეთ.

კიბე ჩაირბინეს. ბნელ ეზოში შევიდნენ.

— ჰო, ვისმენ, რა გინდა! — ზიზღნარევი ხმა, მაგრამ უკვე ნაკლებად თავდაჯერებული.

ხელი მოიქნია. ააცილა. იმავე წამს მტკივანმა თვალმა გაკვესა და კედელს მიეჯახა. გრძნობა არ დაუკარგავს. დანამ იელვა მის ხელში...

— ვაი! — ამოიგმინა თანაჯგუფელმა და ჩაიჩოქა. ტურებიდან გაუქრა დამცინავი ღიმილი და თვალებში ცხოველური შიში ჩაუდგა.

ახლა მეორეს მოუქნია დანა. გაქცა. გაეკიდა. საღარბაზოში შეასწრო და კარი შიგნიდან ჩაუკეტა. ეჯაჯგურა. ვერ გახსნა. დანა კარს დაჰკრა, იგი ტარში გადატყდა და ხელი გაუჭრა.

გონს მოეგო. ხელში სისხლიანი ტარილა ეჭირა. შიშმა აიტანა. დანის პირი მოძებნა, ჯიბეში ჩაიღო. უკანვე დაბრუნდა. იქ აღარავინ დახვდა. ასფალტზე სისხლის გუბე იდგა... თავზარი დაეცა... იქვე, ეზოში ონკანი შენიშნა, მივარდა, ხელ-პირი დაიბანა. გაჭრილი ხელიდან სისხლი ღვარად სდიოდა. ცხვირსახოცით შეიხვია, გარეთ გამოვიდა. გაუყვა ვიწრო ქუჩას. უაზროდ მიხეტიალებდა. დიდხანს იხეტიალა...

მდინარის პირას აღმოჩნდა, სკვერში.

„აქ რამ მომიყვანა?!“ – გაოცდა. მოაჯირს ჩამოეყრდნო და წყალს გადახედა. შეხვეული ხელი მოხვდა თვალში. შეიხსნა. სისხლი აღარ სდიოდა. ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიღო და გველის ნაკბენივით შეერთა: ხელი ცივ ლითონს შეეხო... ჯიბიდან ამოიღო გატეხილი დანა. დანის პირს სისხლი შეხმობოდა, ტარსაც სისხლის წვეთები აჩნდა. ცივმა ჟრუანტელმა დაუარა, ცხვირსახოციც და დანაც მდინარეში მოისროლა.

შინისკენ წალასლასდა. უკვე ბინდღებოდა. დედა დაწოლილი დახვდა. ეტყობოდა, ცუდად იყო. არც შესულა მასთან, ოთახში ჩაიკეტა და საწოლზე დაემხო.

ღრმად ჩაეძინა. ალბათ, არასდროს სძინებია ასე ღრმად...

როცა გამოეღვიძა, უკვე თითქმის შუადღე იყო. დედა გაახსენდა, მასთან შევიდა, საწოლი ცარიელი დახვდა...

მარჯვენა თვალი საშინლად სტკიოდა, დასივებოდა და ძლივს იყურებოდა. სააბაზანოში შევიდა. ხელ-პირი დაიბანა. შემდეგ ცოტა საჭმელიც შეჭამა. ტილო ცივ წყალში დაასველა და თვალზე მიიღო. ესაიმოვნა.

ისევ თავის ოთახში გავიდა, კვლავ გაუნდელად წამოწვა საწოლზე და საღი თვალთ ჭერს მიაჩერდა. არაფერზე ფიქრობდა. აბაჟურის ირგვლივ მობზუილე ბუზს თვალს აყოლებდა, შემდეგ ნელ-ნელა ბურანში გაეხვია.

შუბლზე რაღაც თბილის შეხება იგრძნო. თვალი გაახილა, სასთუმალთან დედა ეჯდა და ალერსიანად უღიმოდა.

გაეხარდა. არასდროს გახარებია

დედის დანახვა ასე. დედა არაფერს ეკითხებოდა, მხოლოდ მტკივან თვალს უწმენდა რაღაცით.

– არ გშია? როგორ გახდი, საჭმელს სულ აღარ ჭამ, – ტკბილად უთხრა დედამ.

შიოდა, მგელივით შიოდა...

მადიანად ჭამა და ისევ თავის ოთახში გავიდა. ხატვა დაიწყო, მაგრამ გული ვერ დაუდო და მიატოვა; შემდეგ წიგნი აიღო, ისიც მიაგდო; ბოლოს, ეზოში გავიდა.



უკვე ბნელოდა. დიდხანს იხეტიალა სახლის შორიახლოს, შემდეგ ისევ შინ ავიდა. ტანთ გაიხანდა და დაწვა. ძილი არ ეკარებოდა. თითქმის მთელი დამე იტრიალა საწოლში, შემდეგ როგორც იქნა, ჩასთვლიმა.

საშინელი სიზმარი ნახა: თანაკურსელი მუცელგამოფატრული ეგდო მიწაზე, თვალებიდან ზიზღი გაჰქრობოდა და მასში უძირო ნაღველი ჩაჰგუბებოდა... ნაღველი და შიში... ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და ტუჩები უკანკალებდა. მიუახლოვდა, დაუჩოქა და ხელზე ეამბორა. ხარხარი გაისმა... ისევ ის ხარხარი... აიხედა. თანაკურსელი ფეხზე იდგა, საღ-სალამათი და დასცინოდა... ძველებურად დასცინოდა...

შეშინებული წამოვარდა. შუბლზე ხვითქი გადასდიოდა.

დედა საწოლთან ეჯდა.

– დამშვიდდი, რა მოგივიდა, დედა არა ვარ, შეილო? თუ რაიმე გტანჯავს, მითხარი, თავს რად იკლავ? შენც გულზე მოგეშვება, – ჩასჩურჩულა დედამ და ყვრიმალზე აკოცა.

– კაცი მოვკალი, დედა!

დედამ, თითქოს ვერ გაიგო, რა უთხრეს, დაბნეულად შეხედა.

– დამცინოდნენ, დედა, ყველანი დამცინოდნენ! ყველას ვძულდი, არავის არასდროს ვყვარებივარ! მედელი რომ ავიღე და აკადემიაში ჩავაბარე, თანაკლასელები აღარ მესალმებოდნენ, თითქოს მათ წავართვი რაიმე!

– ყველას სძულდი? – უაზროდ გაიმეორა დედამ მისი სიტყვები.

– ყველას, დედა, შენ გარდა, ყველას! აკადემიაში ფრიადოსნობის გამო დამცინოდნენ, თითქოს ფრიადოსნობა ყველაზე სამარცხვინო რამ იყოს ცხოვრებაში!

კარგა ხანს ღუმდნენ. დედას პირი ოდნავ გახსნოდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა და ვერ ახერხებდა.

– და ამის გულისთვის მოკალი კაცი?! – ამოთქვა, როგორც იქნა. თვალები გაუცივდა, სახე გაუმკაცრდა, – ყველასთვის საყვარელი და პატივცემული გინდოდა ყოფილიყავი?! მერე, გააკეთე რამე ისეთი, რომ ყვე-



ლას ჰყვარებოდი?! სწავლობდი... დიდი რამე, თუ სწავლობდი! შენთვის სწავლობდი, სხვისთვის ხომ არა?! სწავლობდი და მხოლოდ ამისთვის პატივი უნდა ეცათ შენთვის?!

– დედა! – განწირული ხმით წამოიძახა.

– აღამიანად გზრდიდი, შენ კი საკუთარ თავზე შეყვარებული კაცუნა გამოსულხარ! შენ მართლაც არ ყოფილხარ სიყვარულის ღირსი!

... კარის ჯახუნი გაისმა.

აბაჟურთან კვლავ დაბზუოდა ბუზი...

სადარბაზოში გამოვიდა. საფეხურს აუყვა. სახურავზე ავიდა. ცივი დილა იდგა. დაბლა გადმოიხედა. ქუჩაში კანტიკუნტად მოსიარულე აღამიანები ჭიანჭველებივით ჩანდნენ. თვალები დახუჭა. ყურებმა წვილი დაუწყო.

ვერ გაბედა...

დარწმუნდა, რომ მართლაც არ იყო სიყვარულის ღირსი!

დედა მთელი დღე უთავბოლოდ დაეხეტებოდა ქალაქში, სამსახურშიც არ წასულა.

„შენი შვილი მკვლელია... მკვლელი!“ – ვილაცის ბოროტი ხმა ჩასმახოდა ყურში.

ცხოვრებაში ყველაზე მეტად ძალადობას ვერ იტანდა. ძალადობას და სისხლს... სისხლის დანახვაზე გული მისდიოდა. მისმა შვილმა კი სისხლი დაღვარა...

შინ რომ დაბრუნდა, ქუჩაში უკვე ბინდი იწვა. ჩუმად შეიპარა სამზარეულოში. ვაჟი თავის ოთახში ეგულებოდა, მისი დანახვა არ სურდა. სარკმელთან დაჯდა და ეზოს გახედა. ბავშვები ბურთს თამაშობდნენ. შვილის ბავშვობა მოაგონდა... გული მტკივნეულად შეეკუმშა.

მეზობელი ოთახიდან ჩამიჩუმით არ ისმოდა. თავისდა უნებურად იქითკენ გასწია... ოთახი ცარიელი დახვდა... მუხლები მოეკვითა, გულმა რაღაც ცუდი უგრძნო.

საწოლზე წერილი შენიშნა. თვალთ დაუბნელდა, ნაწერი ვერ გაარჩია. ფაციფუსით მოძებნა სათვალე.

„დედა, შენ მართალი ხარ! მე მართლაც არ ვიმსახურებ სიყვარულს! მაპატიე, რომ შენი იმედ-

ბი ვერ გავამართლე, ძალიან ვცდილობდი, გეფიცები!

მშვიდობით! ჩემზე ნუ იღარდებ. არა, თავს არ მოვიკლავ, ვერ მოვიკლავ! ვცადე და შემეშინდა. ყველაფერთან ერთად, მშიშარაც ვარ... ძალიან მშიშარა!

კიდევ ერთხელ, მაპატიე! რეზო“.

მუხლები აუკანკალდა, რომ არ წაქცეულიყო, ჩაიჩოქა. შუბლით კედელს მიეყრდნო. ცრემლმა დაუნამა კაბის კალთა.

„ვუღალატე! ერთადერთი მე ვყავდი და მეც ხელი ვკარი!“ – საფეთქლები გასკდომას ლამობდა.

„ყველას ვძულდი, არავის არასდროს ვყვარებივარ“, – შვილის სიტყვები მოაგონდა.

რატომ? რისთვის?.. მას ხომ ამკარად ახსოვდა, როგორ უყვარდათ იგი ბავშვობისას თანაკლასელებსაც და მასწავლებლებსაც, როგორ დაასეირნებდა მანქანით თანატოლებს ეზოში, როგორი ფრთაშესხმული ბრუნდებოდა მუდამ მშობელთა კრებიდან. და მერე?.. მერე რაღა მოხდა?!

„სწავლობდი?! დიდი რამე, თუ სწავლობდი! შენთვის სწავლობდი, სხვისთვის ხომ არა?!“ – ეს როგორ წამოსცდა! რა უსიცივნეოდ მიახალა!

გონებაში შვილის თვალები ამოტივტივდა... ჩამქრალი, სასოწარკვეთილი... გულზე რაღაცამ მარწუხებივით მოუჭირა...

უღალატა... ეს როგორ მოუვიდა?!

უღალატა და მერე ვინ?! მან, რომელმაც ასე მწარედ განიცადა ღალატის სიმძიმე, როცა საყვარელმა მეუღლემ მიატოვა.

ღალატი და მარტოობა...

არა, ის მთლად მარტო არ ყოფილა... მას ვაჟი დარჩა, ერთადერთი იმედი და სიცოცხლის მიზანი. შვილსაც როგორ უყვარდა! ყველაფერში ეხმარებოდა, ვარამს უნახევრებდა. სამსახურიდან მოსულს ხშირად კერძიც გამზადებული ხვდებოდა. პირველი სტიპენდიებით ოქროს ბეჭედი უყიდა. ეს იყო მისი ერთადერთი სამკაული...

რეზო კი...

„რეზო ახლა სულ მარტოა!..“ – გაუელვა თავში, – „უნდა მოვ-

ძებნო... უნდა მოვძებნო!“ – გაუხარდა, რომ რაღაც გადაწყვეტილება მიიღო.

გარეთ გავარდა და სწრაფი ნაბიჯებით გასწია, არა, თითქმის გარბოდა. თმაგაწეწილს, ნაპტირალევი თვალები დასივებოდა. გამვლელები გაკვირვებულნი უყურებდნენ, ის კი ვერავის ამჩნევდა.

შემდეგ ნაბიჯს უკლო.

„საით მივდივარ?.. პოლიციაში... არა! მას ხომ დაიჭერენ!“

კვლავ სასოწარკვეთა დაეუფლა. იქვე, სკვერში სკამზე ჩამოჯდა.

– ცუდად ხომ არ ბრძანდებით? – მოესმა გვერდიდან... პასუხი არ გაუცია. წამოდგა. ხელის სწრაფი მოძრაობით გაისწორა თმა. უცებ, მოაგონდა, რომ რეზოს ერთი თანაგუფელის მისამართი იცოდა, დედამისი მის დაწესებულებაში მუშაობდა. მაშინვე იქითკენ გასწია.

აკანკალებული ხელით დარეკა ხარი. მის დანახვაზე თანაგუფელი შეკრთა.

– რეზო ხომ არ გინახავს?

– არა.

– სად იქნება, ხომ არ იცი?

– მე?.. საიდან...

– გავიგე, ვილაცასთან უჩხუბია... მართალია?

პასუხი თითქოს განგებ ჭიანურდებოდა, ან, იქნებ, მოეჩვენა მხოლოდ ასე. თვალები აუჭრელდა.

– ლევანი დაჭრა – ამოღერდა, როგორც იქნა.

– ცოცხალია?

– რა თქმა უნდა! დაჭრა-მეთქი, ხომ გითხარით.

– როგორ არის?

– ნაწლავი ორ ადგილას აქვს გაჭრილი. კრიზისი, მგონი, გადაიტანა.

მთელი სხეული მოუდუნდა, შეეშინდა, არ დაცემულიყო.

– ნუ გეშინიათ, გამომძიებლისთვის არ უთქვამს, ვინ დაჭრა, – ყმაწვილის ხმაში ირონია მოესმა. ბიჭმა რაღაც კიდევ დასძინა, მაგრამ დედას ბოლო ნათქვამი აღარც გაუგონია, შინისკენ წაღასლასდა.

ოთახში შევიდა თუ არა, მაშინვე საწოლში ჩაწვა. „არ მოუკლავს... არ მოუკლავს...“ – ცოტათი შვება იგრძნო...

გაგრძელება იქნება

# მერჯას ტყემილიცაცია „თავისუფალ თაყფტში“

„თავისუფალ თეატრში“ წარმტებებით მიმდინარეობს გოჩა კაპანაძის სპექტაკლის – „მედეას“ პრემიერა. საინტერესოა, რომ პანტომიმისა და ქორეოგრაფიის ელემენტებით გამდიდრებული სპექტაკლის ქორეოგრაფია ილიკო სუხიშვილი-უმცროსი. მაყურებელთა ერთსულოვანი აზრით, ეს ვერიბიდეუს პიესის საკმაოდ თამამი ინტერპრეტაციაა. შეიძლება ითქვას, რომ მედეას, როგორც შეიღების მკვლეელი დედის საუკუნეების მანძილზე არსებული სახე რამდენიმე წუთში იმსხვრევა და ის, ასე ვთქვათ, სრულ რეაბილიტაციას განიცდის.

წარმოდგენის დასასრულს, სპექტაკლის მოწვეულ მონაწილეს – შოთა რუსთაველის თეატრის მსახიობს, **დარეიჰან ხარშილაძეს** ვთხოვეთ შთაბეჭდილების განხილვა.

— თქვენი აზრით, რამდენად კარგად მოახერხა რეჟისორმა კოლხი მედეასთვის მკვლელი დედის „ნიღბის“ ჩამოსხნა?

— ვფიქრობ, შესანიშნავად. გოჩა, როგორი ნიჭიერი მსახიობიცაა, ისეთივე კარგი რეჟისორია. სწორედ ამის გამო დავთანხმდი „მედეაში“ მონაწილეობას. მე სხვა მსახიობებთან ერთად ქოროს ვასახიერებ. სხვათა შორის, აღნიშნული სპექტაკლის დადგმაზე ერთ-ერთმა დიდმა თეატრმა გოჩას უარი უთხრა. „თავისუფალ თეატრში“, რომელიც სრულად ამართლებს თავის სახელს, ყველა ნიჭიერ აღამიანს შეუძლია დადგას ის, რაც მისაღებად და საინტერესოდ მიაჩნია. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო მედეა – მარინა კახიანიმა განუყოფელი სახე შექმნა. ■



მარინა კახიანი მედეას როლში



ქართული შოუბიზნესის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი – **რომან რცხილაძე** თავისი საქმიანობის საზღვარგარეთ ვაგრძელებს აპირებს. სარწმუნო ინფორმაციისთვის თავად მოძღვრალს მივმართეთ.

— რატომ გადაწყვიტეთ გამგზავრება?

— მარტივი მიზეზის გამო: ის, რაც აქ ხდება – აქვე კვდება, შემოქმედი აღამიანისთვის კი, აუცილებელია მოღვაწეობის

# 101 უაბდი თიკა რცნტიმი მაგნაციისგან

პატარა ვირტუოზი უკვე სამი სერიოზული ვრან-პრის მფლობელია და საკმაოდ ბევრი თავიანთსმცემელიც ჰყავს. თავად მოძღვრალი კი, მიუხედავად უამრავი წარმტებისა, საკმაოდ გულლია და სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა. ამასთან, როგორც თვითონ გამოგვიტყდა, ძალიან უყვარს საკუთარი ჰედაგოგი – რუსუდან ბახტაძე და პროდიუსერი ნატო ლუმაძე, რომლის ვარეშეც არც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ იღებს.

— თიკა, როგორ გაცნობ თავს ჩვენს მკითხველს?

— ამ კითხვაზე ჩემი ოჯახის წევრები ალბათ უკეთ გიპასუხებენ, მე კი შემიძლია ვთქვა, რომ მაქვს საკუთარი პრინციპები, ოღონდ არ ვარ ჯიოუტი.

— მოგიყვები შენს ახალ მუსიკალურ კლიპზე. საინტერესო იყო გადაღებები?

— დიახ, ძალიან! ნამდვილად არ დავლილვარ, პირიქით – მიხაროდა და მსიამოვნებდა. ერთადერთხელ დამეუფლა შიშის გრძნობა დავითგარეჯში გადაღებისას, როცა სიფრიფანა კაბაში გამოწყობილი, სიციფეში სრულიად მარტო დამტოვეს კლდის წვერზე და ჩემ გარშემო ვერტმფრენი დაფრინავდა. თვითონ კლიპი კი ძალიან მომეწონა – ის დათო დოიამვილის დიდი შრომის შედეგა.

— როგორც ვიცი, „თბილისობა-

# ბტიმა ბცხილაძე: „ბაც აცი სდემა, აციუ კვდემა“

ფართო სპექტრი და არეალი, რის საშუალებასაც დღეს საქართველოში არსებული შოუბიზნესი ნამდვილად არ იძლევა.

— გამოდის, რომ მხოლოდ ერთუზიანობით მუშაობთ?

— შეიძლება, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს მართლაც ასეა: 30 წლის განმავლობაში ცარიელი ერთუზიანობით ვმუშაობ. მხოლოდ იმიტომ, რომ მიყვარს ჩემი საქმე.

— უახლოეს პერიოდში რას პპირდებით თქვენს თავიანთსმცემლებს? რა არის ახალი თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში?

— სამ ახალ სიმღერას ვწერ. ახალია ისიც, რომ შევიძინე უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ხმის ჩამწერი სისტემა (სხვათა შორის, ამაში ძალიან დამეხმარნენ მოსკოველი მეგობრები): რა თქმა უნდა, არ ვაპირებ საკუთარი სტუდიის უქმად გაჩერებას. ■

# ჯამმრტისათვის



ზე“ რესტორანში გამართულ შოუზე მაყურებლები ფეხზე ადგნენ და მხურვალე აპლოდისმენტებით დაგაჯილდოეს.

— ყვეილებითაც! როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ერთ-ერთ უცნობ მაგნატს ძალიან მოეწონა ჩემი სიმღერა და შეკვეთილი 101 ვარდი გამომიგზავნა. სამწუხაროდ, ამ ვარდების შესახებ მოგვიანებით შევიტყვე: კონცერტიდან უკვე წამოსული ვიყავი.

— დაბოლოს — შენი ყველაზე დიდი ოცნება?

— მინდა გავხდე დიდი და ცნობილი მომღერალი, ისეთი, რომელიც „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონიაზე შეასრულებს სიმღერას. ■

მონაგვლა რეზო კახანიშვილი



## უქსაჩის თჯახი სამაქთლიანთმისთვის იბტბუის

ჯანი ვერსაჩეს ოჯახმა სარჩელი შეიტანა ყოფილი მკვლის წინააღმდეგ და მას ცილისწამებაში დასლო ბრალი: თურმე მკველი ირწმუნებოდა, რომ ვერსაჩეები მაფიასთან არიან კავშირში და მოდელიერის მკვლელობაშიც მიუძღვით ბრალი.

მოკლეული ჯანი ვერსაჩეს ძმა – სანტო სიდნიში გაემგზავრა, რათა სასამართლოში ფრანკ მონტეს წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. მონტენა საკუთარ წიგნში „ჯამუშების თამაში“ ირწმუნება, რომ 1996-97 წლებში ის სპეციალურად დაიქირავეს იმ პოტენციური მკვლელებისგან თავის დასაცავად, რომლებიც

შეიძლებოდა ოჯახთან ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი.

გამოძიებით დამტკიცებულია, რომ ჯანი ვერსაჩე 1997 წელს საკუთარ სახლში, ვინმე ენდრიუ კუნანანმა მოკლა. ვერსაჩეების ადვოკატმა ჰენრი ნიკოლამ განაცხადა, რომ „ბრალდება იყო ძალიან კოლორიტული, წინააღმდეგობრივი, სკანდალური და ფანტასტიკური“, მაგრამ ეს ყველაფერი მონტემ შეთხზა, რათა პოპულარობა მოეპოვებინა. წიგნი წელს, ივნისში უნდა გამოსულიყო, მაგრამ მისი გამოცემა სასამართლო გარჩევების გამო აიკრძალა.

## გვინეფ პელტროუ მთფყაქმით გაამიშულს

გვინეტ პელტროუ ირწმუნება, რომ ჟურნალ HARPER'S BAZAAR-ისთვის გადაღებული მისი შიშველი ფოტოები მისი მოტყუების შედეგად შეიქმნა.

ჟურნალის ფოტოგრაფი პატრიკ დემარშელიერი ვარსკვლავზე ყოველგვარ ძალდატანებას უარყოფს: „ჩემს თხოვნაზე, ნაწილობრივ გაშიშვლებულიყო, გვინეტმა დადებითად მიპასუხა“. გადაღების ამ სეანსის შესახებ პატრიკმა NEW-YORK POST-ის კორესპონდენტს უამბო.

თავად გვინეტ პელტროუ აცხადებს, რომ შეკითხვა ცოტა სხვაგვარად უღერდა: „მან მითხრა, რომ არ გადამიღებდა სურათებს ქვემოდან. მე ამაზე დავთანხმდი.“

ასეა თუ ისე, ჟურნალის მკითხველი ძალიან კმაყოფილი დარჩა. მისი თანამშრომლის თქმით, „ფოტოსურათები საოცრად დახვეწილი გემოვნებით გამოირჩევა. ჩვენ კარგად ვიმუშავეთ გვინეტთან და მკითხველებისგანაც საუცხოო გამოხმაურება მივიღეთ“.



## დიდი მბიფანეთის ყვლაჭი მდიდატი მსახიომი

დიდი ბრიტანეთის ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობად ენტონი ჰოპკინსი ცნეს. მისმა ჰონორარმა მთავარი როლისთვის ფილმში „ჰანიბალი“ დაახლოებით 35 მლნ დოლარი შეადგინა. ძვირად ღირებულ ვარსკვლავთა სიაში მას „გლადიატორის“ რეჟისორი რიდლი სკოტი მიჰყვება. მას შემდეგ, რაც ფილმი ხუთი „ოსკარით“ დაჯილდოვდა, მისი ჰონორარი 30 მლნ დოლარამდე გაიზარდა.

## „ლა სკალას“ შემცვლელი გამთქრნდა

იტალიის კულტურული დედაქალაქის – მილანის ხელისუფლებამ საზოგადოებას ახალი, გრანდიოზული საოპერო თეატრი წარუდგინა, რომელიც „ლა სკალას“ მაგივრობას გასწევს მისი რემონტის პერიოდში. მსოფლიოში სიდიდით მეორე (პარიზის ოპერის შემდეგ) „ტეატრო დელა არჩიმბოლი“ მომავალი წლის 19 იანვარს გაიხსნება: მასში 2375 მაყურებელი დაეუბნება, სცენის ზომები კი, იგივეა, რაც ძველში – 16X12 მეტრზეა. სწორედ იქ გაიმართება „ლა სკალას“ ყველა დადგმა, როცა მსოფლიოს მთავარი საოპერო თეატრი სამი სეზონით შეწყვეტს ფუნქციონირებას. საოპერო დარბაზის გარდა, ახალი თეატრის შენობაში განლაგებულია სარეპეტიციო დარბაზები და რამდენიმე ბარი, თეატრის მახლობლად კი 900 ადგილიანი ავტოსადგომი შენდება, უმანქანო მაყურებელს კი ავტობუსი მოემსახურება, რომელიც მას სპექტაკლის შემდეგ „ლა სკალას“ მოედნამდე მიიყვანს. რა თქმა უნდა, ახალი თეატრი აკუსტიკისა და სასცენო ტექნიკის თანამედროვე ტექნოლოგიებით იქნება აღჭურვილი, თუმცა „ლა სკალას“ სუპერინტენდანტი კარლო ფონტანა აღნიშნავს, რომ ახალი თეატრი მილანის მთავარ ღირსშესანიშნაობას ვერ შეცვლის – შემდგომში „არჩიმბოლი“ „ლა სკალას“ ერთგვარი დამატება იქნება და პარალელურად იმუშავებს.



მთაწგალა

მანანა ლოლოპერიძე

# Nissan Primera „ეკონომიკური იაპონელი“

ფირმა „ნისანის“ ევროპული სამოდელო რიგის სრული განახლებისათვის მას მხოლოდ ერთი პრემიერა აკლდა — აღნიშნავენ საავტომობილო მრეწველობის ექსპერტები, და ეს პრემიერა, ბოლოს და ბოლოს, ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებულ ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგა.



თითქოს ზედმიწევნით იაპონური წარმოშობის „პრიმერას“, სინამდვილეში ევროპული ნიშან-თვისებები ასასათებს. ამ მოდელის პირველი თაობაც, რომელიც 1990 წელს გამოჩნდა, იმთავითვე ევროპელთა გემოვნებას ესადაგებოდა და „ნისან პრიმერა“ ერთ-ერთი პირველი იაპონური ავტომობილი იყო, რომელიც ე.წ. ძველი სამყაროსთვის მისაღები ტექნიკური და სტილისტური მახასიათებლების შესაბამისად შემუშავდა. უფრო მეტიც — ამ მანქანის წარმოებაც ევროპაში, კერძოდ — ინგლისის ქალაქ სანდერლენდში მდებარე კომპანიის ქარხანაში დაიწყო.

1996 წელს გამოშვებული მეორე თაობის „პრიმერაც“ ზომიერი კონსერვატიუზმით გამოირჩეოდა, რაც მის გარეგნულ იერსახეშიც გამოძვლავდა და კონსტრუქციაშიც. სამაგიეროდ, სულ ახალი „პრიმერა“ ჰემი-მარიტად რევოლუციური აღმოჩნდა. არავის ეგონა, თუ ერთი წლის წინ პარიზის ავტოსალონზე ნაჩვენები ფუტურისტული პროტოტიპი პრაქტიკულად უცვლელად გადავიდოდა საგამოყენო პოდიუმიდან საქარხნო კონვეიერზე. შარშანდელი კონცეპტის მსგავსად, სერიული ავტომობილი, „ნისანელთა“ ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ე.წ. მონოსილუეტს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისმა დიზაინერებმა მაქსიმალურად აარიდეს თავი ე.წ. სამგანზომილებიან კონსტრუქციას და სედანის ძარის მქონე მანქანა პრაქტიკულად ერთმოცულობიანად აღიქმება.

ახალი „პრიმერას“ ავანგარდულობა ოდენ არაორდინარულ გარეგნობაში არ გამოიხატება, მთავარი მანც ტექნიკური სიახლეებია, რომელიც მოდელის მესამე თაობაში გამოიყენეს. ყველაზე საყურადღებო ე.წ. INTELLIGENT CRUISE CONTROL-ია — სისტემა, რომელიც ლაზერული რადარის მეშვეობით განსაზღვრავს დისტანციას უახლოეს ავტომობილამდე და ამის შესაბამისად, ავტომატურად არეგულირებს მანქანის სიჩქარეს. ამგვარი მოწყობილობით აქამდე მხოლოდ უმაღლესი კლასის ავტომობილები იყო აღჭურვილი.

კიდევ ერთი სიახლეა უკანა ხედის კამერა, რომელიც გამოსახულებას მრავალფუნქციურ დისპლეიზე იმ წამიდან მოგაწვდით, როგორც კი უკუსვლის სინ-



ქარეს ჩართავთ. სანავიგაციო სისტემაში, კარტოგრაფიული და სხვა ინფორმაციის მატარებლად ახლა DVD-ტერმინალი მოგვევლინება, რომელიც ერთ დისკზე მთელი ევროპის რუკას დაიტევს. ახალი „პრიმერა“ აღიჭურვება აგრეთვე ავარიული და მუხრუჭების სისტემით — NISSAN BRAKE ASSIST და აქტიური უსაფრთხოების სხვა თანამედროვე საშუალებებით.

და მანც, ყველაზე საინტერესო სიახლეს ალბათ ახალი ინტერფეისი წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს კლიმატური, სანავიგაციო და აუდიოსისტემების მართვას, საბორტო კომპიუტერის ინფორმაციითა და საკომუნიკაციო მოწყობილობებით სარგებლობას. ყველა დასახელებული მოწყობილობის მართვა ცენტრალურ კონსოლზე, უშუალოდ თხევადკრისტალებიანი დისპლეის ქვეშ განთავსებული მინიატურული ჯოისტიკითა და 6 მრავალფუნქციური კლავიშით ხორციელდება; ბრძანებათა შეცვლა ეკრანზე მოცემული მენიუს მეშვეობით ხდება. მართვის ასეთი სისტემის გამოყენებამ იწინარეს საშუალება მისცა, ერთი-ორად შეემცირებინათ ლილაკებისა და გადამრთველების რაოდენობა.

თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, ახალი მოდელი თავის წინამორბედზე უფრო მოცულობითი გახდა. საგრძობლად გაიზარდა ავტომობილის გარე გაბარიტები: საბორტლე ბაზის გადიდებასთან ერთად, ეს უფრო არბილებს მანქანის სვლას და, შესაბამისად, უფრო კომფორტულს ხდის მას მგზავრებისთვის. საერთოდ, კონსტრუქტორებმა დიდი ყურადღება მიაქციეს სავალი თვისებების დახვეწასა და ე.წ. „კომფორტი/მართვაობის“ კომპრომისს.

ძრავების დიაპაზონი აერთიანებს უკვე ცნობილ — 1,6 და 1,8 ლიტრიან მოდიფიკაციებსა და ახალ — 2 ლიტრიან, 140 ცხ. ძალიან ბენზინისა და 2,2 ლიტრიან ტურბოდიზელს, რომლებითაც აღჭურვილია აგრეთვე მოდელი X-TRAIL. ასეთივე ფართო არჩევანია ტრანსმისიების სფეროში: სხვადასხვა ძრავას შეუთავსებენ ხუთ და ექვსსაფეხურიან მექანიკურ გადაცემათა კოლოფებს. 1,8 ლიტრიან აგრეგატთან ერთად მომხმარებელს ტრადიციულ ოთხსაფეხურიან „ავტომატსაც“ შესთავაზებენ. ყველაზე მძლავრ 2 ლიტრიან ძრავას კი შეუწყვილებენ HYPERTRENIC CVT-M6 ვარიანტს, რომელსაც ხელით გადასართავი ექვსი „ვირტუალური“ საფეხური ექნება.

როგორც ხედავთ, „ნისანმა“ კონკურენტებზე ფართომასშტაბიანი იერიშისთვის საჭირო მძლავრი „იარაღი“ შექმნა, რომელთან გამკლავებაც ბევრ გამოცდილ ავტომწარმოებელსაც გაუჭირდება.





# GOLF ედასის ოხი ადტეხნატკვა

OPEL ASTRA CARAVAN-ი და CITROEN XSARA BREAK სწორედ ამ ტიპის უნივერსალთა რიგს განეკუთვნება, თუმცა ბევრი რამით განსხვავდება ერთიმეორისაგან. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, „ოპელი“ – თავშეკავებული გერმანული დიზაინის ტიპური მაგალითია. მისი ლაკონური, წვრილმანებამდე დახვეწილი სწორხაზოვნება უფრო მეტად უსვამს ხაზს ძარის ფუნქციურობას. ამის საპირისპიროდ, ფრანგული მოდელი რბილი და მეტყველი მომრგვალებული ფორმით, მოხდენილი და ნატიფი გარეგნობით გამოირჩევა. ერთი ენამოსწრებული ექსპერტის თქმით, გერმანული ავტომობილის კლასიკური დიზაინი რაფინირებულ ჯიპზე მეტყველებს, რაც შეეხება ფრანგულ მანქანას, მასზე საუბრისას ყველაზე უპრიანია, ვინმართ სიტყვა „სტილი“.

ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენს ავტომობილების ინტერიერი: „ოპელის“ მწყობრი არქიტექტურა და რბილი პლასტიკი გაცილებით სოლიდურად გამოიყურება, ვიდრე მაგარი პლასტიკით მორთული „სიტროენის“ ინტერიერი.

ორივე ავტომობილს მძღოლის სავარძლის რეგულირებისთვის მოსახერხებელი ბერკეტები აქვს; ავტომობილები

აღჭურვილია აგრეთვე, საჭის მდგომარეობის შესაცვლელი მექანიზმით.

უკანა სავარძლებზე დაჯდომისას, მგზავრები შეამჩნევენ, რომ „ასტრას“ ცოტა ვიწრო კარი აქვს, სამაგიეროდ, „სიტროენის“ ჭერი მეტისმეტად დაბალია. უკანა სავარძლები ორივე მანქანაში იკეცება – როგორც მთლიანად, ისე – ნაწილობრივ. საბარგო მოცულობით „სიტროენი“ სჯაბნის კონკურენტს – მისი საბარგული უფრო გრძელია, თუმცა სიმაღლეში „ოპელისას“ ჩამორჩება.


16 სარქლანა ძრავების მქონე კონკურენტებს სხვაობა ჰქონიათ დინამიკაში: მწარმოებლის მონაცემებით, „სიტროენი“ 1 წამით სჯობნის „ოპელს“ 100 კმ/სთ-მდე სიჩქარის მიღწევის მაჩვენებლით. წვეის დონითაც საწყის ეტაპზე ფრანგული მოდელი უსწრებს გერმანულს, რომელიც პირველისგან განსხვავებით, გარკვეული პერიოდის დაგვიანებით აღწევს თავის პიკს.

„ოპელიც“ და „სიტროენიც“ ძალზედ „დამჯერი“ ავტომობილებია და დიდი საიმედოობით გამოირჩევა: ორივეს მართვა დიდ სიამოვნებას მიანიჭებს ავტომოყვარულებს.

ექსპერტთა შეფასებით, „სიტროენი“ ოდნავ სჯაბნის კონკურენტს კომფორტუ-

ლობის თვალსაზრისით: გზის საფრის ყოველგვარ ხინჯზე ის უფრო რბილად რეაგირებს, ვიდრე „ოპელი“. მათი ძრავების „ეოკალური მონაცემები“ დიდად არ განსხვავდება: „ოპელის“ აგრეგატის ხმა ოდნავ უფრო „კეთილშობილია“, „სიტროენის“ ძრავის ტემბრი კი, ნაკლებად დახვეწილი. სამაგიეროდ, გერმანულ უნივერსალში უფრო მკაფიოდ გაიგონებთ აეროდინამიკის ხმას, ფრანგული მოდელის ხმის იზოლაცია კი გაცილებით უკეთ იცავს სალონს გარე ხმაურისგან.

მოკლე შედარებითი ექსპერტის დასასრულელად, მოვიყვანთ რამდენიმე ძირითად მაჩვენებლებს. მაქსიმალური სიმძლავრე: „სიტროენი“ – 109 ცხ.ძ, „ოპელი“ – 101 ცხ.ძ, მაქსიმალური სიჩქარე: 196 კმ/სთ – 183 კმ/სთ; 100 კმ/სთ-მდე გარბენის დრო: 11 წმ – 12 წმ; საწვავის სარჯი 100 კმ-ზე: 5,5/9,3 – 5,8/9,7. დაბოლოს – ფასი: „სიტროენის“ – 16.900 დოლარი, „ოპელის“ – 16.369 დოლარი.



# ტესტი

გაქვთ თუ არა ქრონიკული ჰიპოციდური გასტრიტი (ეუჭის დაბალი მჟავიანობით მიმდინარე ანთებითი პროცესი)

### რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამასაშვილი

1. გაქვთ თუ არა უმადლობა?
2. გაქვთ თუ არა ცუდი გემო ან გემოს შეგრძნების შესუსტება?
3. ჭამის დროს კუჭი სწრაფად ხომ არ გვესება?
4. ჭამის შემდეგ გაქვთ თუ არა კუჭის სისავისის შეგრძნება?
5. გაქვთ თუ არა ხელებსა და ფეხებში: სიცივის, დაბუფების, „ჭიანჭველების

- ცოცვის“ შეგრძნება?
6. გაქვთ თუ არა მშრალი კანი?
  7. ხართ თუ არა ფერმკრთალი?
  8. გაქვთ თუ არა თმის ბოლოების გაწეწვა-გაორკაპება (ბოლოჭამიები)?
  9. თქვენი ფრჩხილები არის თუ არა არასწორზედაპირიანი, ზოლებიანი და მტვერევადი?
  10. გაქვთ თუ არა ანემია?

პასუხისათვის „დიახ“ - 1 ქულა, „არა“ - 0 ქულა.

7-10 ქულა – საკმაოდ ბევრი ნიშანი გაქვთ, ჰიპოციდური მდგომარეობისთვის დამახასიათებელი. ჩაიტარეთ სათანადო გამოკვლევა დიაგნოზის დასადასტურებლად.

4-6 ქულა – უკეთ დააკვირდით საკუთარ თავს. ყურადღებით წაიკითხეთ და გაითვალისწინეთ „გზის“ წინა ნომერში ამ თემაზე მოცემული რჩევები.

0-3 ქულა – ჯერჯერობით, სერიოზული არაფერია, მაგრამ გამოარკვეთ დადებითი პასუხების მიზეზი.

# ლოცვა

### უძილობისას

### ღირსი ალექსანდრე სვირელი

ტროპარი: შენ შორის, საკვირველო მამაო, კეთილად დაცულ იქმნა ხატება, რამეთუ აღიღე ჯვარი და შეუდექ ქრისტესა, და მოქმედი ასწავებდი შეურაცხყოფასა ხორცთასა, ვითარცა წარმაჯალსა, ხოლო ღვაწლსა სულისასა ვითარცა უკვდავისა არსებისა, რომლისათვისცა ანგელოზთა თანა იხარებს სული შენი, ნეტარო ალექსანდრე.

### სნეულთათვის

მეუფეო ყოვლისა მპყრობელო, მკურნალო სულთა და ხორცთა ჩვენთაო, რომელი დაამდაბლებ და აღამაღლებ, რომელი ჰსწყ-

ლავ და კვლად განჰკურნავ, ძმასა ამას ჩვენსა სნეულსა ზედა მოჰხედე მოწყალებითა შენითა, მოჰყავ მარჯვენა შენი უხილავი, სავსე ღზინებითა და კურნებითა. განჰკურნე მონაი ესე შენი (სახელი) და აღადგინე ესე ცხედრისაგან სნეულებისა მისისა და შეჰრისხენ სულსა ყოველივე წყლულები და ყოველივე საღმობა, ყოველივე გვემა და ყოველივე მხურვალება, გინა ცხრო და რაოდენი რა არს ამის თანა ბრალი, გინა უსჯულოება, მიუტყვე, უღზინე, შეუნდე კაცთმოყვარებისა შენისათვის.

ჰე, უფალო, შეიწყალე დაბადებული ესე შენი ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება თანა ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

# ჯანმრთელობის ფილოსოფია

### სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი (დასაწყისი იხ. „გზა“ №44)

### არნოლდ ვიტანოველი

### სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი

#### XII

ტევანი\*, მსხალი, ხახვი, ნიორი, ბოლოკი, თხილი და თრიაყა\*\*

აღამიანის დამღუპველ შხამთა საუკეთესო, სანდო წამალი.

#### XIII

იყოს ჰაერი მუდამ ჯანსაღი, მაცოცხლებელი და არა მავნე,

ნაგავისა და უწმინდურობის სადენ კლოაკის სუნით შერყვნილი.

#### XIV

თუ ღამით ღვინო მავნეა და არ მოგვცემს შეებას,

ღღისით დალიე, მოვიხდება, მოვიყვანს ჯანზე.

რჩეული ღვინო გაგამაგრებს, გადავა სისხლში;

თუ ის შავია, იცის ტანში მოთენთილობა.

სჯობს, იყოს თეთრი, ძველი, ნაზი, დაღვინებული,

თუნდაც ქაფქაფა, წყალნარევი – ოღონდ ზომაზე!

#### XVI

სჯობს, გაზაფხულზე სვა და ჭამო მხოლოდ ზომაზე,

ზაფხულში ცხელა, ხშირი ღზინი მავნეა მეტად.

შემოდგომაზე ხილს ერიდე, რომ არ გაწყინოს.

ზამთარში სვი და ჭამე კიდეც – რამდენიც გინდა.

#### XVIII

ზღვის სნეულება ეგზომ მტანჯველი, ვერ მოგაყენებს ვერასდროს ზიანს,

თუ მგზავრობის წინ ცოტა ზღვის წყალი შესვი, ღვინოსთან შეზავებული.

#### XIX

მარილი, სალბი, ღვინო, ნიორი, ოხრახუში და წიწკა, მასთან

თუ შეაზავეს, როგორც წესია, ცხარე საწებელს მიიღებს კაცი.

#### XX

თუ გინდა, იყო მუდამ ჯანმრთელი, ხშირად იბანე სახე და ხელი.

თუ ჭამის შემდეგ ხელებს დაიბან, მიიღებ ორწილ სიამოვნებას:

ხელი გექნება სუფთა, საღი და თვალთა მზერა კი უფრო ფხიზელი.

#### XIII

მაჭარი კუჭსაც ასუსტებს და შარდსაც აკაეებს.

ქვებს აჩენს, ღვიძლსა და ელენთას ანაგვიანებს.

#### XVIII

წყლის დაყოლება ჭამის შემდეგ მავნეა მეტად,

კუჭი ცივდება, მონელება ძნელდება ხოლმე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში \*ტევანი (ლათ. რუტა) – შხამსაწინააღმდეგო ბალახი, მარიამსაქმელა.

\*\*თრიაყი, თრიაქი – „სამსალის მკურნებელი“ (საზა), უნივერსალური შხამსაწინააღმდეგო წამალი.

## სამკურნალო მცენარეები

### ალოე

ოთახში ალოე ძალიან იშვიათად ყვავის, ამიტომ ბევრს როდი უხილავს მისი ლამაზი, გრძელყუნწა, წითელყვითელი ყვავილები. თავის სამშობლოში – აფრიკაში კი ალოე დიდ, 20 მეტრიან ხედ იზრდება, რომლის ფოთლები 60 სანტიმეტრის სიგრძისაა. იგი ყოველ წელიწადს უხვად ყვავილობს. ოდითგან ალოეს სამკურნალოდ იყენებდნენ. განსაკუთრებით ძვირფასია მისი წვენი.

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისას ბერძნებმა შეიტყვეს, რომ სოკოტრეს კუნძულზე არსებობდა ისეთი ხე, რომლისგანაც მცხოვრებლები გამაჯანსაღებელ ბლანტ წვენს ხარშავდნენ. ამბობდნენ, ამ ხის გულისთვის დაიპყრო მხედართმთავარმა ეს კუნძული. ასე მოხვდა აფრიკის უდაბნოს ბინადარი მცენარე ევროპელთა ხელში. საბედნიეროდ, იგი ძალიან უპრეტენზიო აღმოჩნდა, მშვენივრად იზარა უცხო მიწაზე და არც თავისი სასარგებლო თვისებები დაკარგა. ალოეს 200 სახეობათაგან ჩვენში გავრცელებულია „ხის მაგვარი“ და „ზოლიანი“. ხის მაგვარ ალოეს, როგორც სამკურნალო მცენარეს, შუა აზიასა და ამიერკავკასიაში ახარებენ.

### ალოეს ახალი წვენი

მოჭერით ქვედა ან შუა ფოთლები, ცხელ წყალში გარეცხეთ, აცალეთ გამრობა, დაალაგეთ თიფშზე, დაახურეთ ქალაღი და 12 დღის განმავლობაში გააჩერეთ მაცივარში ან ბნელ გრილ ადგილზე. ასეთ არახელსაყრელ პირობებში ალოეს ფოთლებში ფერხდება ყველა სასიცოცხლო პროცესი და აი, სწორედ მაშინ უჯრედები იკრებენ მთელ ძალებს, რათა როგორმე თავი გადაირჩინონ. სწორედ ამ დროს აღმოცენდება განსაკუთრებული ნივთიერებები – ბიოგენური სტიმულატორები, რომელიც უჯრედების სიცოცხლისუნარიანობას აღვიძებს. ალოეს წვენის ასე დამუშავება აკადემიკოსმა ვ.პ. ფილატოვმა შემოგვთავაზა. წვენში შემავალი ბიოსტიმულატორები აძლიერებს ადამიანის ორგანიზმის უჯრედების ნივთიერებათა ცვლას, ზრდის



ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს, ხელს უწყობს ქსოვილთა რეგენერაციას (აღდგენას) და ადამიანის გამაჯანსაღებას.

### წვენის დამზადება

როცა მაცივრიდან ფოთლებს გამოიღებთ, დაათვალიერეთ, დაზიანებული ხომ არ არის (შავი ნაწილები მოაჭერით), გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში და გაწურეთ ორფა დოლბანდში. წვენი სახმარად ვარგისია, როგორც ახალგამოწურული, ისე დაკონსერვებული (დასაკონსერვებლად 8 წილ ალოეს წვენს დაუმატეთ 2 წილი სპირტი).

ალოეს წვენი ეფექტური სამკურნალო საშუალებაა, კანის ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ეგზემა, დამწვრობა, სირსველა, ჭრილობა, წყლული; დღეში ორჯერ კანის დაზიანებულ ადგილებზე უნდა გაკეთდეს კომპრესი ალოეს წვენში დასველებული ნაჭრით. ასევე შეიძლება დღეში ორჯერ დაიდოთ ალოეს ფოთოლიც, რომელსაც კანი უნდა ააჭრათ (ან ფოთლების ფაფისებრი მასა). წყლულოვანი სტომატიტის დროს უნდა დაღვწოთ ალოეს ახალი ფოთლები ან პირში გამოივლოთ მისი წვენი.

წვენი მდიდარია ფერმენტებით, ვიტამინებით, აქვს ბაქტერიოციდიული თვისებები (ხოცავს ბაქტერიებს).

მწვავე რინიტის (ცხვირის ლორწოვანის ანთება) დროს საკმარისია

ახალდაკონსერვებული ალოეს წვენის 2-3-ჯერ ჩაწვეთება (საჭიროა 5-8 წვეთი თითოეულ ნესტოში რამდენიმე საათში ერთხელ).

ახალგამოწურულ წვენს იყენებენ დაბალი მჟავიანობით მიმდინარე ქრონიკული გასტრიტის (კუჭის ლორწოვანის ანთების), აგრეთვე შეკრულობების დროს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ალოეს წვენის დიდი დოზით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მსხვილი ნაწლავის ანთება. დაუშვებელია მისი მიღება ბუასილის და საშოდან სისხლდენის დროს. აგრეთვე ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მწვავე დაავადებების დროს.

### გასაკაჟებელი ნაზავი

ასეთი ნაზავი კარგია ინფექციური დაავადებებისაგან დასუსტებული ადამიანისათვის, ქრონიკული ბრონქიტის სამკურნალოდ, მადის გასაღვიძებლად. გთავაზობთ ხალხურ რეცეპტს: 150 გ ახალი, უმჯობესია ზემოთ აღწერილი წესით დამზადებული (მაცივარში შენახული) ალოეს წვენი, 250 გ თაფლი, 350 გ წითელი ღვინო ერთმანეთში აურიეთ. მიიღეთ დღეში სამჯერ, თითო სუფურის კოვზი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

### ნაზავი ბავშვებისათვის

100 გ ალოეს წვენი, 500 გ დარჩეული ნივთი, 300 გ თაფლი, 3-4 ლიმონის წვენი. დაალევიანეთ დღეში სამჯერ ჩაის კოვზით, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

### წყლიანი ნაყენი

ფაფისებრ მასას დაუმატეთ 5 წილი წყალი და გააჩერეთ ერთი საათი, შემდეგ 2-3 წუთი წარმოადღეთ და გაწურეთ დოლბანდში (თუ დიდხანს ინახავთ, კიდევ უნდა წამოდუღდეს).

წყლიან ნაყენს იყენებენ კანის დაავადებებისას (საფეხებისათვის), ღრძილებისა და ქუთუთოებისათვის, ასევე პირში და ყელში გამოსავლებლად.



### ჩინური სამზარეულო

ქვეყნის უზარმაზარი ტერიტორიისა და ეთნიკური სიჭრელის კვალობაზე ჩინური სამზარეულოც მეტად ძველი, რთული და მრავალფეროვანია. გავრცელებულია შეხედულება – ყოველი ჩინელი, მზარეულად იბადებაო. იქნებ ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა დედაქალაქში შეხვდებით ჩინურ რესტორნებს, რომელსაც არასოდეს აკლია სტუმარი. თვით ჩინეთში ხომ სათვალავი არა აქვს რესტორნებს, როგორც მდიდრულსა და ძვირადღირებულს, ისე ოთხთვალაზე შესკუპულ მოძრავ პატარა რესტორნებსა და ღუქან-სასაუზმეებს.

ჩინელი მზარეულები, იმის მიუხედავად, რომ მათ სამზარეულოში სულის შემხუთავი სიცხე ტრიალებს, კერძებს განსაკვივრებელი სისწრაფითა და სიხალისით ამზადებენ. ისინი თითქმის არ ხმარობენ კარაქს – მას გადამდნარი ქონი და მიწის თხილის ზეთი ცვლის. იქ პოპულარული არ არის ხბოს ხორციც – უპირატესობა ღორს, იხვს, ქათამს, თევზს ეძლევა. კერძის მომზადების ისეთ მარტივსა და ფართოდ გავრცელებულ ზერხს, როგორც ხარშვას, ძალიან იშვიათად მიმართავენ და უფრო მოშუშვას, შებრაწვას, შებოლვას, დაშაშხვას ამჯობინებენ.

თუ ტიბეტში სამოგზაუროდ ემზადებით, „გამოწრთობილი“ კუჭიც უნდა გქონდეთ, ვინაიდან იქ ძალიან ღიდხანს და განსაკვივრებლად მაძღრისად სადილობენ. გასაკვირი არ არის, რომ მიყოლებით თხუთმეტი თავი კერძი

მოგიტანონ, თანაც ყველა მათგანი ბოლომდე უნდა მიირთვათ. უარი ოჯახისადმი უპატივცემულობად ითვლება და შეიძლება, მასპინძელი გააღიზიანოთ. დესერტს ჩაი მოსდევს, რომელსაც შეჩვევა სჭირდება – მასში კარაქის ნაჭერს აგდებენ.

კულინარიულ სფეროში პირველობას ძირითადად სამი მზარევეცილება ერთმანეთს – ჰკეინი, კანტონი და სიჩუანის პროვინცია. ჩინეთში მიუღებლად მიაჩნიათ თევშზე კერძის დანით დაჭრა. ამიტომ მზარეულები კერძებს ისეთნაირად ამზადებენ, რომ პირდაპირ მიირთვათ და დანით დაჭრა საჭირო აღარ იყოს. აქედან გამომდინარე, სუფრაზე დანებიც აღარ მიაქვთ. წვნიანს ფაიფურის მოკლეტარიანი კოვზებით მიირთმევენ.

### ჩოპ სვი – მოშუშული ხორცი

200 გ ღორის ხორცი, 1 თავი ჩინური კომბოსტო, ქორფა ხახვის 4 ღერო, 2 კბილი ნიორი, 4 ს/კ (სუფრის კოვზი) დაჭრილი მწვანელი, 1 ჭიქა სოკო, 1 ს/კ სახამებელი, ნახევარი ჭიქა ზეთი, ნახევარი ჭიქა ხორცის ბულიონი, მარილი.

ხორცი დავეჭრათ თხელ ნაჭრებად, კომბოსტოს ფოთლები – გარდივარდმო, ხახვი, ნიორი და სოკო – წვრილად. მწვანელი ავურიოთ წყალში გათქვეფილ სახამებელში.

ღიდ ტაფაზე შევათბოთ ზეთი, შევწვათ ხორცი და შემწვარი ნაჭრები მივაცუროთ ტაფის ნაპირზე. მერე ერთმანეთის მიყოლებით ტაფაზე დავაწყოთ სოკო, ნიორი, კომბოსტო, მწვანე ხახვი, ერთმანეთში ავურიოთ და მოვშუშოთ. ბოლოს, ხორცი და ბოსტნეულიც ერთმანეთში ავურიოთ და დავამატოთ ათქვეფილი სახამებელი (აქ ხორცის ბულიონის ხმარებაც შეიძლება). ათი წუთი ვშუშოთ და მივიტანოთ სუფრაზე ფანტელა ბრინჯთან ერთად.

### ჩოუ ფანი – შემწვარი ბრინჯი

1 ჭიქა წვრილად დაჭრილი მოზარშული ხორცი, 3 ჭიქა მოხ-

არშული, გაცივებული ბრინჯი, 3 ს/კ ზეთი, 2 კვერცხი, 1 ს/კ დაჭრილი მწვანელი, 2 თავი ხახვი, მარილი.

ტაფაზე გავაცხელოთ ზეთი, დავამატოთ ბრინჯი და 10 წუთის განმავლობაში ვწვათ, თან ვურიოთ. მერე დავამატოთ ხორცი, მწვანელი, მარილი, გათქვეფილი კვერცხები და ერთმანეთში გავკქნათ. მაგიდაზე მიტანამდე მოვაცაროთ ხახვი.

### კვერცხიანი შაშხი

400 გ შაშხი, 4 კვერცხი, 1 ჩ/კ (ჩაის კოვზი) ფქვილი, 65 გ დაფხვნილი ორცხობილა, ცხიმი.

შაშხი წვრილად დავჭრათ, კვერცხები ავფთქეფოთ და ფქვილი და ორცხობილა შევურიოთ. შემდეგ ამ მასისაგან დავამზადოთ მტრედის კვერცხისხელა გუფთები და 3-4 წუთი ვწვათ ცხიმში.

### იუ ძუ ხაო ხინგ ხაო – მწვანე წიწაკა ხორცი

150 გ ღორის მჭლე ხორცი, 1 ჩ/კ დაჭრილი მწვანელი, 1 ჩ/კ სახამებელი, 6 ცალი ტკბილი ქორფა წიწაკა, 4 ს/კ ზეთი.

სოუსი: 1 ს/კ დაჭრილი მწვანელი, 1 ს/კ საღესურთო ღვინო, 1 ჩ/კ მარილი, 1 ჩ/კ შაქარი.

ხორცი თხლად დავჭრათ და მოვაცაროთ მწვანელი. გახსნილ სახამებელში ავურიოთ ხორცი და ერთი საათით დავტოვოთ ასე. წიწაკა დავჭრათ სიგრძეზე და მოვასროთ ყუნწი და თესლი. ერთმანეთში ავურიოთ სოუსისათვის განკუთვნილი პროდუქტი, მაგრად გაცხელებულ ზეთში ხორცი შევხანხლოთ 30 წამის განმავლობაში და მაშინვე ამოვიღოთ, როგორც კი ფერს შეიცვლის. იგივე ზეთი ხელახლა გავაცხელოთ და ახლა დაჭრილი წიწაკა ჩავყაროთ შიგ და ისიც 30 წამს გავაჩეროთ, ოღონდ გამუდმებით ვურიოთ. დავამატოთ ხორცი, მერე სოუსი და შევწვათ რამდენიმე წუთის განმავლობაში.

ხორცი უნდა გახდეს რბილი, ნაზი, წიწაკა – ხრაშუნა.



# რჩევები ქალებს

## როგორ დავდივართ

მოდით შევამოწმოთ, სწორად დავდივართ თუ არა. დადებით და დაჭიმეთ მუხლები. თუ ამ მდგომარეობაში გიჭირთ წონასწორობის შენარჩუნება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სწორად სიარული, ჯერაც არ გისწავლიათ. გულზე ხელი დაიდეთ და აღიარეთ, რამდენჯერ მივიღიათ შემდეგი სახის შენიშვნა: გაიმართე ბეჭებში, ასწიე თავი, გადადვი პატარა ნაბიჯები და ა.შ. შესაძლოა, თქვენ ეს ყველაფერი მეორეხარისხიანად გეჩვენებათ, მაგრამ გახსოვდეთ, სწორი, ლამაზი სიარულის მანერა, ქალს საოცარ მომხიბვლელობას მატებს.

აღმოსავლელ ქალებს ოდიტგანვე მომხიბვლელი და ნარნარი სიარული ახასიათებდათ. ეს ნაწილობრივ იმიტაც არის გამოწვეული, რომ ამ ქალების უმრავლესობას ბავშვობიდან უხდება თავით სხვადასხვა სახის სიმძიმის ტარება, კალათა იქნება ეს თუ წყლით სავსე დოქი. ასეთი სისტემატური ვარჯიში ამაგრებს კისრისა და ზურგის კუნთებს, ხელს უწყობს სწორი სიარულის მანერის გამოძუშავებას.

მაშასადამე, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელი არ არის შემდეგი დასკვნის გაკეთება – უპირველეს ყოვლისა საჭიროა, დავტვირთოთ ხერხემალი, რათა იგი უფრო ძლიერი და ელასტიკური გახდეს.

დაჯექით იატაკზე, ფეხები გაჭიმეთ, ხერხემალი გამართეთ, ხელები დაიწვეთ წელზე. შემდეგ ნელ-ნელა გადაწეით ზურგზე, ასევე ნელა დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ეს ვარჯიში გაიმეორეთ სულ ცოტა 25-ჯერ მაინც. იგი მშვენივრად მოქმედებს არა მარტო ხერხემლის, არამედ მუცლისა და თიძოს კუნთებზეც.

თქვენს სიარულის სისწორე უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გიჭირავთ ზურგი და კისერი, მაგრამ ამასთანავე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხების, ხელების და მთელი სხეულის სწორ მოძრაობასაც. ცხადია, კარგად მორგებული ფეხსაცმელიც ხელს გვიწყობს სწორ სიარულში. უნდა გვახსოვდეს, რომ ნაბიჯის გადადგმისას ჯერ ვდგამთ ქუსლს, შემდეგ – ფეხის წვერს. არ არის რეკომენდებული მუდმივად, სახლში იქნება ეს თუ ქუჩაში, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული. ამ დროს ქალი ეჩვევა სასაცილოდ პატარა ნაბიჯებით სიარულს. ასევე არ არის რეკომენდებული აბსოლუტურად უქუსლო ფეხსაცმლის ტარება. ის ხელს უწყობს ე.წ. დაუღევარი სიარულის მანერის გამოძუშავებას.

ბუნებრივია, ისმება კითხვა: მაშ, როგორი ფეხსაცმელი უნდა ვატაროთ? იდეალური ვარიანტია სამიდან ხუთ სანტიმეტრამ-

დე სიმაღლის ქუსლიანი ფეხსაცმლის ხმარება. ეცადეთ, სახლშიც დაახლოებით ამ ზომის ქუსლიანი ფეხსაცმელი იხმაროთ. ეს, ყველა სიკეთესთან ერთად, ბრტყელტერფიანობის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა.

ახლა რამდენიმე სიტყვა იმ ვარჯიშების შესახებ, რომელიც მოხდენილი სიარულის მანერის გამოძუშავებაში დაგეხმარებათ:

ვარჯიში 1. წელში გაიმართეთ, ხელები თეძოებზე შემოიწვეთ, თავი ასწიეთ და ერთი წუთის განმავლობაში იარეთ ფეხის წვერებზე ისე, რომ მუხლები არ მოხაროთ.

ვარჯიში 2. იარეთ რბილად ერთი წუთის განმავლობაში. ჯერ დადგით ფეხის წვერი და მხოლოდ შემდეგ – მთელი ტერფი. ფეხები ოდნავ მოხარეთ მუხლებში.

ვარჯიში 3. მარცხენა ფეხის წვერი გააცურეთ წინ, შემდეგ ასწიეთ მარჯვენა ფეხი და ასევე წვერით მიაცურეთ მარცხენა ფეხთან. ეს ვარჯიში დაახლოებით ოცდახუთჯერ უნდა გააკეთოთ.

ვარჯიში 4. დადგით ფეხის წვერებზე და იარეთ ადგილზე. სიარულის დროს მკვეთრად მოხარეთ მუხლები, ფეხის ტერფი ამოდრავთ წვერიდან ქუსლისაკენ.

ვარჯიში 5. ერთი წუთის განმავლობაში ირბინეთ ფეხის წვერებზე, რაც შეიძლება მსუბუქად.

ვარჯიში 6. შეასრულეთ ვალსის მოძრაობა. იმოდრავეთ წინ, უკან, გვერდზე. შემობრუნდით 360 გრადუსით, შემდეგ იგივე მოძრაობები გაიმეორეთ ფართო ნაბიჯებით. ასე იცეკვეთ 2-3 წუთის განმავლობაში.


მაშ ასე: ცოტაოდენი ძალისხმევა, ცოტაოდენი მოთმინება და მალე თქვენი ლამაზი სიარულის მანერა ირგვლივმოფოფთა აღფრთოვანების საგნად იქცევა.



## წამწამები

წამწამის ღერის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 150-200 დღეა. შემდეგ ის იცვლება ახალი ღერებით. თუ ქუთუთოებზე ანთებითი პროცესი მიმდინარეობს, წამწამები თხელდება, ადვილად ტყდება. მათზე განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს ისეთი ქიმიური საღებავი, როგორიცაა ურზოლი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ წამწამებიდან ყოველ საღა-



მოს უნდა მოვიცილოთ დღის განმავლობაში დაგროვილი მტვერი და მით უმეტეს, კოსმეტიკური საღებავი. მის დასაბანად

შეიძლება გამოვიყენოთ კამის წყალი.

მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ქალის სახეს გრძელი და ხშირი წამწამები ალამაზებს. მათი ზრდის სტიმულირებისათვის კარგია ვაზელინის ან ქაფურის ზეთის გამოყენება. ეფექტურია მათი ნაერთიც. უნდა ავიღოთ ოთხი გრამი ქაფურის ზეთი და ათი გრამი ვაზელინი, შეურიოთ ერთმანეთში და ძილის წინ (შეიძლება დღითაც), კარგად შევიზილოთ წამწამებში.

ოცდაათიოდე წლის წინ ჰოვარდ ჰიუზი აშშ-ის ყველაზე მდიდარ ადამიანად ითვლებოდა. მისი ინტერესების სფეროში მოქცეული იყო ავიაცია და სათაბაშო ბიზნესი, კინო და იარაღი, ელექტრონიკა და ლუდი — მის ხელში მილიონები მილიარდებდად იქცეოდა, მილიარდერს კი ყველა ზეადამიანად მიიჩნევდა.



# ბენიალური, შეშლილი და უბედური ჰოვარდ ჰიუზი

ზეადამიანი იმ საიდუმლოდ იქცა, რომლის ამოხსნასაც მთელი ამერიკა ცდილობდა. ჟურნალისტები და დიასახლისები, კონგრესმენები და ძებ-ს აგენტები თავს იმტკვრებდნენ, თუ სად შეიძლება გამქრალყო გიგანტური ქონების პატრონი. სად იყო იგი? ვინ მართავდა მის იმპერიას, ცოცხალი იყო თუ არა თავად? ბოლოს ჟურნალმა „ლაიფ-მა“ ჰიუზის ორი ფოტოსურათი გამოაქვეყნა: ერთზე ოცდაათი წლის მომხიბლავი კაცი იყო აღბეჭდილი — სწორედ ასეთი — ჰოლივუდის ფლებოიდ და რეკორდსმენ მფრინავად ცნობილი ახსოვდა იგი მთელ ამერიკას (თავის დროზე ჰიუზს მთელი ქვეყანა ჭკუიდან ჰყავდა გადაყვანილი: ორმოციანი წლების ბოლოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლოზუნგი იყო „ავირჩიოთ ჰიუზი პრეზიდენტად!“). მეორე სურათიდან პირქუში გამომეტყველების, წვერმოშვებული და გრძელთმიანი ბერიკაცი იმზირებოდა. ჟურნალი ირწმუნებოდა, რომ იმჟამად ჰიუზი სწორედ ასე გამოიყურებოდა. ეს ყველამ ჟურნალისტურ ხრიკად მიიჩნია — სახალხო გმირად აღიარებულ მილიონერ სუპერმენის თავყვანისმცემლებს ერჩივნათ, დაეჯერებინათ, რომ ჰიუზი დიდი ხნის დაღუპული იყო, მაგრამ ისინი შეცდნენ. ჰიუზი ცოცხალი აღმოჩნდა, თუმცა ბევრად უარესად გამოიყურებოდა, ვიდრე ჟურნალში დაბეჭდილ ფოტოზე: მას მეჩხერი წვერი, აბურღული და ჭუჭყიანი თმა ჰქონდა. ამერიკის ყველაზე მდიდარი ადამიანი რამდენიმე

თვის დაუბანელი იყო. სრულიად შიმველი, ნანემსრებითა და სხეულზე ჩალურჯებული ადგილებით, ის მტკრითა და ძველმანებით სავსე ოთახში იწვა და ჟურნალების მაგიდაზე ათსანტიმეტრიან, დაგრებილ ფრჩხილებს აკაკუნებდა. მაგიდაზე საწერი კალამი და ბლოკნოტი იდო: მათი მეშვეობით ჰოვარდ ჰიუზი თავისი იმპერიისა და, იმავდროულად, მთელი ამერიკის პოლიტიკას განსაზღვრავდა. ჰიუზი საკუთარი ნება-სურვილით მართავდა პრეზიდენტს, ამ დროს კი, მისი დანახვა უკანასკნელ მათხოვარსაც კი შეძრავდა: ის საშინლად გამოიყურებოდა, თითქოს სიცოცხლეშივე იხრწნებოდა და მხოლოდ მეტყველი, ეკლიანი თვალები გამოხატავდა სიცოცხლისუნარიანობას. ბედმა მას საოცარი ოინი მოუწყო: ჯერ ის აჩუქა, რაზეც სხვებს მხოლოდ ოცნება შეეძლო, შემდეგ კი ყველაფერი წაართვა — სხეული, გამომეტყველება და ხასიათიც. ჰიუზს ზურგს უკან ასპროცენტთან ამერიკელთა მთელი თაობა ედგა: ეს ენერგიული, მიზანსწრაფული ადამიანები ყოველთვის აღწევდნენ სასურველ მიზანს. მისი წინაპრები ამერიკაში პირველ ევროპელებთან ერთად ჩავიდნენ. ჰიუზის დიდი ბაბუის ბაბუა სიღარიბეში ცხოვრობდა, დიდი ბაბუა ფერმერთობას მისდევდა, ბაბუა წარმატებული ადვოკატი გახდა, ერთმა ბიძამ კარიერა ჰოლივუდში შეიქმნა, მეორემ მუსიკოსობით გაითქვა სახელი. ჰიუზის მამა —

ჰოვარდ-უფროსი კი, ოჯახში ყველაზე უნიათო ბავშვი აღმოჩნდა: აწყობდა მამლების ორთაბრძოლებს, ქუჩის მოვაჭრეებს ჰპარავდა ტკბილეულს, სცემდა ძმებს და გამუდმებით ძველ საათებში ჩხირკედელაობდა. 26 წლის ჰოვარდ-უფროსმა სახლი მიატოვა და ბედის სამებნელად გაემგზავრა: ეძებდა ვერცხლს, თუთიას, ტყვიას. მოიარა მთელი ტეხასი, დაარევისტრირა რამდენიმე გამოგონება და იმავდროულად, კარგი ოჯახის შვილზე — ელინ ჰენოუზე დაქორწინდა. 1905 წელს ქვეყანას ჰოვარდ-უმცროსი მოეკვლინა (მისი დაბადებაც ისეთივე საიდუმლოებით იყო მოცული, როგორც გარდაცვალება: — დაბადების რეგისტრაციის არც ერთ წიგნში ჰოვარდ ჰიუზის შესახებ ცნობა არ არის). 1908 წელს ოჯახს კარგად წაუვიდა საქმე: უფროსმა ჰიუზმა 16ნ ალმასით აღჭურვილი საოცარი ბურღი გამოიგონა, რომელიც კარაქით ჭრიდა კლდის შრეებს (მენავთობები მას „ქვის მჭამელს“ ეძახდნენ). საუკუნის დასაწყისი ტეხასში ნავთობის ბუმს დაემთხვა, სულ მალე ჰოვარდ-უფროსი მილიონერი გახდა. ... სასტუმრო „დეზერტ ინში“ მწოლიარე მისი გრძელფრჩხილებიანი შვილი, ბავშვობას იხსენებდა: ჰიუსტონის არისტოკრატიულ გარეუბანში მდებარე მდიდრული სახლი, ქალაქში პირველი ავტომობილი, მსახურები, ძვირად ღირებული კერძო სკოლა... ამის გახსენებისას ჰიუზი კანკალმა აიტანა — მას არასოდეს უყვარდა სკოლა. ჰოვარდი მუდამ თავმოყვარე იყო, იქ კი ვერაფრით დაიტრიალებდა: პათოლოგიურად მორცხვი და თავდაჭერილი ყმაწვილი კლასში მუდამ ჩრდილში იმყოფებოდა და სხვა ბიჭებთან საერთო ენას ვერ პოულობდა. ამასთანავე, ჰიუზ-უმცროსს სწავლა არ უყვარდა, მას იგივე გატაცება ჰქონდა, რაც მამამისს — საათობით ჩხირკედელაობდა ძველ მექანიზმებში. კარის ზარისგან ჰოვარდმა პატარა რადიომიმღები დაამზადა, ველოსიპედი მოტოროლერად გადააკეთა. მას ოქროს ხელები და რკინის ნებისყოფა ჰქონდა: დაწყებული საქმე აუცილებლად ბოლომდე მიჰყავდა. ერთხელ ჰიუზს ხელში საქსოფონი ჩაუვარდა, ნახევარი წლის წვალბის შემდეგ ჯიუტმა და სრულიად უსმენო ბავშვმა ჯაზმენობა გადაწყვიტა. მისის ჰიუზი ლამაზი, განათლებული, კარგად აღზრდილი და ძალიან უცნაური ქალი იყო. დედას ეშინოდა, რომელიმე ზეპრე ბიჭს არ ეცემა მისი შვილი. ჰოვარდს მხოლოდ მისთვის კარგად ნაცნობ და წესიერ ბიჭებთან მეგობრობის

უფლებას აძლევდა. ფრიდის ნაშრომების გაცნობის შედეგად, ელინმა ნეკროზის არსებობის ამბავი შეიტყო და ფსიქო-ატრთან შეილის ტარებას მიჰყო ხელი. ამის წყალობით ჰოვარდი ყველა იმგვარ შიშს ეზიარა, რომელსაც დედა არიდებდა.

მალე ავადმყოფობა მისი საყვარელი იარაღი გახდა: შეილის სლუკუნის იმდენად მოქმედება ელინზე, რომ გონებამახვილმა ბავშვმა ეს საუცხოოდ გამოიყენა. დაბოლოს – ის ავადმყოფურად მორცხვი გახდა: ჰოვარდი უფროსი ადამიანებთან კონტაქტს, ქალბატონ შეხვედრისას კი, მუხლები ეკვეთებოდა.

17 წლის ჰოვარდს 23 წლის ულამაზესი მსახიობი – ელეონორა ბორდმანი შეუყვარდა. ქალის თქმით, ჰოლივუდურ წრეებში მისი მსგავსი მოუქნელი, მორცხვი და უნიათო ყმაწვილი მეორე არ შეგხვდებოდათ. მფრთხალმა ყმაწვილმა დახმარებისთვის მამას მიმართა.

ელეონორა ჰყვებოდა, რომ ჰიუზი-უფროსი ქალს თავის ვაჟთან დაახლოებას სთავაზობდა და ჰპირდებოდა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ჰოვარდ-უმცროსი ძალიან მდიდარი ადამიანი გახდებოდა. ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო: ჰოვარდმა ფიასკო განიცადა და დიდი სირცხვილიც ჰქმნა...

ჰიუზმა მოულოდნელად დაკარგა მშობლები: ელინი მარტივი თაქსაციის გასაკეთებლად საავადმყოფოში დაწვა და ნარკოზიდან ვეღარ გამოვიდა. ქმარი იმდენად დაამწუხრა მისმა სიკვდილმა, რომ გადაწყვიტა, შვილი სკოლიდან გამოეყვანა და მუდამ გვერდით ჰყოლოდა. მათ ერთად ყოფნა არ დასცალდათ: ერთ-ერთი საქმიანი შეხვედრის დროს ჰოვარდ-უფროსი საგარეოში წამოიშრია, ხელი გულზე იტაცა და იატაკზე ჩაცურდა – ის ადგილზევე გარდაიცვალა.

... ახლა ჰოვარდი თავისუფალი იყო და თავის წარმოჩენაც შეეძლო. თავიდან ჰიუზმა საკუთარი კაპიტალის მართვა აიღო ხელში. მემკვიდრე მხოლოდ ცხრაშვილი წლის იყო, შტატის კანონების თანახმად კი, სრულწლოვანად 21 წლის კაცი ითვლებოდა. ჰოვარდმა სასამართლოს ძალით მოითხოვა მისი სრულწლოვანად ცნობა და წარმატებასაც მიაღწია. შემდეგ მან ქალაქ ჰიუსტონის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქალიშვილზე – ელა რაისზე იქორწინა. რამდენიმე წლის შემდეგ წყვილი მშვიდად გაეყარა ერთმანეთს – ქმარმა ჰოლივუდის დასაწყობად გასწია, მიტოვებულმა ახ-

ალგაზრდა მისი ჰიუზმა კი, ეულად და ყველასთვის ზედმეტად იგრძნო თავი.

ჰიუზმა თანხები კინოწარმოებაში დააბანდა და წარმატებასაც მიაღწია. მართალია, მისი პირველი ფილმი იმდენად სუსტი იყო, რომ ეკრანზეც ვერ გამოვიდა, სამაგიეროდ, მეორე უკვე რაღაც შემოსავალი მოუტანა, მესამე კი – დიდი წარმატება ხვდა წილად. ფილმი პირველი მსოფლიო ომის მფრინავების შესახებ იყო გადაღებული, ჰიუზმა მას „ჯოჯოხეთის ანგელოზები“ უწოდა, იგი თავად იყო პროდიუსერიც და დამდგმელიც, გადაღებების დროს ფრენაც ისწავლა და ყოველდღიურად ცაში ორ-სამ საათს ატარებდა – იქ იგი სავსებით ბედნიერად გრძნობდა თავს.

ჰოვარდ ჰიუზის რომანების შესახებ ლეგენდებს ჰყვებოდნენ. ის კეტრინ ჰეპბერნის თავყანისმცემელი იყო და ქალს ურიცხვ ძვირფასეულობას უძღვნიდა, რომანტიკული ურთიერთობა აკავშირებდა ჯინჯერ როჯერსთან, ტერი მურთან და ავა გარდნერთან. არადა, უწინდებურად მორცხვი იყო. ჰეპბერნი ღიზიანდებოდა, რომ ჰიუზს სრულებით არ ეხერხებოდა წვეულებაზე სათანადოდ მოქცევა – მაგალითად, მაშინ იწყებდა ჭამას, როცა ყველა სუფრიდან აიშლებოდა: ჰოლივუდელ პრინცს სხვების თანდასწრებით ჭამა ესირცხვებოდა...

მერილინ მონროს ამის შესახებ მრავალი წლის შემდეგ უამბებს და ქალმა მხოლოდ გაიღიმა: ჰიუზი მერილინს 40-იანი წლების ბოლოს დასდევდა კულში – მაშინ მონრო ფოტომოდელად მუშაობდა და კინოში მოხვედრაზე ოცნებობდა. ჰიუზი ავარიის შემდეგ ჰოსპიტალში იწვა, ჟურნალებს ათვალთვლებდა და უცებ მერილინის ფოტოს წააწყდა. კაცს მაშინვე თვალში მოხვდა საოცარი, პლატინის-

ფერი თმა და ლამაზი მკერდი. გამოჯანმრთელების შემდეგ, მან მერილინს ჯერ „ჰიუზის საუშაო იარაღების კომპანიიდან“ დაურეკა, ორი საათის შემდეგ – თავისი ავიაკომპანიიდან ესაუბრა, საღამოს კი, კინოსტუდიიდან დაუკავშირდა. ქალი ვერაფრით მიმხვდარიყო, რა უნდოდა ჰიუზს მისგან. რამდენიმე დღის შემდეგ ჰოვარდმა მერილინი ოფისში მიიწვია, აჭარხლებული, ენის ბორძიკით უხსნიდა რაღაცას და თან, კონტრაქტის ბლანკი მიაწოდა, რომლის თანახმადაც, მათ სამოცდათხუთმეტწლიანი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ. კონტრაქტის პირობები საკმაოდ მომგებიანი იყო, მაგრამ ჰიუზმა სთხოვა გოგონას, არ ეჩქარა ხელის მოწერა – შინ წაეღო საბუთი და კარგად გასცნობოდა მას.

ამის შემდეგ ჰიუზისა და მონროს ურთიერთობამ ვირტუალური ხასიათი მიიღო: ჰოვარდი მერილინს არ ხვდებოდა, მაგრამ მუდმივად ელაპარაკებოდა ტელეფონით, საბრალო ქალი მთელი დღეების მანძილზე არ გადიოდა სახლიდან და ტელეფონის ზარს ელოდა. ჰოვარდი მას ლამაზობით ურეკავდა, მერილინი ყურმილით ხელში იძინებდა, ჰიუზი კი იჯდა და საათობით უსმენდა მის სუნთქვას... მეორე დღეს დარეკავდა რესტორნიდან, თვითმფრინავიდან ან სტრიპტიზ-კლუბიდან და ხმას ისე იცვლიდა, რომ მერილინი არ მიმხვდარიყო, ვის ელაპარაკებოდა. დილით ქალს ოცდაოთხ საუცხოო ვარდს მიართმევდნენ. კვირაში ერთხელ ჰიუზი მას პაემანს უნიშნავდა, შემდეგ ურეკავდა და ეუბნებოდა, რომ ვერ მივიდოდა და მათი შეხვედრის სანაცვლოდ, რესტორანში მეგობარი ქალის დაპატიჟებას ურჩევდა. და როცა მონრო, ბოლოს და ბოლოს, ეჩვეოდა ამგვარ დროს ტარებას, ჰიუზმა უეცრად ის პალმ-სპრინგსში მდებარე თავის მამულში დააპატიჟა.

საღამო სანთლის შუქზე მოწყობილი ვახშმით დაიწყო. მას ლამაზი სიტყვები და კოქტეილი მოჰყვა, მამაკაცის ხელი ქალის მხარზე აღმოჩნდა და... უეცრად, ჰიუზი წამოხტა, აეროდრომისკენ გაეშურა და ქვეყნის მეორე კიდეში გაფრინდა. მას შემდეგ მერილინს ჰოვარდი აღარც უნახავს და აღარც რაიმე სმენია მის შესახებ.

ეს ჰოვარდ ჰიუზისთვის ტიპური რომანი იყო. ის ლამაზ კინოსახიობ ქალს კაბინეტში იწვევდა და სუნთქვაშეკრული, ენის ბორძიკით უხსნიდა ხოლმე, რომ მისი კარიერა უზრუნველყოფილი იქნებოდა – საამისოდ კი ქალი მხოლოდ ქმარს უნდა გამოეყოფოდა...



ამით ურთიერთობა მთავრდებოდა – ჰიუზს ეგონა, რომ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა და ეშინოდა, დაცინვის ობიექტი არ გამხდარიყო.

სიმაღლე, სისწრაფე და რისიკი კი მას არასოდეს აფრთხობდა. ჰიუზი მამაცი მფრინავ-გამომცდელი იყო, გამუდმებით საფრთხეში იგდებდა თავს და საპატიო რეკორდებს ამყარებდა. ამასთანავე, მას ძალზედ იმედისმომცემ ავიაკონსტრუქტორად მიიჩნევდნენ. ამის შესახებ ყველამ იცოდა, მაგრამ გმირის იერს ვერაფრით უთავსებდნენ მორცხვ, უხეიროდ ჩაცმულ მამაკაცს, რომელიც მაღალი წრის შეხვედრებზე მუდამ კუთხეში იყო მიყუჩული. ჰიუზი გენიალური მეწარმე იყო – რაშიც ფულს დააბანდებდა, ყველაფერს შემოსავალი მოჰქონდა. ის მსხვილი ლუდსახდელი ფირმის მეპატრონე იყო. ჯოზეფ კენედისგან გამოისყიდა კინოკომპანია, შეიძინა ავიასარემონტო ქარხნები. ყიდულობდა ძველ, მეორე მსოფლიო ომის დროს დამტკვრულ საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავებს, შეაკეთებდა და სამოქალაქო ავიაკომპანიებს მიჰყიდდა, მისი ქარხნები სუპერთანამედროვე იარაღს, რადარებსა და ელექტრონიკას აწარმოებდა. 1947 წელს მილიონერი თავისი გამოგონებული მსუბუქი თვითმფრინავით მიწას დაენარცხა და თითქმის მკვდრეთით აღსდგა. საშინელი ნაჭრილობების დასაფარავად, უღვაში მოუშვა, რომელიც ძალიან უხდებოდა. იმის შესახებ, თუ როგორი უცნაური, შინაგანად მფრთხალი და ჩაკტილი არსება იყო, ჰიუზის მეგობრებმა და იმ ქალებმა იცოდნენ, ვისაც ის ეთავყვანებოდა.

ჰიუზი გარშემომყოფებს ისევე ექცეოდა, როგორც მისი მშობლები: უზომოდ ენდობოდა ერთ-ორ უახლოეს თანამშემწეს, ყველა დანარჩენს კი ახლოს არ იკარებდა. მას აშინებდა რომანები სათაყვანებელ ქალებთან და ერჩივნა, საქმე მეძავებთან ჰქონოდა, მაგრამ მათ ჰოვარდს სიფილისი შეჰყარეს. ავადმყოფობას გამოკვეთილი კლინიკური სურათი არ გააჩნდა და თავი მხოლოდ მისი სიცოცხლის მეორე ნახევარში იჩინა. იმ დროისთვის ჰიუზი სრულიად სხვა ადამიანი იყო – ამბობენ, რომ ამის მიზეზი, მოურჩენელი ვენეროული დაავადება გახდა, რომელმაც მის გონებაზეც იმოქმედა.

რა ხდებოდა მანამ, სანამ ჰიუზი თავის „ერთკაციან საკანში“ გამოიკეტებოდა, მხოლოდ მილიარდერის მეორე ცოლისგან – მსახიობ ჯინ პეტერსისგან არის ცნობილი (ჰიუზმა ის მაშინ შეირთო, როცა უკვე 51 წლის იყო: ის ეჭვობდა, რომ მტრები მისი ფსიქიკური არასტაბილურობის დამადასტურებელ ცნობებს აგროვებდნენ, კანონიერი ქორწინება კი

მისი საღი გონების დამადასტურებელი გახდებოდა). ჰიუზი სულ უფრო იცვლებოდა: ის კვირობით არ იცვლიდა ტანსაცმელს, შინ სრულიად შიშველი დადიოდა. მართალია, ძველებური საქმიანი ადლო შეინარჩუნა, მაგრამ უფრო და უფრო მეტი უცნაურობა დასჩქმდა: მაგალითად, ოფისში ტუალეტის „პრივატიზება“ მოახდინა და თანამშრომლებს ურჩია, რძის პაკეტებით ესარგებლათ... სამყარო, რომელშიც ჰიუზი ცხოვრობდა, უფრო და უფრო არარეალური ხდებოდა. ცოტა ხანში ატოლ-ქმარმა ერთად წოლა შეწყვიტა: სიფილისმა, რომლის შესახებ ჰიუზმა არაფერი იცოდა, მასში მამაკაცი მოკლა.

მანამდე ჰოვარდმა მძიმე შინაგანი კრიზისი გადაიტანა. საერთოდ, მისი წარმატების საიდუმლო ის იყო, რომ ჰიუზი ყოველთვის სწორად ირჩევდა საჭირო ადამიანებს და მაქსიმალურადაც იყენებდა მათ შესაძლებლობებს. კომპანია „ჰიუზ ეარკრაფტს“ აშშ-ის ყოფილი საზღვაო მინისტრი, ჩარლზ ტომასი ედგა სათავეში. მასთან ერთად სამხედრო მინისტრის რობერტ მაკნამარას ყოფილი თანამშრომლები მუშაობდნენ. ჰიუზი ყველას მაკცრად აკონტროლებდა და მხოლოდ თავის უახლოეს თანამშრომელს – ჩარლზ ტორნტონს ენდობოდა. სწორედ ამ კაცმა უღალატა ჰიუზს. ორმოცდაათიანი წლების შუა პერიოდში გაირკვა რომ ტორნტონი ხანგრძლივი დროის მანძილზე მარცხავდა თავის პატრონს: დაგროვილი ფულით მან პატარა კომპანია – „ლიტონ ინდასტრიზ“ შეიძინა და ის გიგანტურ კონცერნად გადააქცია (60-იან წლებში მისი აქტივები 750 მლნ დოლარს აღემატებოდა).

ჰიუზმა გაყიდა თავისი ავიახაზები, ნახევარმილიარდიანი ჩეკი ჩაიღო და ლას-ვეგასში ჩავიდა. მან ფეხი შედგა ოთახში, რომელიც მისთვის საკანი და

მისი იმპერიის ცენტრიც უნდა გამხდარიყო. ჰიუზი განერიდა სამყაროს და ცხოვრებაში თავისი ყველაზე დიდი თამაში წამოიწყო.

ჰოვარდი ყიდულობდა ტენასსა და ნევადას და ამ შენაძენით ახალ-ახალ შემოსავალს იღებდა: მან იყიდა თხუთმეტი სასტუმრო და ლას-ვეგასის კაზინოების უმეტესი ნაწილი, აეროლომი, ოქროსა და ვერცხლის მიტოვებული საბადოები, გოლფის სათამაშო მოედნები, სატელევიზიო სადგური, უზარმაზარი რანჩო, ავტოსარემონტო საწარმოები, თვით შტატის გუბერნატორი ლასალტი და ადგილობრივი პროკურორი. მისმა ახალმა მენეჯერმა – წარსულში კერძო დეტექტივმა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტმა რობერტ მეჰიუმ თავისი საქმე კარგად იცოდა: ლას-ვეგასში ჩატანილი ნახევარი მილიარდი მალე ექესჯერ გაიზარდა, მაგრამ ეს მხოლოდ დასწყისი იყო – ჰიუზი სერიოზულად აპირებდა მთელი აშშ-ის შექმნას.

ჰიუზი თავისი ქვეყნის პატრონობის იდეამ შეიპყრო: მას სურდა, რომ ტელეეკრანზე არ გამოჩენილიყვნენ ზანგები, არ ჩატარებულყო ბირთვული ცდები... პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან, რიჩარდ ნიქსონმა ჰიუზს ნახევარი მილიონი დოლარი გამოართვა და პრეზიდენტი გახდა.

ჰიუზი კი სამი წლის მანძილზე ქუჩაში არ გადიოდა. მას რამდენიმე მონი ემსახურებოდა, ერთგულ რობერტ მეჰიუს კი, ბარათების მეშვეობით ეკონტაქტებოდა. ჰოვარდი არ კითხულობდა ბირჟის მონაცემებს, არ ადევნებდა თვალყურს ბაზარს, ის საათობით ეთამაშებოდა თავის გრძელ, ჭუჭყიან თმას, მაგრამ იდეები, რომელმაც ჰიუზი ქვეყნის დასავლეთში მიიყვანა, ისევე მოქმედებდა. გენიალურმა საქმიანმა ინტუიციამ მას არ უმტყუნა – აშშ-ის განაპირა მხარე-

ჰოვარდ ჰიუზი ავა გარდნერთან ერთად



ში გიგანტური სამრეწველო იმპერია შეიქმნა. ჰიუზი სიანხლების მიმართ კარგი ალლოთი გამოიჩინა. ის პირველი მიხვდა, რომ ფსონი, ელექტრონიკაზე, რაკეტებზე, თანამგზავრებსა და ბირთვულ რეაქტორებზე უნდა გაკეთებულიყო და, კიდევ – რომ წარმოება ისეთ ადგილას უნდა გაემართა, სადაც ღიდი ბიზნესი არ იყო ფეხმოკიდებული, დაბალი გადასახადები და იაფი მუშახელი იყო. რამდენიმე წელიწადში ჰოვარდ ჰიუზი ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი გახდა.

პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს, რომელსაც ასევე აწუხებდა პარანოიდული მოვლენები, ლას-ვეგასში მიყვებული რვაფეხა ესიზმრებოდა – უსახო და უსაკო ადამიანი, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის შესახებ კომპრომატებს აგროვებდა... მაგრამ ცდუნება ღიდი იყო – ის ძველებურად ართმედა ფულს ყოვლისშემძლე მილიარდერს და თავს იმტვრევდა იმაზე ფიქრით, რას მოსთხოვდა ჰიუზი საზღაურად, და როგორ მოექცეოდა იმ შემთხვევაში, თუ მოვალე რაიმეს ჩაიდინდა მის წინააღმდეგ. ძიების ფედერალურმა ბიურომ ნიქსონს მოახსენა, რომ ჰოვარდ ჰიუზი დაუნდობელი პარანოიკი იყო და მკვლელობაზეც წავიდა. სინამდვილეში ჰოვარდს ბუზის მოკვლაც არ შეეძლო, ეს ცნობები კი იმ თანამშრომლის მიერ იყო მიწოდებული, რომელიც მეპოემ ქურდობისთვის დაითხოვა.

ამ დროს კი, მტკვრსა და ნაგავში ჩაფლული ჰიუზიც შიშისგან კანკალებდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რისი ეშინოდა და რაში სჭირდებოდა პრეზიდენტი ნიქსონი. კოლეინის ღიდი ღოზებისგან ჰოვარდის ფობიების რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა. კაცი ნარკოტიკს მიეჩვია და ყოველდღიურად ისეთ დოზას იღებდა, რომელსაც მედიცინა სასიკვდილოდ თვლიდა. ინიექციების როდენობა იზრდებოდა და ჰიუზი სულ უფრო ხშირად გადადიოდა საკუთარ, ირეალურ სამყაროში. ის უკვე ნაბიჯსაც ვერ ღვამდა მოსამსახურეების გარეშე. წელიწადში სამჯერ მორმონები მას ტანსაცმელს უცვლიდნენ, წელიწადში ხუთჯერ ბანდენ და ყოველ ექვს თვეში ერთხელ თეთრულს უცვლიდნენ. როცა ჰიუზი ცივდებოდა, მას მორმონების სუფთა სისხლს უსხამდნენ და ის უმაღლესებს გრძნობდა ხოლმე.

ერთხელ ჰიუზი თავის რეალურ და გამოგონილ მტრებს ბაკამის კუნძულებზე დაემალა. ამას მოჰყვა ღიდი არეულობა კალიფორნიასა და ტეხასში, გავლენის სფეროების სერიოზული გადანაწილება ბიზნესში და ცვლილებები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.



**ჰიუზის მეორე ცოლი მსახიობი ჯინ ჰეტერსი**

ჰიუზმა რობერტ მეპიუს წინააღმდეგ სასამართლო პროცესი წამოიწყო. მეპიუს კომპანიის ხელიდან გაშვება არ სურდა და ირწმუნებოდა, რომ მილიარდერი რეკეტორებმა მოიტაცეს. ჰიუზის კორპორაციის მიერ მოსყიდული შტატის გუბერნატორი და პროკურორი დიდხანს ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა. სამაგიეროდ, მომხდარში შესანიშნავად გაერკვა რიჩარდ ნიქსონი: მან იფიქრა, რომ შმაგმა მილიარდერმა პრეზიდენტთან ანგარიშის გასწორება გადაწყვიტა და ამიტომაც ისეთი ადგილი აირჩია, სადაც მისი მიგნება გაჭირდებოდა: მორმონებმა ჰიუზი ჯერ ნიკარაგუაში, ხოლო შემდეგ – მექსიკაში გადაიყვანეს. ნიქსონი მიხვდა, რომ მტერი მოსალოდნელ შურისძიებას გაურბოდა და მოქმედება გადაწყვიტა.

თავიდან ის ადამიანები უნდა გაეჩუმებინა, ვისაც შეეძლო, ჰიუზის მხილება თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინა. ჰიუზისგან ფულს დემოკრატიული პარტიის ლიდერი – ლერი ობრაიენიც იღებდა და რაღაც-რაღაცები იცოდა ჰიუზისა და ნიქსონის ურთიერთკავშირის შესახებ. ობრაიენი ძალიან საშიში იყო – მის ოფისში სასმენი აპარატურა დააყენეს, სეიფში მოთავსებული დოკუმენტების ნაწილი კი ფოტოფირზე გადაიღეს. ამას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოუტანია და ჩხრეკა განმეორებით ჩატარდა, მაგრამ ოფისში შესულები ადგილობრივმა პოლიციამ დააკავა. ობრაიენის კანტორა სასტუმრო „უოტერგეიტში“ მდებარეობდა – სწორედ ამ სახელით შევიდა ისტორიაში ნიქსონის იმპიჩმენტი.


საიდუმლო სამსახურების ანალიტიკოსები თავს იმტვრევდნენ იმაზე, თუ რაში დასჭირდა ჰიუზს ყოველივე ამის მოწყობა. თავად ჰოვარდ ჰიუზმა „უოტ-

ერგეიტის“ საქმის“ შესახებ ერთი წლის შემდეგ, შემთხვევით ნანახი ძველი გაზეთიდან შეიტყო და გაოცებული დარჩა იმ როლით, რომელსაც მას მიაწერდნენ. იმ დროს ჰიუზი უკვე სამოცდაათი წლის იყო. მან წააგო სასამართლო პროცესი და თითქმის დაკარგა კონტროლი თავის იმპერიაზე: ახალი მენეჯერების „დამსახურებით“, მისი ანგარიშებიდან ასობით მილიონი დოლარი ქრებოდა. ჰიუზი სრულიად დაუძლეურდა, თითქმის დაკარგა ძალა, ლაპარაკის უნარი და სულ უფრო ხშირად ებინდებოდა გონება. მოსამსახურეები მკაცრად აკონტროლებდნენ ყველა მის ქცევას – ახლა ის უკვე მათი ტუსალი იყო...

ჰოვარდ ჰიუზი 1976 წლის 5 აპრილს, საავადმყოფოში გადაყვანისას გარდაიცვალა. ამის შესახებ ყველა გაზეთი წერდა, მაგრამ ჰიუზის არც ერთ ნაცნობს არ უთქვამს მის შესახებ კარგი სიტყვები: ჯინ ჰეტერსმა, რომელიც ჰიუზს 1971 წელს გაეყარა, მოკლედ მოჭრა: „ძალიან ვწუხვარ“; რობერტ მეპიუმ წარბები ასწია, რიჩარდ ნიქსონმა კმაყოფილებით მოიფშვინტა ხელები... სასტუმრო „დეზერტინის“ მენეჯერმა შვებით ამოისუნთქა: როგორც იქნა, იმ ოთახის წესრიგში მოყვანა და ძველი ალბომების, ფოტოსურათებისა და გაზეთების ამონაჭრების გადართვა შეეძლო...

ჰიუზმა უზარმაზარი მეგვიდრეობა დატოვა. BAKER HIGHS INCORPORATED ნავთობით არის დაკავებული, HUGHES SPACE AND COMMUNICATIONS – კავშირგაბმულობის სისტემებით, RAYTHEON SYSTEMS COMPANY იარაღს უშვებს და მსოფლიოში ტაქტიკური რაკეტების წარმოების ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, HUGHES ELECTRONICS – ელექტრონიკას მისდევს, HUGHES AIRCRAFT-ი კი მთელი ათი წლის მანძილზე, ინარჩუნებდა პირველობას თვითმფრინავების კონსტრუირების საქმეში მაღალი ტექნოლოგიების შემუშავებაში.

ფული ჰიუზების მთელ კლანს ერგო: განსვენებულის ოცდაორ შორეულ ნათესავს – არაფრით გამორჩეულ მასწავლებლებს, მოსამსახურეებსა და წვრილ მოვაჭრეებს. ყველაფერი, რასაც შემოსავალი არ მოჰქონდა, ჰიუზებმა გაყიდეს, თავიდან მოიშორეს ის, რასაც ვერ უძღვებოდნენ. ჰიუზის მთელი იმპერია ისევ ყვავის და დაჟინებით გაურბის პოპულარობას. ჰიუზის კლანის ტრადიციები არ შეცვლილა: ოცდაორი მეგვიდრე თავის საიდუმლოებებს ისევე ინახავს, როგორც გენიალური, შემოილილი და უბედური ჰოვარდ-უმცროსი...





**შეგიძლიათ თუ არა რისხვებთან შეუპოვება?  
 შეგიძლიათ თუ არა რისხვებთან შეუპოვება?  
 შეგიძლიათ თუ არა რისხვებთან შეუპოვება?  
 შეგიძლიათ თუ არა რისხვებთან შეუპოვება?**

ძალიან ხშირად, ახალ და პრესტიჟულ სამსახურში მისაღებად ჩატარებული გასაუბრების დროს, ხანდიდაცს მათემატიკური ამოცანის მსგავს ტესტს ავსებინებენ. შეამონმეთ თქვენი თავი – შეგიძლიათ თუ არა ლოგიკური აზროვნება და რიცხვებთან მუშაობა?

დაინიშნეთ დრო, თქვენს განკარგულებაშია 10 წუთი. მოქმედებები შეასრულეთ მხოლოდ ზეპირად, გონებაში. თითოეული ამოცანის პასუხი ჩაინიშნეთ ცალკე ფურცელზე, დროის ამონურვის შემდეგ შეწყვიტეთ დავალების შესრულება და შეამონმეთ პასუხები:

- 1) ომლეტის ერთი ულუფის მოსამზადებლად საჭიროა 3 კვერცხი. 60 კვერცხიდან 10% გაფუჭებული აღმოჩნდა. რამდენი ულუფა ომლეტის მომზადებას შეძლებთ კვერცხის ამ მარაგიდან?
- 2) რამდენი ბაქტერია-პარაზიტი იქნება 4 დღეში, თუ დღეში თითოეული მათგანი 2-ად იყოფა, პირველ დღეს კი, მათი საწყისი რაოდენობა 7 იყო?
- 3) ოფისში მყოფი ადამიანებიდან მეოთხედი სვამს ჩაის, მეექვსედი – წყალს, ნახევარი კი – ყავას, დარჩენილი ორი – არაფერს. სულ რამდენი ადამიან-

- ია ოფისში?
- 4) თუ ადამიანი საათში 5 კმ სიჩქარით მოძრაობს, რა დრო დასჭირდება მას 13 კილომეტრის გასავლელად?
- 5) გია 7 წლისაა, დედამისი გიაზე 4-ჯერ უფროსია, დედის მამა კი, თავის შვილზე ორჯერ უფროსია. რამდენი წლის იყო გიას ბაბუა, როცა გია გაჩნდა?
- 6) ყოველი ათი გამოკითხული ადამიანიდან რვა ირწმუნებოდა, რომ არასოდეს ჩაუდენია დანაშაული. თუ ვირწმუნებთ, რომ ისინი სიმართლეს ამბობენ, გამოკითხული 570 ადამიანიდან რამდენს აქვს ჩადენილი დანაშაული?



წონიერების დასაწყისში  
 1) — 18; 2) — 56; 3) — 24;  
 4) — 2 სთ; 5) — 49;  
 6) — 114.

სწორი პასუხები  
 5-6 სწორი პასუხი  
 4-3 საშუალო  
 2-1 არაფერი

აღნიშნული პასუხები  
 2-1 არაფერი  
 4-3 საშუალო  
 5-6 სწორი პასუხი



**ზრდასრული ადამიანის  
კბილებიზ რაოდენობა**

<p>უკმაყოფილების ენერგული გამონათვეა</p>	P.S.		გათანბრება უფლებებში	საბრძოლო მანქანა	
	ბრაზილი- ური ქათამი	ორი ელ. სადენის ერთმანეთ- თან შეხება	საკრედი- ტო დაწესე- ბულება		
	ცვლელმ- ძლე თიზა ფაიფური- საივის	რაიძეს დასათესად განკუთნი- ლი ფართი	უნაღლო ანგარიშს- წორების ფორმა		
	მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში	წარდგენა, წარდგინე- ბა	სპორტუ- ლი მოედანი		
	მედიად ღირებული სასაღილო მუსიკით	სოფელი გურჯაა- ნის რაიონში	მეძავთა სახლი	პალეოგე- ნის შუა- ეპოქა	
	იუპიტერ- ის თანამგზა- ვრი	ზორცის წვრილი ნაცვრები სოუსში	ჩაის ღევუსტა- ტორი	შეფარდე- ბითი, თან- ფური (წყმა) (ფილოსოფ)	მთერის სა- პატუვცეკუ- ლო კიმ. ელემენტი
იტალიური სიმღერების ფესტივა- ლების ქლჯ	ფაიფანი ქალაღლის ძირითადი ნაწილი	მაშაკაცი	მეულე	მთა გომბორის ქელზე	<p>* ს კ მ რ ა ს ა მ რ ბ ი - მ ბ ა კ ა რ ნ ტ მ (ი) კ მ ა მ მ ი ბ მ ი მ მ მ ნ მ მ მ მ მ ტ ა მ მ მ მ მ ა რ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ ა რ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ ბ მ მ მ მ მ მ ს მ მ მ მ მ მ</p>
საფრანკო პარტიის დასკენითი ნაწილი	მსხვილი მასწობე- ლა	შუადგინა რამაზ ალანიამ			<p>ა ბ რ ა ბ მ მ მ მ მ ს მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ ა რ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ მ ბ მ მ მ მ მ მ ს მ მ მ მ მ მ</p>

# კვირის (12-19 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

## ღრიანკალი - 24/X-22/XI



ეს კვირა ფრიად რაციონალისტური იქნება თქვენთვის. თავად შეეცდებით, თითოეული საკითხი ძირისძირობამდე შეისწავლოთ და მხოლოდ შემდეგ იმოქმედოთ. შესაძლოა, ასეთმა მიდგომამ სამსახურში გარკვეული წარმატება მოგიტანოთ, თუმცა ეს დიდ კმაყოფილებას მაინც ვერ მოგვკრით.

## ქვიშაღოსანი - 23/XI-21/XII



ეს კვირა ჰუმანიტარათათვის უფრო ხელსაყრელია და თქვენი ზოლიაქოსთვისაც იბლანნი უნდა იყოს. საქმიან წარმატებებს

პედაგოგები, ისტორიკოსები და ჟურნალისტები მიაღწევენ, რაც შეეხება უბრალო, ადამიანურ ურთიერთობას - ამ მხრივ უკლებლივ ყველა მშვილდოსანი შეუდარებელი იქნება.

## თხის რქა - 22/XII-20/I



კვირის დასაწყისიდანვე შესაშური მონღომბითა და სიმტკიცით დაიწყებთ მიზნის მისაღწევი გზის გაკვლევას და ყველაფერს იღონებთ ნებისმიერი დაბრკოლების გადასაღწავლად, მაგრამ სიფრთხილესაც ნუ დაივიწყებთ: ჯერ ერთი, თქვენი ენერგიული მოქმედება ვიღაცას შეიძლება თვალში არ მოუვიდეს, მეორე - ისეთი დაბრკოლება შეიძლება შეგხვდეთ, რომელიც ზიანს მოგიტანთ.

## ვერწყული - 21/I-19/II



ამ კვირაში დისკომფორტს იმის გამო იგრძნობთ, რომ ძირითადად, სხვათა ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებთ მოგიწევთ: სამსახურში ეს ჩვეულებრივი აუცილებლობით იქნება განპირობებული, ოვანში კი - ზოგიერთი წევრის ძლიერი ნებისყოფით. რა გაეწყობა? - შეეცადეთ, ელასტიკურობა გამოიჩინოთ ადამიანებთან ურთიერთობაში.

## თაყვანი - 20/II-20/III



კვირის დასაწყისში, მხიარული, გაბეული, ენერგიული და იბლანნიც იქნებით. ამიტომაც, მიზანსწრაფვა წარმატებას მოგიტანთ. კვირის შუა პერიოდში მაღაზიებსაც შეგიძლიათ ეწვიოთ და კარგი შენაძენიც გექნებათ. უქმეებში სტუმრების მისაღებად მოემზადეთ - ნათესავების შემოსევა გელით.

## მერკი - 21/III-20/IV



ეს კვირა მოულოდნელი და შესაძლოა, არცთუ ისე სასიამოვნო სიურპრიზებით დაიწყოს და გეგმებიც შეიცვალოს: ორშაბათს პრობლემები ბავშვებთან ურთიერთობაში შეიძლება გაიჩნდეთ. საერთოდ, ამ კვირაში მთლიანად სამსახურებრივ საქმეებში ჩაეფლობთ, დაბაულობა კი ემოციების ამოფრქვევას გამოიწვევს. კარგი იქნება, თუ მაქსიმალურად დაიოკებთ გრძობებს და კონფლიქტში არ ჩაებმებით.

## კურო - 21/IV-21/V




ამ კვირაში უამრავ კითხვაზე პასუხის მოძებნა მოგიწევთ. გადაწყვეტილებების მიღებას სამსახურებრივი საქმეებიც მოგთხოვთ და საშინაო პრობლემებიც, ამასთან, ადამიანებთან ურთიერთობაში ეცადეთ, რაც შეიძლება გახსნილი და გულახდილი იყოთ: ეს აღნიშნული პასუხების მოძებნაშიც დაგეხმარებათ.

## მარცხობი - 22/V-21/VI



კვირის დასაწყისში სამსახურში სერიოზული საორგანიზაციო ცვლილებები გელით. შესაძლოა, ამ ცვლილებების თქვენული ხედვა, უფროსობის შეხედულებებს არ დაემთხვეს, მაგრამ ამის გამოძღვანება შედეგს არ მოგიტანთ, ამიტომ მხოლოდ ის დაგარჩენიათ, რომ თქვენი თვალსაზრისი ახლოებულ ადამიანებს გააცნოთ... უქმეებში კი, თეატრში ან კინოში წასვლას გირჩევთ.

## ბირთხი - 22/VI-22/VII



ორშაბათი და სამშაბათი ძალიან ნაყოფიერი გექნებათ - თანამშრომელთა ქებასაც დაიმსახურებთ, მაგრამ შემდეგ დღეებში სიტუაცია გაგირთულდება და თქვენი მონღომბაც საგრძნობლად დაიკლებს. სამაგიეროდ, რისკიანი ნაბიჯების გადადგმის სურველი გაგიძლიერდება და შაბათს შესაძლოა, პირდაპირ კაზინოშიც ამოჰყოთ თავი...

## ღობი - 23/VII-23/VIII



კვირის დასაწყისში მზად იყავით, მოისმინოთ კრიტიკა, რადგან არც ერთ თქვენს ნაბიჯს სამსახურში მხარდაჭერა არ ექნება. თუმცა, ეს დიდად არ დაგწყვეტთ გულს: კარიერის გარდა, უამრავი სხვა ინტერესი გაქვთ, თანაც ამ კვირაში, მეგობრებთან ერთად, საინტერესო შეხვედრები და წვეულებაც გელით. უქმეებს წიგნის კითხვასა და ტელეგადაცემების ყურებაში გაატარებთ.

## ქალწული - 24/VIII-23/IX



საქმიან წარმატებებსა და კარიერაში წინსვლას უნდა ელოდოთ. თუმცა, ცხადია, ეს პასუხისმგებლობასაც გაგიზრდით და მოვალეობის სიმძიმესაც. და მაინც, სახარბიელო წინადადებაზე უარს ნუ იტყვით, უქმეებში კი, შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ და ისიამოვნოთ. შაბათს დიდი ხნის ნანატრ ცნობას მიიღებთ.

## სასწორი - 24/IX-23/X



ამ კვირაში ბევრი სამსახურებრივი უსამოვნება შეგხვდება. ნუ იღარდებთ - სამაგიეროდ, პირად საქმეებში ყველაფერი საუცხოოდ აგეწყობათ. მომხიბლობა, ნატიფი იუმორი, დახვეწილი მანერები ყველას თქვენდამი დადებითად განაწყობს, რაც ახალი რომანის დაწყების საუკეთესო საფუძველია.



# მოქმედება თუ განსჯა

როგორი ადამიანი ხართ? მეოცნებე, რომელსაც ღრუბლებში ფრენა უყვარს, თუ პიროვნება, რომელიც სიტუაციას არეგულირებს და აბალანსებს? ქვემოთ მოყვანილი ტესტის მეშვეობით შეძლებთ დაადგინოთ, რა გრვევიათ რთულ მომენტში — მაშინვე მოქმედებას იწყებთ თუ ჯერ ყველაფრის კარგად მოფიქრებას ამჯობინებთ.



1) როგორ მოიქცევით, თუ სამსახურში მიმავალი, ქუჩაში საავტომობილო საცობში მოხვდებით?

ა) გუნება გაგიფუჭდებათ და დროის მოკლეობის საშუალების გამოძენას შეცდებით - 2;

ბ) მნიშვნელოვან საქმეზე ფიქრს დაიწყებთ - 0;

გ) ხშირ-ხშირად დახედავთ საათს და თან, სახელდახელოდ შეცვლით დღის განრიგს - 1.

2) როგორ ატარებთ თავისუფალ დღეს?

ა) ცდილობთ მოაგვაროთ ყველა ის საქმე, რომელსაც ჩვეულებრივ დღეებში ვერ ასწრებთ - 2;

ბ) წიგნებისა და გაზეთების კითხვით ირთობთ თავს - 0;

გ) ხელს არაფერს ჰკიდებთ - ტელევიზორს უყურებთ და უბრალოდ ისვენებთ - 1.

3) როგორ იწყებთ თქვენ დასვენების დღე?

ა) საწოლიდან მაშინ დგებით, როცა გაგელვიძებთ - 1;

ბათ - 1;

ბ) მალევიძარას დღის 7 საათზე აყენებთ და სავარჯიშოდ მიეშურებით - 2;

გ) გაღვიძების შემდეგ, რამდენიმე საათს საწოლში ატარებთ და გლობალურ პრობლემებზე ფიქრობთ - 0.

4) თუ მეგობარმა სადილად მიგიწვიათ, რას აკეთებთ სადილის შემდეგ?

ა) მაშინვე წამოხტებით და მასპინძლებს სუფრის ალაგებაში ეხმარებით - 2;

ბ) მაგიდასთან ჯდომასა და საუბარს განაგრძობთ - 0;

გ) მასპინძლებს დახმარებას შესთავაზებთ, მათგან უარს კი სიამოვნებით მიიღებთ - 1.

5) ჩვეულებრივ, რას აკეთებთ ავტომობილით ხანგრძლივი მგზავრობის დროს?

ა) ფანჯარაში იყურებით და თანამგზავრებს ესაუბრებით - 1;

ბ) მთლიანად წიგნის

კითხვაში ეფლობით - 0;

გ) ჩვეულებრივ, ამ დროს თქვენ მანქანას მართავთ - 2.

6) როგორ იქცევით დასასვენებლად გამგზავრების წინ?

ა) გამგზავრებამდე დარჩენილ რამდენიმე დღეს საშხადისში ატარებთ - 1;

ბ) ერთი კვირით ადრე ჩემოდანი უკვე ჩალაგებული გაქვთ და გამგზავრებას მშვიდად ელოდებით - 2;

გ) გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე ფაციფუცობთ და სახელდახელოდ ყრით ნივთებს ჩემოდანში - 0.

7) ჩვეულებრივ, რას აკეთებთ საღამოობით?

ა) რეკავთ ტელეფონით და აგვარებთ დღის მანძილზე დაგროვილ სხვადასხვა წვრილმან საქმეს - 2;

ბ) უყურებთ ტელევიზორს - 0;

გ) ალაგებთ სახლს, კითხულობთ გაზეთებს და დროის დიდ ნაწილს სამზარეულოში ატარებთ - 1.

რეულოში ატარებთ - 1.

8) თავს უფრო კომფორტულად გრძნობთ, როცა:

ა) ბევრი საქმე არ გაქვთ გასაკეთებელი - 0;

ბ) მთელი დღის მანძილზე დაუღალავად შრომობთ - 2;

გ) რამდენიმე კონკრეტული საქმე გაქვთ, რომელსაც მაშინ მოაგვარებთ, როცა მოგიწევიათ - 1.

9) არჩევანის შემთხვევაში სად გირჩევნიათ შევბუღების გატარება?

ა) ზღვისპირა, წყნარ კურორტზე - 1;

ბ) ეგზოტიკურ, მზიან კუნძულზე - 0;

გ) ტურისტულ ლაშქრობაში - 2.

10) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელ საქმიანობას ანიჭებთ უპირატესობას?

ა) კროსვორდების ამოსნას - 0;

ბ) რესტორანში ვახშამს - 1;

გ) ქალაქის ქუჩებში სეირნობას - 2.

## დააჯამეთ ქულები

0-7 ქულა: მეოცნებე ადამიანი ხართ, მოქმედება გიჭირთ, გონებაში კარგი აზრები გებადებათ და მათი შესაბამისად გაანალიზებაც შეგიძლიათ, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ზოგჯერ დაუყოვნებლივ მოქმედებაა აუცილებელი.

8-15 ქულა: დაბალანსებული და გაწონასწორებული ხასიათის მქონე ადამიანი ხართ, ზუსტად შეგი-

ძლიათ განსაზღვროთ, როდის არის საჭირო დაფიქრება და როდის - მოქმედების დაწყება.

16-20 ქულა: იმპულსური ადამიანი ბრძანდებით, ხშირად მოუფიქრებლად იწყებთ მოქმედებას და ამას შესაბამისი შედეგებიც მოჰყვება ხოლმე. დაფიქრდით, ცოტა დაისვენეთ და კარგად გაიაზრეთ შემდგომი მოქმედება - ეს უეჭველად მოგიტანთ სარგებლობას.

## ცეხვა ეიბორჩხადასაც შესძლება



რაც მეცნიერებმა ცეკვად შერაცხეს და რაკი კიბორჩხალა მდღერობითი სქესის არის, მას ჯინჯერ როჯერსი – იმ გამოჩენილი მოცეკვავის სახელი შეარქვეს, რომელმაც ფრედ ასტერთან ერთად გაითქვა სახელი. საინტერესოა, რომ ჯინჯერისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა მიმართულების მუსიკა ჟღერს – იგი

მუსიკა და სიმღერა ყველას უყვარს – მოზრდილებს, ბავშვებს და ცხოველებსაც – მათ შორის კიბორჩხალასაც კი. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ეგზემპლარი ბინადრობს ზღვის ფლორისა და ფაუნის ბრიტანულ ცენტრში, რომლის თანამშრომლებმაც აღმოაჩინეს, რომ 3 წლის კიბორჩხალა მუსიკაზე ულვაშებისა და კუდის რიტმული რხევით რეაგირებდა,

პრაქტიკულად ყველანაირ მელოდიას აყოლებს ულვაშისა და კუდის მოძრაობას. სპეციალისტთა აზრით, ჯინჯერი ხმის ტალღების ვიბრაციაზე რეაგირებს და არა საკუთრივ მუსიკაზე. ასეა თუ ისე, ცენტრის თანამშრომლებმა მისი დაჯილდოება გადაწყვიტეს და პერსონალური რადიომიმღებით დაასაჩუქრეს...



## პატახა ზღაპარი ყვედაზე პატახა ნიგნში

ტაივანელმა მხატვარმა ჩენ ფრონგ-შენმა უნიკალური წიგნი შექმნა. ეს არის გერმანული ზღაპრის – „პრინცი-ბაყაყის“ მინიატურული ვერსია. ზღაპარი შინაარსითაც განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი ვერსიისგან და მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ გახდა პრინცი შავი მაგიის მსხვერპლი, რის შედეგადაც ბაყაყად გადაიქცა, შემდგომ კი, პირვანდელი სახე საყვარელი გოგონას წყალობით დაიბრუნა. წიგნი 40 გვერდიანია, მასში 17 ათასი სიტყვაა. 9 მმ სიგრძის, 9 მმ სიგანისა და 2 მმ სისქის წიგნი სულ 17 მილიგრამს იწონის.

## გახობაც ასეთი უნდა!

რუმინეთის დაბა ფელეაცუს მცხოვრებლებმა ორი მაიმუნის დაქორწინება გადაწყვიტეს და საამისოდ საგანგებო ცერემონია მოაწყვეს. მათ გააფორმეს კავში-



რი პრიმატებს – ჯიმისა და ლუიზას შორის, რომლებიც მანამდე რამდენიმე კვირას ცხოვრობდნენ ერთად. ქორწილის მონაწილეთა თქმით, სასიძო ძალიან შეაშფოთა სტუმრების სიმრავლემ და ამის გამო დიდხანს არ გამოდიოდა, სამაგიეროდ, საცოლე სიტუაციამ ძალიან გაამხიარულა. როგორც რუმინული გაზეთი COTIDIANUL-ი იტყობინება, შეკრებულმა სტუმრებმა, რომელთა შორისაც – ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელიც იყო, ახალდაქორწინებულთა პატივსაცემად სადღეგრძელოებიც კი წარმოთქვეს.

# ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ასლან აბაშიძემ.

**ვულოცავთ ბატონ ასლანს და ვუსურვებთ წარმატებებს!**

### მელაპეები

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)


ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტომე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (13 ნოემბრის) 13 საათამდე.





„ფანტაზია“  
მელავეები



„ფანტაზიურებს  
ვაითხვები“  
ეს რა  
ტერიტორიაა  
ყოფილა!

# შაბათს, 10 ნოემბერს იხილეთ პირველად!

64/43

ჯანსაღი უმჯობესობა

## ქვეყნის



პირის ტელეპროგრამა  
თეატრალური ანონსი  
კროსვორდები  
სკანვორდები  
ანეკდოტები  
ჰოროსკოპი  
ტესტი

შინაგული შინაგული  
რომლის სპორტილო  
კაპანი თანს  
იქონებდა  
თქვა შეგებია



„ჯანსაღი უმჯობესობა“  
პირის ტელეპროგრამა

4